



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

კულტურის კვლევათა ინსტიტუტი  
ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა  
Institute of Cultural Studies  
UNESCO Chair in Intercultural Dialogue



United Nations Educational, Scientific and  
Cultural Organization



UNITWIN/UNESCO Chairs – Twinning Networks and  
University Networks

# ცივილიზაციური კიეზანი CIVILIZATION RESEARCHES

№ 15, 2017



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

„ცივილიზაციური ძიებანი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოდის 2003 წლიდან. 2007 წლის ივნისში იუნესკოს ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო მრგვალი მაგიდის – „კავკასია: ინტერკულტურული დიალოგის პერსპექტივა“ – გადამწყვეტილებით, ის არსებობას განაგრძობს როგორც საერთაშორისო გამოცემა. კრებული ინტერდისციპლინურია, მოიცავს კროსკულტურული კომუნიკაციისა და ინტერკულტურული დიალოგის, შედარებითი რეგიონული კვლევების (ისტორიული და ტიპოლოგიური საკითხები), კულტურის კვლევების და სხვა საკითხებს.

კრებული თანამშრომლობს აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვას, რუსეთის ფედერაციის, ცენტრალური აზიის იუნესკოს კათედრებთან, სხვა ქართველ და უცხოელ კოლეგებთან, რომლებიც წარმოდგენილი არიან როგორც სარედაქციო საბჭოში, ისე ავტორების სახით.

სარედაქციო ჯგუფი მზადაა თანამშრომლობისათვის დაინტერესებულ პირებთან და სტრუქტურებთან.

“**Civilization Researches**” is an annual edition of the UNESCO Chair in Intercultural Dialogue, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The articles cover spheres including, but not restricted to:

- Cross-cultural communication and intercultural dialogue;
- Comparative regional studies (including historical and typological perspectives);
- Cultural studies.

Traditional and non-traditional paradigms of study are equally welcomed.

The journal cooperates with the UNESCO Chairs in Armenia, Azerbaijan, Moldova, Central Asia, and the Russian Federation. It is open for collaboration with the interested individuals and structures.

#### **მოთხოვნები ავტორებისადმი**

მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულად, ინგლისურად, რუსულად ან ფრანგულად (მაქსიმუმ 4.000 სიტყვა, Times New Roman 12, 1,5, ან 2.500 სიტყვა, AcadNusx 12, 1,5 – ქართული ტექსტები) ელექტრონულ მისამართზე [icstbilisi@gmail.com](mailto:icstbilisi@gmail.com). ყველა სტატიას (გარდა ინგლისურ ენაზე წარმოდგენილისა) უნდა ახლდეს ინგლისური რეზიუმე 800-1000 სიტყვის მოცულობით. ციტირება – MLA სტილი.

**შერჩევის პირველი ეტაპი** – სარედაქციო საბჭოს წევრთა მიერ შერჩეული სტატიები იგზავნება თბილისში, რედაქციაში, ელექტრონული ფოსტით.

**მეორე ეტაპი** – სტატიები ეგზავნება სარედაქციო საბჭოს წევრებს (სპეციალობათა მიხედვით) საბოლოო შერჩევისათვის.

#### **წარმოდგენის ვადები:**

1 ოქტომბერი – წარმოდგენა სარედაქციო საბჭოში

1 ნოემბერი – სარედაქციო საბჭოს წევრთა საბოლოო გადაწყვეტილება

#### **Submission**

The articles should be submitted in Georgian, English, Russian or French (max. 4000 words, Times New Roman 12, 1,5, or 2500 words, AcadNusx 12, 1,5 space (Georgian texts) to the email address [icstbilisi@gmail.com](mailto:icstbilisi@gmail.com). All the articles (except those in English) must be presented together with the summary in English, 800-1000 words. Citation – MLA style.

**First stage of selection:** The articles recommended by the members of the Review Board should be delivered to Tbilisi (by e-mail).

**Second stage:** The papers should be distributed among the members of the Editorial Board for the final selection.

#### **Deadlines for delivering the articles to Tbilisi:**

1 October (submission to the Editorial Board)

1 November (final decision of the Editorial Board members)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2018  
ISBN 978-9941-13-795-2

© ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა, 2018  
UNESCO Chair in Intercultural Dialogue, 2018  
ISSN 1512-1941

## სარედაქციო საბჭო:

<b>ნინო ჩიქოვანი</b> , პროფესორი (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე)	კულტურის კვლევები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
<b>მუნზიფახონ ბაბაჯანოვა</b>	ინტერკულტურული დიალოგი, რუსულ-ტაჯიკური (სლავური) უნივერსიტეტი, დუშანბე, ტაჯიკეთი
<b>მიხეილ ბორგოლტი</b> , პროფესორი	შუა საუკუნეების ევროპის შედარებითი ისტორია, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, გერმანია
<b>ემილ დრაგნევი</b> , პროფესორი	სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოლდოვა
<b>მალხაზ მაცაბერიძე</b> , პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერებები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
<b>დიმიტრი სპივაკი</b> , პროფესორი	სულიერი ტრადიციების, სპეციფიკური კულტურებისა და ინტერრელიგიური დიალოგის შედარებითი კვლევა, კულტურის კვლევათა რუსეთის ინსტიტუტი, სანკტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია
<b>ნინო ფირცხალავა</b> , პროფესორი	შედარებითი ლიტერატურული კვლევები, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
<b>თინათინ ლუდუშაური</b> , ასოც. პროფესორი	კულტურის ანთროპოლოგია, ჰუმანიტარული სკოლა, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
<b>ბერნდ შპილნერი</b> , პროფესორი	ენათმეცნიერება, დუისბურგის ესენის უნივერსიტეტი, გერმანია
<b>ბეჟან ჯავახია</b> , პროფესორი	შუა საუკუნეების ისტორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
<b>რაუფ ჰუსეინოვი</b> , პროფესორი	ისტორია, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, აზერბაიჯანი

## სარედაქციო ჯგუფი:

ქეთევან კაკიტელაშვილი  
ივანე წერეთელი  
დავით მაცაბერიძე  
მაია ქვრივიშვილი  
ირაკლი ჩხაიძე

## რედაქციის მისამართი:

საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №3  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
II კორპუსი, ოთახი 164  
ტელ.: (995 32) 2290844  
ელ. ფოსტა: icstbilisi@gmail.com

ჟურნალის ინტერნეტვერსია და სხვა ინფორმაცია ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის შესახებ იხ. ვებგვერდზე: [www.culturedialogue.com](http://www.culturedialogue.com)

## **EDITORIAL BOARD:**

<b>Nino Chikovani, Professor (Head of the Review Board)</b>	Cultural Studies, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
<b>Munzifakhon Babajanova</b>	UNESCO Chair “Intercultural Dialogue”, <i>Russian-Tajik (Slavonic) University, Dushanbe, Tajikistan</i>
<b>Michael Borgolte, Professor</b>	Comparative History of Medieval Europe, <i>Humboldt University, Berlin, Germany</i>
<b>Emil Dragnev, Professor</b>	South-East European Studies, <i>Moldova State University, Moldova</i>
<b>Tinatin Ghudushauri, Professor</b>	Cultural Anthropology, <i>School of Humanities, University of Georgia</i>
<b>Rauf Huseynov, Professor</b>	History, <i>Institute of Archeology and Ethnography of the National Academy of Sciences of Azerbaijan</i>
<b>Bejan Javakhia, Professor</b>	Medieval Studies, <i>Ilia State University, Georgia</i>
<b>Malkhaz Matsaberidze, Professor</b>	Political Sciences, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
<b>Nino Pirtskhalava, Professor</b>	Comparative Literary Studies, <i>Ilia State University, Tbilisi, Georgia</i>
<b>Dmitri Spivak, Professor</b>	Comparative Studies of Spiritual Traditions, their Specific Cultures and Interreligious Dialogue, <i>Russian Institute for Cultural Studies, St. Petersburg, the Russian Federation</i>
<b>Bernd Spillner</b>	Linguistics, <i>Duisburg University, Germany</i>

## **EDITORIAL GROUP:**

Ketevan Kakitelashvili  
Ivane Tsereteli  
David Matsaberidze  
Maia Kvrivishvili  
Irakli Chkhaidze

## **ADDRESS OF THE EDITORIAL OFFICE:**

UNESCO Chair in Intercultural Dialogue, Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
3, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179, Georgia..  
E-mail address: [icstbilisi@gmail.com](mailto:icstbilisi@gmail.com)

The electronic version of the journal and the information about the UNESCO Chair in Intercultural Dialogue is available at: [www.culturedialogie.com](http://www.culturedialogie.com)

## შინაარსი CONTENTS

<b>მარინე ფუთურიძე.</b> ოქროს ფიგურა თრიალეთის კულტურის ყორღანიდან .....	7
<b>Marina Puturidze.</b> A Gold Figurine from a Kurgan of the Trialeti Culture .....	11
<b>ირაკლი ჩხაიძე.</b> დასავლეთის სახე საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ .....	12
<b>Irakli Chkhaidze.</b> The Image of the West in Georgia after Independence .....	22
<b>ბეჟან ჯავახია.</b> ცვლილებები პაპების აღმოსავლეთის პოლიტიკაში XIII საუკუნის დამდეგიდან და საქართველო .....	24
<b>Bejan Javakhia.</b> Changes in the Eastern Policy of Popes in XIII Century and Georgia .....	32
<b>ნინო დარასელია.</b> წიგნის გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტი, როგორც დისკურსის ჟანრი .....	33
<b>Nino Daraselia.</b> Blurb as a Discourse Genre .....	45
<b>Hripsime Ramazyan.</b> The Metamorphosis of European Identity or Demythologisation of a Construct .....	47
<b>ზაქარია ჯორჯაძე.</b> კინემატოგრაფის გავლენა საბჭოთა პერიოდის ქართული საზოგადოების ანტირელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე .....	50
<b>Zakaria Jorjadze.</b> The Influence of Cinematography on the Formation of Antireligious Consciousness of the Georgian Society .....	64
<b>მანანა სანაძე, თინათინ ლუღუშაური.</b> იდენტობის მარკერები შუა საუკუნეების ქართული ნარატიული წყაროების მიხედვით .....	66
<b>Manana Sanadze, Tinatin Gudushauri.</b> Identity Markers in the Georgian Narrative Sources of the Middle Ages .....	71
<b>ნინო ქიმერიძე.</b> მულტიმედია ტექსტები, როგორც დისკურსის ანალიზის ობიექტი .....	73
<b>Nino Kimeridze.</b> Multimedia Texts as the Object of Discourse Analysis .....	90
<b>ნინო სამხარაძე.</b> ფეხბურთი და ნაციონალიზმი საქართველოში 1960-1980-იან წლებში .....	91
<b>Nino Samkharadze.</b> Football and Nationalism in Georgia in the 1960s-1980s .....	100
<b>ავტორები, Authors</b> .....	103



*მარინე ფუთურიძე*

**ოქროს ფიგურა თრიალეთის კულტურის ყორღანიდან**

თრიალეთის კულტურა, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში გავრცელებულ შუა ბრინჯაოს ხანის კულტურათა შორის გამორჩეულია ოქრომრავლობით, არაერთი მნიშვნელოვანი სი-ახლითა და უნიკალურ მასალათა განსაკუთრებული სიმრავლით ხასიათდება. ცხადია, რომ ეს კულტურა პირველად წარმოგვიჩინს ტორევეტიკის დარგში იმ ინოვაციურ ნაკადს, რომელიც ერთნაირად სახასიათოა როგორც მხატვრულ-სტილისტური, ისე მისი ტექნიკურად მოდელირების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ კუთხით, თრიალეთის კულტურა ნიშანდობ-ლივად დაწინაურებული ჩანს თვით უძველესი წინა აზიის სინქრონული ხანის ცივილიზაციათა ფონზეც კი.

ამ კულტურის მხატვრული ხელოსნობის განვითარებაში ორი ძირითადი მიმართულება იკვე-თება: ესაა სამკაული და ტორევეტიკა. ორივე მათგანი ერთნაირი მრავალფეროვნებით და სიუხვი-თაა წარმოდგენილი თრიალეთის მდიდრულ სამარხულ ძეგლებში. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ ტორევეტიკაცა და სამკაულიც ერთგვარად დამახასიათებელი პრესტიჟული არტეფაქტებია ამ კულტურისათვის, რომელიც თვალნათლივ წარმოგვიჩინს მის აშკარად დაწინაურებულ დონეს.

თრიალეთის ოქრომჭედლობის მდიდრული ნიმუშები ცხადად წარმოგვიდგენენ მთელ იმ ტი-პობრივ მრავალფეროვნებას, რომელიც თითქმის ზუსტად შეესაბამება წინააზიური სამყაროს კულტურების ამ დარგისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხელოსნობის ერთიან ანსამბლს. თრიალეთური ოქრომჭედლობა შინაარსობრივად ნაირფეროვანია და მოიცავს: მძივების მრავალ სხვადასხვა ტიპს, აგრაფს, კულონს, საკინძებს, გარსაკრავებს, შტანდარტის თავებსა და დეტა-ლებს, ძვირფასი ლითონის ჭურჭლის სხვადასხვა ტიპს, ოქროს ფიგურას და მის სადგარს, თმის შესაკრავებს და სხვა. თითოეული ეს კატეგორია, იშვიათი შემთხვევების გარდა, მრავალი ნიმუ-შითაა წარმოდგენილი. ამიტომ, ამ რაოდენობრივი მონაცემის ფონზე, განსაკუთრებით თვალში საცემია მრგვალი ფიგურის უკიდურესი იშვიათობა თრიალეთის კულტურის გავრცელების ფარ-თო არეალში.

თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანებიდან ცნობილ ტორევეტიკის ათეულობით ნიმუშთა შორის აშკარად დომინანტურია ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ჭურ-ჭელი, რომელიც, როგორც წესი, ელიტური ფენის კუთვნილებას წარმოადგენდა და ხაზს უსვამს ამ დარგის არნახულ დაწინაურებას. შუა ბრინჯაოს ხანის II, განვითარებული ეტაპის (Puturidze, 2003: 111-112) ამ მასალათა ფონზე, ყურადღებას და, გარკვეულწილად, მკვლევართა გაოცებასაც კი იწვევს ის ფაქტი, რომ სხვა სახის ტორევეტიკის ნიმუშები, კერძოდ კი, ლითონის მრგვალი ანუ სამგანზომილებიანი ფიგურა, ჯერჯერობით მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლართაა ცნობილი სამხრეთ კავკასიის რეგიონში გათხრილი თითქმის ასეულამდე თრიალეთის კულტურის მდიდრუ-ლი ყორღანული კომპლექსიდან. დღეისათვის ტორევეტიკის აღნიშნული ტიპის ეს ერთადერთი ნი-მუში წარმოდგება მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აკად. ბ. კუფტინის მიერ ნალკის რეგიონში აღ-მოჩენილი პრესტიჟული მასალებით გამორჩეული # 5 ყორღანიდან (Куптин Б., 1941: ტაბ. XCVII, XCVIII).

სწორედ ამ უნიკუმს ეძღვნება წინამდებარე სტატია, რომელიც, როგორც ცალკე აღებული მნიშვნელოვანი არტეფაქტი, აქამდე არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი. ამდენად, შემო-თავაზებული ანალიზი ამ თეთრი ლაქის შევსების პირველი ცდაა. ჩვენ ყურადღებას წარვმარ-თავთ კონკრეტული ტიპის ტორევეტიკის ნიმუშის წარმომავლობის და სტილისტურ-ტექნიკური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

ის ფაქტი, რომ ამ ტიპის მასალა ტორევეტიკაში – ნარმოდგენილი ლითონის მრგვალი ანუ სამგანზომილებიანი ფიგურით, მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარის სახით მოგვეპოვება, შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდეს. დასაშვებია, რომ ის შეიძლება მიუთითებდეს (თუმცა არაპირდაპირ) მის იმპორტულად მიჩნევაზე ან ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მან ე.წ. „მოხეტიალე ხელოსნების“ ან „მოხეტიალე ვაჭრების“ გზით შემოაღწია რეგიონში. ეს მხოლოდ შესაძლებელი ვერსიებია, თუმცა მე გაცილებით უფრო დამაჯერებლად მეჩვენება, რომ სამგანზომილებიანი ფიგურა, შესაძლოა, თრიალეთის კულტურის სხვა იმ სამარხეულ კომპლექსებშიც ყოფილიყო, რომლებმაც მხოლოდ გაძარცვული სახით მოაღწიეს ჩვენამდე და ესეც შეიძლება იყოს მიზეზი მისი ასეთი იშვიათობისა. ლოგიკური მსჯელობის განვითარების ხაზი გვაგვარაუდებინებს და უნდა აღინიშნოს კიდევ, რომ, მიუხედავად მხოლოდ ერთადერთ ცალად შემორჩენისა, ის, უდავოდ, წყვილი ფიგურის სახით იყო დამზადებული და მიცვალებულისთვის ჩატანებული. ამაზე მეტყველებს პატარა ზომის, ინკრუსტირებული სადგარი (Куфтин Б., 1941: ტაბ. ХСVII), შექმნილი და განკუთვნილი სწორედ ამ ფიგურებისა და მათი უკეთ პრეზენტირებისთვის. აღნიშნულ დაბალ და ფიგურების პიედესტალად განკუთვნილ ნივთს ზედაპირზე აშკარად აქვს რვა თანაბარი ფოსო, ცხოველის ფეხების ჩასამაგრებლად განკუთვნილი. სწორედ ეს ტექნიკური დეტალი ააშკარავებს, რომ ფიგურა ნამდვილად ორი ცალი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად. ბ. კუფტინს, როგორც ამ ძეგლის გამთხრელსა და ინტერპრეტატორს, ნათლად მოაქვს ონაგრის ოქროს ფიგურის თავდაპირველი სახის მოცემულობა (Куфтин Б., 1941: ტაბ. ХСVII). სწორედ ამ რეკონსტრუქციის მიხედვით ხდება აშკარა, რომ ქვისაგან დამზადებულ, ნაპირებზე ოქროგადაკრულ და თვლებით ინკრუსტირებულ დაბალ სადგარზე მოდელირებული უნდა ყოფილიყო წყვილი (დიდი ალბათობით, იდენტური) ფიგურა. აქედან გამომდინარე, სრულიად არ გამოვრიცხავთ, რომ თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის სხვა ძეგლებშიც (უმეტესად გაძარცვულებში) შეიძლება ყოფილიყო მრგვალი ფიგურა ან, სავსებით მოსალოდნელია, რომ ტორევეტიკის ამგვარი ნიმუშები მომავალი აღმოჩენების პრეროგატივა გახდეს.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანების კულტურის კომპლექსებიდან არცთუ იშვიათია მხატვრული დამუშავების მხრივ გამორჩეული უნიკუმები, როგორებიცაა: ოქროს ინკრუსტირებული თასი, ვერცხლის, ოქროს დეტალებით დეკორირებული სარწყული, ოქროს თოთხმეტმძივიანი ყელსაბამი და სხვა (Куфтин Б., 1941: ტაბ. ХСV) (Куфтин Б., 1941: ХСV). სწორედ ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი ასეთივე, საგანგებოდ დახვეწილი და უნიკალური ნიმუშია ოქროს ეს მრგვალი ფიგურაც, რომელიც, სავარაუდოდ, ონაგრია (Куфтин Б., 1941: ტაბ. ХСVII, ХСVIII).

ცნობილი ქართველი არქეოლოგები, თრიალეთის სამარხეული ძეგლებისადმი მიძღვნილ კატალოგში (Жоржикашвили Л., Гогодзе Э. 1974: ტაბ. 58), ამ ფიგურას ასე ახასიათებენ: „ცხოველის ფიგურა, დამზადებული ოქროს ფურცლისაგან (ინვ. #9-63: 354) და მისი ქვის პედესტალი (ინვ. #9-63: 355). ფიგურა დაზიანებულია, მას აკლია კიდურები, ინკრუსტირებული თვლები და კუდი. ფიგურის ზომებია: სიგრძე – 5,2 სმ; სიმაღლე (შემორჩენილი ნაწილისა) – 2,7 სმ; წონა 7, 49 გრ.

ქვის სადგარი შემკულია ამოკვეთილი ორნამენტით, რომელზეც გვერდებიდან შემოკრულია ოქროს ფურცელი. სადგარის სიგრძეა – 3,5 სმ; სიგანე – 3 სმ; სიმაღლე – 1 სმ. მისი წონა ოქროს ფურცელთან ერთად არის 28,39 გრ“ (Жоржикашвили Л., Гогодзе Э. 1974: 71). ეს მშრალი აღწერილობა, რომელიც კატალოგისთვისაა განკუთვნილი, არ გვაძლევს ამ შესანიშნავი ნიმუშის ცალკეული ნიუანსების შესახებ სრულ სურათს. ამიტომ შევეცდებით მისი ცალკეული ტექნიკური და სტილისტური თავისებურებების აღწერას, რაც, ამთავითვე აღვნიშნავ, საფუძვლიან ვარაუდს გვიჩენს თრიალეთის კულტურის ამ შესანიშნავი არტეფაქტის შუმერული ხელოვნების თანადროულ მრგვალი ფიგურის ნიმუშთან საერთო სტილისტურ-მხატვრული მიმართულების არსებობის სასარგებლოდ.

ხელოვნებათმცოდნე ნ. ჯაფარიძე, რომელმაც თავისი მონოგრაფიული კვლევა საქართველოში ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობის ძიებას მიუძღვნა (ჯაფარიძე ნ., 1981), ამ ნიმუშის შესა-



ხეზე ფიგურებს, რომ ის, გარკვეულწილად, საერთო მანძიკ პოულობს წინააზიური ოქრომჭედლობის სტილთან, მიუხედავად იმისა, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობას მანძიკ ლოკალურ ფენომენად მიიჩნევენ (ჯაფარიძე ნ., 1981).

როგორც ზემოხსენებულ კატალოგში, ასევე ბ. კუფტინის ცნობილ მონოგრაფიაშიც ონაგრის ფიგურა და მისი სადგარი ერთადაა მოცემული, რაც ცხადს ხდის, რომ მრგვალი ფიგურა და მისი სადგარი სწორედ ერთობლიობაში იყო განსაზღვრული და პრეზენტირებული. ის, რომ შუა ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედელმა ცხოველის ფიგურისა და სპეციალურად მისთვის განკუთვნილი სადგარის სახით ერთი მთლიანი მხატვრული ნიმუში შექმნა, უდავოა. ამიტომ ამ ორ, ტექნიკურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დამზადებულ ნივთს ერთ მთლიანობაში წარმოვაჩინო.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანია ოქროს ფურცლისაგან დამზადებული ცხოველის მრგვალი ფიგურა, რომლის ზუსტი განსაზღვრა ყოველთვის და ამჟამადაც ინვესს ეჭვს. ფიგურა, მართალია, არ არის ძალიან სქემატური, მაგრამ მანძიკ ნაკლებად იძლევა საშუალებას დაბეჯითებით ითქვას მისი ზუსტი ზოოლოგიური ტიპის კუთვნილების შესახებ. ზოგადად კი, ის ვირს ან მის მონათესავე ჯიშს უნდა ეკუთვნოდეს. იმის გამო, რომ ფიგურას დაკარგული აქვს რქები, ფეხები და კუდი, რომელიც მეტ სიცხადეს შეიტანდა იმის განსაზღვრაში, თუ რა ცხოველი გამოხატა თრიალეთელმა ხელოსანმა, ჭირს დაბეჯითებით რაიმეს თქმა, თუმცა, პალეოზოოლოგ ო. ბენდუქიძის განსაზღვრებით, ის შესაძლებელია ონაგრი ყოფილიყო. ვფიქრობთ, რომ მისი ეს ვარაუდი მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა, რადგან ნალკის # 5 ყორღანში აღმოჩენილი ამ ცხოველის ფიგურას ვიზუალური ნიშნები ისე ნათლად არა აქვს გამოკვეთილი, როგორც ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ ვირის (თუ ჩოჩორის), ურის სამეფო სამაროვნიდან მომდინარე ოქროს ფიგურას (Wooley, 1934: ტაბ. 148). მიუხედავად ამისა, მისი ვირად ან ონაგრად განსაზღვრის სასარგებლოდ ლაპარაკობს მაღალი ყელი და ყელის თავზე გადასვლის პროფილი.

ცხოველის ეს ერთადერთი ფიგურა, რომელიც დღემდე მოგვეპოვება თრიალეთის კულტურის გავრცელების არეალიდან, უდავოდ, გამორჩეული ნიმუშია მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით. მოქანდაკე ცდილობს ფიგურას შესძინოს სრულყოფილი ფორმა და ხაზი გაუსვას მის პროპორციულ და მოხდენილ სხეულს, რომელიც ოქროს რამდენიმე ფურცლისაგან აქვს მოდელირებული. ოქროს ეს ფურცლები განსაკუთრებული ტექნიკური სრულყოფითაა გადაბმული ერთმანეთთან იმგვარად, რომ სრულიად არ ირღვევა ცხოველის ტანის ერთ მთლიან ფიგურად აღქმა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიგურის თავი, რომელიც მეტი გულმოდგინებითა და დეტალური ნიშნების გადმოცემის მცდელობით ხასიათდება. ყველაზე მნიშვნელოვანი და გამოკვეთილი დეტალი ცხოველის ფიგურის თავის ნაწილისთვის აშკარად უნდა ყოფილიყო თვალები, რომლიდანაც მხოლოდ თვალებზე დასწრებითაა შემორჩენილი, ხოლო ინკრუსტირებული თვალები კი, სამწუხაროდ, დაკარგულია. უაღრესად ნიშანდობლივია, რომ თვალის ჭრილი თრიალეთურ ფიგურაზე ფართოა, ხოლო ფორმითა და მოხაზულობით ანალოგიურია იმისა, რაც შუმერული ცხოველთა მცირე პლასტიკის ნიმუშებისთვისაა ზოგადად დამახასიათებელი. თავისთავად ის, რომ ფიგურას თვალები უდავოდ ინკრუსტირებული ჰქონდა, უკვე აშკარად ლაპარაკობს ტიპობრივ იდენტობაზე შუმერულ მხატვრულ სტილთან. ურის სამეფო სამაროვნიდან ცნობილ, ოქროსაგან დამზადებულ ვირის (თუ ჩოჩორის) ფიგურას, რომელსაც ასევე დაკარგული აქვს თვალის ინკრუსტირებული დეტალები, თითქმის ისეთივე ფართო მოხაზულობის ჭრილი აქვს, როგორც სამხრეთკავკასიურ განხილულ ნიმუშს. ურის სამეფო სამაროვნის იმ მასალებზე მუშაობამ, რომლებიც ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმშია ექსპონირებული, საშუალება მოგვცა დეტალურად დავკვირვებოდით როგორც ზოგად, ასევე ნიუანსურ საერთო და განმასხვავებელ თავისებურებათა მთელ ჯაჭვს, რაც ამ სამგანზომილებიან ნიმუშებს შორის ცხადად ვლინდება. საბოლოო ჯამში, საგანგებო შესწავლამ ჩვენთვის ცხადი გახადა, რომ ეს ორი ნიმუში აშკარად ახლო ანალოგიას ამჟღავნებს ერთმანეთთან და, როგორც ჩანს, თრიალეთის ონაგრის ფიგურის შემქმნელი ოქრომჭედელი ზედმინვენით ახლოს იცნობდა ფიგურის მხატვრული დამუშავების ტექნიკურ ხერხებს, სტილსა და, ზოგადად, შუმერული ტორევიტიკის ტენდენციებს. ამიტომ, როგორც ფიგურის თვალბუდის

ჭრილი და მისი მოდელირება, ისე ნახევრად ძვირფასი ქვების ინკრუსტირებით პოლიქრომიის შექმნა, ასე სპეციფიკური სწორედ ურის ოქრომჭედლობის სკოლისათვის, აშკარად მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორი აღმოჩნდა თრიალეთის ტორევეტიკის ამ ერთი კონკრეტული ტიპის – მრგვალი ფიგურის – ფორმირებისათვის. შესაბამისად, სწორედ თვალის გადმოცემის სტილისტური ერთობა და ასევე სხვა დეტალები, როგორცაა, მაგალითად, თვალს ზემოთა, შუბლის ნაწილის წინ ნამონეული, რელიეფური ზოლი მასზე გრავირებული გეომეტრიული ორნამენტით ან მკაფიოდ გამოკვეთილი ცხოველის ცხვირ-პირის მოდელირება, კიდევ უფრო აახლოებს თრიალეთურ ფიგურას შუმერულთან. სავარაუდოდ, ორივე შემთხვევაში თვალის ინკრუსტაცია ფერადი, ნახევრად ძვირფასი ქვით იქნებოდა შესრულებული, გამომდინარე იქიდან, რომ შუმერული ოქრომჭედლობის ერთი ყველაზე სახასიათო ნიშანია პოლიქრომია და ფერთა გამაზე აქცენტირება. სწორედ ეს ნიშანდობლივი შტრიხია გამეორებული თრიალეთურ ოქროს ფიგურაზეც. აღსანიშნავია ისიც, რომ ფერებზე და მათ შეხამებაზე აქცენტირება, ზოგადად, დამახასიათებელია თრიალეთური ოქრომჭედლობისთვისაც. თუ გავიხსენებთ ოქროს ინკრუსტირებულ თასს (Куфтин Б., 1941: ტაბ. XCIII), ოქროს სფერული ფორმის ინკრუსტირებულ მძივს (Куфтин Б., 1941: ტაბ. XCIV), ოქროსთავიან ინკრუსტირებულ საკინძებს (Куфтин Б., 1941: ტაბ. XCVII; Devedjian, 2006, ტაბ. I, II) და სხვა არტეფაქტებს, მაშინ სრულიად აშკარა გახდება, რომ ორივე, ამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ოქრომჭედლოური სკოლისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია სწორედ პოლიქრომიული გაფორმების სტილი. ურის ტორევეტიკის ზემოთ დასახელებულ ოქროს ფიგურასა და თრიალეთის ცალს შორის სტილისტურ-მხატვრული დიდი სიახლოვე მით უფრო სრულიად არ იქნება გასაკვირი, თუკი მხედველობაში მივიღებთ არაერთი იმ ზედმინევენით ანალოგიური (ზოგ შემთხვევაში იდენტურიც კი) არტეფაქტების შემთხვევებს, რომლებიც ურისა და თრიალეთის სამკაულის ზოგიერთ ტიპს შორისაა წარმოდგენილი. აქ მხედველობაში გვაქვს ოქროს სასაფეთქლე ხვიები და ოქროს წვრილი, მილაკისებური და ფილიგრანით შემკული მძივები.

ვფიქრობთ, რომ ზემოთ განხილული და ასევე წინა პუბლიკაციებში გაანალიზებული ოქრომჭედლობის დარგის ზოგიერთი ახლო პარალელები ნათლად მიუთითებს, ზოგადად, წინააზიური სამყაროს სხვადასხვა ცენტრთან არსებულ კავშირურთიერთობებზე (Rubinson, 2003; Puturidze 2002, 2003; 2005, 2014). მათ შორის კი გამოკვეთილად ჩანს წალკის # 5 ყორღანის ცხოველის (ონაგრის) ოქროს ფიგურა, რომლის აშკარად შუმერული სტილისტური ნიშნები, საერთო იერი და აქცენტები, ასევე, ტექნიკურად შესრულების მანერაც, ამ უკანასკნელი რეგიონის ოქრომჭედლობის სკოლის ფართო გავლენაზე მიუთითებს. მისმა ერთმა ნაკადმა კი, როგორც ჩანს, სამხრეთ კავკასიის ტორევეტიკის ფორმირებაზეც იქონია გავლენა, უშუალოდ თუ სხვა ცენტრების გზებითა და მეშვეობით. სწორედ ამ ფაქტის გამოვლინებად მიგვაჩნია თრიალეთის კულტურის ერთი დახვეწილი ნიმუში – ოქროს ზოომორფული ფიგურა.

## ბიბლიოგრაფია

- გოგაძე, ე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბილისი, 1972
- ფუტურიძე, მ. ზოგიერთი მოსაზრებანი თრიალეთის კულტურის მხატვრული ხელოსნობის განვითარების ტენდენციების შესახებ. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 17-18, 2006, გვ. 66-76
- ჯაფარიძე, ნ. ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში. თბილისი, 1981
- ჯაფარიძე, ო. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან. თბილისი, 2006
- Devedjian, S. Lori Berd II (Bronze Moyen), Erevan (in Armenian and French with Russian summary). Yerevan, 2006
- Harper, P., Klengel-brandt, E., Aruz, J., Benzel, K. Assyrian Origins: Discoveries at Ashur on the Tigris: Antiquities in the Vorderasiatisches Museum, Berlin, New York, 1999
- Maxwell-huslop, R. Western Asiatic Jewellery c. 3000-612 B.C. London, 1971
- Puturidze, M. Towards the Problem of South Caucasian-Aegean Cultural Interrelation at the End of III and first Half of the II Millennium BC.), "Sprache und Kultur", # 3Tbilisi, 2003, 100-113

- Puturidze, M. Social and Economic Shifts in the South Caucasian Middle Bronze Age, in K. Rubinson, A. T. Smith (eds), *Archaeology in the Borderlands: Investigations in Caucasia and Beyond* (Monograph 47), Los Angeles, 2003, 111-127
- Puturidze, M. About the Problem of South Caucasian – Near Eastern Cultural Relations According to the Items of Artistic Craft During the First Half of the 2<sup>nd</sup> Millennium BC, *Metalla* 12, 1-2, Wiesbaden, 2005, 8-22
- Puturidze, M. For the Assign of Middle Bronze Age Phases and Upper Chronological Limit of the Trialeti Culture, in G. Narimanishvili (ed.), *Problems of Early Metal Age Archaeology of Caucasia and Anatolia*, Tbilisi, 2014, 278-285
- Rubinson, K. Mid-Second Millennium BC Pontic-Aegean Connections: A note, in M. Silver (ed.), *Ancient Economy in Mythology*, Totowa, 1999, 283-286
- Rubinson, K. Silver Vessels and Cylinder Sealings: Precious Reflections of the Economic Exchange in the Early Second Millennium BC, in A. T. Smith, K. S. Rubinson (eds), *Archaeology in the Borderlands: Investigations in Caucasia and Beyond*, Los Angeles, 2003, 128-14
- Woolly, L. Ur Excavations. The Royal Cemetery, vol. I-II, London, 1934
- Жоржикашвили, Л., Гогодзе, Э. Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Каталог Триалетских материалов, II, Тбилиси, 1974
- Куфтин, Б. Археологические раскопки в Триалети. том I, Тбилиси, 1941
- Кушнарева, К. Южный Кавказ в 9-2 тысячелетиях до н.э. СПб, 19

## MARINA PUTURIDZE

### A GOLD FIGURINE FROM A KURGAN OF THE TRIALETI CULTURE

#### Summary

The Trialeti Culture of brilliant kurgans, spread in the South Caucasus region in the time interval of the Middle Bronze Age, is particularly distinguished by the highest level of goldsmiths' work. It is characterized by essential innovations and a large number of unique patterns of high artistic craft, which clearly points to the emergence of a new cultural stream in toreutics. This fact is evident from the point of view of both artistic-stylistic and technical modelling of these significant artefacts. It should be noted that exactly in this respect the Trialeti Culture achieved considerable success even against the background of flourishing Near Eastern civilization of the same period.

The presented article is devoted to one particular type of toreutics – a study of an animal figurine made from a gold sheet. Accordingly, it is the first attempt to examine this unique sample of II, i.e. developed stage of Middle Bronze Age Trialeti Culture in order to state its origin.

The comparative stylistic and technical study of this exquisite item and the material obtained from the king's burial of the Royal Cemetery at Ur (Sumer) makes it evident that the South Caucasian sample was created under the influence of the goldsmiths' school known as Sumerian toreutics.

The work considers a valuable artefact of high artistic craft obtained from Tsalka kurgan # 5, excavated in the late 30s of XX century by academician B. Kuftin. It still remains unique on the vast territory of spreading of the Trialeti Culture.

The study discusses all possible versions in an attempt to find out why the production of metal figurine is so rare on the territory of South Caucasus compared to the other types of valuable metal toreutics. It is clear that the suggested viewpoint requires further interpretation.

The detailed study of the valuable Trialetian sample from the point of its decoration with the help of incrustation with the colored semi-precious stones used for modelling the eyes of the animal (presumably, Onager, i.e. *Equus hemionus onager*), reveals the similarity of the mentioned sample with the South Caucasian animal's gold figurine discovered by Lord Leonard Woolley at the Royal Cemetery of Ur.

At the same time, it appears to be a strong argument and proof in favor of the existing cultural interconnections and exchange between the Near East and the South Caucasus in the period of the developed stage of Middle Bronze Age.

ირაკლი ჩხაიძე

**დასავლეთის სახე საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ**  
(ძირითადი ტენდენციები)

**შესავალი**

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, რომლებსაც დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე იდენტობის კრიზისმა და ექსკლუზიურმა ნაციონალიზმმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა და პოლიტიკური, სოციალური და ტერიტორიული დეზინტეგრაცია განაპირობა. შემდგომ პერიოდში ვითარება შეიცვალა. პროდასავლური პოლიტიკური მისწრაფებების კვალდაკვალ, ქართულმა ნაციონალურმა პროექტმა თანდათან შეიძინა სამოქალაქო მახასიათებლები. ნაშრომის ფარგლებში გაანალიზდება დასავლეთის როგორც სიმბოლური, ასევე რეალური როლი პოსტსაბჭოთა ქართული საჯარო დისკურს(ებ)ის ფორმირებაში, თუ რა მნიშვნელობა აქვს დასავლური სამყაროსადმი დამოკიდებულებას ნაციონალურ იდენტობათა განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბების პროცესში.

1980-იანი წლების ბოლოდან, ქვეყნის დამოუკიდებლობა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში აღმოცენებული ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მიზანი გახდა. მიზნის მიღწევისა და სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ქართული საზოგადოებისთვის ურთულეს გამოწვევად იქცა. საბჭოთა სისტემის დეკონსტრუქციის პროცესში, ქართველებმა იდენტობის ახალი კონსტრუქციისა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის ძიება დაიწყეს. ამ დროიდან, იდეამ ქართველთა ევროპული წარმოშობისა და დასავლეთთან მჭიდრო კავშირის შესახებ მყარად მოიკიდა ფეხი საჯარო და აკადემიურ სივრცეებში (Coene 2016: 31). „ევროპელობის“ იდეა ჯერ კიდევ თამაშობს ერთ-ერთ საკვანძო როლს ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში, თუმცა დასავლეთისადმი დამოკიდებულება არ არის ცალსახად პოზიტიური. პოლიტიკურ დონეზე ევროატლანტიკური ინტეგრაციის პარალელურად, რომელიც ქართული ნაციონალური პროექტის ძირითად გზავნილად იქცა, დასავლეთისადმი შიშმა და უნდობლობამ თანდათან დაიპყრო ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი. სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები დასავლეთის დემონიზებას ახდენენ, თუმცა, ახლო წარსულისგან განსხვავებით, ამჯერად „დასავლელი დემონი“ არა „საბჭოთა სამშობლოს“, არამედ დიდი ისტორიის მქონე, ტრადიციულ, ორთოდოქსულ ქვეყანას ემუქრება. ნაშრომი მიზნად ისახავს ორი განსხვავებული, დაპირისპირებული და, ამავე დროს, მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებული ტენდენციის შესწავლას საქართველოს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში.

იდენტობისა და ნაციონალიზმის კვლევა საქართველოში ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ახალი მიმართულებაა. ამ კუთხით ბევრი პრობლემური საკითხი საჭიროებს თანამედროვე თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით გააზრებას. ცოტაა იმ ნაშრომების რიცხვი, რომლებიც საკვლევ პრობლემას ჩვენთვის საინტერესო პერსპექტივიდან განიხილავს. მიუხედავად მდიდარი და მრავალფეროვანი ემპირიული მასალისა, მისი დიდი ნაწილი არ არის სისტემატიზებული და კონტექსტუალიზებული რომელიმე თეორიული ჩარჩოს გამოყენებით. ეს რეალობა თავისთავად ასაბუთებს საკვლევ პრობლემის მნიშვნელობას.

**ლიტერატურის მიმოხილვა.** ლიტერატურიდან, რომელიც ჩვენი კვლევის უშუალო თეორიულ საფუძველს წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ როჯერს ბრუბეიკერის (Rogers Brubaker) ნაშრომებს. 2006 წელს გამოცემულ გამოკვლევაში „ეთნიკურობა ჯგუფების გარეშე“

(„Ethnicity Without Groups“) ავტორი ეთნიკურობას, ერებს, სხვადასხვა სახის ჯგუფურ იდენტობებს კონსტრუირებულ ფენომენებად მიიჩნევს. ბრუბეიკერის აზრით, ერებისა და ეთნიკური ჯგუფების კვლევისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ პრაქტიკულ კატეგორიებზე, სიტუაციებზე, კულტურულ იდიომებზე, დისკურსზე, პოლიტიკურ პროექტებზე, ჯგუფურობის ცვალებადობაზე. მისი შეხედულებით, ისეთი ფენომენები, როგორებიცაა ეთნოსი, ერი, რასა, თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი სოციალური და პოლიტიკური პროცესების შედეგია. ბრუბეიკერის ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმის დიქტომიას. იგი აღნიშნავს, რომ მსგავსი კლასიფიკაციის დროს ხშირად ვხვდებით ანალიტიკურ და ნორმატიულ ორაზროვნებას, გეოგრაფიულ დეტერმინიზმს, რაც, უდავოდ, კრიტიკას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, იგი იზიარებს ეთნიკური და სამოქალაქო ნაციონალიზმის განსაზღვრებათა ძირითად პოსტულატებს.

მნიშვნელოვან ნაშრომებს მოიცავს ლოუელ ბარინგტონის (Lowel Barrington) რედაქტორობით გამოცემული კრებული „დამოუკიდებლობის შემდეგ: ერის შექმნა და დაცვა პოსტკოლონიურ და პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში“. აქ განხილულია სხვადასხვა პოსტსოციალისტური სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს შემთხვევა. კრებულის შესავალში, რომლის სახელწოდებებაცაა „ნაციონალიზმი და დამოუკიდებლობა“ (Nationalism & Independence), რედაქტორი აყალიბებს ნაციონალიზმის კვლევის ახალ, პოსტსოციალისტური ეპოქისთვის მნიშვნელოვან ამოცანას – შესწავლილ იქნეს ნაციონალიზმის როლი და ფუნქცია მას შემდეგ, რაც ის მიაღწევს უმთავრეს მიზანს – სუვერენული სახელმწიფოს შექმნას. ავტორი ასევე ვრცლად მიმოიხილავს ერისა და ნაციონალიზმის ცნებათა გარშემო მიმდინარე დებატებს.

მცირეა პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმის, პოპულიზმისა და იდენტობების ფორმირების თემატიკაზე ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომების რიცხვი. სოციალური მეცნიერებების სფერო არ არის განებივრებული ფუნდამენტური გამოკვლევებით. ამის მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ საბჭოთა კავშირში, მკაცრი იდეოლოგიური რეჟიმის პირობებში, აღნიშნული პრობლემების შესწავლა უკიდურესად შეზღუდული გახლდათ. მსგავს საკითხებთან შეხება მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მიდგომების ფარგლებში იყო შესაძლებელი. პოსტსაბჭოთა ეპოქაში, მიუხედავად იდეოლოგიური წნეხის არარსებობისა, მაინც შენარჩუნდა აკადემიური კვლევის ძველი მიდგომები, რაც, ვფიქრობთ, გვაჩვენებს ახალი პერსპექტივიდან კვლევის აუცილებლობას.

აუცილებელია გამოვყოთ რამდენიმე ნაშრომი იმ ლიტერატურიდან, რომელიც უშუალოდ ეხება ჩვენს საკვლევ პრობლემას. ამ მიმართულებით უნდა დავასახელოთ სტივენ ჯონსის კვლევა „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის შემდეგ“, სადაც ცალკე თავი აქვს დათმობილი ქართულ პოპულიზმზე მსჯელობას; ა. ბრისკუს „ასე შორს და მაინც ასე ახლოს, ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია“. ეს ნაშრომი ისტორიულ დინამიკაში განიხილავს საქართველოს დასავლეთთან მიმართების პრობლემას. ასევე საკითხის ისტორიულ საფუძვლებს ეხება გ. ნოდისა და ქ. კაკიტელაშვილის გამოკვლევები „დასავლეთის იდეა ქართულ ცნობიერებაში“ და „დასავლეთი ქართულ ცნობიერებაში“.

პრობლემა, რომლის გაანალიზებაც სტატიის ფარგლებში ვცდილობთ, საქართველოს უახლესი ისტორიის ნაწილია. საკვლევ პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა დიდწილად განსაზღვრა საქართველოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა, ასევე განაპირობა დამოუკიდებლობის შემდგომი ტრანზიციის პერიოდში მიღწეული წარმატებები თუ განცდილი მარცხი. საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვლილი გზის კრიტიკული ანალიზი. პროცესების იდენტობის კვლევების პერსპექტივიდან შესწავლა ხელს შეუწყობს როგორც უახლოესი წარსულის ხელახალ გააზრებას, ასევე საქართველოში განვითარებული მოვლენების რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტის განსაზღვრას.

კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლები, მიმართვები, ინტერვიუები, აკადემიური და ჟურნალისტური შრომები. პოსტსაბჭოთა ქართული საჯარო დისკურსი კონსტრუირებული ფენომენია, რომელიც ელიტების მიერ ჩამოყალიბდა და განვლილი ათწლეულების განმავლობაში არაერთი

ტრანსფორმაცია განიცადა. პროექტის ძირითადი მიზანი აღნიშნული ტრანსფორმაციის ეტაპებზე თვალის მიდევნება და მათი დინამიკაში გაანალიზებაა.

**კვლევის მიზანი.** კვლევის მიზანია ქართული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებების შესწავლა დასავლური სივრცისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ასევე, იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებმაც განაპირობა ორი ურთიერთდაპირისპირებული ნაციონალური ნარატივის ფორმირების პროცესი. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, კვლევა გვაჩვენებს პოსტსაბჭოთა საქართველოს დასავლური გზის წინააღმდეგობრივ ხასიათს. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკურ დონეზე შეუქცევადი დასავლური ორიენტაცია რთული სოციალური პროცესების ფონზე ვითარდება. აღნიშნულის ნათელი დასტურია ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები, სინქრონულად მიმდინარე დასავლეთის იდეალიზაციისა და დემონიზაციის პროცესი. ვფიქრობთ, რომ ეს ტენდენცია დამოუკიდებლობის შემდგომ ჩამოყალიბებული განსხვავებული ნარატივების შედეგია, რომელთა დინამიკაში ანალიზი დაგვეხმარება პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რატომ არის ქართული საზოგადოების დასავლეთისადმი დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელი.

1980-იანი წლების ბოლოდან, მას შემდეგ, რაც ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში ეროვნული მოძრაობა დომინანტური გახდა, მის ერთ-ერთ ძირითად მიზნად დასავლეთისადმი დამოკიდებულების მკაფიოდ განსაზღვრა გახდა. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში ამ საკითხმა არათუ დაკარგა სიმწვავე, არამედ კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახდა და, დასავლურ სივრცეებთან პოლიტიკური დაახლოების პარალელურად, ქართული საზოგადოებისთვის განსაკუთრებულ პრობლემად იქცა. დასავლეთი იქცა ერთგვარ წყაროდ, რომელიც ერთნაირი ნარმატებით „კვებავს“ როგორც ქართულ ორთოდოქსულ, ულტრანაციონალისტურ, ასევე ლიბერალურ-დემოკრატიულ ნარატივებს, რომლებიც საჯარო დისკურსში ჩამოყალიბდა. დასავლეთის დემონიზაცია და იდეალიზაცია საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისა და პოლიტიკური ლეგიტიმაციის მიღების ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ საშუალებად იქცა. ნაშრომის მიზანი კონკრეტულია – იმ ემპირიული მასალის ანალიზი, სისტემატიზაცია და კონტექსტუალიზაცია, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს საჯარო სივრცეში შექმნილი ურთიერთდაპირისპირებული ხედვების ანატომია. წინასწარი ჰიპოთეზის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, მიუხედავად მკვეთრი დაპირისპირებისა, აღნიშნული ნარატივები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და ერთმანეთის აქტუალურობას განაპირობებს. შესაბამისად, მკაფიო სურათის შესაქმნელად აუცილებელია მათი ერთობლივი ანალიზი საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პროცესში.

## თავი 1

### თეორიული საფუძველი და მეთოდოლოგია

თანამედროვე დასავლურ სამეცნიერო წრეებში (მაგალითად, იხილეთ სტივენ ჯონსის მონოგრაფია საქართველოს შესახებ) საუბრობენ თეორიული მიდგომების სიმწირეზე, რომლებიც დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე პროცესების სრულყოფილად გაანალიზების შესაძლებლობას მოგვცემს. აკადემიურ და პოლიტიკურ სივრცეში ხშირად არის გაზიარებული შეხედულება, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში განვითარებულ დესტრუქციულ პროცესებში მთავარი „დამნაშავე“ არატოლერანტული, ექსკლუზიური ქართული ნაციონალიზმია, რომელიც დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე აღმოცენდა. ქართული ნაციონალიზმი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო 1990-იანი წლების ტრანზიციის პროცესში, თუმცა, საკითხის სრულყოფილი შესწავლისთვის, მხოლოდ ნაციონალიზმის თეორიების გამოყენება არასაკმარისია. დამოუკიდებელი საქართველოს ტრანსფორმაციის ნაციონალიზმის პრიზმიდან გაანალიზება კვლევის მიღმა ტოვებს ქართული საზოგადოების განვითარების საგულისხმო ტენდენციებს. მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათის შესაქმნელად, საჭიროდ მიგვაჩნია სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დონეზე აქტუალური, თუმცა აკადემიურად არცთუ მწყობრი „პოპულიზმის“ ცნება. პოპულიზმის კონცეპტის შინაარსი თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში აზ-

რთა სხვადასხვაობის საფუძველია. მიუხედავად აკადემიური ბუნდოვანებისა, პოპულიზმი პოლიტიკურად მოქნილია და ხშირად იძენს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს. იგი მრავალნაირი ფორმით გვევლინება ტრანზიციის პერიოდში მყოფ საზოგადოებებში, სადაც გარკვეულობის ხარისხი დაბალია, მომავალი კი – საფრთხის შემცველი. პოპულიზმი შეიძლება იყოს ურბანული, რურალური, არალიბერალური, დემოკრატიული და სხვა. პოპულიზმის სხვადასხვა ვარიანტი შესაძლოა განსხვავებული სოციალური ფენისკენ იყოს მიმართული. მარგარეტ კანოვანი პოპულიზმის შვიდ დეფინიციას გამოყოფს. მისი შეხედულებით, პოპულიზმი გულისხმობს გარკვეული დოზით ეგზალტაციას და ხალხზე აპელირებას, იგი ყოველთვის ანტიელიტისტურია და მიმართულია დომინანტური იდეოლოგიური ნარატივის წინააღმდეგ (Deivikis 2009: 1). არსებობს რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი, რომლებიც საერთოა პოპულიზმის ყველა სახესხვაობისთვის. ესენია: განტევების ვაცის ძიება, რომლებსაც ხშირად გვევლინებიან უცხოეთის მთავრობები, ინტელექტუალები, ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავებული ჯგუფები. პოპულიზმისთვის ასევე დამახასიათებელია ქარიზმატული ძალაუფლება, ბელადის კულტი, ერის ბედისწერაზე ხაზგასმა და სხვა. მასობრივი დემონსტრაციები, პლემბისციტები, ხალხის მობილიზაცია კონკრეტული იდეების გარშემო პოპულისტური პოლიტიკის უმთავრესი იარაღებია (ჯონსი 2013: 77). ვფიქრობთ, რომ პოპულიზმის აღნიშნული ელემენტები ხელსაყრელი ინსტრუმენტია დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში განვითარებული პროცესების გასააზრებლად.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში, პოპულიზმის მრავალ სახეობას შორის გამოვიყენებთ ეროვნული პოპულიზმის კონცეფციას. ეს ცნება გულისხმობს მჭიდრო კავშირს პოპულიზმსა და ნაციონალიზმს შორის. მიუხედავად გარკვეული კრიტიკისა, პოპულიზმის თემაზე გამოცემული ნაშრომების დიდი ნაწილი აღიარებს აღნიშნულ ორ კონცეპტს შორის მჭიდრო კავშირს. უფრო მეტიც, ზოგიერთი გავლენიანი ავტორი პოპულიზმსა და ნაციონალიზმს შორის ტოლობის ნიშანსაც სვამს. ორივე მათგანი, ნაციონალიზმიც და პოპულიზმიც, აქცენტს ხალხის სუვერენულობაზე აკეთებს. ბენჟამინ დე ქლინი და იანნის სტავრაკაკისი (Benjamin de Cleen & Yannis Stavrakakis) საკუთარ სტატიაში ცდილობენ ახსნან ფართოდ გაზიარებული წარმოდგენა პოპულიზმისა და ნაციონალიზმის ურთიერთკავშირის შესახებ. მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ძირითადი გადანყვეტილების მიმღების, ძალაუფლება შესუსტდა, იგი მაინც რჩება მთავარ სივრცედ დემოკრატიული პოლიტიკური რეპრეზენტაციისა და საჯარო დებატების დროს. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია კავშირი პოპულიზმსა და ნაციონალიზმს შორის. გელნერი და ლონესკუ, საკუთარ ნაშრომში პოპულიზმის შესახებ, ამ უკანასკნელს განიხილავენ, როგორც ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფორმას. პოპულიზმისა და ნაციონალიზმის საკითხზე შექმნილი დიდი რაოდენობის თეორიულ ლიტერატურაში ნაციონალიზმი გააზრებულია, როგორც პოპულისტური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი (De Cleen & Stavrakakis 2017: 2).

ჩვენი მიზანი არ არის პოპულიზმის ცნების გარშემო მიმდინარე დებატების ფართო ანალიზი. ჩვენ ამ ცნებას ვიყენებთ დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში განვითარებული პროცესების კონტექსტის გასააზრებლად. ნაციონალიზმი, ხალხზე აპელირება, მასების მობილიზაცია არის ის ინსტრუმენტები, რომლებსაც აქტიურად იყენებდნენ და იყენებენ პოლიტიკოსები თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლიდერები პოპულისტური პოლიტიკის გასატარებლად, განსხვავებული ნაციონალური პროექტების განხორციელების მიზნით.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს ასევე წარმოადგენს ინსტრუმენტალისტური მიდგომა. ამ მიდგომის მიხედვით, ნაციონალური იდენტობები მოქნილი და ცვალებადია, მათი შინაარსი დამოკიდებულია დროისა და გარემოების ცვლილებაზე. ინსტრუმენტალისტური თეორიები დამყარებულია იდეაზე, რომ ნაციონალიზმი და ეთნიკურობა წარმოადგენს სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების შედეგს. თანამედროვე მკვლევართა დიდი ნაწილი თანხმდება, რომ მსგავსი იდენტობები წარმოადგენენ სოციალურ კონსტრუქტებს.

ძირითადი მეთოდი, რომელსაც მოცემული კვლევა ეყრდნობა, არის დისკურსის ანალიზი. უკანასკნელ წლებში დისკურსი ერთ-ერთ ყველაზე მოდურ ტერმინად იქცა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე პოლიტიკური თუ ინტელექტუალური დებატების დროს, თუმცა მისი

მნიშვნელობა, ხშირად, მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. ზოგადად, დისკურსი შეიძლება განისაზღვროს როგორც სამყაროს აღქმისა და გაგების განსაკუთრებული ენა ან მსოფლმხედველობა, რომელიც შემოსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს. მაგალითად, სამედიცინო დისკურსი, პოლიტიკური დისკურსი და ა.შ. დისკურსის ანალიზი არის ინტერდისციპლინური კვლევითი მიდგომა, ჩარჩო, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა აკადემიური დისციპლინის ფარგლებში (Jorgensen & Phillips 2002: 12).

ემპირიული მასალის გააზრებისას ვიყენებთ შინაარსობრივი ანალიზის (კონტენტ ანალიზი) მეთოდს. ამ მეთოდის გამოყენებისას, მკვლევარს აინტერესებს შესასწავლი დოკუმენტების კონკრეტული ასპექტი – მასში ასახული სპეციფიკური სოციალური ურთიერთობები, ავტორის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ თუ სხვა.<sup>1</sup> ჩვენი კვლევის შემთხვევაში საინტერესოა, თუ რა ძირითადი ტენდენციებია განსახილველ ფაქტობრივ მასალაში დასავლეთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, როგორია პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალური დისკურსების ძირითადი მახასიათებლები ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

## თავი 2

### დამოუკიდებლობის სათავეები: „დაკარგული დიდების“ ძიებაში

1980-იანი წლების ბოლოდან, საბჭოთა სისტემის დეკონსტრუქციის პროცესში, რადიკალური ქართული ნაციონალიზმი აღმოცენდა. ეროვნული მოძრაობის ხასიათს, დიდნილად, მისი ლიდერის, ცნობილ დისიდენტ ზვიად გამსახურდიას პიროვნება განსაზღვრავდა. გამსახურდიას დამოკიდებულებები საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე უფრო საკრალური და ემოციური იყო, ვიდრე რაციონალური. მისი შეხედულებით, „ქართველი ხალხი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იჩაგრებოდა, ახლა კი დადგა დრო, როდესაც მან კუთვნილი ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს თანამედროვე მსოფლიოში და ხელახლა აღორძინდეს. ეს მან დაიმსახურა, როგორც მძიმე, ტრაგიკული ისტორიის მქონე ერმა“ (გამსახურდია 1990: 8-9). ზვიად გამსახურდიას მიაჩნდა, რომ საქართველოს მისია ისტორიული ფუნქციის აღდგენაში იყო, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდის როლის შესრულებას გულისხმობდა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას რელიგიურ საკითხებზე ამახვილებდა. მისი მტკიცებით, ქართველებს ქრისტიანობის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდათ. რელიგიაზე ხაზგასმამ ადრეულ ქართულ ნაციონალიზმს ირაციონალური ელფერი შესძინა, მნიშვნელოვნად განაპირობა მისი განსაკუთრებულობის იდეაზე დაფუძნებული ექსკლუზიური ბუნება. თუმცა, როგორც სტივენ ჯონსი აღნიშნავს, დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე წარმოშობილ პრობლემებს მხოლოდ გამსახურდიასთან არ მივყავართ. მისი ეპოქა ხასიათდებოდა ეკონომიკური კოლაფსით, საზოგადოების ფრაგმენტაციითა და პოლარიზაციით. გამსახურდიას პოლიტიკა ნაციონალიზმის, პოპულიზმის, რელიგიურობისა და კონსერვატიზმის ერთგვარ ნარევეს წარმოადგენდა. ჯონსის მოსაზრებით, როგორც ბევრი მესამე სამყაროს ქვეყნის ლიდერი, გამსახურდიაც იმპერიული სისტემის პროდუქტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი მკაცრად უპირისპირდებოდა საბჭოთა სისტემას, ხშირად სისტემის მსგავს ჩაკეტილობას და მიუღებლობას ამჟღავნებდა (ჯონსი 2013: 53).

თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართულ ეროვნულ მოძრაობას და მის ლიდერს, სანყის ეტაპზე, აქტიურად უჭერდნენ მხარს დასავლეთის სახელმწიფოები. მოგვიანებით, სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით, დასავლეთთან ურთიერთობა შეიცვალა. 1991 წლის აგვისტოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოს ლიდერი ეთნიკური ნაციონალიზმის გაღვივებაში დაადანაშაულა. ამ განცხადების საპასუხოდ, გამსახურდიამ ბუშს ბრალი დასდო კომუნიზმის ხელშეწყობასა და ტირანიაში. ამ პერიოდიდან, საქართველოს საჯარო სივრცეში ფეხი მოიკიდა დასავლური სამყაროსადმი ორსახოვანმა დამოკიდებულებამ – ტრადიციული, ძველი, „ცივილიზებული“, მორალური დასავლეთი თანამედროვე კონსპირატორი, გარყვნილი დასავლე-

<sup>1</sup> <http://www.qualitative-research.net/index.php/fqs/article/view/1089/2385%3E#g3> (ნანახია 2018 წლის 25 ივნისს)



თის წინააღმდეგ, რომელსაც არ აქვს არავითარი მორალური სტანდარტები. თავად გამსახურდია თვლიდა, რომ ქრისტიანული საქართველო ძველი დროიდან ევროპული ცივილიზაციის ნაწილი იყო. თანამედროვე ეპოქაში მას კუთვნილი ადგილი უნდა დაეკავებინა ევროპულ მაგიდასთან. ამასთან ერთად, გამსახურდია აქტიურად უპირისპირდებოდა დასავლეთის მთავრობებს, რომლებმაც, მისი სიტყვით, დიდი როლი შეასრულეს საქართველოში განვითარებულ დრამატულ პროცესებში. 1992 წელს მიცემულ ინტერვიუში ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ დასავლეთის მთავრობებმა მიზნად დაისახეს „ყველა სხვა ხალხის გენოციდი, ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიიღტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუნდობდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმადან. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით“.<sup>1</sup> ამავე ინტერვიუში გამსახურდიამ განაცხადა: „დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპულ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ ინვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში – მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი“.<sup>2</sup> მისივე შეხედულებით, სწორედ აღნიშნული მიზეზებით, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საქართველოს სათავეში „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი“ ედუარდ შევარდნაძე მოვიდა.

მიუხედავად ანტიდასავლური ეროვნული პოპულიზმისა, ზვიად გამსახურდიას ფიგურის ცალსახად დასავლეთის მოწინააღმდეგედ მიჩნევა არამართებულია. მისი დამოკიდებულებები გამოირჩეოდა დროის მოკლე მონაკვეთში მყისიერი და რადიკალური ცვლილებებითა და წინააღმდეგობრიობით. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ზვიად გამსახურდია ედუარდ შევარდნაძეს მთავარ მტრად და მის წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხების ერთ-ერთ ორგანიზატორად მიიჩნევდა. შევარდნაძის ფიგურა დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, რაც ზვიად გამსახურდიას უკმაყოფილებასა და მძაფრ ანტიდასავლურ განწყობებს განაპირობებდა.

საქართველოში დასავლეთისადმი დუალისტური დამოკიდებულება აღნიშნულ ეპოქაში იღებს სათავეს და მისი პიონერი ზვიად გამსახურდიაა. იმავე 1992 წელს, საქართველოს ტელევიზიისადმი გაგზავნილ მიმართვაში გამსახურდიამ უარყო ბრალდებები მის ანტიდასავლურ და იზოლაციონისტურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მან დაგმო დასავლური ორიენტაცია, რომელიც გულისხმობდა „პორნოგრაფიული და სადისტური ფილმების კულტს, განგსტერების „ჰეროიკას“, დასავლური მოდების წამხედურობას, დასავლეთის წინაშე ხელგაშვერილ დგომას უცხოური კრედიტების მოლოდინში, საექვო პოლიტიკურ გარიგებებს ზოგიერთ პოლიტიკურ ავანტიურისტებთან, მათ მოწვევას საქართველოში, საქართველოს ბუნებრივ და წიაღისეულ სიმდიდრეთა, კურორტების, პორტებისა და სანარმოო ობიექტების მიყიდვას დასავლეთისათვის და სხვა“. ნაცვლად ამისა, მისი სიტყვით, „დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნაზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის. ჩვენის თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება, დასავლური, ღია დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გაზეთი „აღდგომა“, 1992, №20

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> გაზეთი „ქართული აზრი“, №24

დასავლური სამყაროს მიმართ მსგავსი დუალისტური დამოკიდებულება, რომელიც დამოუკიდებლობის დასაწყისში ქართული საჯარო დისკურსის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, დღემდე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და პრობლემატური საკითხია. ერთი მხრივ, დასავლეთის იდეალიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, დემონიზაცია, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი განვითარების საკვანძო მახასიათებელია.

### თავი 3

#### **პარალელური პროცესები: პროდასავლური ოფიციალური დისკურსი ანტიდასავლური პოპულიზმის პირისპირ**

1992 წლის მარტიდან საქართველოს სათავეში საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მოვიდა. მისი ხელისუფლების დროს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი მკვეთრად პროდასავლური გახდა. რუსეთთან რთული ურთიერთობების ფონზე, ქვეყნის ხელისუფლება დასავლურ სახელმწიფოებთან ურთიერთობების გაღრმავებას ცდილობდა. ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯების კვალდაკვალ, გაძლიერდა პროდასავლური ოფიციალური რიტორიკა. შევარდნაძე ქვეყნის დასავლეთისკენ სვლას წარმოაჩენდა, როგორც განვითარების ერთადერთ, უალტერნატივო საშუალებას. იგი ქვეყნის სტაბილურობის, სიღარიბის დაძლევისა და სამოქალაქო ომის ქაოსიდან გამოსვლის შესაძლებლობას დასავლურ სტრუქტურებთან დაახლოებაში ხედავდა. 1999 წელს, საქართველოს ევროსაბჭოს წევრად არჩევის შემდეგ, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის სიტყვები „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ დასავლური პოლიტიკური კურსის ერთგვარ დევიზად იქცა (ჩხაიძე 2016: 106-110).

პროდასავლურმა პოლიტიკურმა კურსმა მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს სახელმწიფოს სამოქალაქო ტრანსფორმაცია. სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის გზაზე დამდგარმა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებამ, 1993 წლის 25 მარტს, ხელახლა მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ.<sup>1</sup> ამ კანონის მიღებისას, რომელიც ცალსახად ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, ხელისუფლებამ გაითვალისწინა საქართველოში არსებული ეთნოპოლიტიკური ვითარება და ქვეყნის მოქალაქეობა მიანიჭა საქართველოს ყველა მაცხოვრებელს. კანონი არ ითვალისწინებდა ისეთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, როგორებიცაა, მაგალითად, სახელმწიფო ენისა და ქვეყნის ისტორიის ცოდნა. ლიბერალიზმის თვალსაზრისით, საქართველოს კანონმა მოქალაქეობის შესახებ გაუსწრო ბევრ ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოს.

მეორე უმნიშვნელოვანესი აქტი, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა ქართული ნაციონალური პროექტის ინკლუზიური, სამოქალაქო ბუნება, არის 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის პრეამბულაში გამოხატულია საქართველოს მოქალაქეთა ნება, დამკვიდრდეს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განმტკიცდეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა და სხვა.<sup>2</sup>

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოში ნაციონალური იდენტობის სამოქალაქო დისკურსი და დასავლური მისწრაფებები კიდევ უფრო გაძლიერდა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს, ევროპელობა და დასავლური ერის მშენებლობა ნაციონალური პროექტის განმსაზღვრელ კომპონენტად იქცა. ხელახლა (თუმცა, გამსახურდიას ეპოქისგან განსხვავებული ფორმით) გაცოცხლდა იდეა ქართველების, როგორც უძველესი ევროპელების, შესახებ. 2013 წელს მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ნათლად ჩანს, რომ მაშინდელი ხელისუფლება დასავლურ ორიენტაციას ქართული ნაციონალური პროექტის ძირითად მიმართულებად განიხილავდა. მისი სიტყვით, ერი არის პროექტი, რომელიც საზოგადოების

<sup>1</sup> კანონი მოქალაქეობის შესახებ, იხ.: <http://mra.gov.ge/res/docs/2013110412031013274.pdf> (ნანახია 2018 წლის 25 ივნისს)

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია, იხ.: <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>. (ნანახია 2018 წლის 25 ივნისს)

ანმყოფა და მომავალს განსაზღვრავს, „პროექტი, რომელიც გვაერთიანებს განურჩევლად ჩვენი პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, ეთნიკური თუ რეგიონული განსხვავებებისა და მახასიათებლებისა. ერი არ არის ეთნიკურობა და ის ვერ იქნება მხოლოდ საერთო ისტორია. ერი, ქალბატონებო და ბატონებო, არის ეროვნული პროექტი“. – განაცხადა სააკაშვილმა. აღნიშნული გამოსვლისას მან ასევე განსაზღვრა ეროვნული პროექტის ძირითადი კომპონენტები – დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დემოკრატია, ეკონომიკური განვითარება და ევროპა. მისი შეხედულებით, რომელიმე საყრდენის დაზიანების შემთხვევაში, მთელი შენობა ჩამოიშლება.<sup>1</sup>

ოფიციალურ დონეზე დასავლური კურსის აქტიური მხარდამჭერია საქართველოს მოქმედი ხელისუფლებაც. ბოლო წლებში ქვეყანამ ბევრ ხელშესახებ წარმატებას მიაღწია დასავლური ინტეგრაციის გზაზე. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, რომელსაც 2014 წლის ივნისში მოეწერა ხელი და 2017 წლის ვიზა ლიბერალიზაციის შეთანხმება, რომელიც შენგენის ზონის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლას გულისხმობს.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, ოფიციალური პოლიტიკის „ვესტერნიზაციის“ ტენდენცია გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან დასავლეთის დემონიზაციის ფონზე მიმდინარეობს. ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმულ ნაბიჯებს, განსაკუთრებით, დასავლური საკანონმდებლო ბაზის ადაპტაციის პროცესს, მნიშვნელოვნად შეეწინააღმდეგა ქართული საზოგადოების ნაწილი. მაგალითად, 1999 წელს მიღებული კანონი, რომელიც პირადობის დამადასტურებელ მოწმობებში ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის გაუქმებას გულისხმობდა, მკაცრად დაიგმო ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლისა და პოლიტიკოსის მხრიდან. საქართველოს პარლამენტის საიმიგრაციო კომიტეტის თავმჯდომარე გურამ შარაძემ განაცხადა: „ეროვნების უარყოფის პირობებში, გაივლის რამდენიმე წელიწადი და აღარ გვეცოდინება, ჩვენთან მცხოვრებ 80 ერსა და ეროვნებას შორის ქართველობა კვლავ უმრავლესობა არის თუ არა. აქედან გამომდინარე, თუ არ გვეცოდინება, რომ უმრავლესობას წარმოვადგენთ, სახელმწიფოს სახელწოდების – საქართველოს – დატოვება, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, გვეტყვიან – თუ არა ხართ უმრავლესობა, რატომ უნდა ერქვას ამ ქვეყანას საქართველო?“ მისი მოსაზრებით, საქართველო კოსმოპოლიტიზმის საცდელ პოლიგონად იქცა, რომელსაც ტოლერანტობასა და ადამიანის უფლებათა პატივისცემას ის ერები ასწავლიან, რომლებსაც გაცილებით ხანმოკლე ისტორია აქვთ. ასეთად შარაძე ამერიკის შეერთებულ შტატებს მოიხსენიებდა.<sup>2</sup>

საქართველოში თანამედროვე დასავლური ფასეულობები ხშირად არის გაკრიტიკებული საზოგადოებისთვის ცნობილი ფიგურების მხრიდან. ქართული ბიზნესელიტის ერთ-ერთი წარმომადგენელი ლევან ვასაძე 1990-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებული ხედვის აქტიური გამგრძელბელია. იგი მკვეთრად განასხვავებს კარგ და ცუდ ევროპას. „მე ვარ ევროპის და დასავლეთის ერთ-ერთი პირველი აპოლოგეტაგანი, მაგრამ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ისტორიული ევროპა არის ერთი და ის კულტურა, რომელშიც ახლა ბანაობს ევროპა, არის მეორე. იმ ევროპაში, რომელშიც ერთსქესიანი ქორწინებაა დაშვებული, მე არაფერი მესაქმნება, არც ჩემს ცოლს, არც ჩემს შვილებს, არც ჩემს სამეგობროს და თუ გამოვლენ და მეტყვიან, რომ ესაა ჩვენი სტანდარტი და თუ გინდათ ჩვენთან მოხვიდეთ, ასეთები გახდითო, ჩვენ ვეტყვით, გვაპატიეთ, გვეგონა, რომ ევროპა რაღაცა სხვა იყო...“ – აცხადებს იგი.

2018 წლის მარტში გავრცელდა კულტურის სფეროს წარმომადგენელთა ღია წერილი, რომლითაც მათ საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო ოგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს მიმართეს. წერილის ავტორებმა დასავლეთის სახელმწიფოები დაადანაშაულეს საქართველოს გაღარიბებაში, ტერიტორიული მთლიანობის რღვევაში, დემოგრაფიულ პრობლემებში. ყველა ეს პრობლემა, წერილის ხელმომწერთა აზრით, საქართველოს დასავლური კურსის და ნა-

<sup>1</sup> სააკაშვილის გამოსვლა, იხ.: <http://tradebridgeconsultants.com/news/government/president-mikheil-saakashvili-delivers-annual-address-in-national-library/> (ნანახია 2018 წლის 25 ივნისს)

<sup>2</sup> ინტერვიუ გურამ შარაძესთან, იხ.: <https://guramsharadze.wordpress.com/devnili/erovnebis-rekviziti/>. (ნანახია 2018 წლის 25 ივნისს)

ტოსკენ სწრაფვის შედეგია. „პროდასავლურმა პოლიტიკამ და ქართველების სწრაფვამ ნატოს სამხედრო ალიანსისკენ გაართულა საქართველოს ურთიერთობები მეზობელ რუსეთთან და სწორედ ამან განაპირობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, შექმნა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და შეაფერხა ქვეყნის განვითარება, ხალხი გაღატაკდა და მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიონზე დაბლა ჩამოვიდა“, – წერია კულტურის სფეროს წარმომადგენელთა წერილში. მათი შეხედულებით, საქართველოს, რომელიც უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისგან განსხვავებით, არასოდეს უღალატია თავისი მოკავშირეებისთვის.<sup>1</sup>

საქართველოში საჯარო სივრცე, ტელევიზია, სოციალური და ბეჭდური მედია წარმომადგენს პროდასავლური და ანტიდასავლური კონტრანარატივების ერთგვარ ბრძოლის ველს. უკანასკნელ წლებში ანტიდასავლურმა განწყობებმა მწყობრი, მიზანმიმართული ხასიათი შეიძინა და უმაღლეს პოლიტიკურ სტრუქტურებში, კონკრეტულად, საქართველოს პარლამენტში შეაღწია. ულტრანაციონალისტური შეფერილობის მქონე, ანტიდასავლურმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „პატრიოტთა ალიანსი“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში რამდენიმე სადეპუტატო მანდატი მოიპოვა. პარტიების ლიდერები ღიად ამჟღავნებენ საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებას საქართველოს დასავლური ორიენტაციის მიმართ.

ანტიდასავლური პოპულიზმი საქართველოში, დიდწილად, ნეგატიურ სტერეოტიპებზეა დამყარებული. იგი საქართველოს საზოგადოების ისეთ მგრძობიარე და მოწყვლად მხარეებზე აპელირებს, როგორცაა ტერიტორიული დეზინტეგრაცია, მართლმადიდებლობა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და სიღარიბე, ტრადიციული ფასეულობები, ოჯახი, სქესთა შორის ურთიერთობები და სხვა.

ანტიდასავლური პოლიტიკური ფრთის ერთ-ერთი ლიდერის, ჯონდი ბალათურიას განცხადებით, თითქმის ოცდაათწლიანი პროდასავლური ორიენტაციის შედეგად ქართველ ხალხს არანაირი სარგებელი არ მიუღია. გამდიდრდა მხოლოდ პოლიტიკური ისტაბლიშმენტი, მაშინ, როდესაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ვალებით იტანჯება. ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიები, რეინტეგრაციის პერსპექტივები კი უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება. ბალათურიას მტკიცებით, რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ მხოლოდ დასავლურ პოლიტიკაზე პასუხია და რომ არა ეს პოლიტიკა, საქართველო არ გახდებოდა აგრესიის მსხვერპლი. ჯონდი ბალათურია ბრალს სდებს დასავლურ სახელმწიფოებს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში წარმოშობილ მძიმე პრობლემებში და ამ პრობლემებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში.<sup>2</sup>

„სად გვინდა, რომ შევიდეთ? ნატოში თუ სოხუმში?“ – განაცხადა საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერმა დეპუტატმა ადა მარშანიამ. მისი სიტყვით, ქართველი ხალხი დგას გარდაუვალი არჩევანის წინაშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას შორის. გადანყვეტილება დასავლურ ორგანიზაციებში განევრიანების შესახებ აპრიორიულად ნიშნავს დაკარგულ ტერიტორიებზე უარის თქმას.<sup>3</sup> მსგავსი პოლიტიკური განცხადებებით გამოირჩევა საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. მისი შეხედულებით, დაკარგული ტერიტორიები არის ფასი საქართველოსთვის, რომელსაც იგი იხდის დასავლურ ორგანიზაციებში განევრიანების სანაცვლოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ნინო ბურჯანაძე „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო და პარლამენტის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში აქტიური პროდასავლური განცხადებებით გამოირჩეოდა. პრეზიდენტ სააკაშვილთან კონფლიქტის შემდეგ მან ოპოზიციაში გადაინაცვლა, სადაც ცდილობს ისარგებლოს საქართველოს საზოგადოებაში არსებული ანტიდასავლური განწყობებით, ასევე იმ იმედგაცრუებით, რომელიც დასავლური სახელმწიფოების მიმართ ქართველი ხალხის გარკვეულ ნაწილში არსებობს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> წერილი იხ.: <http://liberali.ge/news/view/34655/kulturis-mushakebi-natosken-stsrafvam-teritoriuli-mtlianoba-dagvirghvia-dagvaghataka> (ნანახია 2018 წლის 25 ივნისს)

<sup>2</sup> აღნიშნული განცხადება იხ.: <https://www.myvideo.ge/v/3237062> (ნანახია 2018 წლის 25 ივნისს)

<sup>3</sup> აღნიშნული განცხადება იხ.: <https://www.youtube.com/watch?v=aBOqnCIQZMY> (ნანახია 2018 წლის 25 ივნისს)

<sup>4</sup> ინტერვიუ ნინო ბურჯანაძესთან, იხ. <https://www.youtube.com/watch?v=mQaOkms6A3s> (ნანახია 2018 წლის 25 ივნისს)

## დასკვნა

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დასავლეთთან მიმართების საკითხი საქართველოს საზოგადოების საკვანძო პრობლემად იქცა. ემპირიული მასალის გაანალიზების შედეგად შესაძლებელია გამოიყოს ორი მკვეთრად დაპირისპირებული და, ამავე დროს, ურთიერთდამოკიდებული ტენდენცია, რომელიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ვითარდება. დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში დასავლეთთან ურთიერთობა ხასიათდება ოფიციალური დაახლოებით, პროდასავლური პოლიტიკური კურსით, დასავლურ სივრცესთან ადაპტაციის მცდელობებით და ამ გზაზე მიღწეული გარკვეული წარმატებებით. მეორე მხრივ, რაც უფრო უახლოვდება ქვეყანა დასავლეთს პოლიტიკური თვალსაზრისით, მით უფრო ძლიერდება და ორგანიზებულ ფორმას იღებს ანტიდასავლური პოპულიზმი. დასავლეთის დემონიზაცია მისი პოლიტიკური იდეალიზაციის პარალელურად მიმდინარეობს და თანდათან იპყრობს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს დასავლური პოლიტიკით უკმაყოფილო და იმედგაცრუებულია.

როდესაც საქართველოში ანტიდასავლურ პოპულიზმზე და მის გავლენაზე ვსაუბრობთ, რამდენიმე ფაქტორი უნდა მივიღოთ მხედველობაში:

1. საქართველო-დასავლეთის ურთიერთობა ქართველი ხალხის მხრიდან, ზოგჯერ, გარკვეული იმედგაცრუებებით ხასიათდებოდა. ეს იმედგაცრუება ხშირად იყო პროვოცირებული საქართველოს საზოგადოებაში გაჩენილი გადაჭარბებული მოლოდინებით დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან ან საქართველოში მიმდინარე პროცესებში დასავლეთის სახელმწიფოების ჩარევასთან დაკავშირებით. იმედგაცრუების შედეგად შეიქმნა ერთგვარი სივრცე, რომელიც შეივსო ანტიდასავლური პოპულიზმის მიერ. ამ სახის პოპულიზმის იდეოლოგიები მანიპულირებენ აღნიშნული პრობლემით და ცდილობენ ისარგებლონ საზოგადოების ნაწილში გაჩენილი ანტიდასავლური განწყობებით.
2. საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია მძიმე, დრამატული მოვლენებით ხასიათდებოდა. ტრანზიციის პროცესში, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები სუსტია, თავს იჩენს იდენტობის კრიზისი, უიმედობა, დიდებული წარსულისადმი ნოსტალგია, ულტრანაციონალისტური განწყობები; იქმნება პოპულიზტი პოლიტიკოსებისა თუ საჯარო ფიგურებისათვის ხელსაყრელი გარემო საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისთვის.
3. მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს საბჭოთა გამოცდილება. საზოგადოების დიდი ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ანტიდასავლური პროპაგანდის პირობებში ცხოვრობდა. ამ ადამიანებს, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ახასიათებთ ემოციური სიახლოვე რუსულ სივრცესთან და ნოსტალგიური დამოკიდებულება საბჭოთა წარსულის მიმართ. შესაბამისად, ეს ჯგუფი უარყოფითად არის განწყობილი საქართველოს დასავლური ორიენტაციის მიმართ.
4. მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს დასავლეთისგან იზოლაცია საუკუნეების განმავლობაში. ქართველმა ხალხმა დასავლური სამყარო, რეალურად, უკანასკნელ ათწლეულებში აღმოაჩინა. საქართველოს საზოგადოებაში არსებობს ბევრი ნეგატიური სტერეოტიპი და ცრურწმენა დასავლეთთან დაკავშირებით, რაც, ძირითადად, დასავლურ ცხოვრების წესსა და მსოფლმხედველობას უკავშირდება. ეს ფაქტი, სხვა ფაქტორებთან ერთად, დასავლეთის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით აიხსნება. აღნიშნული დამოკიდებულებებით აქტიურად მანიპულირებენ ანტიდასავლურად განწყობილი ორგანიზაციები და თავადაც არაერთ ნეგატიურ სტერეოტიპს ქმნიან.
5. დაბოლოს, ხაზი უნდა გაესვას რუსეთის ფაქტორს, რომელიც ევროატლანტიკურ ორგანიზაციებს კავკასიაში საკუთარი ინტერესების მთავარ საფრთხედ განიხილავს. ანტიდასავლური პოპულიზმი საქართველოში პრორუსული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ აქტიურად არის მხარდაჭერილი. ეს გაერთიანებები აპელირებენ ერთმორწმუნეობის იდეაზე, ასევე რუსეთისა და საქართველოს თანაცხოვრებაზე ხანგრძლივი დროის გან-

მავლობაში. რუსეთის როლი განხილულ პროცესებში გაცილებით მეტია, ვიდრე მოცემულ ნაშრომში შევეხეთ. ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია და ამ ეტაპზე მისი შესწავლა არ წარმოადგენდა სტატიის მიზანს.

ნაშრომში გაანალიზებულია ძირითადი ფაქტორები და ტენდენციები, რომლებიც გამოიკვეთა საქართველოში დასავლეთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. მიმდინარე ეტაპზე ყურადღების მიღმა აღმოჩნდა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა შესწავლა იგეგმება შემდგომი კვლევის პროცესში.

## ბიბლიოგრაფია

- ბრისკუ, ა. ასე შორს და, მაინც, ასე ახლოს. ევროპის სახე-ხატი საქართველოში: იდეათა ისტორია. იხ.: <https://ge.boell.org/ka/2017/05/05/ase-shors-da-mainc-ase-axlos-evropis-saxe-xati-sakartveloshi-ideata-istoria>
- კაკიტიელაშვილი, თ. დასავლეთი ქართულ ცნობიერებაში. ჟურნ. „ენა და კულტურა“. 1, თბ., 2001, გვ. 47-54
- ნოღია, გ. დასავლეთის იდეა ქართულ ცნობიერებაში. ჟურნ. „საზოგადოება და პოლიტიკა“. თბ., 1999, 2 ჯონსი, სტ. საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის შემდეგ. თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013
- ჩხაიძე, ი. ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტ-საბჭოთა საქართველოში. სადოქტორო დისერტაცია, თსუ 2016, თბილისი. იხ.: [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Disertaciebi/irakli\\_chxaidze.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/irakli_chxaidze.pdf)
- Barrington W. L. “Nationalism & Independence”, After Independence: Making and Protection the Nation in Postcolonial and Postcommunist states. Michigan, The University of Michigan Press, 2006
- Brubaker, R. Ethnicity without Groups. Cambridge, Harvard University Press, 2006
- Coene, F. Euro-Atlantic Discourse in Georgia: The making of Georgian Foreign and Domestic Policy After the Rose Revolution. Routledge, London and New York, 2016
- De Cleen, B. & Stavrakakis, Y. Distinctions and Articulations: A Discourse Theoretical Framework for the Study of Populism and Nationalism. Javnost – The Public: Journal of the European Institute for Communication and Culture, 2017
- Deiwiks, Ch. Populism, 2009, see: [http://commonweb.unifr.ch/artsdean/pub/gestens/f/as/files/4760/25737\\_183705.pdf](http://commonweb.unifr.ch/artsdean/pub/gestens/f/as/files/4760/25737_183705.pdf)
- Jorgensen, M. Phillips. J. L. Discourse Analysis as Theory and Method. London, Sage publication, 2002

## **IRAKLI CHKHAIDZE**

### **THE IMAGE OF THE WEST IN GEORGIA AFTER INDEPENDENCE (Main Tendencies)**

#### **Summary**

Georgia is among the countries to which identity crisis and exclusive nationalism posed serious problems at the dawn of independence and determined political and social disintegration. The situation changed in the subsequent period and, in parallel to strengthening pro-European political aspirations, Georgian national project gradually acquired civil characteristics. The paper analyses the post-Soviet experience of the country in terms of the West’s symbolic as well as real role in the Georgian public discourse.

Since the late 1980s independence became the ultimate purpose for the national movement which emerged in the Soviet republic of Georgia. After achieving the goal and gaining sovereignty in the early 1990s, building of an

independent democratic state represented a crucial challenge for the Georgian society. In the process of deconstruction of the Soviet system Georgians started looking for new identity construction and a place within the international system. From that time the idea of Georgia's European origin and tight relations with the West has broken into the Georgian public and academic discourse. The "Europeanness" still plays one of the key roles in Georgian identity discourse, but attitudes towards Europe are not unequivocally positive. Following the process of Euro Atlantic integration on the political level, featured as the major message of the Georgian national project, fear and mistrust of Europe (and of the West in General) eventually conquered part of the Georgian society.

The paper tries to explore the two separated as well as closely interrelated tendencies in Georgia for a short period of the post-Socialist independence. The study of identity and national discourses are a new trend in Georgian humanities and social sciences. Many issues in this respect are still to be analyzed with the use of recent theories and new methodological approaches. There are only a few works that review the subject of my research from the above perspective. Despite having rich and diverse empirical material, most of it is not systematized within certain theoretical approaches. This reality itself determines the importance of the issue of the research.

ბეჟან ჯავახია

ცვლილებები პაპების აღმოსავლეთის პოლიტიკაში  
XIII საუკუნის დამდეგიდან და საქართველო

XIII საუკუნის დამდეგს მონღოლთა გამოჩენამ პოლიტიკურ ასპარეზზე, მონღოლურმა დაპყრობებმა, შუა საუკუნეების საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პროვიდენციული იდეოლოგიის ფონზე, შუა საუკუნეების ადამიანებისათვის სამყაროს აღსასრულის შესახებ ესქატოლოგიური ტექსტები უფრო მძაფრი გახადა. ახალი სიცოცხლე შეიძინა სხვადასხვა წინასწარმეტყველებამ სამყაროს აღსასრულის შესახებ. თუმცა, ვიდრე ასეთი ტექსტები გაჩნდებოდა, დასავლეთ ევროპა სრულ გაურკვევლობაში აღმოჩნდა. ევროპელებისათვის ძნელი გასაგები იყო ახალი ძალის პოლიტიკური ვნებები და მათი მსოფლხედვა. ახალი ძალა, რომელიც ებრძოდა მათ მტერს აღმოსავლეთში, ძალა, რომელმაც დაამარცხა თურქ-სელჩუკები და ისლამური ქვეყნები, ხშირად ხდებოდა ევროპელთათვის გაუგებრობის საფუძველი. ხშირი იყო მათ შესახებ არასწორი წარმოდგენა. ეს ფაქტი საუკეთესოდ აისახა საქართველს მეფე რუსუდანის წერილში პაპებისადმი, სადაც ის წერდა, რომ მონღოლები მათ ჭეშმარიტი ქრისტიანები ეგონათ: „როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, ეს იქნება თქვენც შეიტყვეთ, დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. ჩვენ მათ არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა; მაგრამ როდესაც ვსცანიით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით“ (თამარაშვილი 1902: 7). არსებობს რელიციონები, რომლებიც იგზავნებოდა აღმოსავლეთიდან იოანე პრესვიტერის და, ხან კიდევ, დავით მეფის სახელით. ჩვენი შესწავლის საგანს ამჯერად არ წარმოადგენს ამ პიროვნების დადგენა, რომელზეც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მთავარი არის ამ ტექსტების ინტერპრეტაცია დროში. საფუძველი შუა საუკუნეებში აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანული თემების შესახებ მუდმივად არსებობდა, რადგანაც, გადმოცემის თანახმად, ამ სივრცეში ქრისტიანობა იქადაგა თომა მოციქულმა. თომა მოციქულის მიერ მოქცეული აღმოსავლეთის ქრისტიანები მუდმივად იყვნენ დასავლეთის ქრისტიანების ყურადღების ქვეშ. ამას ემატებოდა, როგორც აღმოსავლეთის ქრისტიანული სახელმწიფოების – საქართველოს და სომხეთის – არსებობა, რომლებთანაც კონტაქტები უფრო ხელშესახები გახდა ევროპელებისთვის ჯვაროსნული ომების დასაბამიდან. დასავლეთის სასულიერო წრეებში ცნობილი იყო აღმოსავლეთში მიმობნეული ნესტორიანელების შესახებ, რომელთაც ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში ჰქონდათ თავიანთი ეკლესია როგორც ირანის ტერიტორიაზე, ასევე შორეულ აღმოსავლეთში. ამ წყაროებში გვხვდება სრულიად საპირისპირო ცნობები. მაგალითად, ერთ-ერთ ქრონიკაში, რომელიც 1228 წლამდე გრძელდება, გადმოცემულია, რომ დავით მეფემ, იოანე პრესვიტერად წოდებულმა, რომელიც დიდი ჯარით მოვიდა ინდოეთიდან, სპარსეთი, მიდია და ბევრი სხვა ქვეყანა სარაციანებისა დაიმორჩილა და ის აპირებდა ქრისტიანებს დახმარებოდა დამიეტაში.<sup>1</sup> მსგავსი ცნობები გვხვდება სხვა დასავლურ მათიანეებშიც.<sup>2</sup> ამას ემატებოდა ასევე გადმოცემები იოანე პრესვიტერის შესახებ, რომლის ძირითადი მახასიათებელი ევროპელთათვის შემდეგი იყო: აღმოსავლეთიდან წამოსული ქრისტიანი მეფე, რაინდი, რომელიც ებრძოდა მუსლიმებს. ამდენად, რამდენიმე მკვლევარმა გამოთქვა მოსა-

<sup>1</sup> Bezzola Gian Andri, Die Mongolen in Abendländischer Sicht (1220-1270). Francke Verlag, Bern und München, 1974

<sup>2</sup> Zarncke F. Der Priester Johannes – Abhandlungen der Phil.-Hist. Cl.d. Rgl. Sächs. Ges. D. Wissenschaft 7, 8; 1879-1880



ზრება, რომ ის შეიძლებოდა ყოფილიყო დასავლეთის პოლიტიკური ძალებისათვის ახალი მოკავშირე იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც საუკუნეზე მეტი ხანი ჰქონდათ გაჩაღებული მუსლიმების წინააღმდეგ, ანუ ჯვაროსნულ ომებში. გადავწყვიტეთ ჩვენი დაკვირვება სწორედ ასეთი თვალსაზრისით გვეწარმოებინა: რა როლი შეასრულა საქართველოსა და დასავლეთის კათოლიკური სივრცის ურთიერთობაში ახალმა ცვლილებებმა მსოფლიო ისტორიაში? საკითხის შესასწავლად, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი იყო როგორც ქართული ისტორიოგრაფიის გაცნობა ამ პრობლემის შესახებ, ასევე ახალი დასავლური კვლევების შესწავლა და შესაბამისი ანალიზის გაკეთება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის შესწავლა მრავალმხრივია. ქართველ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი ძირითადად სწავლობდა და აკვირდებოდა დასავლეთის ეკლესიის როლს და მის მისიონერულ მოღვაწეობას საქართველოში. ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება ამ მცირე მოცულობის სტატიაში დავასახელოთ სრულყოფილად ის ავტორები, რომელთა შრომებსაც დღემდე უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს კათოლიკური ეკლესიის და მისი მისიონერული მოღვაწეობის ისტორიის შესწავლაში, მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფდით, ესენია: კაიროში მოღვაწე, შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ცენტრის შემქმნელის, აზიზ სურიალ ატიას ნაშრომები;<sup>1</sup> ასევე ფრანგი ისტორიკოსის, ჟან რიშარის შრომები;<sup>2</sup> განსაკუთრებულია გერმანიაში ა. ალტანერის,<sup>3</sup> ხუან ანდრე ბეზოლას,<sup>4</sup> ასევე ფ. ზარნკეს<sup>5</sup> მიერ გამოცემული ნყაროები იოანე პრესვიტერის შესახებ და ანა დოროთეა დენ ბრინკენის<sup>6</sup> შეგროვილი მასალები ამ დროის საქართველოს და საქართველო-დასავლეთის ურთიერთობის შესახებ.<sup>7</sup>

განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ის თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც შეეხება მონღოლთა და ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობისა და კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკას აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ეკლესიების მიმართ. აღსანიშნავია იოჰან ფრიდის,<sup>8</sup> ფოლკერ რაიხერტის,<sup>9</sup> ფელიციტიას შმიდერის,<sup>10</sup> მარინა მიუნკლერის<sup>11</sup> და სხვათა შრომები.<sup>12</sup>

XIII საუკუნის დამდეგისათვის ჯვაროსანთა სივრცე გასცდა პალესტინასა და სირიას. დასავლეთი იყურებოდა ახლო და შორეული აღმოსავლეთისაკენ, რათა გამოეყენებინა ისინი მუსლიმთა წინააღმდეგ. პაპების პოლიტიკას ჰქონდა სამი მიზანი: პირველი – ისინი იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ მონღოლების მოკავშირეებად ქცევას და თანამედროვე პეკინისა და ირანის თავი-

<sup>1</sup> Aziz Suryal Atiya, *The Crusade in the later Middle Ages*, Methuen, 1938

<sup>2</sup> Richard Jean, *Miroir du Moyen Âge, Au-delà de la Perse et de l'Arménie. L'Orient latin et la découverte de l'Asie intérieure. Quelques textes inégalement connus aux origines de l'alliance entre Francs et Mongols (1145-1262)*, Brepolis, Turnhout, Belgium, 2005; Richard Jean, *Les Relations Entre L'Orient Et L'Occident Au Moyen Age: Études Et Documents*, London 1977; Richard Jean, *La papauté et les missions d'Orient au Moyen Age XIIIe-XVe siècle*, Paru en juin, 1998

<sup>3</sup> Altaner B. *Die dominikanermisionen des 13. jahrhunderts: Forschungen zur geschichte der kirchlichen unionen und der mohammedaner- und heidenmission des mittelalters* Franke buchhandlung, 1924

<sup>4</sup> Bezzola Quan Andri, *Die Mongolen in Abendländischer Sicht) 1220-1270*, Beitrag zur Frage der Völker begegnungen, Franke Verlag Bern und München, 1974

<sup>5</sup> Zarncke, F. *Der Priester Johannes – Abhandlungen der Phil.-Hist. Cl.d. Rgl. Sächs. Ges. D. Wissenschaft 7, 8. 1879-1880*

<sup>6</sup> Den Brincken Anna Dorothee, *Die "Nazines Christianorum Orientalium" im Verständnis der Lateinischen Historiographie, von der Mitte des 12. bis in die zweite Hälfte des 14. Jahrhunderts*, Böhlau Verlag Köln, 1973; Anna Dorothee von Den Brincken, *Fines Terrae, Die Enden der Erde und der Vierten Kontinent mittelalterlichen Weltkarten*, Hannover, 1992

<sup>7</sup> შეიძლება ითქვას, ამ ნაშრომებით ჩვენ ევროპელთა ზოგად წარმოდგენებს უფრო ვიგებთ საქართველოსა და ქართველთა შესახებ, ვიდრე რაიმე კონკრეტული პოლიტიკური პროცესების ისტორიას

<sup>8</sup> Fried J. *Auf der Suche, Auf der Suche nach der Wirklichkeit die Mongolen und die Europäische Erfahrungswissenschaft im 13. Jahrhundert*, 1986 - HZ. 243, pp. 287-332

<sup>9</sup> Reichert F., *Begegnungen mit China, Die entdeckung Ostasiens im Mittelalter* Hrsg. Raymund Kottje und Hubert Mordek, Beiträge zur Geschichte und Quellenkunde des Mittelalters, Band 15, 1992

<sup>10</sup> Schmieder F. *Europa und die Fremden. Die Mongolen im Urteil des Abendlandes vom 13. - 15. Jahrhundert*, Sigmaringen 1994 (Beiträge zur Geschichte und Quellenkunde des Mittelalters. 16) = Diss. masch. Frankfurt am Main 1991

<sup>11</sup> Münkler M. *Erfahrungen des Fremdes Die Beschreibung Ostasiens in den Augenzeugenberichten des 13. und 14. Jahrhunderts*, 2000

<sup>12</sup> Leopold A. *How to recover the Holy Land. The Crusade proposals of the late Thirteenth and early fourteenth centuries*, Ashgate, 2000; Jackson P., *The Mongols and the West: 1221-1410*, London, New-Jork, 2005; Dawson Chr. *Die Mission to Asia*, London 1992

ანთ სამწყსოში – კათოლიკური ეკლესიის ქვეშ მოქცევას. ეს წარმატება იქნებოდა უფრო მეტი, ვიდრე უნგრელების მოქცევა XI საუკუნეში; მეორე – თავიდან უნდა აეშორებინათ ამ თვალსაზრისით ახალი საფრთხე, „ღმერთის ახალი მათრახი“, რომელთა შურისძიებამ ორჯერ – 1222-1223 და 1241-1242 წლებში – თავზარი დასცა ევროპას; მესამე – გამოეყენებინათ ხელსაყრელი მომენტი და, გამაერთიანებელი აქტით ლათინთა და მონღოლთა შორის, დაემარცხებინათ მამლუქთა იმპერია. ეს იყო ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა, სადაც ორივე ძალა იყო გაერთიანებული, რათა ეხსნათ წმინდა მიწა მუსლიმთა ბატონობისაგან.

პაპების ეს მცდელობა აშკარად ვლინდება ევროპაში მიმდინარე პროცესებში. გაჩნდა განსაკუთრებული ინტერესი აღმოსავლეთის შესწავლისა და ახალი პირობები აღმოსავლეთის ქრისტიანულ თემებთან ახლებური კონტაქტების დასამყარებლად. საჭირო გახდა მეტი ყურადღება დაეთმობოთ ირანსა და მის ირგვლივ ტერიტორიებზე არსებული ქრისტიანული თემებისათვის. ამ მიზნით პაპმა მრავალი მისია გააგზავნა აღმოსავლეთში. პაპების გარდა, ასეთ ინტერესს გამოხატავდა კაპეტინგების საფრანგეთი, იმ დროისათვის ევროპის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც, ჯვაროსნულ მოძრაობაში თავისი განსაკუთრებული წვლილით, ასევე განსაკუთრებული ადგილი დაიკავა კათოლიკურ სივრცეში, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა დაპირისპირება რომის პაპებსა და გერმანიის იმპერატორებს შორის. ამ დაპირისპირებამ თავის პიკს ინოკენტი IV-სა და ფრიდრიხ II-ს შორის დაპირისპირებისას მიაღწია. ამდენად, საფრანგეთის მეფე აღმოჩნდა უფრო აქტიური, რომელმაც დაიწყო მოძრაობა მონღოლთა კარზე თავისი ინტერესების გასავრცელებლად, რისთვისაც მან თავისი ელჩობებიც გააგზავნა შორეულ აღმოსავლეთში.<sup>1</sup>

შუა საუკუნეების ადრეული პერიოდიდანვე გვაქვს ჩანაწერები მოგზაურებისა, რომლებიც აღწერენ ე.წ. თათართა სივრცეს – „Pax Tartarica“. მოგზაურები ჩნდებიან შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ ნესტორიანელი მოძღვარი, შემდეგ მუსლიმი მოგზაური, ევროპელი ვაჭარი და კათოლიკე მისიონერი. ისინი თავისუფლად გადაადგილდებიან მონღოლთა მმართველობას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე.

ყველაზე ადრინდელი გაცვლა ევროპიდან ელჩობისა თარიღდება XIII საუკუნის შუა პერიოდიდან. ეს მოხდა პაპ ინოკენტი IV და დიდ ყაენ გუიუქს შორის. 1245 წელს, ლიონის საეკლესიო კრების დროს,<sup>2</sup> წმინდა პონტიფიკოსმა გააგზავნა ორი დესპანი წერილით, რათა მოეწვია კრებაზე დიდი ყაენი და „თათრეთის“ ხალხი შეერთებოდა ერთიან ქრისტიანულ ეკლესიას. ერთ-ერთს ამ ელჩობიდან, ლორენცო პორტუგალელს, უნდა<sup>3</sup> ემოგზაურა თათრების კარზე სომხეთისა და სპარსეთის გავლით. არსებული წყაროებიდან გამომდინარე, საეჭვოა, რომ მისი მოგზაურობა ქალაქ ჭაიაცოს (კილიკიის სომხეთში) გასცდენოდა.

<sup>1</sup> აღმოსავლეთ აზიაში ქრისტიანული თემების შესახებ გადმოგვცემენ როგორც მატერიალური კულტურის ძეგლები, მაგ., ქვის ფილა მეშვიდე საუკუნიდან, რომელზეც შემორჩენილია წარწერა ჩინურ ენაზე და მიუთითებს ეკლესიის მშენებლობაზე დაახლოებით 638 წელს, ასევე ცნობა იმის შესახებ, რომ 635 წელს ირანელმა მონაზონმა, სახელად ა-ლო-პენმა ჩამოუტანა წმინდა წერილი იმპერატორს; მან წაიკითხა წიგნი და გასცა ბრძანება, რომ მათ შეეძლოთ ეს გაეცნოთ ხალხისთვის. აბუ დულაფი, სამანიდ ნასრ მეორის კარის პოეტი, აჰმად ბუხარელი (913-942) თან ახლდა ჩინეთის ელჩს თავის სამშობლოში. მოგვიანებით ის წერდა თავისი მოგზაურობის შესახებ, სადაც გადმოსცემდა, რომ ის შეხვდა ქრისტიანებს და ნახა ტაძრები ჩინეთის რამდენიმე ქალაქში. Philips J. R. The medieval Expansion of Europe, Oxford, 1998

<sup>2</sup> ლიონის კრებაზე ძირითადად განიხილებოდა: სარაციონების გაძლიერება და მდგომარეობა წმინდა მიწაზე, ბერძნებთან განხეთქილება, თათრების სისასტიკე აღმოსავლეთში და ფრიდრიხ მეორის საკითხი. ამ კრების შემდეგ ჩნდება განსაკუთრებული ყურადღება აღმოსავლეთის მიმართ; ფართოვდება არა მხოლოდ პოლიტიკური ინტერესი მათ მიმართ, არამედ თვით აღმოსავლეთის კულტურისა და ენების შესწავლა ხდება მნიშვნელოვანი

<sup>3</sup> Monumenta Germaniae Historica; Epistolae Saeculi XIII: E Regestis Pontificum Romanorum, ed. Karl Rodenberg (Berlin, 1887), Vol. 2, No. 102, p. 72. De Rachewiltz I., Papal Envoys to the Great Khans, Stanford University Press, 1971, p. 87

სხვა ფრანცისკელი პლანო კარპინი<sup>1</sup> ლიონიდან გავიდა 1245 წლის 16 აპრილს და გაემართა ჩრდილოეთით, კიევის მიმართულებით, სადაც მიაღწია 1246 წლის 3 თებერვალს.

საქართველოს და კათოლიკეთა ურთიერთობისათვის საინტერესოა ლომბარდიელი დომინიკანელი ბერის, ასცელინის ისტორია. ის შეხვდა მონღოლთა მმართველ ბაიჯუს 1248 წელს. მას თან ახლდა სიმონ დე სანკვენტინი, რომელმაც დაწერა ამის შესახებ თავის „თათრების ისტორიაში“ – *Historia Tartarorum*.<sup>2</sup> სიმონ დე სანკვენტინი ხვდება საქართველოში. როგორც ჩანს, ამ დროს დომინიკელი მონაზონი გიშარდ კრემონელი უკვე თბილისში იმყოფებოდა. ძალიან საინტერესოა სიმონ დე სანკვენტინის მიერ მოთხრობილი ერთი ლეგენდა, რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო შუა საუკუნეებში. ეს არის გადმოცემა გოგისა და მაგოგის შესახებ. გადმოცემის თანახმად, ისინი წარმოადგენდნენ ებრაელთა დაკარგულ ტომებს, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელმა გადაასახლა და ჩაკეტა კავკასიის ჩრდილოეთში. ამ ტომებიდან, როგორც ანტიქრისტეს ხალხისაგან, მეორე მოსვლის ჟამს მოსალოდნელი იყო ნგრევები. ვფიქრობთ, სანკვენტინის ხაზგასმა, რომ გოგისა და მაგოგის ხალხი საქართველოს საზღვარზე ბინადრობდა, მიმანიშნებელია იმ ფუნქციაზე, რომელიც საქართველოს ჰქონდა ანტიკური ხანიდან ცივილიზებული სამყაროს წინაშე – დაეცვა დასავლეთის ცივილიზაციის საზღვრები, რომელიც შუა საუკუნეებში უკვე ქრისტიანულ სივრცედ არის წარმოდგენილი. სიმონი მონღოლებს მიიჩნევდა გოგისა და მაგოგის წარმომადგენლებად.<sup>3</sup>

ასცელინი თავის მოგზაურობას იწყებს ლიონიდან, 1245 წელს, გაზაფხულზე და დანარჩენებს უერთდება თბილისში. ეს კამპანია მიემართება სომხეთის, საქართველოს, სირიის და სპარსეთის გავლით ბაიჯუსაკენ, რომელიც იყო დიდი ყაენის სარდალი დასავლეთ აზიაში. ბაიჯუ პასუხობს პაპის წერილს.<sup>4</sup> მათ ჩააღნიეს იქამდე 1247 წლის მაისში და დარჩნენ ივლისამდე. ბაიჯუმ, თავის მხრივ, ორი დესპანი გააგზავნა პაპთან, ესენი იყვნენ აი-ბეგი და სარგისი. პირველის სახელი, ჩანს, თურქული წარმოშობისაა, ხოლო მეორე ნესტორიანელი ქრისტიანი ჩანს. თათართა მოტივაცია იყო თვალყური ედევნებინათ და შეეგროვებინათ ინფორმაცია დასავლეთის ქვეყნების და პაპის სიძლიერის შესახებ. ელჩობა გაემართა აკრას მიმართულებით. შემდეგ მათ ვხვდებით ლიონში, პაპის კარზე. ინოკენტი IV-ს ჰქონდა რამდენიმე შეხვედრა ელჩებთან. ის ეცნობოდა ამ ხალხების პოზიციებს ქრისტიანობასა და დასავლეთთან კოოპერაციასთან დაკავშირებით. შემდეგ გაისტუმრა უკან შესაბამისი საჩუქრებითა და წერილებით, მიმართვით ალიანსისა და კეთილგანწყობის შესახებ.

ანდრე დე ლონჟიუმო<sup>5</sup> ასპარეზზე ჩნდება ლუი IX პირველ და მეორე ელჩობასთან დაკავშირებით, რომელიც ლუიმ გაუგზავნა მონღოლთა ყაენს. მეფემ ჯვარი აიღო 1241 წელს. მისი ლაშქარი კვიპროსში 1248 წლის სექტემბრის თვეში ჩავიდა და დაბანაკდა ნიქოზიაში, მეფის კარზე.

<sup>1</sup> John de Plano Carpini, *Geschichte der Monglen und Reisebericht 1245-1247*. Übersetzt und erläutert von Fridrich Risch, Leipzig, 1930; პლანო კარპინთან ერთად იმოგზაურა ბენედიქტ პოლონელმა, რომელიც ასევე მოგვითხრობს საქართველოზე – ჯავახია ბ. ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ მოგზაურთა წიგნებში (ბენედიქტ პოლონელი, ჟან დე მანდევილე). საისტორიო კრებული 1, 2011, გვ. 171-185

<sup>2</sup> სიმონ დე სანკვენტინი საქართველოს შესახებ ცნობების ერთ-ერთი საინტერესო ავტორია. იხ.: *Simonde Saint-Quentin, Histoire des Tartares*. Publied Jean Ruchard, Paris, Librairie Orientaliste Paul Geuthner 12, Rue Vavin, 1965; ჯავახია ბ. XIII საუკუნის დომინიკანელი ბერი საქართველოს შესახებ. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2005, გვ. 62-68; ნინიძე დ. სიმონ დე სანკვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული დიპლომატია – წელიწდეული, თბ., 2005

<sup>3</sup> Vincentius Bellocensis (Vincend de Beauvais) *Speculum Quadruplex sive Sepeculum Maius, Naturale, Dodrinale, Morale, Historiale*, Graz, Academische Verlag, Austria, 1965; XXXII, 91

<sup>4</sup> Pelliot P. *Les Mongols et papauté*, p. 102-103

<sup>5</sup> ანდრემ ლათინთა იმპერატორ ბოდუენ მეორის მიერ გაყიდული მაცხოვრის ეკლის გვირგვინი 1238 წელს კონსტანტინოპოლიდან პარიზში ჩაიტანა

აქ მას ჰქონდა ორი შეხვედრა მონღოლთა ელჩებთან. ესენი იყვნენ დავითი და მარკუსი.<sup>1</sup> მათ ჩაიტანეს წერილი ლუისათვის. საფრანგეთის მეფე პატივით შეხვდა მონღოლთა წარმომადგენლებს და საბოლოოდაც პატივით გააცილა თავის პატრონთან, 1249 წლის 27 იანვარს. მათთან ერთად თვითონაც გააგზავნა ელჩობა, რომელიც შედგებოდა დომინიკანელი ძმებისაგან: ანდრე დე ლონჟიუმო და ჟან დე კარკასსონე. პირველი მათგანი ახალი დაბრუნებული იყო აღმოსავლეთიდან. ახალი ელჩობა გაემგზავრა კვიპროსიდან ანტიოქიაში, შემდეგ მოსულისა და თავრიზის გავლით ჩავიდა ელჯიგიდისთან ირანის გულში. ელჩებმა ყაენთან საჩუქრები გაცვალეს, ასევე რწმუნების სიგელები წარადგინეს. ლომანჟუ და მისი თანმხლებები დაბრუნდნენ ლევანტში, ალექსანდრიის გავლით, 1251 წელს, შედეგების გარეშე – არც კოოპერაცია და არც მონღოლთა გაქრისტიანება არ შედგა, რაც წარმომადგენდა ლუი წმინდას მთავარ ამოცანას.<sup>2</sup>

ანდრე დე ლონჟიუმო დაბრუნებასთან ერთად ლუი IX სხვა ელჩობას აგზავნის, რომელიც შედგება გიომ რუბრუკის და სხვა ბერის, ბარტოლომეო და კრემონასგან. რუბრუკი გვანვდის ცნობებს დღიურის სახით, რომელიც მან მიუძღვნა ლუი წმინდას.<sup>3</sup>

რუბრუკი და მისი თანმხლები კესარეადან 1252 წელს გავიდნენ და გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლში, შემდეგ გადავიდნენ ზღვით სოლდაიაში, ყირიმში და იქიდან გაემართნენ ბათო ყაენთან რუსეთის სტეპების გავლით, შემდეგ მანგუ ყაენთან მონღოლეთში. გზაზე ისინი ესტუმრნენ ალანებს, რომლებიც თავს აჩვენებდნენ კათოლიკებად, მაგრამ მხოლოდ სახელით. მათ არ ჰყავდათ მოძღვრები, რომლებიც წარუძღვებოდნენ მათ და გაარკვევდნენ თავიანთ რელიგიაში.

1254 წელს რუბრუკი უკან დაბრუნდა, იქ საქადაგებლად დარჩა ბარტოლომე დე კრემონა.<sup>4</sup> აქამდე არცერთი ლათინი მოგზაური არ იყო ნამყოფი ირანის მონღოლთა სახანოს იქით, მონღოლეთსა და ჩინეთში. ეს პირველად შეძლეს ვენეციელმა ვაჭრებმა, ძმებმა ნიკოლო და მაფეო პოლოებმა. ისინი ყუბილაი ყაენის კარზე ჩავიდნენ 1265 წლისათვის. უკან, ევროპაში დაბრუნებისას ისინი ესტუმრნენ პაპ გრიგოლ X-ს და მას ყუბილაი ყაენის დანაბარები გადასცეს, – თხოვნა ქრისტიანი მქადაგებლების გაგზავნის შესახებ. 1271 წლის დასასრულს პაპმა გააგზავნა მონღოლეთში ორი დომინიკანელი ბერი, ვაჭრებთან ერთად, და ამით გახსნა ახალი ველი მისიონერული მოღვაწეობისათვის. მან მათ გაატანა წერილები მონღოლთა ყაენთან, მაგრამ მისიონერებმა სომხეთში ეგვიპტელი მამლეუქების (ეს უნდა იყოს სულთან ბაიბარსი – 1260-1277) შემოსევის გამო, შეწყვიტეს მოგზაურობა ლაჯაზოში.

საბედნიეროდ, ძმებმა თან წაიყვანეს ნიკოლოს უმცროსი ვაჟი მარკო პოლო, რომელმაც ჩინეთში 17 წელი დაყო. შემდეგ მან ამ თავგადასავლის შესახებ ანგარიში დანერა.<sup>5</sup>

მარკო პოლოს ღირსეული და პირდაპირი მონაცვლე იყო ჯოვანი მონტე კორვინო,<sup>6</sup> ადამიანი, რომლის პიროვნულმა გმირობამ, მისმა განსაკუთრებულმა ღვაწლმა გახადა იგი კათოლიკური ეკლესიის ფუძემდებლად და ლათინური მისიის მამად შორეულ აღმოსავლეთში. მის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია დაგვრჩა. ის დაიბადა XIII საუკუნის დამდეგს, იყო ჯარისკაცი, მოსა-

<sup>1</sup> Vincentius Bellovacensis (Vincend de Beauvais) Speculum Quadruplex sive Sepeculum Maius, Naturale, Dodrinale, Morale, Historiale, Graz, Academische Verlag, Austria, 1965; XXXII, 91

<sup>2</sup> Aigle D. The Letters of Eljigidei, H`uleg`u and Abaqa: Mongol overtures or Christian Ventriloquism?. Inner Asia, 2005, 7 (2), pp.143-162

<sup>3</sup> Der Bericht des Franziskaners Wilhelm von Rubruk über seine Reise in das Innere Asiens in den Jahren 1253/1255. Erste vollständige Übersetzung aus dem Lateinischen. Herausgegeben und bearbeitet von Hermann Herbst, Griffel-Verlag, Leipzig 1925

<sup>4</sup> Bezzola Gian Andri, Die Mongolen in Abendländischer Sicht (1220ß1270). Francke Verlag Bern und München, 1974, p. 121

<sup>5</sup> Marco Polo. Die Beschreibung der Welt. Die Reise von Venedig nach China 1271 – 1295; 3. Auflage, Erdmann, Wiesbaden 2016

<sup>6</sup> Jackson, P. The Mongols and the West: 1221-1410. Longman, 2005, p. 314; Atiya Aziz Suryal. The Crusade in the later Middle Ages, London, 1938, p. 246-250; Cathay and the Way Thither, ed. Sir Henry Yule London: Hakluyt Society, 1914, Vol. III, pp. 45-58

მართლე და მასწავლებელი, შემდეგ გახდა ფართოდ ცნობილი და განათლებული ფრანცისკელი ბერი. 1280 წელს ფრანცისკელთა გენერალურმა მინისტრმა შეარჩია ის მისიონერად აღმოსავლეთში. როგორც სხვადასხვა წერილიდან ჩანს, ჯოვანი მოიხსენიება, როგორ არქიეპისკოპოსი და პატრიარქი სრულიად აღმოსავლეთისა. ჯოვანი გარდაიცვალა 1328 წელს. მისი უკანასკნელი მიმდევარი იყო ფრანცისკელი ჯოაკიმო ფლორენციელი, რომელიც მოკლეს 1362 წელს.<sup>1</sup>

რადგანაც ამჟერად მხოლოდ XIII საუკუნის მისიონერულ მოღვაწეობაზე გვაქვს საუბარი, თავს ავარიდებთ XIV საუკუნის მეტად მნიშვნელოვან ფიგურებს, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით დიდი კვალი დაამჩნიეს აღმოსავლეთსა და საქართველოს. ვფიქრობთ, ცალკე განხილვის საგანი შეიძლება იყოს დასავლეთი და პოლიტიკური ცვლილებები საქართველოში და ასევე ცვლილებები ქართულ საზოგადოებაში.

ვიმედოვნებთ, მომავალში ჯვაროსანთა ეპოქისა და შუა საუკუნეების საქართველოსა და აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევრები ნამდვილად დაუთმობენ მეტ ყურადღებას ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული მისიონერებისა და პოლიტიკური დესპანების ცნობებს,<sup>2</sup> რაც მოგვცემს საშუალებას, უფრო ნათელი გახდეს ამ ეპოქის როგორც პოლიტიკური სურათი, ასევე ამ დროის ქრისტიანული საზოგადოება და მისი ურთიერთობა სხვა კონფესიებთან. რთულია ამ ნაშრომში პოლემიკის წარმოება ისეთ საკითხებზე, როგორცაა ამ დროისათვის საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების ოფიციალური სტატუსი. ამჟერად მხოლოდ ზოგად დასკვნებს უნდა დავჯერდეთ, რადგანაც თვით ამ სტატუსის მოცულობა ვერ უზრუნველყოფს ამ პოლემიკის წარმოებისათვის საკმარის სივრცეს.

ჩვენ მიერ შესწავლილი წყაროები ნათლად ადასტურებენ, რომ XIII საუკუნის დამდეგიდან განსაკუთრებული ხდება კათოლიკური სამყაროს ინტერესი საქართველოს მიმართ.<sup>3</sup> მიუხედავად ამისა, საქართველოს პოლიტიკური მმართველობა ინარჩუნებს ტრადიციულ სარწმუნოებას და ასევე საქართველოს ეკლესია თავის დამოუკიდებლობას. ამდენად, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ დროისათვის არ ყოფილა არავითარი განხეთქილება საქართველოს ეკლესიასა და რომის წმინდა საყდარს შორის, არ იქნებოდა მართებული. როგორც რომის პაპებისაგან საქართველოში გამოგზავნილი, ასევე საქართველოდან რომის წმინდა საყდარში გაგზავნილი წერილები, ჩემი აზრით, უფრო ნათელი დასტურია იმისა, რომ საქართველოს ეკლესია, მსგავსად სხვა აღმოსავლეთის ეკლესიებისა, ჩამოცილებულია რომის ეკლესიას. ამის დასტურად ისიც არის საკმარისი, რომ რომის ეკლესიას განზრახული აქვს, გამოაგზავნოს მისიონერები საქართველოში.

როგორც ჩანს, XIII საუკუნის დამდეგს საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებით – ჯალალედინის შემოსევა და მონღოლთა გამოჩენა – ლათინური სამყარო არათუ არ კარგავს ინტერესს საქართველოს მიმართ, არამედ, პირიქით, ასეთი აქტიური ის არასოდეს ყოფილა. რადგანაც, ასევე, ბერძნებთან დაპირისპირების პირველ ეტაპზე (იგულისხმება კონსტანტინოპოლის აღება 1204 წელს და ასევე ბრძოლები ლათინთა ნიკეის ბერძნულ იმპერიასთან) შექმნილი სიტუაციის გამო, მხოლოდ საქართველო იყო შესაძლო მოკავშირე ლათინებისა მუსლიმთა წინააღმდეგ. აშკარაა, რომ, განსხვავებით ბიზანტიის ეკლესიისაგან, საქართველოს ეკლესიას ისინი

<sup>1</sup> Jackson, P. The Mongols and the West..., p. 255

<sup>2</sup> ამ შემთხვევაში წარმოდგენილია მხოლოდ ნაწილი ამ ცნობებისა, რადგანაც ნაწილი ამ წყაროებისა ჯერ კიდევ მოითხოვს ფართო შესწავლას. ზოგიერთ ამ წყაროზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი სტატიაში - ჯავახია ბ., ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ, გივი ჟორდანია - 90, გვ. 230-237

<sup>3</sup> დომინიკანელი ბერის, ფილიპის მიერ 1237 წელს წმინდა ქვეყნიდან გაგზავნილი წერილი პაპ გრიგოლ IX მიმართ, სადაც იგი წერდა აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიების მდგომარეობის და მათთან გაერთიანების შესაძლებლობის შესახებ. ეს წერილი გადმოცემულია ბენედიქტიანელი მათე პარიზელის ქრონიკაში. ფილიპი თავის წერილში წერს აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენლების მზაობის შესახებ კათოლიკურ ეკლესიასთან გასაერთიანებლად. Altaner B. Die Dominikanermissionen des 13. Jahrhunderts: Forschungen zur Geschichte der kirchlichen Unionen und der Mohammedaner- und Heidenmission des Mittelalters (= Breslauer Studien zur historischen Theologie. Band 3). Franke, Habelschwerdt 1924

უფრო პოზიტიურად უყურებდნენ და მასში ეძიებდნენ მოკავშირეს. ამჯერად პაპები ცდილობდნენ არა მხოლოდ მეფეებზე გავლენის მოხდენას – მათ გაქრისტიანებას, არამედ ისინი ასევე შესაძლებლად მიიჩნევდნენ ემუშავათ ამ მიმართულებით სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების ხელმძღვანელებზე, სამხედრო პირებზე და აქ დაეარსებინათ თავიანთი ეკლესიები, რომლებიც ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე, აქაც პაპის ტახტის პირდაპირი გავლენის ქვეშ იქნებოდნენ.<sup>1</sup>

საქართველოს მიმართ, ისევე, როგორც სხვა საქრისტიანოს მიმართ, ძალიან მძაფრდება ლათინთა ინტერესები. ლათინები უფრო და უფრო იპყრობენ აღმოსავლეთის სივრცეს, მაგრამ არა პოლიტიკურად, არამედ უფრო ძლიერია მათი ინტერესი აღმოსავლური კულტურის მიმართ. ჩვენ გვსურს წარმოვიდგინოთ ზოგადი სურათი ლათინური სამყაროს საქართველოსთან და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებაში. იულიან შილის<sup>2</sup> ნაშრომის შესაბამისად, რომელიც დაწერილია დომინიკელი ბერების აღმოსავლეთში მოგზაურობების აღწერებზე დაკვირვების შედეგად, ვხედავთ კულტურული აღქმისა და რელიგიური განსხვავების ორ ტიპს, უპირველესად „სხვა“ და „უცხო“ კატეგორიებს.

ჩვენი დაკვირვებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო იყო „სხვა“ სივრცე კათოლიკებისათვის, მაგრამ ის არასოდეს ყოფილა „უცხო“, რადგანაც საქართველოსა და ლათინურ სამყაროს შორის კონტაქტი მუდმივად არსებობდა. „უცხო“ არის ის, რომელიც საზღვრის იქით მდებარეობს, სადაც ადამიანი არ იცის რა არის „მსგავსი“ და რა არის „სხვანაირი“. წარმართული სივრცე, თვით ევროპაშიც, გაქრისტიანებამდე იყო ქრისტიანთათვის უდავოდ „უცხო“. XIII საუკუნეში მომხდარი ცვლილებების ფონზე, როდესაც დასავლეთმა დაიწყო აღმოსავლეთის შესწავლა როგორც პოლიტიკურად, ასევე უფრო ღრმად გაეცნო მის ყოფასა და ყოველდღიურობას, გაჩნდა გარკვეული წარმოდგენები აღმოსავლეთის კულტურის შესახებ. ამ კონტაქტების საფუძველზე მოხდა თვით მუსლიმების გადაკვალიფიცირება „ურწმუნოთა კატეგორიიდან“ „არასწორად მორწმუნეთა“ კატეგორიაში. ქრისტიანები მათ კონკურენტად აღიქვამდნენ. მუსლიმური კულტურა მათ „უცხო“ კატეგორიიდან გადაიტანეს „სხვის“ კატეგორიაში. ამ ეპოქის დაკვირვებიდან ჩანს, რომ საქართველო არამც და არამც არ არის „უცხო“ სივრცე და ის არც „სხვის“ კატეგორიაში შეიძლება წარმოვადგინოთ, მიუხედავად იმისა, რომ არის პირდაპირი მითითებები პილიგრიმთა წერილებში, რომ საქართველოს ეკლესია და ქართველები არიან ბერძნული ეკლესიის მიმდევარნი.

ვფიქრობ, „სხვა საკუთარის გვერდით“ – ასე შეიძლება განვსაზღვროთ ლათინთა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ასეთები იყვნენ მათთვის ქრისტიანები, რომლებიც არ იყვნენ კათოლიკები, თუმცა ბევრი რამ იყო მსგავსი მათ კულტურაში, ყოფასა და ცხოვრებაში.

## ბიბლიოგრაფია

თამარაშვილი, მიქელ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თფილისი, ქართული წიგნი, 1902  
 ჯავახია, ბ. ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ შუა საუკუნეების დასავლეთევროპელ მოგზაურთა წიგნებში (ბენედიქტ პოლონელი, ჟან დე მანდვილი). საისტორიო კრებული 1, 2011, გვ. 171-185  
 ჯავახია, ბ. ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ. გივი ჟორდანიას – 90, გვ. 230-237

<sup>1</sup> ჯავახია ბ. ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ, გივი ჟორდანიას – 90, გვ. 230-237

<sup>2</sup> Schiel J. Die Saracenen im Orientbild der Dominikaner des 13. Und 14. Jahrhunderts. Eine Untersuchung zum Eigen und Fremdwahrnehmung von europäischen Reisenden am Beispiel der Missionerrechte von Ricoldus von Monte Croce und Jordanus von Severac. Wissenschaftliche Hausarbeit im Rahmen des Ersten Staatsprüfung für das Amt des Studienrats. Berlin, 2003 - Borgolte M. Mittelalter in der Grosseren Welt, Berlin, Akademie Verlag, 2014, p.74

- ჯავახია, ბ. XIII საუკუნის დომინიკანელი ბერი საქართველოს შესახებ. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2005, გვ. 62-68; ნინიძე დ. სიმონ დე სანკვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული დიპლომატია – ნელინდეული, თბ., 2005
- Altaner, B. Die dominikanermissionen des 13. jahrhunderts: Forschungen zur geschichte der kirchlichen unionen und der mohammedaner- und heidenmission des mittelalters Franke buchhandlung, 1924
- Aigle, D. The Letters of Eljigidei, H'uleg'u and Abaqa: Mongol overtures or Christian Ventriloquism?. Inner Asia, 2005, 7 (2)
- Aziz Suryal Atiya , The Crusade in the later Middle Ages, Methuen, 1938
- Bezzola Quan Andri, Die Mongolen in Abendländischer Sicht )1220-1270, Beitrag zur Frage der Völker begegnungen, Franke Verlag Bern und München, 1974
- Bezzola Gian Andri, Die Mongolen in Abendländischer Sicht (1220ß1270). Francke Verlag, Bern und München, 1974
- Der Bericht des Franziskaners Wilhelm von Rubruk über seine Reise in das Innere Asiens in den Jahren 1253/1255. Erste vollständige Übersetzung aus dem Lateinischen. Herausgegeben und bearbeitet von Hermann Herbst, Griffel-Verlag, Leipzig 1925
- Fried J. Auf der Suche, Auf der Suche nach der Wirklichkeit die Mongolen und die Europäische Erfahrungswissenschaft im 13. Jahrhundert, 1986 – HZ
- Jackson, P. The Mongols and the West: 1221-1410. Longman, 2005, p. 314; Atiya Aziz Suryal. The Crusade in the later Middle Ages, London, 1938, p. 246-250; Cathay and the Way Thither, ed. Sir Henry Yule London: Hakluyt Society, 1914, Vol. III
- Jahrhundert, Sigmaringen 1994 (Beiträge zur Geschichte und Quellenkunde des Augenzeugenberichten des 13. und 14. Jahrhunderts, 2000
- John de Plano Carppini, Geschichte der Monglen und Reisebericht 1245-1247. Übersetzt und erläutert von Fridrich Risch, Leipzig, 1930
- Leopold A. How to recover the Holy Land. The Crusade proposals of the late Thirteenth and early fourteenth centuries, Ashgate, 2000; Jackson P., The Mongols and the West: 1221-1410, London, New-Jork, 2005; Dawson Chr. Die Mission to Asia, London 1992
- Marco Polo. Die Beschreibung der Welt. Die Reise von Venedig nach China 1271-1295; 3. Auflage, Erdmann, Wiesbaden 2016
- Mittelalters. 16) = Diss. masch. Frankfurt am Main 1991
- Münkler M. Erfahrungen des Fremdes Die Beschreibung Ostasiens in den Monumenta Germaniae Historica; Epistolae Saeculi XIII: E Regestis Pontificum Romanorum, ed. Karl Rodenberg (Berlin, 1887), Vol. 2, No. 102, p. 72. De Rachewiltz I., Papal Envoys to the Great Khans, Stanford University Press, 1971
- Pelliot P. Les Mongols et papaute
- Philips J. R. The medieval Expansion of Europe, Oxford, 1998
- Zarncke F. Der Priester Johannes – Abhandlungen der Phil.-Hist. Cl.d. Rgl. Sächs. Ges. D. Wissenschaft 7, 8; 1879-1880
- Richard Jean, Miroir du Moyen Âge, Au-delà de la Perse et de l'Arménie. L'Orient latin et la découverte de Asie intérieure . Quelques textes inégalement connus aux origines de l'alliance entre Francs et Mongols (1145-1262), Brepolis, Turnhout, Belgium, 2005; Richard Jean, Les Relations Entre L'Orient Et L'Occident Au Moyen Age: Études Et Documents, London 1977; Richard Jean, La papauté et les missions d'Orient au Moyen Age XIIIe-XVe siècle ,Paru en juin, 1998
- Reichert F., Begegnungen mit China, Die entdeckung Ostasiens im Mittelalter Hrsg. Raymund Kottje und Hubert Mordek, Beiträge zur Geschichte und Quellenkunde des Mittelalters, Band 15, 1992
- Schmieder F. Europa und die Fremden. Die Mongolen im Urteil des Abendlandes vom 13
- Vincentius Bellovacensis (Vincend de Beauvais) Speculum Quadruplex sive Sepeculum Maius, Naturale, Dodrinale, Morale, Historiale, Graz, Academische Verlag, Austria, 1965; XXXII, 91

*BEJAN JAVAKHIA*

**CHANGES IN THE EASTERN POLICY OF POPES IN XIII CENTURY AND GEORGIA**

**Summary**

Transformation in the Eastern policy of Popes since the fourth Crusade (seizure of Constantinople in 1204, Mongol invasion) caused the emergence of new medieval legends and contributed to the search for a new political tactics. The policy of the Popes Innocent IV and Gregory X and their attitude towards the East played a crucial role in this regard.

The analysis of travel notes and letters of papal legates, as well as those of missionary monks, could help to reconsider both – the politics of Catholic Church in the Far East and the results of these changes in Georgia. These sources highlight the growing interest of the Catholic World toward Georgia. The number of letters und appeals to Eastern Churches and vice versa increased, contacts became more active and intense. The Georgian Church had its special place among other Eastern Churches. However, Georgian political rulers maintained their traditional faith and the Georgian Church remained independent.



ნინო დარასელია

ნიგნის გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტი, როგორც დისკურსის ქანრი  
(ინგლისურ და ქართულ ენათა მასალაზე)

ტექსტის მრავალფეროვან სახეობათა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნიგნის გარეკანზე (უფრო ზუსტად, გარეკანის უკანა მხარეს) წარმოდგენილი ტექსტის ტიპი (ინგლისურად blurb), რომელიც მკვლევართა ყურადღების ცენტრში XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში მოექცა.

უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ტექსტის ტიპი, ანუ დისკურსის ჟანრი, ნაკლებად არის შესწავლილი სპეციალურ ლიტერატურაში. ეს, ჩემი თვალსაზრისით, განპირობებულია აღნიშნული ჟანრის არაერთგვაროვნებით, მრავალსახეობით, მისი მრავალი ქვეჟანრის არსებობით, რაც, თავის მხრივ, შეიძლება ითქვას, ნიგნის სახეობათა და გამოცემათა უსასრულო რაოდენობითა და მრავალფეროვნებით არის განპირობებული.


წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს რომანის ინგლისურენოვან და ქართულ გამოცემათა გარეკანზე წარმოდგენილ ტექსტთა ზოგადი დისკურსული მახასიათებლების გამოვლენა. საკვლევ მასალად გამოყენებულ იქნა ბრიტანულ და ამერიკელ ავტორთა რომანების 50 გამოცემისა და ასევე ქართულ ენაზე გამოცემული 50 რომანის გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტები. ემპირიული მასალა გაანალიზებულ იქნა დისკურსის ანალიზის (Brown&Yule 1983), სოციოსემიოტიკისა (Holsanova et al. 2006; Van Leeuwen 2006) და სტილისტიკის (Verdonk 2007) თვალსაზრისით.

როგორც უკვე აღინიშნა, ტექსტის განსახილველ ტიპს ინგლისურად ეწოდება **blurb**. ტერმინის შექმნა დაკავშირებულია ამერიკელი იუმორისტისა და ილუსტრატორ ჯილეთ ბერჯესის სახელთან; მან თავისი ნიგნის *Are You a Bromide? (მოსაწყენი პიროვნება ხართ?)* 1907 წლის გამოცემას გარეკანზე დაურთო ქალბატონის – მის ბელინდა ბლერბის (**Miss Belinda Blurb**, სახელი თავად ბერჯესმა შეარჩია) გამოსახულება, რომელიც, როგორც ილუსტრაციიდან ჩანს, ახდენს ბერჯესის ნიგნის ხმამაღლა რეკლამირებას. აღნიშნულ სამეტყველო ქმედებას ბერჯესმა უწოდა **The Act of Blurbing**, ხოლო თავად მის ბელინდა ბლერბის მიერ წარმოთქმულ ტექსტს კი – **blurb**. ერთი შეხედვით, ბერჯესის მიერ შექმნილი ტერმინი **blurb** ხმაბაძვითი სიტყვის შთაბეჭდილებას ტოვებს: მოცემული სიტყვა, თითქოს, აღნიშნავს რაიმეს წამოძახებით, სხარტად, თუმცა, არცთუ ისე მკაფიოდ წარმოთქმას: ამ უკანასკნელი მახასიათებლით იგი სიტყვასთან **blurred** (არამკაფიოდ გამოსახულება) მსგავსებას ავლენს. თავად ბერჯესი ტექსტის ამ სახეობის ასეთ დეფინიციას იძლევა:

**Blurb 1.** A flamboyant advertisement; an inspired testimonial (ხატოვანი რეკლამა, შთაგონებით შექმნილი რეკომენდაცია).

2. Fulsome praise; a sound like a publisher...On the “jacket” of the “latest” fiction, we find the blurb; abounding in agile adjectives and adverbs, attesting that this book is the “sensation of the year” (გაზვიადებული შეფასება/ხოტბა; როგორც გამომცემლისაგან ... „უახლესი“ პროზაული ნაწარმოების გარეკანზე ჩვენ შევხვდებით ხატოვანი/ცოცხალი ზედსართავებისა და ზმნიზედების სიჭარბით გამორჩეულ ტექსტს (*blurb*-ს), რომელიც ადასტურებს, რომ აღნიშნული ნიგნი „წლის სენსაციაა“.

G. Burgess, *Burgess Unabridged*, 1986



თუმცა, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ, ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში, წიგნის გარეკანზე განთავსებულ რეკლამას პირველად მიმართა უოლტ უიტმენმა თავისი შედეგის, „ბალახის ფოთლების“ მეორე გამოცემაში: მან წიგნის ღერძზე ოქროს ასოებით გამოაკვეთინა ამონარიდი ამავე წიგნის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით მისდამი რაღაც უაღდო ემერსონის მიერ მიწერილი წერილიდან:

**"I greet you at the beginning of a great career"** (მოგესალმებით თქვენი დიდებული კარიერის დასაწყისში).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, წიგნის (ხელნაწერი იქნება ის თუ ბეჭდვითი) რეკლამირებას, ალბათ, ხანგრძლივი ისტორია აქვს როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, ეს კი ცალკე კვლევის საგანია.

ინტერესს იწვევს თავად ტერმინის *blurb* (და, შესაბამისად, ამ ტერმინით აღნიშნული ტექსტის ტიპის) დეფინიცია. ინგლისურენოვანი ავტორიტეტული ლექსიკონებიდან ამოკრებილი დეფინიციები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. დეფინიციათა ნაწილი ხაზს უსვამს ტექსტის დესკრიფციულ ხასიათს, რეკლამური დატვირთვა შეფარვით ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი. დეფინიციათა მეორე ნაწილი, პირიქით, აქცენტს აკეთებს აღნიშნული ტიპის ტექსტის რეკლამურ დატვირთვაზე:

I. დეფინიციათა პირველი ტიპი:

(a) Cambridge International Dictionary of English (1996)

**blurb** – a description of the contents of a book, film etc. that is written by the people who have produced the book, film etc. and is **intended to make people want to buy the book**, or see the film, show etc. (ნიგნის, ფილმის და ა.შ. შინაარსის აღწერა იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც შექმნეს აღნიშნული ნიგნი, ფილმი და ა.შ., მიმართული იქითკენ, რომ ადამიანებში აღძრას სურვილი ნიგნის შეძენის ან ფილმის, შოუს და ა.შ. ნახვის).

(b) Longman Dictionary of English Language and Culture (2005)

**blurb** – a short description of the contents of a book, printed on the cover or in advertisements (ნიგნის შინაარსის მოკლე აღწერილობა, დაბეჭდილი ნიგნის გარეკანზე ან რეკლამაში).

(c) Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English (1978)

**blurb** – a publisher's description of the contents of a book, printed on the paper jacket etc. ნიგნის გარეკანზე და ა.შ. დაბეჭდილი გამომცემლის მიერ შედგენილი ნიგნის შინაარსის აღწერილობა.

II დეფინიციათა მეორე ტიპი:

(a) Cassell Concise Dictionary of English (1992)

**blurb** – a description of a book, usually printed on the dust jacket **intended to advertise and promote it**. ჩვეულებრივ, ნიგნის დამცავ გარეკანზე დაბეჭდილი ნიგნის აღწერილობა, რომლის მიზანს ნიგნის რეკლამა და გაყიდვისთვის ხელის შეწყობა წარმოადგენს.

(b) Concise English Dictionary (Wordsworth Reference 1994)

**blurb** – a publisher's commendatory description of a book commonly printed on the jacket; any brief commendatory advertisement. ჩვეულებრივ, ნიგნის გარეკანზე დაბეჭდილი, გამომცემლის მიერ დაწერილი ნიგნის სარეკომენდაციო აღწერილობა; ნებისმიერი ტიპის სარეკომენდაციო რეკლამა.

(c) American Heritage Dictionary of the English Language (2016)

**blurb** – a brief testimonial or excerpt of a review, as on a book jacket. მოკლე რეკომენდაცია ან ნაწყვეტი რეცენზიიდან, რომელსაც ნიგნის გარეკანზე შევხვდებით.

(d) Random House Webster's College Dictionary (2010)

**blurb** – (n) a brief advertisement or notice, as on a book jacket, esp. one full of praise. (არს.სახ.) მოკლე რეკლამა ან განცხადება, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც აღსავსეა ხოტბით.

(vt) **to advertize or praise in the manner of a blurb**. (ზმნა, გრდმ.) რეკლამირება, ხოტბის შესხმა, როგორც ნიგნის გარეკანზე წარმოდგენილ ტექსტში.

(e) Collins English Dictionary (2014)

**Blurb** – a promotional description, as found on the jackets of books. სარეკლამო აღწერა, ისეთი, როგორსაც შევხვდებით ნიგნის გარეკანზე.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ დეფინიციათა ორ ჯგუფს შორის ასეთი კონტრასტი საფუძველს არ არის მოკლებული: მასალაში არსებული ტექსტების ნაწილი მიესადაგება დეფინიციათა პირველ ჯგუფს, მეორე ნაწილი კი დეფინიციათა მეორე ჯგუფის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ.

თუ რომან იაკობსონისეულ ენის ფუნქციათა თვალსაზრისით განვიხილავთ აღნიშნულ ორ ჯგუფს, პირველში ენის რეფერენციული ფუნქცია დომინირებს ემოციურ/ექსპრესიულ, კონატიურ/დირექტიულ და პოეტურ ფუნქციებზე, ხოლო მეორე ჯგუფში კი, პირიქით, ჩამოთვლილი ბო-

ლო სამი ფუნქციაა გამოკვეთილი. მეტალინგვისტური ფუნქცია ორივე სახეობაშია აქტუალური, ვინაიდან, აღნიშნული ტექსტის ტიპი სპეციფიკური ლექსიკურ-გრამატიკული მახასიათებლებით ხასიათდება.

პირველის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ვირჯინია ვულფის რომანის *მისის დელოვეი* გამოცემის გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც მიუკერძოებელი სტილის ნიმუშია და სისადავით გამოირჩევა; აღნიშნული მახასიათებლებით ის ლიტერატურული ესსეს სტილს უახლოვდება:

(1) Clarissa Dalloway, a fashionable London hostess, is to give an important party. Through her thoughts on that day and through her memories of the past, her character is gradually revealed. And so are the other personalities who have touched on her life. Their loves and hates, their tragedies and comedies, all are vividly, intimately – and **quite uniquely** – brought to life.

*Mrs. Dalloway*, Virginia Woolf's fourth novel, marked an important stage in her development as a writer. With this book she finally broke from the form of the traditional English novel, **establishing herself as a writer of genius**.

გამომცემლობა *Atriad Panther Book, Granada Publishing Limited*, 1980.

ზემომოყვანილ ტექსტში ლაკონიურად არის წარმოდგენილი აღნიშნული რომანის მოკლე შინაარსი და აგების პრინციპი. ტექსტში ვხვდებით მხოლოდ ორ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც აღმატებითი სემანტიკის მატარებელია: პირველ მათგანს **uniquely** (*უნიკალურად*) „არბილებს“ ზღუდის ფუნქციით ნახმარი ზმნიზედა **quite** (*საკმაოდ*); მეორე ფრაზა კი, **establishing herself as a writer of genius** (იმკვიდრებს გენიალური მწერლის სახელს), ფაქტობრივად, ახდენს ლიტერატურათმცოდნეობაში ვირჯინია ვულფზე დამკვიდრებული აზრის კონსტატაციას.

განსხვავებით მოყვანილი ინგლისური მაგალითისგან, ქვემომოყვანილ ქართულ მაგალითში დომინირებს მიკერძოებული სტილი: მიშელ უელბეკის *ელემენტარული ნაწილაკების* ქართული გამოცემის (გამომცემლობა *არიტე*, 2005) გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტი ეკუთვნის ლაშა ბაქრაძეს, რომელიც ნაწარმოებისადმი თავის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე მოგვითხრობს, რაც, თავის მხრივ, აისახება თავად ტექსტის სტილისტიკურ მახასიათებლებზე; ტექსტი წარმოადგენს სასაუბრო და ლიტერატურული სტილების ნაერთს:

(2) ერთხელ, როცა დიდი დეპრესია მქონდა, ხელში მიშელ უელბეკის წიგნი მომხვდა. ერთ ღამეში **გადავყლაპე (სასაუბ.)** და მეორე დღეს დეპრესიაც გაქრა.

მას შემდეგ, **როცა გულს კაემანი შემოაწვება (პოეტ.)**, ვიცი, რომ, რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, არაფერი ისე არ მიშველის, როგორც **დეპრესიული დეკადენტურობის დიდოსტატის ტექსტები (სალიტ.)**.

როგორც მ. მაიონოვა აღნიშნავს (Маїєнова 1978: 40), ცალკეული ჟანრი ნიშანს წარმოადგენს: ის გულისხმობს გამომსახველობითი და შინაარსობრივი პლანებისა და მათ ურთიერთმიმართებათა კანონებისა თუ კანონზომიერებების არსებობას. როგორც ცნობილია, ჟანრის წარმოქმნა კონტექსტუალურად არის მოტივირებული; ანუ, ცალკეული ჟანრის სპეციფიკა კონტექსტის მახასიათებელთა/კონტექსტუალურ შეზღუდვათა (დელ ჰაიმზის ტერმინი, Brown&Yule, 1983: 35-46) რეალიზაციის თავისებურებებზე არის დამოკიდებული. განვიხილოთ მოცემული ტექსტის ტიპი/ჟანრი. დელ ჰაიმზის კონტექსტის მახასიათებელთა თვალსაზრისით, საინტერესოა, თუ როგორია იმ დისკურსის სპეციფიკა, რომელიც წარმოქმნის აღნიშნული ტექსტის ტიპს.

**ადრესანტის ფაქტორი:** ემპირიული მასალის ანალიზმა დამანახა, რომ რომანის გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტის ავტორი შეიძლება იყოს:

I. გამომცემელი – ტექსტი შეიძლება (ა) თავად გამომცემლის ან რედაქტორის მიერ იყოს შედგენილი, როგორც ეს ზემომოყვანილ პირველ მაგალითშია (1); (ბ) წარმოადგენდეს ამონარიდებს გამომცემლის მიერ შერჩეული რეცენზიებიდან/კრიტიკული წერილებიდან; ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გამომცემელი „პასუხისმგებლობას იხსნის“ და „თავს არიდებს“ გამოცემული წიგნის

შეფასებას და „სიტყვას უთმობს“ ცნობილ კრიტიკოსებს ან მწერლებს. აღნიშნულის ნიმუშად შეიძლება გამომცემლობა *A Viking Compass Books*-ის მიერ ჯეიმს ჯოისის რომანის *ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტი* 1971 წლის გამოცემა წარმოვადგინოთ. წიგნის გარეკანზე არსებული ტექსტი სამი, გასული საუკუნის სხვადასხვა პერიოდში დაწერილ შეფასებათა ამონარიდისაგან შედგება; მათი ავტორებია: ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯორჯ ჰერბერტ უელსი (1916), ჯ.ჯოისის პირველი ბიოგრაფი და ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსი ჰერბერტ გორმანი (1928) და ირლანდიელი მწერალი შონ ო'ფეილენი (1955). გთავაზობთ ჰერბერტ გორმანის შეფასებას:

(3) So profound and beautiful and convincing a book is part of the lasting literature of our age ...In it is the promise of that new literature, new both in form and content, that will be the classics of tomorrow (წიგნი, ასეთი ღრმა, მშვენიერი და დამაჯერებელი, არის ნაწილი ჩვენი ეპოქის უკვდავი ლიტერატურისა და წინაპირობა იმ ახალი ლიტერატურის, რომელიც, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით ხვალისდელი დღის კლასიკა იქნება).

Herbert Gorman, 1928

II. ცნობილი სახე – ეს არის ფართოდ გამოყენებული ხერხი რეკლამის სფეროში. ქართულ მასალაში აღნიშნულ ხერხს შევხვდი გამომცემლობა *არეტეს* პროდუქციაში – არეტეს მიერ გამოცემულ რომანთა გარეკანზე ვხვდებით თანამედროვე ქართველი მწერლების ან, ზოგადად, ცნობილი სახეების მიერ შექმნილ ტექსტებს: ასე, მაგალითად, როგორც უკვე აღინიშნა, მიშელ უელბეკის *ელემენტარულ ნაწილაკებს* წარმოადგენს ლაშა ბაქრაძე.

III. თავად ავტორი – აღნიშნულის ნიმუშს შევხვდი ქართულ მასალაში – მაგალითად, დათო ტურაშვილი ხშირად თავად არის ავტორი მისივე წიგნების გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტებისა:

(4) ავტორის ფოტო **დათო ტურაშვილი**

დაიბადა ქალაქ თბილისში 1966 წლის 10 მაისს **უკულმა (ფეხებით).**

**საბავშვო ბაღში არ უყვარდა ხახვიანი წვნიანი და შუადღის ძილი.**

თბილისის 57-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა

ლიტერატურის, კინოსა და ხელოვნების ისტორიას თბილისის,

ლონდონისა და მადრიდის უნივერსიტეტებში...

დათო ტურაშვილი, „ამერიკული ზღაპრები“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2016.

როგორც ზემომოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, ტექსტში წარმოდგენილია მესამე პირის ნარატივი, თუმცა გარკვეული იუმორისტული შინაარსის მქონე ფრაზები მიგვანიშნებენ, რომ წიგნის გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტის ავტორი თავად მწერალი დათო ტურაშვილია.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ადრესანტის ფაქტორის არაერთგვაროვანი ხასიათი განსაზღვრავს გარეკანზე წარმოდგენილ ტექსტთა სტილურ მრავალფეროვნებას.

ცნობილია, თუ რამდენად განსაზღვრავს ადრესანტის ფაქტორი (ადრესატის სოციოლინგვისტური განზომილებანი – ასაკი, სქესი, პროფესია, ფონისეული ცოდნა და სხვ.) ცალკეული ტექსტის შინაარსობრივ/პროპოზიციულ პლანსა და მის ლინგვისტურ რეპრეზენტაციას. აღნიშნულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მკითხველის სავარაუდო ფონისეული ცოდნისა და ლიტერატურული გემოვნების გათვალისწინება. ასე, მაგალითად, ხშირად ინგლისურენოვანი გარეკანის ტექსტები იწყება ისეთი ტიპის ყურადღების მისაპყრობი, სარეკლამო ფრაზით, როგორც ეს გრაამ გრინის რომანების პინგვინის გამოცემებზეა მოცემული:

(5) *From the author of The Human Factor*

აღნიშნული ფრაზა მიმართულია ისეთი მკითხველისაკენ, რომელიც კარგად იცნობს გრაამ გრინის შემოქმედებას, აფასებს მას და, რაც მთავარია, ნაკითხული აქვს მისი ნაწარმოები „ადამიანური ფაქტორი“.

ასევე ინტერესს იწვევს სარეკლამო ფრაზები, რომლებსაც ვხვდებით აგათა კრისტის რომანების გამოცემებში; სარეკლამო ფრაზაში (გამომცემლობა Bantam Books) გათვალისწინებულია როგორც მკითხველის გემოვნება – გატაცება დეტექტიური ჟანრით, ასევე მისი ფონისეული ცოდნა:

(6) **England’s First Lady of Mystery**  
**Agatha Christie**

(7) **Winner of the Nobel Prize for Literature** (ნობელის პრემიის მფლობელი ლიტერატურის დარგში) სოლ ბელოუს რომანის *The Adventures of Augie March* („ოგი მარჩის თავგადასავალი“) სარეკლამო ფრაზაა (გამომცემლობა Penguin Books, 1983).

**საუბრის თემის (Topic) ფაქტორი** განსაზღვრავს გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტის პროპოზიციულ ასპექტს, ტექსტის პროპოზიციის შემადგენელი კომპონენტების თანმიმდევრობას და, რა თქმა უნდა, პროპოზიციის ვერბალური თუ არავერბალური საშუალებებით გამოხატვის სპეციფიკას.

როგორც ცნობილია, ჟანრი სტერეოტიპული სიტუაციის არსებობას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, სიღრმისეულ კოგნიტიურ სტრუქტურაში, ანუ ფრეიმში აისახება. ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე შევეცადე წარმომედგინა რომანის გამოცემათა გარეკანზე მოცემულ ტექსტთათვის დამახასიათებელი ფრეიმული სტრუქტურები:

1. ფრეიმული სტრუქტურა ტექსტისა, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ დისკურსის ჰიბრიდულ ჟანრად, ვინაიდან ის აერთიანებს ლიტერატურული ესსესა და რეკლამის მახასიათებლებს; აღნიშნული ჯგუფი ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული და, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად; ეს ტიპი შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

1. სარეკლამო ფრაზა, რომლის ფუნქციას ხშირად ასრულებს ამონარიდი კრიტიკული წერილიდან, როგორც ეს სოლ ბელოუს რომანის „ჰერცოგი“ ერთ-ერთი გამოცემის (Penguin Books) შემთხვევაშია:

‘A well-nigh faultless novel!’ – New Yorker (თითქმის სრულყოფილი რომანი!);  
‘Clearly a major work of our time’ – Guardian (აშკარად, ჩვენი დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები).

2. რომანის მოკლე შინაარსი, რომელსაც შეიძლება წინ უძღოდეს ან მოსდევდეს შემფასებლური ხასიათის პასაჟი. მოკლე შინაარსის შემდგომ განთავსებული შემფასებლური მონაკვეთი ხშირად წარმოადგენს ამონარიდს კრიტიკული წერილიდან. ნაწარმოების (განსაკუთრებით, დეტექტიური რომანის) მოკლე შინაარსი არასრულად არის წარმოდგენილი, რაც დამაინტრიგებლად უღერს და, ხშირ შემთხვევაში, აიძულებს მკითხველს შეიძინოს წიგნი. განსახილველ ტექსტთა აღნიშნულ ქვეტიპში რომანის შინაარსი შეიძლება მოიცავდეს შედარებით მშრალ ფაქტობრივ შინაარსს ან, შეიძლება, წარმოადგენდეს ფაქტობრივი და შემფასებლური ელემენტების ნაზავს. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი (8):

(ა) სარეკლამო ფრაზა, რომელიც წარმოადგენს 2 ციტატას ავტორიტეტული პრესიდან *New Yorker* (ხელოვნებისმცოდნეთა და ლიტერატურის კრიტიკოსთა ჟურნალი, რომელიც გამოიცემა აშშ-ში), *The Guardian* (ავტორიტეტული ბრიტანული გაზეთი):

‘A well-nigh faultless novel’ – New Yorker;  
‘Clearly a major work of our time’ – Guardian.

(ბ) რომანის მოკლე შინაარსი:

**Herzog is alone, now that Madeleine has left him for his best friend. Solitary, in a crumbling old house which he shares with the rats, he is buffeted by a whirlwind of mental activity. People rumoured that his mind had collapsed. Was it true?**

**Locked for days in the custody of his rambling memories Herzog scrawls frantic letters which he never mails. His mind buzzes with conundrums and polemics, writhing in a spectacular intellectual labyrinth.**

**Is he crazy? Or a genius?**

ლაკონიურად, ზუსტად შერჩეული ხატოვანი ფრაზებით (*Solitary, in a crumbling old house which he shares with the rats* – მარტოსული, ჩამოშლის პირას მისულ სახლში, რომელიც ვირთხებთან აქვს საზიაროდ), აღმატებითი სემანტიკის მქონე სიტყვებით (*solitary* – მარტოსული; *collapse* – კოლაფსი, ნათქვამი გონებასთან მიმართებაში *his mind had collapsed* – მას გონებამ უმცყუნა, სიტყვა-სიტყვით – მისმა გონებამ კოლაფსი განიცადა), უჩვეულო მეტაფორებით (*His mind buzzes with conundrums and polemics, writhing in a spectacular intellectual labyrinth* – სიტყვასიტყვით: მისი გონება თავსატეხებისა და პოლემიკის ზუზუნით მიიკლავება ხატოვან ინტელექტუალურ ლაბირინთში) აღნიშნული გამოცემის გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტი წარმოგვიდგენს რომანის მთავარი გმირის ტრაგიკულ სიმარტოვეს. მკითხველისკენ მიმართული სამი რიტორიკული შეკითხვა კი ჩაბმის სტრატეგიის ნიმუშია.

II. ფრეიმული სტრუქტურა ტექსტისა, რომლის ძირითადი ნაწილი შედგება ლიტერატურის კრიტიკოსთა ესსეებიდან ამოღებული ციტატებისაგან და ასეთი სახით უწევს ნაწარმოებს რეკლამას. აღნიშნულის ნიმუშად უკვე განვიხილე ჯეიმს ჯოისის „ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტის“ ერთ-ერთი გამოცემა: მაგალითი (3) (*A Viking Compass Books*).

III. ფრეიმის მესამე ტიპი მოიცავს რომანის ავტორის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ზოგადი დახასიათების შემცველ ტექსტს, რომელსაც შეიძლება მოსდევდეს უშუალოდ წიგნად წარმოდგენილი კონკრეტული რომანის შინაარსი-შეფასება; მაგალითისთვის განვიხილოთ აკა მორჩილაძის ნაწარმოების „ვეშაპი მადათოვზე“ გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012):

(9) (ა) ავტორის ბიოგრაფია:

აკა მორჩილაძის ნამდვილი სახელი და გვარია გიორგი ახვლედიანი. დაიბადა თბილისში, 1966 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა საქართველოს ისტორიას; მუშაობდა ჟურნალისტად რამდენიმე გაზეთში. გამოცემული აქვს 20-ზე მეტი წიგნი. მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია, მათ შორის 2003, 2005, 2006, 2008 წლებში პრემია „საბა“ წლის საუკეთესო რომანისათვის. 2010 წელს მიიღო ილიას უნივერსიტეტის ლიტერატურული პრემია რომანისთვის „მამელუქი“.

(ბ) ნაწარმოების შინაარსი:

„ვეშაპი მადათოვზე“ ტრილოგიის მესამე წიგნია. ისევე, როგორც მადათოვის წინა რომანებში, მკითხველი აქაც მრავალ ისტორიულ პერსონაჟს შეხვდება და წარსულის სურათებსაც გაიხსენებს. რომანის მეორე ნაწილში მწერალი ახალ რეალობას ქმნის, რომლის ფინალშიც მკითხველი ხვდება, რომ მადათოვის ოცდაათწლიანი ისტორია სინამდვილეში ვირტუალური რეალობა, XXI საუკუნეში შექმნილი კომპიუტერული „მეჯიქ პალასი“ ყოფილა.

თუმცა არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ფრეიმული სტრუქტურის ორი კომპონენტი შებრუნებულად არის წარმოდგენილი, ანუ, ჯერ რომანის მოკლე შინაარსი და შემდგომ ავტორის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ინფორმაცია. ამის ნიმუშად კვლავ მაგალითი (1) შეიძლება დავასახელოთ.

IV. ავტორის სტილის მიმბაძველობით შექმნილი ტექსტი; ინგლისურენოვან მასალაში შევხვდი აღნიშნული ქვეტიპის ერთ ნიმუშს; ლუის კეროლის ცნობილი ნაწარმოებების („ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“ და „სარკის მიღმა“) ანოტირებული გამოცემის გარეკანზე (გამომცემლობა Penguin Books, 1983). კომენტარების ავტორი მარტინ გარდნერი ნიგნის გარეკანზე წარ-

მოგვიდგენს ლუის კეროლის ერთ-ერთი ემბლემური ლექსის როგორც ვერბალური, ასევე გრაფიკული მიმბაძველობით შექმნილ ლექსს. წიგნში „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“ ლექსს თავის დაკლავილი კუდის (tail) მოყვანილობა აქვს და მოგვითხრობს თავის ამბავს (tale, აქ ლუის კეროლი სიტყვათათამაშს მიმართავს), კერძოდ, მის საუბარს „მრისხანებასთან“ (Fury, სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი კატის სახელია). გთავაზობთ აღნიშნული ლექსის ნაწყვეტს:

(10) Fury said to  
A mouse. That  
he met  
in the  
house,  
'Let us  
both go  
to law  
I will  
prosecute  
you...

აღნიშნული გამოცემის გარეკანზე, მარტინ გორდონი იყენებს ანალოგიური ტიპის ემბლემურ ლექსს და გთავაზობს მის გასაუბრებას ლუის კეროლთან, გთავაზობთ ნაწყვეტს:

(11) Said Gardner to  
Carrol. Come,  
Let us not  
quarrel bout  
Wonderland logic  
or Looking  
Glass lore/  
I'm a man  
without malice  
I'll annotate  
Alice...

V. რომანის კონკრეტული გამოცემისათვის შექმნილი სარეკლამო ტექსტი, რომელიც, გარდა შემფასებლური პასაჟებისა, აღნიშნული გამოცემის უპირატესობების ჩამონათვალს წარმოადგენს. აღნიშნული ქვეტიპის მხოლოდ ერთი ნიმუში შემხვდა ინგლისურენოვან მასალაში – „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (გამომცემლობა Bantam Books 1973). გამოცემის გარეკანზე წარმოდგენილ ტექსტში, ნაწარმოების შემფასებლურ პასაჟებთან ერთად (ტექსტის საწყისი და ბოლო მონაკვეთები) ჩამოთვლილია აღნიშნული გამოცემის რამდენიმე უპირატესობა, მაგალითად, ერთ-ერთი ესსეს ავტორია ცნობილი ინგლისელი მწერალი რადიარდ კიპლინგი, ასევე ერთ-ერთ დართულ ესსეში „ტომ სოიერის თავგადასავალი“ შედარებულია უილიამ გოლდინგის „ბუზთა მბრძანებელთან“ და ა.შ.:

(12) This new edition of Mark Twain's rollicking  
masterpiece includes the following  
special features to enhance the reader's  
enjoyment and understanding:

- . A stimulating discussion of the meaning  
and structure of the novel.
- . Comments by William Dean Howells  
and Rudyard Kipling.



- . A provocative essay which compares **Tom Sawyer** with **Lord of the Flies** and arrives at some startling conclusions.
- . Background information on how Mark Twain came to write it, and how it was influenced by his life and times.
- . A biographical sketch of Twain.

THE ADVENTURES OF TOM SAWYER  
ONE OF THE GREATEST  
BOYS BOOKS EVER WRITTEN

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ნიგნების გარეკანებზე განთავსებულ ტექსტთა ბოლოს ხშირად მოცემულია ინფორმაცია დიზაინერზე და მხატვარზე; ასე, მაგალითად, „ელისის“ ზემოხსენებული გამოცემის გარეკანზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

This cover, designed by David Pelham incorporates an illustration by Sir John Tenniel

ასევე, „მისის დელოვის“ ზემოგანხილული გამოცემის გარეკანის უკანა მხარეს მოცემულია ინფორმაცია გარეკანზე წარმოდგენილი ნახატის მხატვრის შესახებ:

Front cover shows a painting by William Strang entitled *The Harlequin Hat*, from a private collection, by courtesy of the Fine Art Society, Ltd.

ქართულ მასალაში გარეკანზე განთავსებული ტექსტის აღნიშნული კომპონენტი არ შემხვედრია; ქართულ გამოცემებში ინფორმაცია მხატვარ-დიზაინერის შესახებ ნიგნის საწყის ან ბოლო ფურცლებზე თავსდება.

ინგლისურენოვან მასალაში ვხვდებით ხუთივე ფრეიმულ სტრუქტურას, ქართულ მასალაში კი მხოლოდ I და III ტიპს.

**არხის ფაქტორი.** ვინაიდან ნიგნის გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტი წერილობითი დისკურსის ჟანრია, აქ ვერბალურ საშუალებებთან ერთად ფართოდ გამოიყენება არავერბალური/ვიზუალური ნიშნები ტექსტის პროპოზიციული და პრაგმატიკული პლანების რეპრეზენტაციისათვის.

ვიზუალური რეპრეზენტაცია მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა:

1. სხვადასხვა ზომის, მოყვანილობისა და სიმუქის შრიფტებით მანიპულირება; აღნიშნულის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ მაგალითი (12), რომელშიც ვხვდებით სხვადასხვა ზომისა და სიმუქის შრიფტების მონაცვლეობას. მუქი შრიფტი მნიშვნელოვან ინფორმაციაზე მიუთითებს: აღნიშნულ მაგალითში „ტომ სოიერის თავგადასავლის“ შედარება უილიამ გოლდინგის „ბუზთა მბრძანებელთან“ სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი (როგორც მოცემულ ტექსტშია ნახსენები – „პროვოკაციული“) ინფორმაციის მაჩვენებელია. იმავე ტექსტის ბოლო, შემფასებლურ მონაკვეთში, წინადადებაში ყოველი სიტყვის ყოველი ასო დიდია, რაც ყურადღების მიპყრობის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს. ინგლისურენოვან მაგალითებში დახრილი შრიფტი უმეტესწილად ნაწარმოების სათაურის წარმოსადგენად გამოიყენება. სამწუხაროდ, ქართული მასალა არ გამოირჩევა ტიპოგრაფიული ხერხების ასეთი მრავალფეროვნებით.

2. ტექსტის საკომუნიკაციო გამიზნულობიდან გამომდინარე, პუნქტუაციის ნიშანთა სპეციფიკური გამოყენება. დაკვირვებამ ცხადყო, რომ განსახილველი ჟანრის ინგლისური ნიმუშები პუნქტუაციის სიჭარბით არ გამოირჩევიან, რაც ენაში მუდმივად მოქმედი ეკონომიის პრინციპითა და სიჭარბის ფაქტორის მოქმედებით აიხსნება. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურენოვან ტექსტებს, ქართულისგან განსხვავებით, სადაც პუნქტუაციის გამოყენების „მკაცრი“ კანონები არსებობს, არ ახასიათებთ პუნქტუაციის გადაჭარბებული გამოყენება; თუმცა ინგლისურ მასალაში ვხვდებით

პუნქტუაციის ნორმების დარღვევასაც, როგორც ეს (12) მაგალითშია: ტექსტის დამასრულებელ, დიდი ასოებით გამოკვეთილ აბზაცში **ONE OF THE GREATEST BOYS BOOKS EVER WRITTEN** გამოტოვებულია ნათესაობითი ბრუნვის თანმხლები ნიშანი – აპოსტროფი. ასევე ემპირიული მასალის ანალიზმა გამოავლინა პუნქტუაციის გამოყენების შემდეგი მახასიათებლები ინგლისურენოვან ტექსტებში:

**ტირე გამოიყენება:** (ა) ინფორმაციის გამოკვეთის მიზნით;

(ბ) დაძაბულობის, სიუჟეტური კვანძის შეკვრის საჩვენებლად;

(გ) ჩართული კონსტრუქციის შემოსაყვანად.

**მრავალწერტილი გამოიყენება:** (ა) გარეკანზე ნაწარმოების არასრულად წარმოდგენილი სიუჟეტის დასაბოლოებლად;

(ბ) მსგავსად ტირესი – დაძაბულობის, სიუჟეტური კვანძის შეკვრის საჩვენებლად.

(13) England's First Lady of Mystery

**Agatha Christie**

**The Mysterious Affair at Styles**

Styles Court was a magnificent English country estate which should have been left to John Cavendish. But instead it was left to his stepmother, Emily Cavendish, who promptly married a fortune hunter... and promptly met her death! Dapper, brilliant Monsieur Poirot knew he was the only man who could catch her killer. **And thus the eccentric former Chief of Belgian Police came out of retirement – and launched the most famous career in mystery fiction.**

---

A Hercule Poirot Mystery

Agatha Christie, *The Mysterious Affair at Styles*, Bantam Books, 1983

(14) **Violent Night**

---

It started when wealthy Simeon Lee called his sons and their wives together on Christmas Eve and told them he was drawing up a new will. **It ended horribly a few hours later as his children sat around the dinner table – their meal interrupted by a blood-chilling scream coming from the old man's bedroom... For the visiting Hercule Poirot, it would be no holiday from murder.**

---

**An Agatha Christie Mystery**

Agatha Christie, *A Holiday for Murder*, Bantam Books, 1985

მაგალით (13)-ში ტირე მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოკვეთას ემსახურება, მაგალით (14)-ში კი სიუჟეტური კვანძის შეკვრას გვიჩვენებს. მაგალით (13)-ში მრავალწერტილი მნიშვნელოვან ინფორმაციას გამოკვეთს, მაგალით (14)-ში კი, დაძაბულობის, სიუჟეტური კვანძის შეკვრის მაჩვენებელია; მაგალით (15)-ში წყვილი ტირე ჩართული კონსტრუქციის მარკერია. ტირეთა წყვილი (განსხვავებით მძიმეთა წყვილისაგან), როგორც ჩართული კონსტრუქციის მარკერი, არაოფიციალური სტილისთვის არის დამახასიათებელი. თუმცა გარეკანზე წარმოდგენილ ტექსტებში, უფრო ოფიციალური სტილის მიუხედავად, მეტი ვიზუალური თვალსაჩინოებისათვის ვხვდებით ტირეს აღნიშნული ფუნქციით.

3. აბზაცთა თავისებური განლაგება და გრაფიკული გაფორმება. აღნიშნული საკითხი, ისევე როგორც პუნქტუაციის გამოყენების სპეციფიკა, გარეკანზე წარმოდგენილ ტექსტებში ცალკე კვლევის საგანია. აქ უბრალოდ აღვნიშნავ, რომ როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან მასალაში აბზაცები ხშირად ჰორიზონტალური ხაზით არის გამოკვეთილი (მაგალიტები: 9, 13, 14).

4. ასევე ინტერესს იწვევს ავტორის ფოტოს განთავსების პრინციპები, რაც გარეკანის სემიოტიკური სივრცის ათვისების ერთ-ერთი საშუალებაა. როგორც ცნობილია, სემიოტიკური სივრცისთვის ღირებულება სამი განზომილება – ვერტიკალური, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის ვერტიკალურ გაშლას ზოგადიდან კონკრეტულსკენ; ჰორიზონტალური განზომილება, რომელიც გულისხმობს მიმართებას: ძველი ინფორმაცია (მარცხნივ) – ახალი ინფორმაცია (მარჯვნივ) და განზომილება: ცენტრი (რელევანტურობის მაღალი ხარისხი) – პერიფერია (ნაკლებად ღირებული ინფორმაცია). ასევე სემიოტიკურ სივრცეზე საუბრისას მნიშვნელოვანია კითხვისას თვალის მოძრაობის დიაგნოსტიკური ტრაექტორიის გათვალისწინება მარცხენა ზედა კუთხიდან (პირველადი ოპტიკური სივრცე) ქვედა მარჯვენა კუთხემდე (Holsanova et al 2006).

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ, ავტორის ფოტოს არსებობის შემთხვევაში, ის გარეკანის სხვადასხვა მონაკვეთში შეიძლება შეგვხვდეს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ტექსტის შემქმნელისა და დიზაინერის საკომუნიკაციო გამიზნულობა. ქართულ გამოცემებში ის ძირითადად გვხვდება ზედა მარცხენა კუთხეში, სადაც ის ასრულებს ერთგვარი ტოპიკის როლს, დანარჩენი ტექსტი კი – კომენტარის ფუნქციას (მაგალითი 4). ინგლისურ გამოცემებში, გარდა გარეკანის ზედა მარცხენა კუთხისა, ავტორის ფოტოს ვხვდებით გარეკანის შემდეგ მონაკვეთებში:

(ა) ზედა მარჯვენა კუთხეში. აქ ფოტო ახალი ინფორმაციის მატარებელია და მაინდენტიფიცირებელ ფუნქციას ასრულებს – ყველა სანაქებო სიტყვის ადრესატი ფოტოზე გამოსახული პიროვნებაა; აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უილიამ გოლდინგის ნიგნის *Pincher Martin* ერთ-ერთი გამოცემა (გამომცემლობა *faber and faber* 1984).

(ბ) ქვედა მარცხენა კუთხეში, სადაც ფოტო ტექსტის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. აღნიშნულის ნიმუშია სოლ ბელოუს რომანის *ჰერცოგი* ერთ-ერთი გამოცემა – Penguin Books, 1981. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რომანის მთავარი გმირი გაიგივებულია ავტორთან. ამ შეგრძნებას ამძაფრებს ფოტოს წინმსწრები ტექსტის დამაბოლოებელი რიტორიკული კითხვები: *Is he crazy? Or a genius?* (ის შეშლილია? თუ გენიოსია?); იგივე ითქმის სოლ ბელოუს მეორე რომანის *ჰენდერსონი, ნიემის მეფე* გარეკანის ვერბალურ და ვიზუალურ გაფორმებაზე (კვლავ გამომცემლობა Penguin Books, 1977). რომანის სიუჟეტური ხაზის წარმოდგენა მთავრდება ავტორის ოსტატობის შემფასებლური სიტყვებით – ეს მართლაცდა სოლ ბელოუა, რომელსაც მოსდევს სოლ ბელოუს ფოტო.

(15) How – in a fantastic ceremonial trial of strength – he rises to the rank of rain-maker to a primitive tribe and becomes right-hand man to a local chief is an extravagantly funny and wildly energetic story – Saul Bellow,

in fact.

ავტორის ფოტო

(გ) გარეკანის შუაში, უშუალოდ ტექსტის წინ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფოტო ასრულებს აგენსის ფუნქციას. აღნიშნულის ნიმუშს წარმოადგენს რაიდერ ჰაგარდის სათავგადასავლო რომანის *მეფე სოლომონის საგანძური* 1966 წლის გამოცემა, გამომცემლობა Pyramid Books. ავტორის ფოტოს შემდგომ განთავსებული ტექსტი იწყება შემდეგი წინადადებით: *Born in 1956, H.Rider Haggard went to Africa as a member of the staff of the governor of Natal when he was only nineteen.*

(დ) ავტორის დიდი ზომის ფოტო მოსდევს ტექსტს, რაც საშუალებას აძლევს ტექსტის შემქმნელს პირველივე წინადადება დაიწყოს მესამე პირის ნაცვალსახელით მხოლოდით რიცხვში, როგორც ეს დ. ლორენსის რომანის *ცისარტყელა* Penguin Books-ის 1978 წლის გამოცემაშია:

**His** study of a Midland family of farmers and the tides of passion and conflict within it.

ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ არ შეიძლება მხოლოდ გარეკანის უკანა მხარეს წარმოდგენილი ტექსტის ანალიზი ნიგნის ზოგადი დიზაინისაგან მოწყვეტით, ვინაიდან ეს ერთი მთლიანობაა და, ხშირად, გარეკანის უკანა მხარეს მოთავსებული

ინფორმაცია მჭიდრო კავშირშია წიგნის თავფურცელთან, თავფურცლის როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ ნაწილთან.

### კოდის ფაქტორი

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის ეს ტიპი ახლა იწყებს ჩამოყალიბებას საქართველოში, ჩვენთვის კარგად ცნობილი უახლესი სოციალურ-პოლიტიკური წარსულის გამო. სწორედ ამიტომ, მოპოვებულ ემპირიულ მასალაში ქართულ ნიმუშებს აკლიათ ის დახვეწილობა, მოქნილობა როგორც ვერბალური, ასევე გრაფიკული რეპრეზენტაციისას, რომელსაც ვხვდებით ინგლისურენოვან მასალაში. ასე, მაგალითად, „მისის დელოვის“ გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტის სისადავეც კი დრამატულად ჟღერს (1); აქ დრამატულობა მიიღწევა ისეთი სტილისტიკური ხერხების გამოყენებით, როგორცაა ჩამონათვალი და პარალელური კონსტრუქციები. აკა მორჩილადის წიგნის „ვეშაპი მადათოვზე“ გარეკანზე (9) წარმოდგენილი ტექსტის ორივე მონაკვეთი კი, როგორც ბიოგრაფიული, ასევე წიგნის შინაარსის წარმომდგენელი – „მშრალია“: ბიოგრაფიული ნაწილი ფაქტთა მშრალ ჩამონათვალს წარმოადგენს, წიგნის შინაარსის მომცველი მონაკვეთი კი „ამჟღავნებს“ მთავარ ინტრიგას, რომ ტრილოგიაში წარმოდგენილი ისტორია მხოლოდ XXI საუკუნეში შექმნილი ვირტუალური თამაშია. წიგნის გარეკანზე სიუჟეტის ასეთი წარმოდგენა ეწინააღმდეგება რეკლამის შექმნის პრინციპებს და ინტერესს უკარგავს წიგნის პოტენციურ მყიდველს/მკითხველს.

სტილისტიკის თვალსაზრისით ინგლისურენოვანი მასალა „გვაოცებს“ თავისი მრავალფეროვნებით: აქ დრამატულ სისადავეს ენაცვლება ვერბალური „ჩუქურთმებითა“ და თამამი მეტაფორებით შედგენილი ტექსტები. ქვემოთმოყვანილ მაგალითებში ვხვდებით აღმატებითი სემანტიკის ლექსიკურ ერთეულებს: rumbustious, vital, picaresque, magnificent, brashness, baleful (ხმაურიანი, ცოცხალი, პიკარესკული, ბრწყინვალე, სითამამე, მომაკვდინებელი); მხატვრულ შედარებას – სოლ ბელოუს გმირი ოგი მარჩი შედარებულია თანამედროვე კოლუმბს; გრაამ გრინის რომანის *ძალაუფლება და დიდება* წარმოდგენისას კი ვხვდებით ალუზიებსა და მეტაფორებს: არნივი – ქრისტეს სიმბოლო, *თანამედროვე ჯვარცმის ისტორია* – სახარების ალუზია; მომაკვდინებელი სვავი – ბოროტების სიმბოლო და ა.შ

(16) **Rumbustious, vital, picaresque**, Saul Bellow’s **magnificent** novel traces the progress of Augie as he discovers the world – and himself – with all the **brashness** and gusto of a **modern Columbus**.

Saul Bellow, *The Adventures of Augie March*, Penguin Books,

(17) **A baleful vulture of doom hovers over this modern crucifixion story**, but above the vulture **soars an eagle** – the inevitability of the Church’s triumph.

Graham Greene, *The Power and The Glory*, Penguin Books, 1982

თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ჟანრის სტილისტიკური მახასიათებლები ცალკე კვლევის საგანია.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში შევეცადე გამეანალიზებინა ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი რომანების გამოცემათა გარეკანის უკანა მხარეს წარმოდგენილ ტექსტთა ზოგადი დისკურსული მახასიათებლები; დამედგინა, თუ როგორია კონტექსტის მახასიათებელთა (ადრესანტი, ადრესატი, ტოპიკი, არხი, კოდი) ლინგვისტური (როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური) რეალიზაციის სპეციფიკა, რომელიც აღნიშნული ტიპის ტექსტებს გადააქცევს ჟანრად.

ნაშრომში: (ა) გამოვლენილ იქნა აღნიშნული ჟანრის განხილული ქვეტიპისთვის (რომანის გარეკანზე წარმოდგენილი ტექსტი) დამახასიათებელი ფრეიმული სტრუქტურები (5 ფრეიმული სტრუქტურა);

(ბ) გაანალიზებულ იქნა რომანის გარეკანის უკანა მხარის სემიოტიკური სივრცის ათვისების პრინციპები – როგორც ვერბალური, ასევე ვიზუალური (პუნქტუაციის გამოყენების სპეციფიკა, ავტორის ფოტოს განთავსება, აბზაცების გამოკვეთა).

(გ) წარმოდგენილ იქნა გარეკანის ტექსტის ზოგადი სტილისტიკური მახასიათებლები.

## ბიბლიოგრაფია

- Basturkman, H. A content analysis of ELT blurbs: reflections on theory-in-use. *Relc Journal*, Vol.30, NO, 1999, pp18-30, [rel.sagepub.com](http://rel.sagepub.com) (მოპოვებულ იქნა 2017 წლის 3 ოქტომბერს)
- Brown, G. & G.Yule. *Discourse Analysis*. Cambridge: CUP, 1983
- Burgess, F.G. *Burgess Unabridged*. Archon Books, Internet Archive, 1986 (მოპოვებულ იქნა 2017 წლის 12 სექტემბერს)
- Holsanova, J. Holmqvist, K., Rahm, H. Entry points and reading paths on newspaper spreads: comparing a semiotic analysis with eye-tracking measurements. *Visual Communication* 2006, 5; 65.  
<http://vcjsagepub.com/cgi/content/abstract/5/1/65/> (მოპოვებულ იქნა 2016 წლის 10 მაისს)
- Matthews, P.H. *Oxford Concise Dictionary of Linguistics*. Oxford : Oxford University Press. 2007
- Van Leeuwen, Th. Towards a semiotics of typography. *Information Design Journal + Document Design* 14 (2) 2006, John Benjamins Publishing Company, 2006. pp 139-159
- Verdonk, P. *Stylistics*. Oxford: Oxford University Press. 2007
- Майенова, М.Рю. Теория текста и традиционные проблемы поэтики. Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII, Москва: Прогресс. 1978

## ლექსიკონები

- American Heritage Dictionary of the English Language, 2016. Houghton Mifflin
- Cambridge International Dictionary of English, 1996. Cambridge: CUP
- Cassell Concise English Dictionary, 1992. Cassell
- Collins English Dictionary, 2014. HarperCollins Publishers Ltd
- Concise English Dictionary. Wordsworth Reference, 1994
- Longman Dictionary of English Language and Culture, 2005. Longman
- Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, 1978. A.S. Hornby, Oxford University Press
- Random House Webster's College Dictionary, 2010

## *NINO DARASELIA*

### **BLURB AS A DISCOURSE GENRE (on material from English and Georgian)**

#### **Summary**

The paper examines 100 English (British & American) and Georgian novel blurbs from the perspectives of discourse analysis (Brown & Yule 1983), socio-semiotics (Holsanova et al 2006; Van Leeuwen 2006) and stylistics (Verdonk 2007), viz.: the paper aims to:

- (a) reveal general discursual peculiarities of the novel blurbs under discussion (for the given purpose the empirical data have been analysed from the standpoint of Hymesean context features = addressor, addressee, topic, channel, code, purpose, key);
- (b) state recurrent frame structures evidenced in the given discourse subgenre;
- (c) explore general stylistic peculiarities typical of the English and Georgian novel blurbs in question;
- (d) analyse different ways the semiotic space is represented on the back covers of the novels under discussion: in this respect the following issues are examined: typographic peculiarities, specificity of punctuation usage,

graphical means of paragraph arrangement, the ways the author's photo is displayed on the semiotic space of novel blurbs.

The study has shown that, being one of the varieties of advertisement, novel blurbs are not homogeneous in character; there have been singled out 5 frame structures and consequently 5 subtypes of the subgenre in question, viz.: the blurb:

1. which is of hybrid nature combining the peculiarities of a book review and an advertisement; the given type is prevalent in the data and can be further subdivided;
2. mainly consisting of two or more excerpts taken from different reviews;
3. presenting the author's biography and brief evaluation of his/her work;
4. imitating the author's style;
5. compiled for a particular edition of a book, emphasizing the advantages of the edition in question.

All the 5 frame structures are evidenced in the English data, whereas in the Georgian data only types (1) and (3) are encountered.

The Georgian novel blurbs under discussion are more informative rather than persuasive, and stylistically and typographically plain. The English data reveals stylistic versatility ranging from dramatic plainness to metaphorically rich and flourishing style.

The observations have shown that on the back cover of a novel, as on a specific kind of semiotic space, meaning is created through the interplay of verbal and non-verbal means of expression; (a) in the English data such visual means as bold type, italics and capitalization serve to indicate the relevance of a particular piece of information.

(b) in English, as well as in Georgian novel blurbs, paragraphs are quite often separated by horizontal lines.

(c) in the English data the punctuation marks: a dash and dots are frequently used conveying the following meanings:

A dash is used with parenthetical clauses; precedes a relevant piece of information; indicates a suspense.

Dots are employed: to end an incompletely presented plot, thus intruiging a potential reader and stimulating him/her to buy the book; indicates a suspense in the narrative.

In the English data deviations from the norms of punctuation usage have been evidenced, e.g: omission of the Genitive case marker in the plural can be explained by the economy principle and redundancy factor ever active in language.

The usage of punctuation marks in the Georgian data follows the traditional rules typical of Standard Georgian.

Of particular interest are different ways the author's photo is presented on the back cover, these are:

1. top left corner, in the given case the photo serves as the topic to the comment whose function is performed by the text; the given distribution is mostly characteristic of the Georgian data.
2. in the top right corner the author's photo is the bearer of the new information, having the identifying function, all the verbal information on the left is attributed to the author.
3. in the left bottom corner the author's photo serves as the continuation of the preceding text.
4. in the middle of the cover a large photo of the author preceding or following the text serves as the agent.

*Hripsime Ramazyan*

**THE METAMORPHOSIS OF EUROPEAN IDENTITY  
OR DEMYTHOLOGISATION OF A CONSTRUCT**

Modern societies, formed primarily as multi-unit entities in ethnic, confessional, and cultural senses, face the problem of integrating communities of other cultures, thus offering and testing various integration models based on the specifics of particular EU countries. This process has complicated immeasurably due to the unprecedented inflows of migrants, who have headed to the European continent from the countries of the Middle East and Africa in recent years. Against this background, the debate on the possibilities of integrating new inflows of migrants and, correspondingly, the prospects for their adaptation in the social and political space of the host countries of the European Union has been actualised with a new vigour. Otherwise, there is a danger of rupture of the entrenched interconnections and solidarity of people in a unified political space within the European nation-states.

The process of integration is complicated by new trends in the globalising world, in particular, what Michel Foucault and Anthony Giddens called “decomposition of space and time” (Гидденс 2003: 217-235; Фуко 1999: 286-376). New foreign cultural models of the community, legal and religious models of migrants, often contradict the established social and cultural norms of the majority. As a result, the situation of “cultural incompatibility” arises, and “a certain disintegration potential” is activated.

Consequently, habitual identity in this or that socio-cultural space (determined by cultural and historical traditions, the established style and way of life, behavioural models of the representatives of the titular nation and other objective factors) undergoes transformation.

Under the influence of the other cultural identities, including ethnic, religious, and group identities, a new identity of the political community is shaped in the host society. At the same time, there is a tendency to unify the concept of identity. According to some analysts, “the national state, in its essence, has become a monopolist or, at least, a key player in the policy of identity formation. Different identities have not been eradicated within a state. They continued to exist latently, potentially preserving their political resource” (Тимофеев 2015: 2).

The difficulties in assimilating so quantitatively powerful and diverse (non-inscribed) migrants in the social landscape of European countries are largely due to both formal (level of education, as well as cultural styles and models of life) and civilizational characteristics. On the other hand, a lack of desire to be integrated in the community of European countries appears with a clearer insistence. Ethnic and religious communities in some countries persistently promote their traditional cultural values, symbols, rituals and norms, insisting on their legalisation and acceptance. The idea of the modern Canadian theoretician Charles Taylor is quite indicative in this respect. “Thoughts that a human being must suppress her own otherness in order to fit into the dominant majority, whose mode of life in a given society is recognised as the only normative, is gradually eroding. Feminists, cultural minorities, homosexuals, religious groups – they all insist that this dominant political principle should be adjusted in order to accept them, and not vice versa: they must adapt to the norms of the dominant culture” (Taylor 1999: 279).

Social practice confirms that the modern national state, generally, presumes the inclusion of not only its citizens, united by a common culture, historical roots, etc., but also people *living* in a national state as representatives of another culture and another historical memory. “The *Other* should in a specific – in fact, hierarchical – way be a part of *Its Own*. This preservation of *the Other* in *Its Own* is the principle on the basis of which national states are formed (Péter Niedermüller). They are not aimed at the absolute rejection of *the Other*, but at

its obvious displacement. To deepen this gap, the nation puts on the position a “heavy artillery”, like “culture”, “memory”, and “identity” (Файхтингер 2007: 33). According to researchers, the appeal to historical memory and identity, the accentuation of national culture not only does not contribute to the process of European integration, but rather deepens the split and disunity between European and non-European cultures, supporting nationalistic sentiments. The danger of the latter is becoming very visible for Europe today, as recent events in Poland show.

The approach, which recognizes that modern societies are no more considered as simply a product of history, seems more constructive. Modern societies assert their identity through the denial of the past. This new type of identity, based on “diversity”, on a distinct cultural orchestra, corresponds to a new type of nation; a multifaceted and changeable identity that is based on necessity and a new way of living together.

The process of formation of all-European consciousness also has a regional dimension. Citizens of Western European countries, identifying themselves as Europeans, do not consider citizens of new, Eastern European countries, as such. Generally, the former ones relate the notion of “Europeanness” to the basic European values, such as freedom, the rule of law, democracy, human rights, whereas in the new countries of Eastern Europe and the Baltic States, values are reassessed, together with actualisation of the ideas of sovereignty, national culture, and national revival. Meanwhile, for the core countries of the EU, the countries of “Old Europe” this process took place centuries ago.

As part of the development of integration processes, the EU policy, on the one hand, is aimed at building citizens’ supranational all-European identity. In parallel to this, the policy of adaptation of migrants “is carried out exclusively within the framework of their inclusion in the national context. That is, while the Frenchmen were taught that they are Europeans, migrants from the Maghreb countries were taught that they are Frenchmen” (Казаринова 2014: 44). Under the increasing activity of other cultural communities, which oppose their basic values to the European ones, there are growing tendencies of internal fragmentation, disunity of societies of European countries, and increasing social tension.

It should be noted that the decisive role in changing the vector of such disintegration tendencies, the deepening of which creates a conflict situation, is assigned to social institutions and among them, especially to the education system.

The notion of European identity, even with its all amorphousness and uncertainty, is a very “mobile” construct, which includes a number of components, such as regional, national, etc. “The identities, however, are understood not as deeply rooted notions: they are rather “unstable identification points”, joints or knots formed within a ramified discourse, in a dialogical connection between similarity and difference within a specific correlation of forces” (Файхтингер 2007: 34). Identity is no longer seen as a once and for all immanent entity, an inalienable attribute of an individual or group: “The ontological, essentialist understanding of identity, where the preference is given to permanence, stability, and sustainability, has left its place to existentialist and nominalist understanding, accentuating attention to its mobility, variability, and dynamism” (Филиппова 2010: 18). However, the attitude of Europeans to national identity, compared to the notion of European identity, as studies show, continues to noticeably dominate in the minds and perceptions of citizens of the EU countries. These studies confirm that “the historical and national specifics of the EU member states are so “overlapping” the centripetal craving for all-European self-awareness that it is impossible to speak of its existence as of a developed phenomenon...” (Хахалкина 2014: 56). At the same time, the results of the Eurobarometer research, aimed at identifying the empathy of citizens of European countries with Europe, do not show any positive dynamics. Thus, the results of Brexit evidenced that Britain has remained for three decades consistently “deaf” to the efforts of the European Commission to form an identity. After the UK, Greece is leading among other “Euro-sceptic” countries and, as the 2013 European Commission report suggests, similar scepticism is relevant for the Republic of Ireland, the Republic of Cyprus, Estonia, Bulgaria, and the Czech Republic (Eurobarometer 2013). And if the general situation, reflected in the Eurobarometer data, inspires optimism – that is, more than two thirds of the population of the EU countries feel belonging to the European and national consciousness, the remaining less than one third of the EU population, however, does not allow us to speak about the formation of the European identity.



The EU citizens consider more the European Union primarily as a single political space. In favour of this is the evidence of the expansion trend of the European Union to the East. Hence, political identity is quite justifiably assumed under the concept of “European identity”, which quite organically fits into the context of modern European realities.

In contemporary world with all its global challenges, “The ship of the European integration sails into the open sea under a transnational flag”. And to overcome the ethnocentrism, inherent in some European historiographers, it is important to remember that “there is no Europe without *non-Europe*” (Файхтингер 2007: 35).

The search for identity, which presumes “reconstruction of historical memory, national roots, and cultural origins, makes the task of building a New Europe, the formation of all-European collective consciousness even harder, simultaneously making the revival of nationalism in European countries real and dangerous”. The foundation of identity does not need a national corset. While the main actors in the process of building a new Europe will not be substantially separated from the methodical nationalism, formed in the 19<sup>th</sup> century, the constructing logic of the national principle will be favourably heard in Europe. To eliminate this danger, it is necessary to create a series of analytical “memory projects”, the purpose of which will not be the “excavation of roots” (Файхтингер 2007: 37). The destructiveness of this approach is obvious, as it is equally obvious that “the most abundant and instructive places of excavations are concentrated, perhaps least of all, in traditional national states within the European Union, but rather in places that have been long perceived as points of intersection of cultures, where the East and West, Christianity, Islam, and Judaism have been colliding...” (Файхтингер 2007: 37). Thus, today when about a quarter of the population of the most developed countries of Europe is of immigrant origin (Triandafyllidou 2011), the formation of the European identity based on the principles of European exclusivity (which presumes cultural traditions, symbols, and historical memory) is futile. Today, the European Union is facing the most serious challenges, such as migration, separatism and, as a result, the revival of nationalistic sentiments. It seems much more constructive for the EU integration policy to understand that the existing differences, cultural and ethnic, constitute an integral part of the emerging new European identity. And if one ignores transnational tendencies in the modern rapidly changing world, and continues to search for “landscapes of memories”, constantly appealing to them as to something unchanging and determinant, the revival of nationalism in certain European countries threatens to unexpectedly turn into a whole European chorus.

History has the property of repeating itself.

## Bibliography

- Гидденс, Э. Устранение общества. М.: Академический проект, 2003
- Казаринова, Д.Б. “Европейское гражданство и культурное разнообразие в Европе: Проблемы соотношения”. Человек. Сообщество. Управление. № 3, 2014
- Тимофеев, И. “Проблемы страновой идентичности в зарубежной политологии”. Международные Процессы. Том 13. № 1, 2015
- Файхтингер, Й. “По ту сторону методического национализма. Перспективы памяти и идентичности в Европе”. Вопросы философии. № 9, 2007
- Филиппова, Е. Территории коллективной идентичности в современном французском дискурсе. М. 2010
- Фуко, М. Надзирать и наказывать. Рождение тюрьмы. М.: AdMarginem, 1999
- Хахалкина, Е.В. “Европейский Союз, Великобритания и проблемы общеевропейской идентичности”. Сибирские исторические исследования. №1, 2014
- Eurobarometer, (EB 79.5) European Parliament. “One Year to Go until the 2014 European Elections”. Analytical overview. Brussels, 21 August 2013
- Taylor, Ch. Democratic Exclusion (and its Remedies?). McGill: Queen's University Press, 1999
- Triandafyllidou, A. Schiffauer W., Olsen T.V. Tolerance and Cultural Diversity in Europe: Theoretical Perspectives and Contemporary Developments. 2011 <https://www.eui.eu/Documents/RSCAS/Research/MWG/201011/05-11-Triandafyllidou.pdf>

*ზაქარია ჯორჯაძე*

**კინემატოგრაფის გავლენა საზოგადოების ანტირელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე**

სამეფო დინასტიის გაუქმების შემდეგ, რუსეთის თვითმპყრობელობის ამოცანა იყო საქართველოს ეკლესიის დაკნინება-დაპყრობა, რადგან ეკლესია ინარჩუნებდა უფლებას, პატივსა და ღირსებას ერის მთლიანობისა. ვინაიდან ქვეყანას აღარ ჰყავდა მონარქი, ამიტომ ბრძოლა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ გრძელდებოდა ათწლეულების განმავლობაში. ახლად შექმნილმა კომუნისტურმა რეჟიმმა ბრძოლის ტრადიცია უფრო დაუნდობელი და სასტიკი მეთოდებით განაგრძო. „ცარისტულმა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქართველი სამეფო დინასტია დააპატიმრა და რუსეთში გადაასახლა, საქართველოს სამეფო გააუქმა და იგი ორ გუბერნიად – თბილისისა და ქუთაისის – აქცია, ქართული ეკლესია მოსპო, ქართული წირვა-ლოცვა აკრძალა და რუსული დაამკვიდრა, ქართული ენა განდევნა სასწავლებლიდან. ამ მწარე სინამდვილემაც ვერ გამოაფხიზლა ქართველი მარქსისტები. ლენინის მსასოებელმა ქართველმა კომუნისტებმა საქართველოს ცარისტული დესპოტიზმის უღელი კომუნისტური დესპოტიზმის უღლით შეუცვალეს“ (ზაქარაძე 1990: 218).

სოციალ-დემოკრატების ლიდერის, ნოე ჟორდანიას ბავშვობისდროინდელი ფრაზით – „ბაღნებო, თქვენ იცით, რომ ღმერთი არ არსებობს?“ (ჟორდანიას 1989: 18) – თითქოს დაინყო რელიგიის წინააღმდეგ კიდევ ერთი შეტევა ანტირელიგიური პარტიული კოალიციისა, დაუნდობელი, უშელავათო, გამიზნული მასების ზომბირებაზე მხოლოდ ერთი მიმართულებით – მარქსიზმის იდეისკენ. გაჩნდა სწრაფვა ახალი საზოგადოების შექმნისა, რომელიც უღმერთოდ იარსებებდა და იცხოვრებდა, ხოლო საზოგადოებრივი ინტერესები და მოთხოვნები კლასობრივი ინტერესების სამსახურში ჩადგებოდა. ქვეყანაში „კომუნისტურ კერპთა პანთეონი“ ინერგებოდა, თანდათან ძალას იკრებდა, ახალი იდეებითა და შეხედულებებით უხეშად და ტლანქად იჭრებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იდეური ფეტიში, იყენებდა რა უძველესი წარსულის გამოცდილებას, თავის შეხედულებებს ავრცელებდა ყველაფერზე – პოლიტიკაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, „ძველის სიბნელებზე“ და „ახლის ნათელზე“. ახალი დროის „ქურუმები“ და „მოგვები“ იყენებდნენ ძველ, ნაცად მეთოდებს, სტილიზებულს, სისასტიკის ნიშნით გამორჩეულს.

საბჭოთა არეალში მცხოვრები ადამიანები თანდათან ექცეოდნენ იმ ძალით შემოჭრილ სტიქიაში, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში „წითელი ჭირი“ ეწოდებოდა, რომელიც ვრცელდებოდა, ედებოდა სივრცეებსა და ტერიტორიებს, ამკვიდრებდა „ავადმყოფობის“ უტყუარ ნიშნებს და თავზარს სცემდა მილიონობით ადამიანს. შეუცნობელი უკეთურება ხდებოდა ნაცნობი და გასაგები, პირველხანური დაბნეულობა ქარწყლდებოდა და გარდუვალი ახალი ყოფა მკვიდრდებოდა მთელი თავისი სისასტიკით, სიმკაცრით, ახალი კანონებითა და დადგენილებებით. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლატენტური ინერცია მკაფიო ხდებოდა, აფართოებდა გავრცელების არეალს, იზრდებოდა მასშტაბით და, როგორც გამძვინვარებული სტიქიონი, თავის საზარელ სახეს აჩენდა. როგორი იქნებოდა ეს კატაკლიზმები იმ ადამიანებისთვის, ვინც დახვდებოდა ძველი შეხედულებებით, წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით თუ ახალი იდეებით, აღტაცებით, მოლოდინებით? – ამ გრადაციების წინაშე იდგა ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალი ხალხი თუ ტომი და ემზადებოდა „ახალ გრიგალთან“ შესახვედრად. სამყარო შედიოდა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და, რაც ყველაზე საშიშია, ზნეობრივი ღირებულებების კრიზისის პერიოდში, რაც აღემატებოდა დედამიწაზე მანამდე არსებულსა და გადატანის. იქმნებოდა ახალი პოლიტიკური წყობის აბსტაქცია – „ჩვენ შევძლებთ მოვირჩინოთ ყველა რევოლუციური ჭრილობა, დავინყოთ ახალი ფურცელი ჩვენი სამშობლოს ისტორიისა“ (Поск 1926).

ახალ ნყოფასა და პოლიტიკას ახალი ადამიანი სჭირდებოდა, ამიტომ „ცოცხალმა კერპებმა“ დაიწყეს ამ ადამიანის შექმნა. ბიბლია გვასწავლის, რომ ღმერთმა ადამიანი მიწისგან შექმნა, „ახალმა ღმერთებმა“ რისგან უნდა შექმნან? მათ ადამიანთა გონება უნდა გადაამუშავონ, მრწამსი შეუცვალონ, ახალი ხედვა ჩამოუყალიბონ – ეს იქნება „ახალი ადამიანის დაბადება“, რაც პროლეტარული ჰიმნის, „ინტერნაციონალის“ სიტყვებშია: „ჩვენ ახალ სამყაროს ავაშენებთ, ვინც არაფერი იყო, გახდება ყველაფერი“ (თარგმნ. – ზ.ჯ.) (–„მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ამენ, ამენ გეტყვი შენ: უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ხელენიფების ხილვად სასუფეველი ცათად“. იოანე 3.3) (ახალი აღთქუმად 1995: 172). „ახალი ადამიანის“ ცნება ყველა რევოლუციის თანამდეგია, არც „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“ იყო გამონაკლისი. ძველის დაგმობა, განადგურება და ახლის ხოტბა-დიდება რევოლუციური განწყობის აუცილებელი პათოსი გახდა და ეს პათოსი ხელოვნების ყველა დარგზე აისახა.

„ახალ ცხოვრების ამ აშენებას ძმური სალამი ჩემი გვიანი,

ახალ ცხოვრების მშვენიერებას შვენის ახალი ადამიანი“.

(ტაბიძე 1928)

სისტემა აყალიბებდა ონტოლოგიურ სტერეოტიპს – Homo Sovieticus – ერთნაირი აზროვნების სტანდარტით, ქცევის ნესებით, მანერებით, რიტორიკით, ჩაცმულობითაც კი. დაპირებები იყო ცნობილ კომუნისტურ სტილში: „პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს“.<sup>1</sup> ფანტასმაგორიული დაპირება, საზეიმო ფიცით განმტკიცებული, საბჭოთა სივრცეში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს აპრიორი უკრძალავდა სანინალმდეგოს გაფიქრებასაც კი. „...ისიც კარგად და მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მკაფიოდ გვითხრეს – უკვე ჩამოყალიბდა ერთიანი საბჭოთა ხალხი...“ (ბაქრაძე 1990: 7). ბოლშევიკებმა მიმართვა „ამხანაგი“ შემოიღეს. ეს იყო ეგალიტარული სტილი, ნასესხები საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან ტრადიციული „ბატონოს“ და „ქალბატონოს“ ნაცვლად, მიმართვის უნიფიცირებული ფორმა – გამარტივებული და პროლეტარული, უბრალო და გასაგები. მღვდელსაც ასე მიმართავდნენ – „ამხანაგო მღვდელო“ ან „ეკლესიის მსახურო“; იყენებდნენ სიტყვა „მოქალაქესაც“, მას სხვა დანიშნულება ჰქონდა, თუმცა უხსოვარი დროიდან იხმარებოდა („პავლე მოციქული რომის მოქალაქე იყო“. ებრ. 8. 11) (ახალი აღთქუმად: 1995). საბჭოთა მოქალაქე, საბჭოთა ქვეყნის მშრომელი განსაკუთრებული სოციალურ-ფსიქოლოგიური სუბიექტი იყო, რადგან რეჟიმი ითხოვდა, რომ მოქალაქე, ამხანაგი ყოფილიყო არა გამიჯნული, თავისთავადი, არამედ მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებასთან ერთად მყოფი, ერთად მებრძოლი, ერთად პასუხისმგებელი. ამას ადასტურებს ერთ-ერთი საბჭოთა პოლიტიკური ლიდერის, ნ.ბუხარინის<sup>2</sup> ცნობილი ფრაზა: „მე არ შემიძლია მართალი ვიყო ინდივიდუალურად, მე შემიძლია მართალი ვიყო მხოლოდ პარტიასთან ერთად“ (Бухарин 1919: 38). ეს აბსურდული, გაუგებარი თეზა, როგორც მორალური დირექტივა, იმპერატივი და სავალდებულო ხდებოდა იმ დროს ყველასთვის. „...უბრალოდ, შევადაროთ ერთმანეთს „თავისუფალი“ მოქალაქის მდგომარეობა ცარიზმისა და სოციალიზმის დროს და ცხადად დავინახავთ – რაოდენ უუფლებო, დამონებული და დაჩაგრულია საბჭოელი ადამიანი. ცარიზმს აზროვნება არ აუკრძალავს, კომუნისტებმა კი, აკრძალეს იგი“ (ბაქრაძე 1990: 2016).

მარქსისტული „კომუნიზმის აჩრდილი“ საქართველოშიც მოქმედებდა. ეკლესიების ნგრევით ქართველი მარქსისტები ტოლს არ უდებდნენ „დიდი ძმის“ – რუსეთის თანაპარტიელებს გულმოდგინებაში. იქ, სადაც განვითარდა და მოხდა რევოლუცია, თანამდევი მოვლენა გახდა ათეიზმი.

<sup>1</sup> სკკპ XXII ყრილობის მასალები. თბილისი. 1961, გვ. 157

<sup>2</sup> ნიკოლაი ბუხარინი (1888-1938) - რუსი რევოლუციონერი, პოლიტიკური, სახელმწიფო და პარტიული მუშაკი

„რელიგია არის სულიერი ჩაგვრის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ყველგან თრგუნავს სახალხო მასებს, სხვებისთვის მუდმივი შრომით გასრესილს, განწირულს უპოვრობისა და მარტოობის-თვის“ – ნერდა ლენინი (Ленин 1967: 317). მასების დამუხტვა, მასების გაჯერება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, ცხოვრება ღმერთის გარეშე – ჩანაცვლებული ახალი თაობის „ზეკაცე-ბით“ („Super Homo“) – ეს იყო „დიადი“ მომავლის სანინდარი. „რელიგია იცნობს სამოთხის მცნე-ბას. მარქსიზმ-ლენინიზმი სამოთხეს კომუნიზმით ცვლის. როგორც სამოთხეში, ისე კომუნიზმში სუფევს სრული ჰარმონია, აღკვეთილია ბოროტი და მხოლოდ კეთილი დღესასწაულობს. თუ სამოთხის კარი მართლმორწმუნეთათვის არის ღია, კომუნიზმში შევა ის, ვისაც უყოყმანოდ სჯერა მარქსის, ენგელსის, ლენინის და სკკპ-ს ცოცხალი გენერალური მდივნის (თუ გენერალური მდივანი მკვდარია ან მოხსნილია, მისი აღარც უნდა გვჯეროდეს და აღარც უნდა გვახსოვდეს). სამოთხესა და კომუნიზმს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სამოთხეში მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ შეიძლება მოხვდეს მართლმორწმუნე, კომუნიზმში კი, ცოცხალი ადამი-ანები შევლენ, ოღონდ როდის – ეს ჯერ დაზუსტებული არ არის. რელიგია ყოველი მორწმუნი-საგან ითხოვს აღსარებას. მორწმუნემ გულღიად უნდა გაანდოს კულტის მსახურს ფიქრი, გან-ცდა, ჩადენილი საქციელი. ...აღსარების ნაცვლად კომუნისტებს აქვთ თვითკრიტიკა. თვითკრი-ტიკის დროს ყოველმა მოქალაქემ კომპარტიის წინაშე უნდა აღიაროს ყველა შეცდომა, დანაშა-ული, ცოდვა, ამით იგი დაიმსახურებს კომპარტიის კეთილგანწყობას და მონაწილეს პარტია დიდსულოვნად შეუნდობს“ (ბაქრაძე 1990: 95). რუსი ფილოსოფოსი ნ.ბერდიაევი ნერდა: „ტოტა-ლიტარულ სახელმწიფოს უნდა, რომ თვითონ იყოს ეკლესია, მოახდინოს ადამიანთა სულების ორგანიზება, მბრძანებლობდეს ამ სულებზე, ადამიანთა სინდისზე და აზროვნებაზე და არ და-ტოვოს ადგილი თავისუფალი სულისთვის“ (Бердиаев 1939: 125).

შეიქმნა საგანგებო „მებრძოლ ათეისტთა საბჭო“, რომელიც სათავეში ედგა ანტირელიგიურ პროპაგანდას. არაერთი უძველესი სალოცავი, საკათედრო ტაძარი, ეკლესია, მონასტერი, ქართ-ველთა სათაყვანებელი საგანე შეენირა ქართველ მარქსისტთა პარტიულ გაშმაგებას. ეკლესიების დარბევამ და ძარცვამ, ხატების განადგურებამ, საეკლესიო განძის რეკვიზიციამ და რუსეთში გადასადნობად გაგზავნამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ცნობილი ფაქტია, როცა კომკავშირლები, მოჯაკავშირის (მოჯამაგირეთა კავშირი) აქტივისტები და სხვა მოხალისეები შეიჭრნენ ნიკორწმი-ნდის ტაძარში, დაწვეს ხატები და წმინდანთა წმინდა ნაწილები. საბჭოთა ათეისტებმა ტაძრები-დან სასულიერო პირები გამოყარეს, დასცინოდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ, სცემდნენ, აწამებდნენ, უმრავლესობა გადაასახლეს და დახვრიტეს. გადარჩენილი ტაძრების უმეტესობა დახურეს ან სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებად (სანყოფებად, სახალხო კლუბებად, აბანოდ, მორგად და სხვ.) გადააკეთეს. მოგვიანებით მიხვდნენ, რომ იდეოლოგიას სჭირდებოდა კულტუ-რული სეგმენტიც და გადარჩენილი ეკლესიები კულტურის ძეგლებად „მონათლეს“, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მისცეს. ბიბლია, სახარება პირდაპირ არ სახელდებოდა, არამედ, როგორც ისტორიული წყაროები, დოკუმენტები, ანალები (მაგ. „ძველი აღთქმა“ „მცხე-თური ხელნაწერის“ დასათაურებით დაიბეჭდა). ასე გადარჩინა კულტურის საფარველმა ბევრი მნიშვნელოვანი ტაძარი დანგრევას.

„დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია“ (მარქსი 1954: 36). ფრანგული რევოლუციის ანალებიდან: „ხელოვნება, თავისი სხვადასხვა დარ-გით, განსაკუთრებით თეატრით, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მთელი თავისი შემარ-თებით, გამაფრებით, მრისხანებითა და ბოხოქრობით გადაეშვა კლასობრივი ბრძოლის სტიქი-აში. ორ მტრულ ბანაკად გაყოფილი საზოგადოების გამო ხელოვნებაც მათთან ერთად იბრძოდა, იტანჯებოდა, ზეიმობდა. კლასობრივ ბრძოლაში ხელოვნება მძლავრი იარაღია კლასობრივი სა-ზოგადოებისა“ (Пельше 1919: 51).

„თუ სოციალიზმის დასამყარებლად საჭიროა კულტურის გარკვეული დონე (თუმცა არავის შეუძლია თქვას, როგორია ეს განსაზღვრული „კულტურული დონე“, ვინაიდან ის სხვადასხვა და-

სავლეთევროპულ სახელმწიფოში განსხვავებულია), მაშინ ჩვენ რატომ არ შეგვიძლია დავინყოთ იმით, რომ ჯერ რევოლუციური გზით დავიმკვიდროთ წინაპირობა ამ განსაზღვრული კულტურული დონისა, ხოლო შემდეგ უკვე მუშურ-გლეხური ხელისუფლებითა და საბჭოთა წყობილებით ვიაროთ წინ, რათა დავენიოთ სხვა ერებს“ (Ленин 1980: 38)

„...საბჭოური ლიტერატურის თეორია, სკკპ-ის დაყენებული მოთხოვნით, ამტკიცებს, რომ სიტყვაკაზმული მწერლობა და ხელოვნება არის პარტიული და კლასობრივი. მას ლიტერატურისა და ხელოვნების ლენინურ პრინციპს ეძახიან, რადგან ეს საკითხი დასმულია ლენინის სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ (ბაქრაძე 1990: 3). „პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაცია და რიგების გამუშურება ჩვენი გენიალური ლოზუნგია, დამკვრელ მუშათა ბირთვის ზრდა – ამოცანათა ამოცანა... ამ მიზნითაა წამოწყებული დამკვრელი მუშების განვევა პროლეტარულ ლიტერატურაში“ (ლუარსამიძე 1931: 12). ბოლშევიკური პერიოდის მწერლობის დიდი ნაწილი ადასტურებს, თუ რა გავლენას ახდენდა რევოლუციის „მეცხრე ტალღა“ ნიჭიერ მწერალზე, შემოქმედზე, როგორ ძალადობდა მის ტალანტზე და აქცევდა თავის მარწუხებში. მწერალი ხომ მასებთან მოლაპარაკე ადამიანია და მისი სიტყვა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისტულ ნაზავში უნდა ყოფილიყო „ამოვლებული“. მასებს უნდა ესმინათ მწერლებისთვის, რომლებსაც სტალინმა „სულის ინჟინრები“ უწოდა, თუმცა ეს მისი ინოვაციური ფრაზა არ იყო (სტალინი არ მალავდა, რომ ამ განსაზღვრებას იგი რუს მწერალ იური ოლემას<sup>1</sup> დაესესხა).<sup>2</sup> ბევრად ადრე კი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველმა<sup>3</sup> „ადამიანების სულების დიდი მშენებელი“ წმ. ათანასე ალექსანდრიელს<sup>4</sup> უწოდა. „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან დაიწყო ქართული ლიტერატურის რიგების შეცვლა“ – წერდა ტიცინან ტაბიძე (ტაბიძე 1966: 5). პოეტი „ახალი ადამიანი“ უნდა გამხდარიყო და თავისი შემოქმედებით, თავისი ტალანტით ახალი, საბჭოთა იდეების „მშრომელ მასებში“ გამავრცელებლისა და ჩამწერგავის მისია უნდა ეკისრა. მისი პოეზია, მისი ავტორიტეტი დამარწმუნებელი, დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო, რომ არავითარი ეჭვი, უნდობლობა, არავითარი სინანული წარსულისადმი არავის გასჩენოდა. რევოლუციური ანმყო იყო გარანტი დიადი მომავლისა. ვისაც არ სჯერა ან ეჭვი ეპარება, ის მტერია და მას მკაცრად უნდა მოეკითხოს – ასეთია მიდგომა და დადგენილება. „პროლეტარული მწერლობის გაბატონება კი, ნიშნავდა ლიტერატურასა და ცხოვრებაში იმ „ახალი ადამიანის“ პარპაშს...“ (ბაქრაძე 1990: 178).

გამოჩენილი ქართველი მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები ცდილობდნენ ხარკი გადაეხადათ ახალი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, დაემტკიცებინათ თავიანთი ერთგულება, ახალი წარმოებები – „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“ – მიეძღვნათ „დიადი სოციალიზმის“ მშენებლებისთვის. აფირმაცია ახალი ხელისუფლების ერთგულებისა, მოლოდინი ახლისა, გარდაქმნისა, შეცვლისა იყო გულწრფელი თუ იყო ზაფრი, შიში ხელოვანის და მისი ახლობლების დაჭერა-განადგურებისა და ამის გამო საკუთარი ტალანტის ღალატისა? – ეს კითხვები ისმოდა მაშინაც და ახლაც, დღევანდელი გადმოსახედიდან და ალბათ დროა პირუთვნელად შეფასდეს. „ხელოვანი, უნდა თუარა მას ეს, ცდილობს თუ არა ამას, მაინც ან იდეოლოგია ან პროპაგანდისტი“ (ბაქრაძე 1989: 63).

„პროლეტარული მწერლობა მუშათა კლასის მომავალი ლიტერატურაა, რომელიც უნდა გაბატონდეს სავსებით და მთლიანად“ (მუშიშვილი 1928). „ისევე, როგორც ქრისტიანულ მწერლობას, კომუნისტურ ლიტერატურასაც აქვს თავისი აგიოგრაფიული ჟანრი. ამ ჟანრს ეკუთვნის ლენინიადა, სტალინიადა, ძერჟინსკიადა (განსაკუთრებით კინოში), ხრუშჩოვიადა, ბრეჟნევიადა...

<sup>1</sup> რუსი საბჭოთა მწერალი. 1899-1960 წწ.

<sup>2</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. თბილისი. 2015. N238

<sup>3</sup> კონსტანტინეპოლის პატრიარქი 378-381 წწ.

<sup>4</sup> ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი 325-373 წწ.

კომუნისტი „წმინდანის“ ისევეა უდრეკი, უშიშარი, უცდომელი, რწმენისათვის თავდადებული და გაუტეხელი, ერთგული, ყოველგვარი ტანჯვა-წამების გადამტანი, როგორც ქრისტიანი წმინდანი. როგორც ქრისტესთვის სიკვდილი იყო უდიდესი ბედნიერება და ნეტარება, ასევეა მარქსიზმ-ლენინიზმისთვის სიკვდილი უდიდესი ბედნიერება. მორწმუნე მადლობას სწირავს ღმერთს მზრუნველობისა, მფარველობისა და მოწყალებისათვის, სსრკ-ში კი, ამგვარი მადლობა კომპარტიას უნდა უთხრა. ... ყველაფრისათვის (შიმშილისათვისაც კი, ციხეში ჩასმისათვისაც კი) კომპარტიას უნდა გადაუხადო მადლობა“ (ბაქრაძე 1990: 96).

მწერლობა აუცილებელი საფუძველია იმ ლიტერატურულ-დრამატურგიული პროდუქტისა, რასაც კინოსცენარი ეწოდება, ამიტომ ეს პროდუქტიც აუცილებლად საბჭოთა-პროლეტარული ჩამოსხმისა უნდა ყოფილიყო. საბჭოთა მწერლობა უნდა ჩაბმულიყო „საბჭოთა კინოს“ შექმნის „დიალ“ და საპასუხისმგებლო საქმეში, რადგან ახალგაზრდა საბჭოეთის ცხოვრება და აღმშენებლობითი წარმატებები უსათუოდ უნდა ასახულიყო „ახალ“ კინემატოგრაფში – მხატვრულშიც და დოკუმენტურშიც. რადგან კინოსცენარი მიჩნეულია ლიტერატურის, დრამატურგიის ერთგვარ ფორმად, ამიტომ ისიც იმავე ლენინურ პრინციპს უნდა დამორჩილებოდა, ხოლო კინოფილმი, რომელიც უკვე მასების ვიზუალური აღქმის ობიექტი იყო, მთლიანად ამ პრინციპით უნდა ყოფილიყო განმსჭვალული. საბჭოური ეტატიზმი არსებობისა და ცნობიერების ყველა სფეროში იყო გამჯდარი, ხოლო კინო იყო მძლავრი ინსტრუმენტი მასების ცნობიერებაზე განსაკუთრებული შეტევისათვის. ხელოვნების ყველა დარგი, მათ შორის კინემატოგრაფიც, უკვე აღარ იყო უბრალოდ ხელოვნების დარგი, არამედ იგი გახდა ახალი, რევოლუციური; გაჩნდა რევოლუციური პოეზია, რევოლუციური მწერლობა, მხატვრობა, კინო, მუსიკა და ა.შ. ხელოვნების ამ დარგებს ევალეზობდათ ახალი ქვეყნის ახალი მოქალაქეების აღზრდა და განვითარება სოციალისტური პრინციპებით, ძველი თაობის მოქალაქეები კი, უნდა გარდაქმნილიყვნენ, გადასხვაფერებულიყვნენ რევოლუციურ-პარტიული კონიუნქტურის შესაბამისად – წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ადგილი ახალ, კომუნისტურ საზოგადოებაში აღარ იქნებოდა.

ქართველი საბჭოთა მწერლები და დრამატურგები თავიანთ ნაწარმოებებში ასახავდნენ ახალი თაობის გმირებს, რომელთა ეკრანებზე გაცოცხლებული სახეები შთააგონებდნენ და მაგალითს აძლევდნენ ასიათასობით საბჭოთა მოქალაქეს, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ, როგორ ეშრომათ, როგორ ეფიქრათ, როგორ ჰყვარებოდათ, რისი რწმენა და იმედი უნდა ჰქონოდათ. კინოფილმი არ იყო მხოლოდ კინემატოგრაფიული ფაქტი, არამედ ის იყო საბჭოთა იდეოლოგიის გამავრცელებელი, პროპაგანდისტი, მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღმზრდელი, გეზის მიმცემი, რადგან მაყურებელმა ქვეცნობიერად იცოდა, რომ ამ ფილმის უკან იდგა „დიადი ქვეყნის დიადი პარტია“, მესაჭე, წინამძღოლი და, რომ ეს ფილმი, კინონაწარმოები თავისი პათოსით იყო მისი სიტყვა, მისი მოწოდება, მისი დარიგება, მისი მითითება გაცოცხლებული მოძრავი სურათების სახით. გარეგნულად ეს ფილმები ჩვეულებრივი, ტრადიციული კინემატოგრაფიული ფორმის იყო, მსგავსი საზღვარგარეთული კინოსი (ხშირ შემთხვევაში მიმბაძველი) – კომედიური, დრამატული, ტრაგიკული, ფსიქოლოგიური, ისტორიული, მაგრამ შინაარსით პროგრამულ ვიზუალურ ენციკლიკას, დებულებას წარმოადგენდა ყველა საბჭოთა მოქალაქის მიმართ, თუ რა გზით უნდა ევლოთ „დიადი კომუნისტების გამარჯვებამდე“.

„...შემოქმედებითი თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, ორ აუცილებელ კომპონენტს გულისხმობს. პირველი – მწერალს (საერთოდ, ხელოვანს) უნდა ჰქონდეს კონცეფცია და მეორე – ზნეობრივი პასუხისმგებლობა. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი უარყოფს ორივე კომპონენტს და, ამდენად, შემოქმედებით თავისუფლებასაც...“ (ბაქრაძე 1990: 31). ამ ორი კომპონენტის აუცილებლობა კინემატოგრაფზეც ვრცელდება. ყველაზე მასობრივი ხელოვნება – კინო – მოწოდების სიმაღლეზე უნდა ყოფილიყო ე.წ. „შემოქმედებითი ზნეობრიობის გამო“, მაგრამ მას, როგორც ყველაზე მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს ხელოვნების დარგებს შორის, პარტიულობის პრინციპი გაცილებით მეტ ვალდებულებას აკისრებდა. საბჭოთა ქვეყანაში გავრცელებული „ლენინიადა“, „სტალინიადა“, „ბერიადა“ და სხვა „ბელადიადები“ ამ კინემატოგრაფში უხვად აისა-

ხებოდა. ყოველდღიურად ხდებოდა მასობრივი „ბომბარდირება“ საბჭოთა ადამიანის ფსიქიკისა იმდენად, რომ მის ცნობიერებაში მყარად ჩაბეჭდილიყო და არასდროს ამოშლილიყო საბჭოთა ქიმიერის კვალი. საბჭოური ატავიზმის ნიშანი თაობებს უნდა გადასცემოდა, ამიტომ კინემატოგრაფი არათუ ფეხდაფეხ მისდევდა, არამედ ასწრებდა კიდევ მაშინდელ საბჭოთა ქართულ ლიტერატურას პანეგირიკაში.

რუსი საბჭოთა რეჟისორი ე. დზიგანი<sup>1</sup> წერს: „უკლებლივ ყველა თვალსაჩინო ნაწარმოები საბჭოთა კინემატოგრაფისა, რომელთაც მოიპოვეს მილიონობით მაყურებლის მხურვალე სიყვარული, ყოველთვის იყო გამორჩეული იდეური სულისკვეთებით, პარტიულობით, ჰეროიკითა და პათოსით სახალხო ბრძოლისა, თემატიკის მასშტაბურობით, შემოქმედებითი სრულყოფილებით. მათში აისახებოდა ხალხის ცხოვრება თავისი სიხარულითა და გაჭირვებით, დაუღლეი, შეურიგებელი ბრძოლით რევოლუციისათვის, სოციალისტური მშენებლობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. სწორედ ამან გახადა საბჭოთა კინემატოგრაფი ნოვატორული – ამ სიტყვის მაღალი გაგებით, და რევოლუციური, მისცა მას საშუალება შეექმნა ახალი ეპოქა კინოხელოვნებაში. ...ყველა ეს ფილმი, სხვადასხვა მხატვრული გადაწყვეტით, წარმოადგენს რევოლუციური ბრძოლის დაუვინყარ სურათებს, განუმეორებელ საბჭოთა სინამდვილეს, წარმოაჩენს დადებითი გმირების სახეებს, მათ მაღალ იდეურ მისწრაფებებს, კეთილშობილურ, მორალურ თვისებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უზარმაზარი პოპულარობა ერგო ასეთ ფილმებს (არა მარტო ჩვენთან, არამედ სხვა ქვეყნებშიც), რადგან სამართლიანად შეიძლება ჩავთვალოთ ისინი სახალხო ნაწარმოებებად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩვენს ყველა საუკეთესო, გამორჩეულ ფილმში ჩანს, თუ როგორ ფეთქავს მათი ავტორების ცოცხალი, მხურვალე, მოუსვენარი გული და ეს მაღალი გრძნობა, სულისკვეთება გადმოდის ეკრანიდან, მათი ავტორების ჩანაფიქრით, მგზნებარებითა და გრძნობით აჯადოებს მაყურებელს“ (Дзиган 1974: 139-140).

„კინო, როგორც ერთგვარი სოციალური ინსტიტუტი, ახდენს ფორმირებას მაყურებლისა, აქვს გავლენა საზოგადოებაზე. ...კინემატოგრაფისტი გამოხატავს იმ თვალთახედვას, მსოფლმხედველობას, იდეოლოგიას, რომელიც არსებობს გარკვეულ საზოგადოებრივ კონტექსტში. ეს ფაქტი ძალიან მარტივად მჟღავნდება, როცა კინემატოგრაფი გვევლინება, როგორც სახელმწიფო საწარმო ხელისუფლების ხელში და ამკარად ან ფარულად ახდენს იდეოლოგიის ფორმირებას იმ სახელმწიფოს და საზოგადოებისა, რომლის წარმოჩენასაც ესწრაფვის“.<sup>2</sup> ცნობილი კულტუროლოგი ჰერბერტ მარშალ მაკლუენი<sup>3</sup> „კინოს მიაკუთვნებს „ცხელი“ მასმედიის საშუალებათა რიგს, ე.ი. ისეთს, რომელიც მთლიანად ეუფლება მაყურებელთა გრძნობებს და აიძულებს მათ იდენტიფიცირება მოახდინონ ფილმის გმირებთან, ხშირ შემთხვევაში, კინოკამერასთანაც კი“.<sup>4</sup> „კომუნიკაციის საშუალებები თავისთავად მოქმედებენ ადამიანსა და საზოგადოებაზე“ (Herbert 1964: 16). „The medium is the message“ (Herbert 1964: 67) – „გარემოება არის შეტყობინება“ – მისი ცნობილი ფრაზაა.

„მასობრივი კომუნიკაციის ყველა ფორმიდან, ხელოვნების ყველა დარგს შორის, საზოგადოებაში კინოს უნიკალური მდგომარეობა უჭირავს. კინოსანახაობის სპეციფიკა მდგომარეობს ცნობიერების სიღრმისეულ პლასტებზე მის ყოველმხრივ ზემოქმედებაში, რომელიც, თავის მხრივ, აღწევს კოლექტიური არაცნობიერის არქეტიპებამდე. ერთად შეკრებილი მაყურებელი დღესაც კი ეფლობა ამ სიზმრისეულ სამყაროში, რომელიც გვახსენებს უღრმეს და უძველეს არქეტიპებს ჩვენი ცნობიერებისა, ეხება რა სიმებს ჩვენი სულისა და, ამავდროულად, ყველაზე საჭირობო პრობლემებს თანამედროვეობისა. კინოფირები განაგრძობს ადამიანთა გაერთიანებას, რომლებიც იძირებიან ილუზიონის მაგიურ ციმციმში, რასაც ძალუძს ერთმანეთში გააერთ-

<sup>1</sup> ეფიმ დზიგანი (1898-1981) — საბჭოთა კინოსა და თეატრის რუსი რეჟისორი, მსახიობი, პუბლიცისტი

<sup>2</sup> Бессмертный А. Кино и общество, <https://psyfactor.org/kinoprop/kino3.htm>

<sup>3</sup> ჰერბერტ მარშალ მაკლუენი (1911-1980) - კანადელი კულტუროლოგი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი

<sup>4</sup> Бессмертный А. Кино и общество. <https://psyfactor.org/kinoprop/kino3.htm>

თიანოს ემოციები, ვნებები, მისწრაფებები და ოცნებები მილიონებისა. თავად კინოს ბუნება ინვესს ადამიანთა სოციალიზაციას, აერთიანებს მათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს სინთეზს ხელოვნების სხვა დანარჩენი დარგებისა, არამედ იმიტომაც, რომ კინო ინდუსტრიაა, რომელმაც უნდა აინაზღაუროს თავი ...და არ დატვირთოს საზოგადოება მასზე მატერიალური დამოკიდებულებით, კომპენსირდება რა „სოციალური დაკვეთის“ მორჩილი შესრულებით. ...კინოპროპაგანდა აუცილებელი და გარდაუვალია ნებისმიერ საზოგადოებაში. საყოველთაოდ ცნობილია მისი როლი ნაციზმთან ბრძოლაში, რასობრივი დისკრიმინაციებისას და სხვ. ამავე დროს, ტოტალიტარულ საზოგადოებაში პიროვნულ ღირსებებს იგი ხშირად კოლექტიური იდეოლოგიურით ჩაანაცვლებდა და თავიდანვე უარს ამბობდა აესახა რეალობა, რასაც ცვლიდა უტოპიური ირეალურობით“.<sup>1</sup>

საბჭოთა მოქალაქე, საბჭოთა მაყურებელი იყო „განსაკუთრებული“ მაყურებელი, ამიტომ „მშრომელ მასას“ სჭირდებოდა თავისი ხელოვნება და ეს ხელოვნება უნდა ყოფილიყო იდეების, რწმენის, განწყობის შესაბამისი. მშრომელთა კლასის შეხედულებები ნათლად და მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული, არსებობდა კონკრეტული განსაზღვრებანი გარკვეულ საკითხებზე, მათ შორის რელიგიაზეც, რომელიც, თითქოს, განყენებულად არსებობდა, მაგრამ მოქცეული იყო ზოგადსაბჭოურ იდეურ კონტექსტში და განიხილებოდა შენარჩუნებული სამუზეუმო კულტურული რუდიმენტის სახით. საბჭოთა პროპაგანდას დიდი ძალისხმევა აღარ სჭირდებოდა იმის აფირმაციისათვის, რომ თაობებში უკვე მიწვეული ან სრულიად გამქრალი იყო ქრისტიანული რწმენის ძალა, ცხოველმყოფელობა და დარჩენილი იყო მხოლოდ ხსოვნა „გარდასულ საუკუნეთა“ – როგორც რიტუალური ტრადიცია სადღესასწაულო დღეებისა, მაგ., აღდგომა ნითელი კვერცხებით (ნითელი ფერის მნიშვნელობა თითქმის არავინ იცოდა). სამაგიეროდ, იყო სხვა, ბევრად „გრანდიოზული“ დღესასწაულები, საზეიმო, დასამახსოვრებელი, „ჭეშმარიტად სახალხო“ – 1 მაისი – მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, 7 ნოემბერი – ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მორიგი წლისთავი. ჭეშმარიტი რელიგიური დღესასწაულების ნაცვლად ამ საყოველთაო, საკავშირო მასშტაბის დღესასწაულებს ყველგან აღნიშნავდნენ საზეიმო აღლუმებით, მსოფლიოს 1/6-ზე და მის საზღვრებს გარეთაც. საბჭოთა ხელისუფლება ამ ცრუ დღესასწაულებზე მშრომელ ხალხს დასვენების დღეებს „გულმონყალებ“ ჩუქნიდა; იმართებოდა საზეიმო ბანკეტები სამთავრობო სექტორში, სუფრები ოჯახებში და ხალხი – ღმერთნართმეული, ურწმუნო საზოგადოება ნეტარებასავით ელოდა ამ დღეს, რათა ერთად ეზეიმათ, აღენიშნათ სავალდებულო „საბჭოთა სიხარული“, „მასის აღტყინებით“, „მასის სიხარულით“. ამ მონაპოვარს სახელმწიფო იცავდამთელი თავისიშეიარაღებული ძალებით. ეს იყო ფეტიშიზმის აპოთეოზი, საბჭოეთის იდეის პროპაგანდიზმი, აღორაცია. ხალხმა იცოდა თავისი წინამძღოლების, ბელადების სახელები, ცნობდა მათ სახეებს, მოიხსენებდა მათ აღტაცებით, აღმატებულად და იმედიანად, ხოლო ჭეშმარიტი, რელიგიური, ეროვნული – სადღაც კუნჭულებში, სკივრებში, მუზეუმებში, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში იყო მიჩქმალული, შენიღბული, იერშეცვლილი, ტაბუირებული, აკრძალული, მიუწვდომელი. ეს ყველაფერი იყო გადამალული საგანძური, სულიერი და ნივთიერი, რომელიც ელოდა თავის დროს, როცა წარსდგებოდა ჭეშმარიტი სახითა და მნიშვნელობით ერის წინაშე.

საინფორმაციო საშუალებათა განვითარებამ და მასობრივი კულტურის დამკვიდრებამ გამოიწვია „მასის ადამიანის“ (Ortega и Gasset 1930: 3-4) ფენომენის ფორმირება. იგი, „უპირველეს ყოვლისა, სოციალური მანიპულირების ობიექტია, რაც ხდება თანამედროვე სახელისუფლებო ტექნოლოგიური ფორმების მეშვეობით“ (Климова 2012). ფილოსოფიაში ეს ცნება ესპანელმა ფილოსოფოსმა ხოსე ორტეგა ი გასეტმა შემოიტანა. „მასის ადამიანი არის ადამიანი მასის შეგნებით. მისი მთავარი მახასიათებელია ის, რომ ის არის ისეთი, „როგორიც ყველა“ (Ortega и Gasset

<sup>1</sup> Бессмертный А. Кино и общество. <https://psyfactor.org/kinoprop/kino3.htm>



1930: 3-4). ორტეგა ი გასეტის აზრით, „მასის ადამიანი“, რომელიც გახდა თანამედროვე ცხოვრების ბატონ-პატრონი, გვევლინება არა როგორც სოციალური, არამედ ფსიქოლოგიური ტიპი“ (Климова 2012). „კარლ გუსტავ იუნგი და გუსტავ ლე ბონი გამოყოფენ „მასის ადამიანის“ მახასიათებელ შემდეგ ფაქტორებს: ჯგუფს ძალუძს შთაგონებითი ზეგავლენა იქონიოს ამ ინდივიდის ცნობიერ და არაცნობიერ ფსიქიკაზე. ასეთი ადამიანი ისწრაფვის მიმბაძველობისკენ. მისი ნაკლებად მომთხოვნი და დაბალი მორალური ღირებულებების მქონე ბუნება კოლექტიური აზროვნებისა და მოქმედებისა უბიძგებს მას ყოველთვის მოძებნოს ისეთი სიტუაცია, სადაც იგი არაფერზე არ იქნება პასუხისმგებელი.

ორტეგასეული კულტურცენტრისტული მიდგომა იმით არის საინტერესო, რომ ის ყურადღებას აქცევს საზოგადოების ელიტარულ (მაღალსულიერ და მაღალკვალიფიცირებულ) ნაწილსა და მასას შორის არსებული დინამიკური წონასწორობის უკვე დაწყებულ რღვევას, რის გამოც ხდება სოციალური და კულტურული უპირატესობის ზრდა „მასის ადამიანისა“, რომელიც საშიშროებას ქმნის, მთლიანად მოახდინოს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ვულგარიზაცია, ადამიანური და საზოგადოებრივი ყოფის აზრისა და მიზნების გაუბრალოება იმ მიზნით, რომ შემდეგ ამ ძირითად ფასეულობებსა და შეხედულებებს მიენიჭოს საეტალონო, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა სტატუსი. „მასის ადამიანი“ განიხილება, როგორც სუბიექტი თანამედროვე სოციალურ-მასობრივი მოვლენებისა. მისი გამოჩენა და ბატონობა დაკავშირებულია სოციალურად ხელსაყრელ და კეთილისმყოფელ გარემოში „პლემურ“ სუბკულტურების გაჩენასთან, რაც თავისთავად იწვევს ისეთი ტიპის პიროვნების ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია სწრაფვა სოციალური აღმასვლისაკენ, გააჩნია გაზრდილი პარაზიტული მოთხოვნილებები, შეზღუდული აქვს კულტურული პოტენციალი და შესაძლებლობანი. ორტეგა ი გასეტის აზრით, მასასა და ელიტას შორის „დინამიკური წონასწორობის“ დარღვევის შემთხვევაში, როცა მასა დაამხოვს ელიტას და დაიწყებს თავისი „თამაშის წესების“ კარნახს, პოლიტიკის, მეცნიერების, ხელოვნებისა და სხვა „ზედნაშენი“ სფეროების დეგრადაციის საშიშროება ჩნდება. ასეთი, ე.წ. „ვერტიკალური“ ბარბაროსული შემოჭრა ემუქრება ცივილიზაციას დაღუპვით თუ არა, გადაგვარებით მაინც“.<sup>1</sup>

ვ.ი. ლენინის ცნობილი განსაზღვრება „ხელოვნების ყველა დარგს შორის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კინო“ (ბოლტიანსკი 1925: 37), თავისთავად, დოკუმენტურ კინოსაც შეეხო. სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობის პირობებში საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის მცდელობა ხშირად იქამდე მიდიოდა, რომ დოკუმენტურ კინოშიც კი, დადგმით ელემენტებს იყენებდნენ (მაგ., კაზუსების გამო სტალინის სიტყვით გამოსვლა ხელმეორედ გადაიღეს). ასეთ საზოგადოებაში პოლიტიკური ცენზურა ცვლის ბუნებრივ, მორალურ ცენზურას. შეიქმნა სპეციალური ჯგუფები კინოსპეციალისტების მოსამზადებლად, იღებდნენ ქრონიკებს წითელი არმიის შესახებ, პარტიის ყრილობებს, პოლიტიკურ ლიდერთა გამოსვლებს, შეხვედრებს მშრომელ ადამიანებთან, მუშათა და გლეხთა შრომით მიღწევებს, ხუთწლედებისა და დამკვერელი შრომის გმირებს; გადაღებული იყო რევოლუციის ქარცეცხლის ამსახველი კადრები, ეკლესიების ნგრევა, ადამიანთა ფიზიკური ლიკვიდაციები, გადასახლებები. ეს ყველაფერი იყო ახალი დროების თანამედვე მოვლენები და მათი ასახვა, პირველ რიგში, კინემატოგრაფს ეკისრებოდა.

დოკუმენტური კინოს ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ დოკუმენტს, ფაქტს აღნუსხავს და საბჭოთა პერიოდშიც, უმეტესად, პირუთვნელი ამსახველი იყო რეალური ცხოვრებისა შელამაზების გარეშე, რათა ეს კინოდოკუმენტური ფაქტები დარჩენოდა შთამომავლობასა და ისტორიას განსჯისა და განხილვისათვის (კომუნისტები იმედოვნებდნენ კომუნიზმის იდეის განხორციელების მარადიულობასა და უსაზღვროებას). პარტიული დირექტივები აქაც უპირობოდ მოქმედებდა

<sup>1</sup> Чернов Г. Сущность культурцентристского (ортегианского) подхода к массовым явлениям. <https://psyfactor.org/lib/chernov6.htm>

და, ძირითადად, კომუნისტური რეჟიმისთვის მისაღები და დასაშვები მასალა ხვდებოდა დოკუმენტურ ობიექტივში, ამიტომ სისტემის კონტროლი ამ სეგმენტში განსაკუთრებული იყო. როგორც მხატვრულის, ასევე დოკუმენტური ფილმის შექმნის დროსაც ხდებოდა პრევენციული ზომების მიღება – მასალის განხილვა, გარჩევა, გარკვევა, შეფასება, დასაშვების დატოვება, დაუშვებლის სპეციალურ ფონდებში განთავსება. ასე იყრიდა თავს კინემატოგრაფიული ნარატივი ლეგალური და არალეგალური ფაქტების, მოვლენების, ისტორიული პიროვნებების შესახებ სხვადასხვა ადგილას. ერთი კატეგორია კინოფირებისა განკუთვნილი იყო საყოველთაო ჩვენებისათვის, ყველა მოქალაქის, საბჭოთა ქვეყნის „ყველა მშრომელი“ ადამიანისათვის და ემსახურებოდა ახალი, „საბჭოთა ადამიანის“ აღზრდას, განვითარებასა და ჩამოყალიბებას; ხოლო მეორე კატეგორიის კინოფირები განკუთვნილი იყო მხოლოდ ვიწრო წრისათვის (საბჭოთა ელიტა), ე.წ. „დახურული“ ჩვენებისათვის სპეციალური გრიფით – „საიდუმლო მასალები“, რომლებიც წლობით ინახებოდა ფონდებში, საგანგებო არქივებში. მათი ნახვის უფლება დაიშვებოდა განსაკუთრებულ შემთხვევებში, საგანგებო ნებართვით (არსში ჩახედულმა ადამიანებმა იცოდნენ ამ დიფერენციაციის შესახებ, ხოლო „იდევით გაბრუნებული მასისთვის“ ეს არ იყო საჭირო). იქმნებოდა ისეთი გარემოებებიც, როცა გარკვეული პოლიტიკური თუ სოციალური კონიუნქტურის გავლენით ხდებოდა საარქივო მასალების ლიკვიდაცია-განადგურება.

საბჭოთა პერიოდში საჭირო იყო ეპოქის კონიუნქტურის, დოგმისა და გემოვნების ფოტოგრაფიულ-დოკუმენტური ასახვა და კინემატოგრაფი ამ საქმეში ტოლს არავის უდებდა. კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი იგონებდა: „...ორმოციანი წლების ბოლოს მოსკოვში მათ ძე დუნი ჩამოდიოდა. იგი სტალინს უნდა შეხვედროდა, ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად ითვლებოდა. ყველაფერი ფირზე უნდა აღბეჭდილიყო. უამრავ ოპერატორს დაევალა ამ შეხვედრის გადაღება. გადაღების საერთო ხელმძღვანელობა მე მეკისრებოდა. დადგა შეხვედრის დღე. ყოველ კუნჭულში კინოკამერამომარჯვებული ოპერატორები იდგნენ, დარბაზი გაჭედილი იყო განათების აპარატურით. კედელთან ფრონტალურად ჩამწკრივდნენ პოლიტიბუროს წევრები. სტალინი ერთი ნაბიჯით წინ დგას განმარტოებით. დარბაზის დიდი კარები გაიღო და ჩინეთის დელეგაცია შემოვიდა. წინ მათ ძე დუნი მიუძღვით. ელვისებურად აინთო უამრავი ნათურა და დარბაზი მზესავით გაჩახჩახდა. მათ ძე დუნი გამოეყო დელეგაციას და ჩქარი ნაბიჯით სტალინისკენ წავიდა, მიუახლოვდა, მუხლებზე დაეცა და სტალინს ფეხებზე ემთხვია. – გეფიცები – გულწრფელად ამბობდა ჭიაურელი – არ მომჩვენებია, ნამდვილად დავინახე, სტალინმა ჩემსკენ გამოიხედა და თვალი ჩამიკრა. ეს კადრი გადაღებული უნდა იყოს, თუ მერე არ გაანადგურეს“ (ბაქრაძე 1989: 85).

საბჭოთა ცენზურის მახვილი თვალი კინემატოგრაფს განსაკუთრებულად აკონტროლებდა. ტაბუირება იმდენად დამკვიდრებული იყო ყოფა-ცხოვრებაში, აზროვნებაში, მოქმედებაში, რომ მცირე ეჭვიც კი საკმარისი იყო, რომ ხელოვანს იძულებულს ხდიდნენ ორაზროვანი ეპიზოდი ამოეღო და კინოსცენარი საბჭოთა იდეოლოგიის ჩარჩოებში მოექცია. სტალინურ ეპოქაში კი, მთავარი ცენზორი ხშირად თვითონ ბელადი იყო. საქართველოდან კინოსცენარი დასამტკიცებლად მეტროპოლიაში უნდა გადაეგზავნათ, რასაც გზად მრავალი დაბრკოლება ელოებოდა. კინორეჟისორი გაიდანელია იგონებს: „...თავდაპირველად სცენარი უნდა მიეღო მხატვრულ-შემოქმედებითი გაერთიანების რედაქტორს, შემდეგ გაერთიანების რედაქციას, სადაც შედიოდნენ შტატიანი და უშტატო რედაქტორები, შემდეგ გაერთიანების მხატვრულ საბჭოს: იგივე რედაქტორები პლუს რეჟისორები, სცენარისტები და პარტორგი (პარტიული ორგანიზაციის მდივანი), შემდეგ იყო „მოსფილმის“ მთავარი რედაქტორი, შემდეგ „მოსფილმის“ დირექტორი, ამის შემდეგ სცენარი იგზავნებოდა „გოსკინოში“ (კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი). რედაქტორი, რომელიც კურირებდა სტუდია „მოსფილმს“, კითხულობდა სცენარს და წარუდგენდა „გოსკინოს“ რედაქციას, შემდეგ კითხულობდა „გოსკინოს“ მთავარი რედაქტორი და წარუდგენდა მინისტრს ან, უკიდურეს შემთხვევაში, მინისტრის მოადგილეს და მხოლოდ ამის შემდეგ ფილმი „ჩაეშვებოდა“ ან არ „ჩაეშვებოდა“ წარმოებაში. ნებისმიერ ეტაპზე შეეძლოთ გა-

ეკეთებინათ შენიშვნები და ავტორები ვალდებულნი იყვნენ ეს გაეთვალისწინებინათ. დასრულებული ფილმი გადიოდა იმავე გზას, მაგრამ ამავე დროს იგზავნებოდა კიდევ კონსულტაციისათვის ცკ-ში (ცენტრალურ კომიტეტში), მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში (თუ ომის თემაზე იყო) და რომელიმე „კუთვნილების“ სამინისტროში. თუ ფილმი იყო დურგალზე – ეგზავნებოდა მშენებლობის მინისტრს, თუ შვეულმფრენის მფრინავზე – ავიაციის მინისტრს და ა.შ.“ (Данелия 2007: 213).

„მშრომელ მასებზე“ კინემატოგრაფის როლის მნიშვნელობის საერთო საბჭოური დადგენილება ზედმინევენით სრულდებოდა. რუსი ხელოვნებათმცოდნე ი. გრაშჩეკოვა საბჭოთა კინემატოგრაფზე წერს: „სოციალისტური კინო, როგორც ერთიანი, მთლიანი მოვლენა, აღმოცენდა ორი საწყისის შერწყმის საფუძველზე – საყოველთაო, ინტერნაციონალური მიზნებისა და ნაციონალური თავისებურებების კონკრეტული ფორმებისა, აგრეთვე სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და მისი მხატვრული კულტურიდან. იდეოლოგიური და ზნეობრივი პოზიციები განსაზღვრავენ მასალის მთლიანობას, თემატიკას, პრობლემატიკას, შემოქმედებით მეთოდს. მსოფლიო კინოპროცესში – რეაქციულ ბურჟუაზიულ კინემატოგრაფთან შეურიგებელ იდეოლოგიურ ბრძოლაში, მის პროგრესულ მიმართულებებთან თანხვედრით, სოციალისტური ქვეყნების კინემატოგრაფთან ერთობით – რაც კეთილ გავლენს ახდენს ახალგაზრდა, პროგრესულ კინემატოგრაფზე – საბჭოთა სარეჟისორო სკოლა ძლიერდება და ვითარდება“ (Грашечкова 1982: 50). „იმყოფება რა სოციალისტური მხატვრული კულტურის ავანგარდში, საბჭოთა კინო ღირსეულად აგრძელებს ლენინურ-ნაციონალურ პოლიტიკას. იგი თავიდანვე ჩამოყალიბდა, როგორც მრავალნაციონალური კინემატოგრაფი. რუსული, უკრაინული, ქართული კინემატოგრაფი – ესენი არიან ს. ეიზენშტეინი, ვ. პუდოვკინი, ი. კავალერიძე, ნ. შენგელაია, მ. ჭიაურელი, მ. კალატოზოვი – მათ ჩამოაყალიბეს პოსტრევოლუციური პერიოდის პირველი ათწლეულის საბჭოთა კლასიკური კინოხელოვნების სახე“ (Грашечкова 1982: 87).

ყოველ, ერთი შეხედვით უწყინარ, ნეიტრალურ ფილმში ჩადებული იყო წინასწარ გათვლილი, დაგეგმილი, საბჭოთა დადგენილებების ასპექტები რწმენის, ქცევის, შრომის, ფიქრისა და აზროვნების შესახებ – საბჭოთა სწორხაზოვნებით, გადახვევების გარეშე (მაგ., „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ აკ. ბელიაშვილის მოთხრობის მიხედვით, რეჟ. ნ. სანიშვილი. 1954). ისტორიული ან წარსულის ამსახველი ფილმებიც ისეთი პათოსით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული, რომ მაყურებელს ძველი დრო საშინლად და აუტანლად მოჩვენებოდა, ხოლო ხალხი ტანჯულად, უფლებანართმეულად და პატივყარილად. ამის მაგალითია კინოფილმი „მაგდანას ლურჯა“ (რეჟ. რ. ჩხეიძე, თ. აბულაძე. 1955), სადაც მაგდანას ართმევენ გზაზე ნაპოვნ მიტოვებულ სახედარს მაშინ, როდესაც ეკ. გაბაშვილის ნაწარმოებში სასამართლო უბრუნებს ქვრივს „ლურჯას“.

საბჭოთა კინემატოგრაფის ანტირელიგიურმა იდეოლოგიამ უდიდესი ზეგავლენა იქონია მასების საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და ეს გრძელდებოდა წლობით. ეს მოვლენა განვიხილოთ ქართული მხატვრული კინოფილმების მაგალითებზე.

„ხაბარდა“ (1931, სახკინმრეწვი) – რეჟისორ მ. ჭიაურელის სატირული კომედია, ფილმი-პამფლეტი (სცენარი ს. ტრეტიაკოვის და მ. ჭიაურელის) ერთ-ერთი ნიმუშია კინოში ბოლშევიკური იდეოლოგიის ტრანსფორმაციისა, პარტიული დადგენილებების ზედმინევენით შესრულებისა, რათა არავის გაუჩნდეს გულდანყვეტა და სინანული ეკლესიების დანგრევის გამო. ფილმში „ახალი ტიფლისის“ გეგმა უნდა დაამტკიცონ, რადგან „სახლები თავზე ენგრევათ“, მათ ნაცვლად კი, ახალი, კეთილმოწყობილი ბინები უნდა აშენონ მუშებისთვის. ამ გეგმას ეწირება „...რაღაც, ძველი“ ეკლესია. როცა ურწმუნო ახალგაზრდები დიდი შემართებით ანგრევენ ტაძარს, ქალაქის ძველი მაცხოვრებლები მათ შეჩერებას ცდილობენ ტირილით, მოთქმითა და შეძახილებით – „არ გაბედო!“, „არ შეეხო, გაქვავდები!“, „ჩამოძვერი, ვანდალო!“, „გაქვავდები, ანტიქრისტივ!“, მაგრამ გავეშვებულ, ურომომარჯვებულ ურწმუნოს ვერაფერი შეაჩერებს. „ტიფლისელი“ ინტელიგენტი

დიომიდე, რომელსაც „...ძალიან უყვარდა თავისი ქვეყნის ისტორია“, ეკლესიიდან ჩამოგდებულ-ჩუქურთმიან ქვას გულში ჩაიხუტებს, რასაც ერთ-ერთი მორწმუნე ემთხვევა, როგორც სინ-მინდეს. დიომიდე ძალზე სწუხს, რომ „აი, ასე, ქვა-ქვა იტაცებენ საქართველოს მთელ მონამე-ობრივ იტორიას“ და იმედოვნებს, რომ „ხალხი არ დაუშვებს სინმინდეებისა და კერიის დაქცევას“ – „არ დაგანებებთ შებილწით ჩვენი სინმინდეები ბინძური ხელებით“. მორწმუნეებთან ერთად იგი სხვადასხვა ინსტანციას მიმართავს დახმარებისთვის, რომ ტაძარი აღადგინონ, მაგრამ ამაოდ – „დგება მკაცრი სინამდვილე“. ხაბარდა აზერბაიჯანული სიტყვაა და ქართულად „განზე გადექი! გზიდან ჩამომეცალეს!“ ნიშნავს. ამ შეძახილში იგულისხმებოდა მიმართვა იმ ხალხისადმი, ვინც ეკლესიის დანგრევას ეწინააღმდეგებოდა. „მინდოდა შემექმნა პამფლეტი, დამეცინა მათთვის და სიცილით გამენადგურებინა“ (მ. ჭიაურელი) (რატინი 1976: 116). ახლა მაყურებელი უბრალო მა-ყურებელი კი არ არის, არამედ „ახალი ქვეყნის მოქალაქე“, „ამხანაგი“. მას განსაკუთრებული, ემპირიული დამოკიდებულება აქვს ფილმში მიმდინარე მოვლენებისადმი. უკვე განვლილია ეკლესიების ძარცვისა და ნგრევის, ღვთისმსახურთა დაჭერების, გადასახლებების, წამებისა და დახვრეტების პირველი ეტაპი, შედეგები თვალნათელია – დაშვებულია ირონია, გაკილვა, დაცინ-ვა... „სიმწვავე და ირონია შემოქმედებითი გააზრებისა, აძლევს მას (ჭიაურელს – ზ. ჯ.) საშუალე-ბას ასახოს სინამდვილე სატირით და იბრძოლოს მთელი შემართებით და უკომპრომისოდ იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ახალი ცხოვრების წინსვლას“ (თიკანაძე 1978: 18).

„დაკარგული სამოთხე“ (1937, სახკინმრეწვი) – რეჟისორ დ. რონდელის ფილმი (სცენარი გ. მდივანის და დ. რონდელის), თავისი კოლორიტით, იუმორით, მუსიკით, მხატვრული გაფორმებით – ნამდვილი კინოშედეგია, რომელსაც უამრავი საქებარი რეცენზია და სტატია მიეძღვნა. ფილ-მის ერთ-ერთი პერსონაჟი – მღვდელი ზოსიმე „შემკულია“ თითქმის ყველა მანკიერებით, რითაც საბჭოთა ხელისუფლება სასულიერო პირებს ახასიათებდა – ურწმუნო, მკრეხელი, გაიძვრა, ფლიდი და ვერცხლისმოყვარეა. ნაქეიფარი მღვდელი აზნაურ მიქელა კალმახიძეს სანუკვარ ნატ-ვრას გაანდობს: „ბიჯო, მიქელა, ერთი, იესო ქრისტეს ძალა მომცა და ვინმე მიცვალებული გამა-ცოცხლებინა, მაშინ ჩემ ბედს ძალლი არ დაჰყეფდა, ფული გვექნებოდა, ფული, თავსაყრელად!“ „ჭეშმარიტად, მამაო“, პასუხობს გაღატაკებული აზნაური და მოხერხებული შემთხვევაც მალე მიეცემათ: მღვდელმსახური გუბეში ჩავარდნილ, სიმთვრალით გონწასულ აზნაურს მეხდაკრუ-ლად გააცხადებს და კუბოში „ჩასვენებულ“ ცოცხალ კაცს სულთათანას გალობით საკმეველს უკ-მევს. მკრეხელი მღვდელი „გაცოცხლებულ“ მიქელას საიქიოდან მობრუნებულ წმინდანად გამო-აცხადებს: „წმიდაო მიქელა, საიქიოდან დაბრუნება გინებებიათ, სასწაულია, სასწაული! ღმერთო, შენ შეგვინყალე, წმიდაო მიქელა, მოგვითხრე რამე, საიქიოს ამბები“. ფილმში მღვდელი და აზნა-ური ერთად ატყუებენ და ყვლეფენ გულუბრყვილო გლეხებს და „წმინდანის“ შესაწირს (ვითომდა „საეკლესიო ფულს“) ინაწილებენ. მათი ტანდემი უკვე მომავალი პოლიტიკლასობრივი დაპირისპი-რების ხასიათს ატარებს. ეს არ არის მხოლოდ „გადაშენებულ-გადაგვარებული“ ფენის სატირა, არამედ, პერსპექტივაში, დაუნდობელი ბრძოლის მომასწავებელია უთუოდ. მღვდელმსახური შესაწირის (რომელსაც უფრო ქრთამის სახე აქვს) ფასად ეკლესიიდან წმ. გიორგის ხატს გამო-აბრძანებს და სიმშვიდით ისმენს გადამტერებული მეზობლები, ლოცვის ნაცვლად, სინმინდესთან წყევლა-კრულვას როგორ „აღავლენენ“ („გიყუარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მწყე-ვართა თქუნთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუნთა...“ მათე 5.43) (ახალი აღთქუმა: 1995: 12). ასეთი მღვდლის შემყურე მაყურებელს აუცილებლად უნდა გაუჩნდეს იდიოსინკრაზი-ული შეგრძნება, ზოგადად, სასულიერო პირების მიმართ და მიზანიც ესაა – დადგენილება შეს-რულებულია, ხელოვანი პირნათელია ათეისტური რეჟიმის წინაშე.

„ქეთო და კოტე“ (1948, თბილისის კინოსტუდია), რეჟისორები ვ. ტაბლიაშვილი და შ. გედევა-ნიშვილი (სცენარი ს. ფაშალიშვილის, ა. ცაგარელის „ხანუმასა“ და ვ.დოლიძის „ქეთო და კოტეს“ მიხედვით) – ესაა ფილმი-კლასიკა, ისტორია სიყვარულისა, რომელიც ბედნიერად მთავრდება, მი-

უხედავად რიგი ხელის შემშლელი გარემოებებისა. ისტორიული დროის მიხედვით, ქეთოს და კოტეს ქორწინება ეკლესიაში ჯვრისწერით უნდა დაგვირგვინდეს, მაგრამ ჯვრისწერის სცენა, რომელიც გადაღებული იყო, ამოღებულ იქნა ფილმიდან. შემორჩა მხოლოდ მისი ამსახველი ფოტოები. ეკრანზე ეკლესიის, მღვდელმსახურისა და ჯვრისწერის ჩვენება „საბჭოთა მაყურებლისთვის“ არ შეიძლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ფილმში ნაჩვენები სიტუაციის ნამდვილად ასახვა ამას ითხოვდა. მღვდელი არ უნდა ყოფილიყო ყურადღების საგანი, თუნდაც მცირე ეკრანული დროით. ის უნდა ყოფილიყო დაცინვის, გაკიცხვისა და გმობის ობიექტი და არამც და არამც პატივისცემისა და სიმპათიის გამომწვევი. „...ფილმში ასევე უნდა ყოფილიყო ქეთოსა და კოტეს ჯვრისწერის სცენა ქაშუეთის ეკლესიაში. ეპიზოდი გადაიღეს კიდევ, თუმცა, შემდეგ, ეს სცენა სურათში არ შეუტანიათ. სამაგიეროდ გადარჩა სცენის ამსახველი ფოტოკადრი, რომელშიაც ეკლესიის მთავარდიაკონი ბატის ფრთით ჯვრისწერის დამადასტურებელ ჩანანერს აკეთებს დავთარში. იქვე ჩანან გვირგვინით თავშემკული ნეფე-პატარძალი, ტაძრის მრევლი, მაყრიონი და ყარაჩოღელები, ეკლესიის მგალობელთა გუნდი...“ (ყლენტი 2010: 27).

კინოფილმი „გლახის ნაამბობი“ (1961, ქართული ფილმი), რეჟისორი ლ. ესაკია (სცენარი კ. კარსანიძის და ლ. ესაკიას). ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების ეკრანიზაცია, ერთი მხრივ, ქართველი კლასიკოსის კიდევ ერთი აღიარება იყო, მაგრამ საბჭოთა ცენზურამ მოთხოვნაში არსებული მღვდელმსახურის სახე და, აქედან გამომდინარე, ნაწარმოების რელიგიური გააზრების შესაძლებლობა აღკვეცა და სულიერი მამის პერსონაჟი სწავლული და კეთილი მასწავლებლით შეცვალა. ილიას წერილებიდან ცნობილია, რომ მღვდელმსახურის პროტოტიპი წმ. გაბრიელია (ქიქოძე) – საქართველოს დიდი სულიერი მოძღვარი. ეკრანზე სასულიერო პირის გამოჩენა დადებით კონტექსტში მაყურებელს ხელისუფლებისათვის ყოვლად მიუღებელ სარწმუნოებას გაახსენებდა, მინავლულ მოგონებებს განუახლებდა და რელიგიურ გრძნობებს გაუღვიძებდა. ამასთან, სხვა კინოფილმებში არსებული გაბიაბურებული, გაქილიკებული, გამარჯებული სასულიერო პირების სახე ამ ერთი მღვდლის მაგალითზე შეიძლება გაბათილებულიყო და საბჭოთა მაყურებელს ეჭვი გასჩენოდა. ქართველ კინემატოგრაფისტებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ – ნაწარმოების ბედს მეტროპოლია წყვეტდა, ხოლო ქართველი კლასიკოსის ნაწარმოების გადაღება, ერთგვარად, დათმობაც იყო, ამიტომ სცენარში მითითებული ცვლილებები შეიტანეს, ფილმი დაამტკიცეს, გადაიღეს და საბჭოთა მაყურებელს აჩვენეს, როგორც რევოლუციამდელი წყობის მანკიერების ნიმუში.

კინოფილმი „ლონდრე“ (1966, ქართული ფილმი, რეჟისორი თ.მელიავა, სცენარი ო.ჭილაძის) – ფილმი-სატირა, პირობითი ქალაქის მაცხოვრებლებით, იგავური მინიშნებებით, ქართული ხალხური ზღაპრების მოტივებზეა გადაღებული. მოქმედება წარსულში ხდება, თუმცა, რასაკვირველია, ქვეტექსტით ანმყო იგულისხმება. ფილმში (ისევე, როგორც სცენარშიც) სატირა მნიშვნელოვან როლს თამაშობს – დასცინის და ამასხარავეებს მდიდრებს, ქალაქის მმართველებს, საზოგადოების ზედა ფენებს, როგორც უზნეო და განცხრომა-ფუფუნებაში ჩაძირულ ადამიანებს. მთავარი გმირი – ლონდრე – ჯარისკაცია, რომელიც ჯარს ჩამორჩა და დეზერტირობის გამო სასჯელს ემალება, ამიტომ სამხედრო ფორმა გაუხდია და მხოლოდ თეძოზე აქვს შემოხვეული სამოსი. ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში იგი ეკლესიას შეაფარებს თავს და, დამალვის მიზნით, ჯვარცმასთან ჯვარცმულის იმიტაციას განასახიერებს, ოღონდ „შეცდომით“ თავს მარცხნივ გადახრის და იქედან „აკურთხებს მრევლს“. ეს ხერხი, „რეჟისორული მიგნება“, ერთგვარი გროტესკი ქრისტეს მისტერიისა, იუმორისტულ ელფერს ანიჭებს ეპიზოდს. ფილმში მღვდლის პერსონაჟი გამარჯებული, განსაკუთრებული და განსხვავებულია აქამდე ცნობილ სხვა ეკრანულ სასულიერო პირთაგან. იგი ანგარი, ფლიდი, მემთვრალე, მოძალადე და უხეშია, რომელსაც თვით უმნიშვნელობა და სათნოება ჰყავს დამწყვედული (როგორც ხალხურ ზღაპრებში გველემპას მზეთუნახავი). ქლესა მღვდელი მის სახლთან ჩავლილ ჯარს – „ხელმწიფეს გაუმარჯოს, ხელმწიფეს! ხელმწიფეს გაუმარჯოს!“ – შეძახილებით მიეგებება, ხვატით გათანგულ ჯარისკაცს კი, რომელიც წყა-

როს დაენაფება – ქვებს დაუშენს. მამა ამბროსის ქეიფი და დროსტარება ურჩევნია საღვთო მოვალეობის აღსრულებას – მომაკვდავის ზიარებას – „...ამ შუალამისას რა დროს ზიარებაა, ...ერთი, რა გააჭირეთ საქმე“. ურნმუნო „მოძღვარი“, რომელიც განაცხადებს – „ჩემის პირით ღმერთი ღალადებს!“ – ქრისტიანული სიყვარულისა და კაცთმოყვარეობის ნაცვლად, ადამიანებს წარმართული, ე.წ. „ჯუნგლის კანონით“ მოუნოდებს – „...მგელი უნდა იყო და მგელზეც უფრო მგელი!“ (ლათინური ანდაზის „Homo homini lupus est“ – „ადამიანი ადამიანისთვის მგელიას“ პერიფრაზით), „–თუ გინდა რომ გაიმარჯვო, ისე კი, ყოველთვის ხახამშრალი დარჩები! თუ საჭიროა, უნდა იქურდო კიდეც!“ (მერვე მცნება: არა იპარო), „თუსაჭიროა, უნდა მოიტყუო კიდეც! თუ საჭიროა, უნდა მოჰკლა კიდეც!“ (მეექვსე მცნება: არა კაც-ჰკლა). სასულიერო პირის ასეთი ანტიქრისტიანული „ქადაგება“ ამაზრბენი და თავზარდამცემია, მაგრამ ეს იყო კარგად გათვლილი სვლა საბჭოთა მაყურებელზე ზემოქმედებისათვის. ფილმის ფინალში კი, მღვდელმსახურის სახე საბოლოოდ გაბიაბრუებულია – დიდი ყანწით დამთვრალ და გონწასულ მამა ამბროსის სასაფლაოზე „ნაასვენებენ“, საფლავებს შორის ჩაანვენენ, ნვერს მოაჭრიან, სამხედრო ფორმას ჩააცმევენ, გულზე თოფს დაადებენ და გვერდით დოქით ღვინოს დაუდგამენ! ფილმში დაკნინებულია დიაკვნის სახეც. მღვდლის შეკითხვაზე: „დიაკვანი მომიყვანე? – არა, მამაო, მთელი ქალაქი შემოვიარე და ვერ ვიპოვე, დათვრებოდა სადმე“ – პასუხობს ერისკაცი.

სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ლაზარეს თავგადასავალი“ (1973, ქართული ტელეფილმი, რეჟისორები: ქ. ხოტივარი, რ. ხოტივარი, სცენარი ლ. მალაზონიას და ქ. ხოტივარის) იტალიელი მწერლის მოთხრობის მიხედვითაა გადაღებული. ობოლი ბიჭი ლაზარე მოხეტიალე ბრმას დაჰყვება ლუკმაპურის საშოვნელად, მაგრამ ბრმას აპატიმრებენ და ბავშვი ტაძარს მიაშურებს. ეკლესიის წინამძღვარი ენუქი თავიდან კეთილმსახური სასულიერო პირის შთაბეჭდილებას ტოვებს – ყრმას ნათლავს, მიუსაფარ ყმანვილს თბილად დახვდება, მიეფერება, შეაქებს, შეიბრალებს უპატრონოდ დარჩენილ ბიჭს და შეიფარებს კიდეც. ერთი შეხედვით, იგი თითქოს კეთილი, მოსიყვარულე და გულმონყალეა, მაგრამ, როცა საჭმელს უნაწილებს, მაშინვე გამყლავნდება მისი ნამდვილი სახე – ერთი კვირის სამყოფად მხოლოდ ერთ შოთის პურსა და შვიდ თავ ხახვს გაიმეტებს, თავად კი, ამ დროს წინ ხორაგით სავსე ხონჩა უდევს! (მეტი კონტრასტისთვის ეს ორი ეპიზოდი ერთმანეთს მოსდევს). მღვდელმსახურის ეს სახე ტიპურია იმ განზომილებით, რასაც საბჭოთა ცენზურა აწესებდა – მსუქანი, ხარბი, ღორმუცელა, ძუნწი, მემთვრალე, დაუნდობელი, ურნმუნო, უგულო და სასტიკი. თავად აბრეშუმის საბანში გამოხვეული, ბიჭს მინურში, თივაზე მიუჩენს ღამის გასათევს, უღმერთოდ აშიმშილებს და ბავშვიც იძულებული ხდება საჭმელი მოიპაროს, იქურდოს, ხოლო, როცა ლაზარეს საიდუმლო (სკივრის გასაღები) უნებლიეთ გამჟღავნდება, უმწეო ბიჭს შეუბრალებლად სცემს და სახლიდან გააგდება. ასეთი უღმერთო საქციელების შემდეგ ურნმუნო მღვდელმსახურის პირით წარმოთქმული მაღალი სულიერების მქონე სიტყვები – „გიყვარდეს მტერი შენი, გიყვარდეს მოყვასი შენი“ და პირჯვრის გადასახვით ლოცვა – „უფალო, შემინყალე“ – ლიტონ სიტყვებად აღიქმება. დიაკვანი ლავრენტიც თავიდან ეკლესიის კეთილმსახურად გვევლინება, მაგრამ მოყვასის, ანარქისტი ანანიას გამომწვევ შეძახილებს – „ძირს მეფე! ძირს მღვდელი! ძირს ბატონი!“ – არაქრისტიანული, სასტიკი და ძალადობრივი მეთოდებით პასუხობს, არაერთხელ სასტიკად სცემს ამ ჩია კაცს – „ძე-შეცდომილს“ და ფიზიკურად და მორალურად ამცირებს, ქრისტიანული შეგონება კი – ცოდვა გძულდეთ, ხოლო, ცოდვილი გებრალეობდეთ – დავინყებია. დამთვრალი დიაკვნის იჭენეულ შეკითხვაზე – „ღმერთს აქვს სამართალი?“ – მთვრალი მღვდელიც დაეჭვებით პასუხობს – „არა, კი, აქვს, აქვს, არა“. აქ ბოლო სიტყვაა გადამწყვეტი – „არა“, რაც მაყურებელში ანტირელიგიურ განწყობას საბოლოოდ განამტკიცებს.

კინოფილმი „ნატურის ხე“ (1977, ქართული ფილმი, რეჟ. თ. აბულაძე, სცენარი რ. ინანიშვილის და თ. აბულაძის) – დრამა გ. ლეონიძის მოთხრობების მიხედვითაა გადაღებული, სადაც მღვდელი ოხროხინე საბჭოთა ცენზურისთვის მისაღები და მოსაწონია – ურჯულო, პატივმოყვარე, ამპარტავანი, ხარბი, გარყვნილი, მოძალადე, სასტიკი, უგულო, ქვენა გრძობების მატარებელი – სრული ანტიპოდი წესიერი, პატიოსანი, კეთილმსახური მოძღვრისა. ის აქტიურად ერევა სოფლის საერო საქმეებში და არა საეკლესიო სწავლებით, არამედ საკუთარი მცდარი, მანკიერი შეხედულებებისამებრ წყვეტს. სასულიერო პირისთვის შესაფერისი ქრისტიანული ცხოვრებით მრევლისთვის მაგალითის მიცემის ნაცვლად, ეს ავხორცი მღვდელმსახური სოფლის „ტურფას“ ეარშიყება. მისი უღირსი, უზნეო საქციელი და მრუში დედაკაცის მიმართ წარმოთქმული სასიყვარულო ქათინაურები კი, „სულიერ მოძღვარს“ უბრალო, ბინიერ, მექალთანე ერისკაცს გაუტოლებს. ფინალში კი, როცა მთავარ გმირს ცილს სწამებენ და სასიკვდილოდ განირავენ, სიმართლისა და უდანაშაულო, უმწეო ადამიანის სიცოცხლის დაცვის სანაცვლოდ, „მამა“ ოხროხინეც მიაცილებს სახედარზე უკუღმა შესმულ მარიტას სიკვდილის გზაზე და თანასოფლელებთან ერთად მკვლელი(!) ხდება. ასეთი მღვდელი კიდევ ერთხელ დამაჯერებლად იწვევდა მაყურებელში სრულ უპატივცემულობასა და ანტიპათიას სასულიერო დასის მიმართ.

კინემატოგრაფი მძლავრად მოქმედებს მასების ფსიქოლოგიაზე, ქმნის ჩამოყალიბებულ სტერეოტიპს და გამომსახველობითი ხერხებითა და ფორმით ამძაფრებს კინოპერსონაჟის მიმართ მაყურებლის დამოკიდებულებას. ვიზუალური სურათ-ხატი უფრო მყარად „ჯდება“ და დიდხანს ნარჩუნდება საზოგადოების ცნობიერებასა და მეხსიერებაში, ვიდრე ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც პირველწყაროში, შესაძლოა, არც იმდენად გასაკიცხი და დასაგმობია, როგორც ფილმის ავტორების ინტერპრეტირებით მოწოდებული. ლიტერატურული პერსონაჟის წარმოდგენა მკითხველის წარმოსახვასა და ფანტაზიაზე დამოკიდებული, კინოგმირი კი მკაფიო მოცემულობაა და მაყურებელი პირდაპირ, უშუალოდ იღებს მას ისეთს, როგორც ფილმის შემქმნელებმა ჩაიფიქრეს. საბჭოთა პერიოდში კინემატოგრაფის მსახურნი, ხშირ შემთხვევაში, იძულებულნი იყვნენ ცენზურის მოთხოვნებს დამორჩილებოდნენ და გარკვეული კონიუნქტურა გაეთვალისწინებინათ. კინოფილმში ასახული სასულიერო პირის ტიპაჟს საბჭოთა რეჟიმის მიერ დადგენილი სტანდარტი ყველა პარამეტრით უნდა დაეკმაყოფილებინა. ეს იყო ურწმუნო, ურჯულო, უზნეო, მკრეხელი, ამპარტავანი, ანგარი, პატივმოყვარე, ვერცხლისმოყვარე, ხარბი, ძუნწი, ფლიდი, სასტიკი, უგულო, მემთვრალე, ბინიერი, ავხორცი, რათა მაყურებელს არათუ კრძალვა, პატივისცემა, ნდობა და სიყვარული ჰქონოდა სასულიერო იერარქიის მიმართ, არამედ უპატივცემულობა, ცინიკური დამოკიდებულება, ანტიპათია, სიძულვილი, ზიზღი და აგრესია დაუფლებოდა. საზოგადოებას უნდა შექმნოდა შთაბეჭდილება, რომ ის სასტიკი რეპრესიები და დევნა, რაც განიცადა სამღვდლოებამ „მრისხანე საბჭოეთის წლებში“, არ ყოფილა ფუჭი; რომ ასეთი მღვდლები – „ბნელეთის მოციქულები“ – ყველაფრის ღირსნი იყვნენ და რომ ეკლესია შეურიგებელი მტერი იყო „დიადი კომუნიზმის მშენებლობისა“. ეს იყო კარგად გააზრებული, მზაკვრული, მუხანათური, კომუნისტური მექანიზმი საბჭოთა მაყურებელში ანტირელიგიური ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად.

## **ბიბლიოგრაფია**

- ახალი აღთქუმად. თბილისი, 1995
- ბაქრაძე, აკ. მწერლობის მოთვინიერება. თბილისი, 1990
- ბაქრაძე, აკ. კინო, თეატრი. თბილისი, 1998
- ბოლტიანსკი, გ. „ლენინი და კინო“. მოსკოვი, 1925
- გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. თბილისი, 238, 2015

- თიკანაძე, რ. ქართული კინო, პრობლემები, ძიებანი. თბილისი. 1978  
ლენინი ვ. თხზულებები. ტ.1. თბილისი, 1919  
ლენინი ვ. თხზულებები. ტ.17. თბილისი, 1960  
ლუარსამიძე, ვ. ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“. თბილისი. 1931. 1-2  
მარქსი კ., ენგელსი ფ. კომუნისტური პარტიის მანიფესტი. თბილისი. 1954  
მუშიშვილი, გრ. ჟურნ. „მნათობი“, 8, 1928  
ფორდანი, ნ. ნიგნი ოჯახში საკითხავი. თბილისი, 1989  
ჟღენტი, ო. თბილისი ქართულ კინოში. თბილისი, 2010  
ჟურნ. „ქართული მწერლობა“. თბილისი, 5, 1928  
რატიანი, ი. ქართული მუნჯი კინო. თბილისი, 1976  
სკკპ XXII ყრილობის მასალები. თბილისი, 1961  
Herbert Marshal McLuhan. Understanding Media: The Extensions of Man. Ney York, 1964  
Бердияев, Н. О рабстве и свободе человека. Париж, 1939  
Бухарин, Н. Классовая борьба и революция. Москва, 1919  
Бессмертный, А. Кино и общество. Веб.стр. Psyfactor.org.  
Гращекова, И. Советская кинорежиссура. Москва, 1982  
Дзиган, Е. Путь к сердцу зрителя. Москва, 1974  
Данелия, Г. `Чито-гврито“. Москва, 2007  
Лоск, Н. Журн. `Путь“. Париж. 1926, N2  
Ленин, В. Полное собрание сочинений. Т.5. Москва, 1967  
Пельше, Р. Нравы и искусство Французской Революции“. Петербург, 1919  
Ортега-и-Гассет, Х. Восстание масс. Журн. `Вопросы философии“. Москва, 1930. N3-4  
Климова, Л. Массовый человек как феномен массовой культуры, его свойства характерные черты.  
Веб.стр. SuperInf.ru. 24.05.2012  
Чернов, Г. Сущность культурцентристского (ортегианского) подхода к массовым явлениям  
Веб.стр. Psyfactor.org.  
Ленин, В. Последние письма и статьи. Москва, 1980

## **ZAKARIA JORJADZE**

### **THE INFLUENCE OF CINEMATOGRAPHY ON THE FORMATION OF ANTIRELIGIOUS CONSCIOUSNESS OF THE GEORGIAN SOCIETY (THE SOVIET TIMES)**

#### **Summary**

After the abolition of the Georgian Kingdom, the Russian autocracy undermined the role of the Georgian Church as the latter strived to secure the honor and dignity for the maintenance of the unity of the nation. The fight against the Georgian Church lasted for decades and the newly created communist regime kept the policy of the Tsarist Russia, waged against the church. The class struggle also implied the elimination of the religious sphere with a variety of means, including a physical liquidation of a person, as it was no longer compatible with the Soviet rule. God was substituted with a pseudo religion – with new ideals, compatible with the necessity of creation of the “New Man,” which would exercise the Marxist ideas in practice without any protraction, as one would be free from all sorts of “religious bonds.” The Leninist propositions of fight against the religion found its resonance among the Georgian Marxists, which resulted in the destruction of thousands of churches, thousands of deported persons and exterminated clerics. These measures were aimed at the creation of consciousness of a “new Soviet individual”, which excluded God; even a minor acceptance of the idea of God was considered as an anti-state behavior.

Artists, fascinated with the revolutionary ideas, became ghost-writers and created new works dedicated to this change. The Communist Party particularly stressed the importance of the “Engineers of Souls” – i.e. the role of



writers in fighting against religion. The slogans and appeals of party leaders delivering anti-religious messages had to be transformed into their works for remembrance by the mass society. Lenin's famous saying – “of all the arts the most important for us is the cinema” – had imperative importance. Therefore, cinematographers tried to reflect the process of formation of Communism through their works. The new era of the Soviet arts was launched. The cinema, as the tool of censorship, kept its eye on minor details that were incompatible with the Soviet ideology. Every scenario went through a detailed review before production, as it should have reflected the ideology of the Communist Party and highlighted the predominance of the Soviet way of life.

The documentary cinema was particularly valued, as it was a kind of a chronicle of the Soviet life. The anti-religious themes had particular importance in the cinema production, as profanities were considered as the party directives: for the creation of a particular stereotype of clergy the following methods were extensively applied – satire, pamphlet, humor, template – and widely promoted through the cinema production. These should have inhibited distrust, disrespect, cynical attitudes, aggression and hate towards the clerics among the Soviet persons, as the resulted antipathy should have lasted long among spectators. The Soviet cinematography produced a number of movies in this line: “Khabarda,” “Lost Paradise,” “Magdana's Lurja,” “Londre,” “Adventures of Lazare,” “The Wishing Tree,” etc. The clerics depicted in these movies differ from one another in their appearance, behavior, speeches and attitudes towards human beings; although they share one particular characteristic, which was predetermined by the Soviet regime: it was necessary to reflect degeneracy of humankind – futility, hypocrisy, acquisitiveness and irreverence. This anti-religious inertia lasted until the 1980s and laid the foundation for the emergence of new trends in the reflection of this problem.

მანანა სანაძე, თინათინ ლუღუშაური

**იდეტობის მარკერები შუა საუკუნეების  
ქართული ნარატიული წყაროების მიხედვით  
(ისტორიულ-ანთროპოლოგიური ანალიზი)**

თანამედროვე, გლობალურ სამყაროში, კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კულტურული და ეთნიკური იდეტობის პრობლემა ანუ ადამიანის მიერ ამა თუ იმ კულტურასა და ეთნოსთან საკუთარი თავის იდეტიფიცირება. შესაბამისად, იდეტობის კვლევა და მისი არსის დაზუსტება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემაა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ტერმინი *ეთნიკურობა/ეთნიკური იდეტობა* დღეს ფართოდ გამოიყენება და, ზოგად დონეზე, ნიშნავს ადამიანის მიერ რომელიმე ჯგუფისადმი საკუთარი მიკუთვნებულობის გაცნობიერებას, რაც მას შესაძლებლობას აძლევს განსაზღვროს საკუთარი ადგილი სოციოკულტურულ სივრცეში და თავისუფლად მოახდინოს ორიენტაცია გარემომცველ სამყაროში, ხოლო, უფრო კონკრეტულად, გამოიყენება იმისათვის, რომ აღწეროს ადამიანის თვითშეგნება. საკითხის სირთულის გამო, არ არსებობს მეცნიერთა ერთსულოვნება იდეტობის ფენომენის განსაზღვრაში და ხერხდება მხოლოდ ცალკეული ავტორების აზრით მეტად მნიშვნელოვანი რომელიმე მარკერის/მარკერების გამოვლენა, თუმცა შეიძლება გამოიყოს ნიშანთა გარკვეულად სტაბილური ერთობლიობა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეთნიკური იდეტობის ფორმირებას და, შესაბამისად, ისინი შეიძლება ჩავთვალოთ ეთნიკურად. ასეთ მახასიათებლებს განეკუთვნება:

- ა) ჯგუფის წევრების მიერ კოლექტიურად გაზიარებული წარმოდგენა საერთო ენაზე, საერთო მატერიალურ და სულიერ კულტურაზე, საერთო ტერიტორიულ და ისტორიულ წარმოშობაზე;
- ბ) პოლიტიკურად ჩამოყალიბებული მოსაზრება სამშობლოზე და განსაკუთრებულ ინსტიტუტებზე, როგორც არის, მაგალითად, სახელმწიფოებრიობა;
- გ) განსხვავებულობის გრძნობა, ე. ი. თვითშეგნება იმისა, რომ მიეკუთვნები მოცემულ ჯგუფს და ამაზე დამოკიდებული სოლიდარობის ფორმა და საერთო ქმედებები ანუ ჯგუფის წევრების მიერ შეგნებული მიკუთვნებულობა ამ ჯგუფისადმი და განსხვავებულობა დანარჩენებისგან.
- დ) მნიშვნელოვან როლს ეთნიკურობის გაგებაში თამაშობს სოციალური და კულტურული საზღვრების შეთავსება, ჩვენი და მათი წარმოდგენები სხვა ჯგუფის არსებობის შესახებ.

უხსოვარი დროიდან ადამიანს სჭირდება მოწესრიგებულ და ორგანიზებულ სამყაროში ცხოვრების განცდა და ბუნებრივად მიდის საკუთარი ეთნოსის დროში გამოცდილ ღირებულებებამდე, რომელიც მისთვის ყველაზე უფრო საიმედო და გასაგებია. შედეგად, ძლიერდება შიდაჯგუფური სოლიდარობის და ერთიანობის განცდა. სწორედ ამის მეშვეობით ადამიანი თავს გრძნობს ერთობის ნაწილად, რომელსაც შეუძლია მას მისცეს ღირებულებითი ორიენტირები სამყაროში. ამისთვის კი მან ნებაყოფლობით უნდა გაიზიაროს მოცემულ საზოგადოებაში მოქმედი და გაბატონებული ცნობიერების ელემენტები, გემოვნება, ჩვეულებები, ზნეობრივი ნორმები, ფასეულობათა სისტემები და ურთიერთობის სხვა საშუალებები. სწორედ ჯგუფის სოციალური ცხოვრების წესის ამ ნორმების შეთვისება აძლევს ადამიანის ცხოვრებას მოწესრიგებულ და პროგნოზირებად ხასიათს.

ეთნიკურობა ან ეთნიკური იდეტობა, მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, საყოველთაო და უნივერსალური ფენომენია, რომელშიც იგულისხმება საკუთარი ხალხის კულტურის მიმართ ლოიალურობის გამოხატვის ზოგადსაკაცობრიო ფორმა, თუმცა, ეთნიკური ჯგუფების მა-

ხასიათებლები არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ კულტურული მახასიათებლების ჯამამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეთნიკურობა – ეს არის კულტურული სხვაობების სოციალური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ვლინდება ფუნდამენტური კავშირებით სხვა კულტურებთან, სოციალურ და პოლიტიკურ, მათ შორის სახელმწიფოებრივ, ერთობებთან.

თანამედროვე მეცნიერებაში მეტ-ნაკლებად გაზიარებულად ითვლება ეთნიკურობის გამოვლენის სამი პარადიგმა:

- ატრიბუციული (ეთნიკურობა, როგორც ჯგუფის თვისება);
- სუბიექტურ-სიმბოლური (ეთნიკურობა, როგორც ეთნიკური იდენტობა);
- ინტერაქციული (ეთნიკურობა, როგორც ჯგუფთაშორისი ურთიერთობა).

პირველი პარადიგმის მიხედვით ეთნიკურობა განიხილება იმ კულტურული თვისებების გამოვლენის ასპექტში, რომლებიც ერთობის ფორმირების საფუძველს ქმნიან (ენა, ეთნონიმი, ისტორიული მემკვიდრეობა, მატერიალური კულტურის თავისებურებანი, რიტუალები, ქცევის მოდელები და სხვა).

ეთნიკურობის გამოვლენის სუბიექტურ-სიმბოლური ფორმა განიხილება ინდივიდის მიერ გარკვეული (რეფერენტული) ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდის ასპექტში. ასეთი იდენტობა ყალიბდება წარმოშობის, ტრადიციის, ღირებულებათა, კულტურის თაობათაშორისი მემკვიდრეობითობის გაცნობიერების საფუძველზე.

ინტერაქციული პარადიგმა ეთნიკურობას განიხილავს დიხოტომიური სქემის – „ჩვენ“-„ისინი“ დონეზე, ანუ ეთნიკურობა ჯგუფური მახასიათებელია, რომელიც ვლინდება „ჩვენის“ „სხვასთან“ შედარებით. ამ დროს მნიშვნელოვან შემადგენლებად მოიაზრება კულტურული სხვაობები, რომელიც მნიშვნელოვნად, ღირებულად და სოციალურად რელევანტურად აღიქმება.

სწორედ ამ კონტექსტში გვინდა განვიხილოთ შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში ასახული წარმოდგენები/მოსაზრებები ქართველთა, როგორც ეთნიკური ერთობის, შესახებ და განვსაზღვროთ ეთნიკურობის რომელ პარადიგმას შეესაბამება ეს მარკერები ძირითადად.

წინასწარი ჰიპოთეზა საკითხთან დაკავშირებით ასეთია:

იდენტობის მარკერები, რომელიც შუა საუკუნეების ქართული ნარატიული წყაროების მიხედვით მნიშვნელოვნად მიიჩნევა ქართველის ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრისთვის, უპირატესად, ეთნიკურობის ატრიბუციული და სუბიექტურ/სიმბოლური პარადიგმების გადაკვეთას უნდა წარმოადგენდეს, თუმცა, შესაძლოა, გამოიკვეთოს რომელიმე ერთ-ერთი პარადიგმის უპირატესობა და/ან აღმოჩნდეს, რომ შუა საუკუნეების ქართველთა წარმოდგენა ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით პრაქტიკულად ესადაგება ეთნიკურობის გამოვლენის სამივე პარადიგმას და ეპოქისა და პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით პრიორიტეტულ პარადიგმათა ცვალებადობის ტენდენცია ახასიათებს.

„ქართველთა ცხოვრება“ არა მხოლოდ მდიდარ მასალას გვანვდის ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების წარმოდგენის შესახებ ეროვნულობა/ეთნიკურობაზე, არამედ მთელ კონცეფციას გვთავაზობს ამის თაობაზე. ამ კონცეფციის თანახმად, ქართველის ეთნოკულტურულ სახეს შემდეგი კომპონენტები ქმნიან: საერთო წარმომავლობა, საერთო ენა და ტერიტორია (საზღვრები), რწული (რელიგია) და საერთო ისტორიული წარსული (ისტორიული მემკვიდრეობა).

### საერთო წარმომავლობა

„ქართველთა ცხოვრების“ მიხედვით, საერთო წარმომავლობაში ჯერ თარგამოსიანობა, ანუ თარგამოსიდან წარმომავლობა, შემდეგ კი ქართლოსიანობა, ანუ ქართლოსიდან წარმომავლობა იგულისხმება. ქართლოსის შთამომავალი ყველა ქართველია. შესაბამისად, ეროვნული იდენტობა საერთო წარმომავლობას, ანუ სისხლისმიერ ნათესაობას ეფუძნება. ამის აღსანიშნავად თხზულება სპეციალურ ტერმინსაც გვთავაზობს, რაც ქართველთა სწორედ ქართლოსიდან წარმომავლობას, ანუ მათ სისხლისმიერ ნათესაობას გამოკვეთს – „ქართველთა ნათესავი“, „ნათესავით ქარ-

თველი“. ამ ნიშნით ქართლოსიანები განსხვავდებიან სხვა „ნათესავისაგან“: მაგალითად, „ნათესავით ოვსისაგან“, „ნათესავით სპარსთაგან“.

იმავედროულად, ყველა ქართველი როდია ქართლოსის შთამომავალი. „ნათესავით ქართველი“-საგან და ქართლოსიანისაგან განსხვავებით, სადაც წინა პლანზე სწორედ სისხლისმიერი ნათესაობაა წამოწეული, სახელწოდება „ქართველი“ უფრო სადაურობას უსვამდა ხაზს. ის ბევრად უფრო ფართო შინაარსის მატარებელია, ვიდრე, უბრალოდ, ერთი მოდგმის ერთობა – ქართველი ქართლის, როგორც სახელმწიფოს, მკვიდრს აღნიშნავს, განურჩევლად „ნათესაობისა“, თუმცა მასში „ქართლოსიანიც“ იგულისხმება (ბერძენიშვილი 1975: 253-269, 377-382).

ასე მაგალითად, ქართლის მოქცევის შესახებ თხრობაში ნათქვამია: „იქნა გლოვა და ნუხილი ჰურიათა ზედა ქართუელთა, მცხეთელთა მკვდრთა“ („ქართლის ცხოვრება“ 1955: 44).

შეიძლება ითქვას, რომ „ქართუელი“, როგორც ეთნიკური იდენტობის აღმნიშვნელი სახელი, იმთავითვე სინთეზური შინაარსის მატარებელი იყო და გულისხმობდა როგორც ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობას, ქვეშევრდომობას, ისე ერთი ბიოლოგიური წინაპრიდან სავარაუდოდ წარმომავლობას, რაც ნათესაობის ილუზიურ შეგრძნებას ქმნიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად მიღებული მოსაზრების თანახმად, ერთიანობის განცდის ჩამოყალიბებაში მნიშვნელობა არა აქვს „ჩვენ“ ჯგუფში შემავალი ადამიანების გამაერთიანებელი ნათესაობა რეალურია თუ წარმოსახვითი.

ამასთან, საინტერესო და სრულიად თანამედროვედ ყდერადია „ქართველთა ცხოვრების“ თვალსაზრისი იმის შესახებ, რამდენად სასურველი და მიზანშეწონილია უცხო წარმომობის ეთნიკური თემების საქართველოში მოსვლა – დასახლება. მემატიანე თვლის და, სავარაუდოდ, ეს მისი კერძო მოსაზრება კი არა, მმართველი ელიტის პოზიციაზე უნდა იყოს, რომ, თუ უცხოტომელები ლოიალურნი არიან ქართული საზოგადოების, მისი ენის, სარწმუნოების, ადათ-ჩვევების მიმართ და არათუ არ ეწინააღმდეგებიან ქართველთა სახელმწიფოებრივ ინტერესებს, არამედ, პირიქით, ქართული სახელმწიფოებრიობის საკეთილდღეოდ მოქმედებენ, მათი დასახლება საქართველოში ფრიად სახარბიელოა, რადგან მათი მოსვლა ამრავალრიცხოვნებს და, შესაბამისად, აძლიერებს ქართულ საზოგადოებას და სახელმწიფოს უცხო მტერთან ბრძოლაში. სამაგალითოდ შეიძლება მოვიყვანოთ სპარსთაგან დევნილი თურქების შესახებ მოთხრობა, რომლებიც „ქართველთა ცხოვრების“ მიხედვით ქართველებმა „შემწეობისათვის დაიმეგობრნეს ... და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა და იყვნეს ესე ნებისყოფელ ერთმანერთის. მოილოდინეს მოსვლასა სპარსთასა, ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა. მას ჟამსა შინა სადაცა ვინ მოვიდის საბერძნეთით, გინა ასურით ოტებულნი, გინა ხაზარეთით, ყოველნივე დაიმეგობრნიან ქართველთა შემწეობისათვის სპარსთა ზედა“.

### ტერიტორია

„ქართველთა ცხოვრების“ მიხედვით, ერის, ხალხის არსებობისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობა ერთიანი ტერიტორიაა, შესაბამისად, თხზულება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართველთა განსახლების საზღვრების ჩვენებას და, უნდა აღინიშნოს, რომ ის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ძეგლია, რომელიც ბიბლიური თარგამოსისა და მისი მოდგმის საერთო საზღვრებს სრულიად კონკრეტულად მოხაზავს: „აღმოსავლეთით ზღვა გურგენისა (კასპიის ზღვა), დასავლეთ ზღვა პონტოსა (შავი ზღვა) და სამხრით ზღვა ორეთისა (ხმელთაშუა ზღვა) და ჩრდილოთ მთა კავკასია“ – რაც კავკასიონის ქედსა და სამ: ხმელთაშუა, კასპიის და შავ ზღვებს შორის ტერიტორიას გულისხმობს. თარგამოსიანთა განსახლების საზღვრების მოხაზვისას მემატიანის ეს თავდაჯერებულობა განაპირობა იმან, რომ მან თარგამოსის ტერიტორია იმ სახელმწიფოების ტერიტორიების ერთობად წარმოიდგინა, რომელთა სახელებისაგან ბერძნული სუფიქსის „ოს“ დამატებით თარგამ-ოსის სავარაუდოდ რვა შვილის სახელი აწარმოა: ჰაოსი, ქართლოსი, ეგროსი და ა. შ. და, საბოლოოდ, ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ხალხები გააერთიანა ერთი სახელის კავკას-ის ქვეშ.

თარგამოსის მოდემის განსახლების ერთიანი საზღვრების მოხაზვის შემდეგ, „ცხოვრება ქართველთა მეფეთასათა პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ცალ-ცალკე მოხაზავს თარგამოსის რვავე „შვილის“ – „ძმების“ ქვეყნების საზღვრებს, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა არაფერია, თუ არა მის დროს არსებული ქართლის სამეფოს საზღვრები და ქართლის სამეფოს ირგვლივ მემამათის პერიოდში მყოფი მეზობელი სახელმწიფოების თუ პოლიტიკური წარმონაქმნების საზღვრები.

## ენა

ქართველებს „სხვებისაგან“ ქართული ენაც განასხვავებს. „ქართველთა ცხოვრება“ ენის წარმოშობის ორ თეორიას იცნობს და იზიარებს. პირველი თეორია ბიბლიურ ბაბილონის გოდოლის დანგრევას უკავშირდება, როდესაც, ბიბლიის თანახმად, ღმერთის ნებით, ერთ ენაზე მოსაუბრე კაცობრიობა მყისიერად მრავალენოვანი გახდა. მეორე თეორია კი, პირიქით, უკვე დაშლილი სხვადასხვა ენის შერევის შედეგად ახალი ქართული ენის აღმოცენებას გვისახულებს.

„ქართველთა ცხოვრების“ მიხედვით, ენა, საზოგადოდ, და მათ შორის ქართულიც, განვითარების რამდენიმე საფეხურს გადის: პირველი საფეხური მისი წარმოშობაა, მეორე – სახელმწიფოს საზღვრებში მისი საყოველთაოდ განვრცობა, მესამე და უმაღლესი საფეხური კი მნიგნობრობის მქონე ენად ქცევაა. ქართული ენის განვითარების ამ მესამე უმაღლეს საფეხურზე ასვლას თხზულება ქართლის სახელმწიფოს ფუძემდებელსა და მის პირველ მეფე ფარნავაზს მიაწერს, რომელმაც მემამათის სიტყვით: „განავრცო ენა ქართული ... და შექმნა მნიგნობრობა ქართული“ („ქართლის ცხოვრება“ 1855: 23). იმის ასახსნელად, თუ როგორ წარმოიშვა უშუალოდ ქართული ენა, „ქართველთა ცხოვრება“ თავის ფრიად ორიგინალურ მსჯელობას გვთავაზობს: ქართლში სომხურად მოსაუბრე ქართლოსიანების (ქართველების) გვერდით ძველთაგანვე სახლობდნენ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში დამკვიდრებულ „უცხო ნათესავთა“: ასურელთა, თურქთა, ხაზართა, ებრაელთა ... მემკვიდრეები და ამ ყველა „ნათესავთა“ ენების შერევით წარმოიშვა ქართული ენა.

XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის I ნახევრის საქართველოში ამ მოსაზრებას პირდაპირი და სწორად გათვლილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟღერადობაც ჰქონდა: ის ქართულ საზოგადოებას შთააგონებდა, რომ „ქართული“ როგორც „ნათესავით ქართულთა“, ისე საქართველოში დამკვიდრებულ სხვა „ნათესავთა“ შერწყმის შედეგია და, შესაბამისად, XII საუკუნის I ნახევრისათვის, როდესაც საქართველო, კავკასიის გამაერთიანებელ მონარქიად ქცევის პარალელურად, მრავალეთნიკურიც გახდა, ამ მხრივ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა ანუ პოლიეთნიკურობა და, შესაბამისად, ამით გამყარებული ქართული პოლიტიკური მმართველობის სურვილი თუ ამბიცია კავკასიის გამაერთიანებელ ძალად სწორედ საქართველოს ქცევისა, სავსებით ბუნებრივია.

## სარწმუნოება

„ქართველთა ცხოვრების“ მიხედვით, ქართველის, ისევე, როგორც, ზოგადად, ნებისმიერი ხალხის, არსებობის აუცილებელი პირობა რელიგიის ანუ რჯულის ერთობაა.

თხზულების მიხედვით, რელიგია – მამათა რჯული ერისა და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი და მისი მდგრადობის გარანტია. ამიტომაც რჯულის შეცვლა, მამათა რჯულის დალატი ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც „ქართველთა ცხოვრება“ ქვეშევრდომების მიერ მეფის მოკვლასაც კი ამართლებს. ამას ნათლად ადასტურებს „ქართველთა ცხოვრების“ ის პასაჟი, რომელიც მეფე ფარნავაზის წინააღმდეგ შეთქმულებას და მის სიკვდილით დასჯას ეხება.

როდესაც ფარნავაზის შვილი ტახტის დასაბრუნებლად ქართლში მოდის, ის შემდეგი სიტყვით მიმართავს სამეფოს იმ მესვეურებსა და საგვარეულოების თავკაცებს, რომლებმაც თავის დროზე მამამისი რჯულის შეცვლის გამო მოკლეს: „სამართლად მოიკლა მამა ჩემი, რამეთუ ვერ კეთილად იპყრა სჯული მამათა თქუნთა“. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ჩანს,

მემატიაანისთვის მამათა რჯულისადმი ერთგულებაზე მსჯელობისას, რელიგიურ კომპონენტზე უფრო მნიშვნელოვანი ამ ნიადაგზე ჩამოყალიბებული ერთიანობის/ნათესაობის განცდაა ანუ რელიგიური ერთიანობა ეთნიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ ეფექტურ ინსტრუმენტადაა გააზრებული და, ერთი მხრივ, „ჩვენ“ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის სიმყარეს განაპირობებს, ხოლო, მეორე მხრივ, გამოკვეთს განსხვავებას „სხვა“, „უცხო“ ეთნიკური ჯგუფისგან. ამის დასტურად გამოდგება მატიაანის მსჯელობა რელიგიურობის და სულიერების განვითარების საფეხურების შესახებ, კერძოდ, პასაჟი, რომელიც ეხება თარგამოსისა და ქართლოსის შემდგომ პერიოდს. მიუხედავად მემატიაანის ხაზგასმისა, რომ ქრისტიანობა სულიერებისა და რელიგიის უმაღლესი საფეხურია, მცხეთოსის გარდაცვალების შემდგომ ეპოქაზე თხრობისას იგი ამბობს: ქართლოსის ძის, მცხეთოსის გარდაცვალების შემდგომ გამეფებული არეულობისა და ურთიერთბრძოლისა და ქიშპის ეპოქაში, ქართლოსის მოდგმამ დაიგინა ღმერთი დამბადებელი და დაეშვა სულიერების განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე – „იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა“, მაგრამ ისინი მაინც დარჩნენ მყარ ეთნიკურ ერთობად, რადგან წარსულისაგან მათ ერთი გამაერთიანებელი რამ შემორჩათ: „მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“. ეს იყო სწორედ ის საფუძველი, რაც ქართლოსიანებს კვლავაც ერთ ეთნოსად კრავდა.

### ისტორიული მეხსიერება

კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც გვაძლევს საფუძველს „ქართველთა ცხოვრება“-ში დაფიქსირებული იდენტობის მარკერები უპირატესად ეთნიკურობის გამოვლენის ატრიბუციულ პარადიგმას მივაკუთვნოთ, არის მატიაანის მსჯელობა საერთო წარსულის ანუ ისტორიული მეხსიერების მნიშვნელობაზე. „ქართველთა ცხოვრება“ ამ თვალსაზრისით ძირითად აქცენტს აკეთებს ცალკეული ტერიტორიების მიღება/მოპოვების მიზნით განხორციელებულ ბრძოლებზე, შეთანხმებებზე, პოლიტიკურ მიღწევებსა და დათმობებზე, როგორც საერთო წარსულზე. მაგალითად, ვახტანგ გორგასლის მეფობის პირველი წლების აღწერაში ნათქვამია: „მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის წყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე. მაშინ იქმნა გლოვა და ნუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს: „განვამრავლეთ ცოდვა ღვთისა მიმართ,.... მოანია ღმერთმა ჩვენზედა ესე რისხვა, რამეთუ .... მიგვილო ჩუენ საზღუარი ბერძენთაგან, ვითარცა მიულო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი“; ქართლის მოქცევისადმი მიძღვნილ ნაწილში ვახტანგ გორგასალი ამბობს: „მამათა ჩვენთა დაფარულად ეპყრა წიგნი ესე [ნებროთისი], ... ამის მიერ შეიწყნარა მამამან ჩვენმა მირიან სახარება ქრისტესი ნინოს მიერ“ ან, არაბი ასიმი არჩილს მიმართავს: „შვილი ხარ დიდთა მეფეთა ხუასროანთა“ და სხვა. ეს ყველაფერი აერთიანებს ქართველებს და მათი ნათესაობისა და ერთიანობის განცდას კიდევ უფრო ხელშესახებს ხდის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „ქართველთა ცხოვრება“-ში დაფიქსირებული, ქართველთა ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებული მარკერების ანალიზი პრაქტიკულად სრულად ადასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულ ჰიპოთეზას ეთნიკურობის გამოვლენის სამივე პარადიგმასთან მათი სავარაუდო თანხვედრის შესახებ და კიდევ ერთხელ ხაზგასმით წარმოაჩენს შუა საუკუნეების ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული წყაროს ავტორის პოლიტიკურად მიზანმიმართულ და ერთიანი/ცენტრალიზებული სახელმწიფოს შენარჩუნება/განვითარების პერსპექტივაზე გათვლილ, მეცნიერულად საკმაოდ მყარად არგუმენტირებულ ხედვას იმ აუცილებელი ნიშანპირობების შესახებ, რამაც უნდა შეუქმნას გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებ, ეთნიკურად შეიძლება არამონათესავე მოსახლეობას ერთიანობის, „ჩვენ“ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობისა და ამ ჯგუფის კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებებისადმი მკაფიო ლოიალურობის საფუძველი.

## ბიბლიოგრაფია

ბერძენიშვილი, ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. VII, თბილისი, მეცნიერება, 1975  
ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი. 1, თბილისი, სახელგამი, 1955

*MANANA SANADZE, TINATIN GUDUSHAURI*

### IDENTITY MARKERS IN THE GEORGIAN NARRATIVE SOURCES OF THE MIDDLE AGES (Historico-Anthropological Analysis)

#### Summary

The paper deals with the issue of revealing the identity defining markers in the Georgian narrative sources of the Middle Ages (“The Life of Georgians”). It also highlights the main characteristics considered to be important according to the Georgian historical material from the point of view of determining “We-Group” and identifying the distinction of one ethnicity from the others.

Identity markers, which (according to the Georgian medieval narrative sources) are considered to be significant for defining the ethnicity of Georgians, are viewed in the intersection of three main paradigms of ethnicity:

- ✓ Attributive (as the quality of a group) – ethnicity is viewed in the aspect of demonstration of the cultural qualities creating the basis for the formation of unity (language, ethnonym, historic memory, peculiarities of tangible culture, rituals, behavioral patterns, etc.);
- ✓ Subjective-symbolic (ethnicity as an ethnic identity) – ethnicity is viewed by an individual in the aspect of the sense of belonging to a certain (reference) group;
- ✓ Interactive (ethnicity as intergroup relations) – views ethnicity at the level of dichotomic scheme “we” – “they”, i.e. ethnicity is a group characteristic demonstrated by comparing “ours” with “non-ours”.

A preliminary hypothesis concerning the issue can be developed this way:

Identity markers, which according to the Georgian medieval narrative sources are considered to be significant for defining the ethnicity of Georgians, should primarily represent an intersection of attributive and subjective/symbolic paradigms of ethnicity; however, the advantage of one of the paradigms may be outlined and/or it may appear that the idea of medieval Georgians concerning ethnic belonging practically corresponds to all the three paradigms of demonstration of ethnicity and is marked by the tendency of variability of dominant paradigms considering the epoch and the political situation.

“The Life of Georgians” offers the whole concept regarding nationality/ethnicity. According to this concept, the ethno-cultural image of a Georgian individual comprises the following components: common origin, common language and territory (borders), confession (religion) and common historic past (historic memory).

According to “The Life of Georgians”, *common origin* implies origination first from Targamos, and afterwards from Kartlos. All the descendants of Kartlos are Georgians. Therefore, national identity is based on common origin, i.e. blood relations. At the same time, the name “Georgian” accentuated the place of origin. It has a much wider context than just a unity of one family.

One of the main preconditions for the nation’s/people’s existence is a unified *territory* and therefore, the work attaches great importance to showing the borders of settlement of Georgians.

Georgians also differ from “others” by the *Georgian language*. According to “The Life of Georgians”, language in general, and specifically the Georgian language, undergoes several steps of development: the first step is its origin, the second – its universal spread within the state borders, the third and the highest step is its transformation into the language of education.

The necessary precondition for the existence of Georgians, as well as any people in general, is the unity of *religion*, i.e. confession. According to the work, religion – confession of ancestors is one of the most significant attributes of the nation and state and the guarantee of its sustainability.

One more component of the identification of ethnicity is the chronicler's discussion about the significance of the common past, i.e. *historic memory*. In this regard, "The Life of Georgians" mainly focuses on the fights, agreements, political achievements and compromises related to acquiring/gaining separate territories. The mentioned phenomena are considered to be the common past. According to the chronicler, all these factors unite the Georgians and make the sense of the past as well as the sense of their relationship and unity more tangible.

The analysis of the markers related to the ethnic identity of Georgians observed in "The Life of Georgians" practically fully confirms the hypothesis presented by us about a possible correspondence of the mentioned markers with all the three paradigms of identification of ethnicity. The mentioned analysis demonstrates the scientifically justified opinion of the author of this most significant historical source of the medieval period. Considering all the necessary preconditions, the mentioned opinion is politically determined and focused on the perspective of preservation/development of a unified/centralized state. For the population residing on a certain territory, but not necessarily related ethnically, these preconditions should create the basis for firm loyalty to the unity, belonging to the "We-Group" as well as culture, traditions and values of this group.



*ნინო ქიმერიძე*

**მულტიმედიური ტექსტები, როგორც დისკურსის ანალიზის ობიექტი**

**შესავალი**

თანამედროვე საზოგადოების ტექნოლოგიურმა სიახლეებმა კომუნიკაცია ფართოპროფილური გახადა. აქედან გამომდინარე, კომუნიკაციის კვლევებში ახალი მიმართულება მკვიდრდება, კერძოდ, „მულტიმედიური კომუნიკაცია“. თემის აქტუალობას განაპირობებს, უწინარეს ყოვლისა, თანამედროვე მედიების მრავალფეროვნება და მათი სწრაფი დამკვიდრება ყოველდღიურ კომუნიკაციაში. ერნესტ ვ.ბ. ჰესს-ლუტიხი მულტიმედიათა კომუნიკაციის კვლევას დღეს უკვე მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომლის ფუნდამენტური შესწავლა ჯერ არ არის განხორციელებული. ავტორი კომუნიკაციის ამ სფეროს სემიოტიკის ველში ათავსებს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მულტიმედიური კომუნიკაციის სემიოტიკას კვლევის დიდი ხნის ტრადიციები არა აქვს, ვინაიდან ის მუდმივ ცვლილებას და განახლებას განიცდის ტექნიკური პროგრესის საფუძველზე (Hess-Lüttich 1992: 431).

მედიების განვითარების სხვადასხვა საფეხურს განარჩევენ მედიათა ისტორიაში, რომლის საფუძველზე დროთა განმავლობაში ვითარდებოდა ტექსტის სახეობებიც. თუ თავდაპირველად მედიების განვითარებამ გამიჯნა ზეპირი და წერილობითი ტექსტის ჩამოყალიბების ფაზები, დღეს უკვე ვმსჯელობთ ტექსტის სუბსტრატის მულტიმედიურ ფორმატზე და, შესაბამისად, ამ ტიპის ენობრივ წარმონაქმნთა გაგება-გააზრების საკითხი მულტიმედიათა ანალიზის მრავალგანზომილებიან მეთოდოლოგიის შეჯერებას მოითხოვს. თუ პირველი ფაზის მედიები უწინარესად ადამიანს უკავშირდება, მედიების განვითარების მეორე და მესამე ფაზაში ბეჭდური და ელექტრომედიები ტექნოლოგიის საფუძველზე ახდენენ ტექსტის სუბსტრატის ვარირებას (Faustich 1994: 16). პირველი ორი ფაზისაგან განსხვავებით, მესამე ფაზაში არა ინფორმაციის კოდირებაა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ხელშემწყობი პირობა ტექსტის წარმოქმნისათვის, არამედ, ახალი მედიების შემთხვევაში, ტექსტის ჩამოყალიბების არსებით ხაზად დამატებით დიგიტალიზაციის პრინციპი განიხილება.

ტექსტის გრაფიკული სუბსტრატის მრავალფეროვნება, რომელსაც ევროპულ ლიტერატურაში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს, თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა ტიპის მედიათა კვეთას ტექსტურაში, რაც კვლევის პროცესში ტექსტის დისციპლინათაშორის რაკურსში ანალიზს მოითხოვს. ფაქტობრივად, ტექსტი უკვე აღარ არის მხოლოდ ვერბალურ ნიშანთა ერთობლიობა, არამედ მისი ტექსტურა შესაძლოა გაფართოვდეს არავერბალური ნიშნებით, რომელთა კოდები ისევე ჩართულია ტექსტის „ქსოვილში“, როგორც სხვა დანარჩენი არავერბალური. თანამედროვე ტექსტურის მულტიმედიურობიდან გამომდინარე ასკვნის მკვლევარი ეკეჰარდ ფელდერი (Felder 2015: 88), რომ ჩვენი ინდივიდუალური ცოდნა მეტწილად ეფუძნება ენობრივი და სურათ-ხატოვანი ნიშნების აღქმას, რომელთა გააზრება დისკურსის კონტექსტში ხდება. თუმცა ცოდნის მატერიალიზების ძირითად მედიუმად მაინც ბუნებრივი ენა რჩება. მაგრამ ვერბალურისა და ვიზუალურის კომბინაციის შემთხვევაში, ფოკუსის გადაწევა დისკურსის შინაარსიდან ნაწილობრივ მის გამოვლენაზე ხდება, რაც ერთგვარად თავმოყრილია ენობრივ ნიშნებსა და სურათ-ხატებში, როგორც ვიზუალურ მარკერებში.

ტექსტის გრაფიკული სუბსტრატი ტექსტურის ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე, ისტორიულად ანბანური გრაფემების გარდა, არაერთ ნიშანთა სისტემას იყენებდა პროდუცირების პროცესში და დღეს უკვე მედიატექნოლოგიების ფართო სპექტრი საშუალებას იძლევა კიდევ უფრო

შეივსოს გრაფიკული სუბსტრატი, გაჩნდეს ახალი ტექსტური კოდები, ცალკეული მარკერებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ვერბალური ტექსტურის შემცირება და ტექსტის სუბსტრატის ვიზუალიზება.

თანამედროვე ლიტერატურული თუ არალიტერატურული ტექსტების ტექსტურა ღია ყველა ტიპის გრაფიკული ნიშნის, სიმბოლოსა თუ სურათისათვის, რაც გამომწვეულია იმით, რომ ტექსტი თავისთავად იზოლირებული ვერ იქნება, რადგან ის კონკრეტულ, კულტურით განპირობებულ, სივრცეში და სიტუაციაში იქმნება. აქედან გამომდინარე, ფილოლოგიურ კვლევებში ტექსტის ცნება ცდება ფილოლოგიის საზღვრებს და გადაინაცვლებს უფრო ფართო არეალში, კერძოდ კი, ის კულტურის კვლევების ობიექტად იქცევა, ფართოვდება მისი გაგება და, შესაბამისად, ტექსტის განმარტებისას რ. პოზნერი ხაზგასმით ასახელებს რამდენიმე პირობას, რაც ტექსტის გაფართოებული ცნებისთვის ტიპობრივია, კერძოდ, ტექსტი უნდა იყოს არტეფაქტი ანუ გააზრებული და გამიზნული ქმედების შედეგი, ინსტრუმენტი კონკრეტული კულტურისათვის და შესაბამისი კულტურით კოდირებული ენობრივი წარმონაქმნი (Posner 1996: 46).

გასული საუკუნის 60-იან წლებში მკვიდრდება მოსაზრება, რომ ტექსტები კონკრეტული ქმედების კონტექსტიდან და ურთიერთმიმართებიდან გამომდინარე, ქმნიან „კორპუსს“. კორპუსი, რომელიც განსხვავებული კოდებით შექმნილი ტექსტების ერთიანობაა, თავის მხრივ ემყარება საერთო საზრისის მოდალობას, ქმნის დისკურსს.

მულტიმედიური ტექსტების შემთხვევაში, ნიშნებისა და კოდების კიდევ უფრო ფართო სპექტრთან გვაქვს საქმე, რომელიც საზრისის საერთო მოდალობის გარეშე ტექსტურას ვერ შექმნის, კერძოდ, მსგავსი ტიპის ტექსტური სუბსტრატის შემთხვევაში, ნიშანი, სიმბოლო სურათი ცდილობს განავრცოს არა მხოლოდ ვერბალური დისკურსი, არამედ მათი მეშვეობით იქმნება ვიზუალური დისკურსი საკუთრივ, რომლის ანალიზი განსხვავებულ მეთოდოლოგიას ემყარება. მულტიმედიური ტექსტების შესწავლამ აჩვენა, რომ, თანამედროვე ტექსტურის კვლევების საფუძველზე, განზოგადებულად დისკურსის ლინგვისტიკა შესაძლოა ახლა უკვე წარმოვიდგინოთ, როგორც ერთგვარი დისკურსის სემიოტიკა.

ნაშრომში შევეცდებით ცალკეული მულტიმედიური ტექსტურის ანალიზის მეშვეობით წარმოვჩინოთ ტექსტის გრაფიკული სუბსტრატის მნიშვნელობა ერთიანი დისკურსის ფარგლებში, ვერბალური და ვიზუალური დისკურსის ანალიზის მეთოდოლოგიის შეჯერების საფუძველზე. იმთავითვე გათვალისწინებული უნდა იყოს საანალიზო ტექსტების თავისებურება, ვინაიდან, ერთი მხრივ, შერჩეული კორპუსისათვის იკვეთება დისკურსის საერთო ჩარჩოები, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეული ტექსტურა ქმნის მიკროდისკურსულ სივრცეს განსხვავებულ სემიოტიკურ ნიშანთა ერთობლიობით. საანალიზოდ შერჩეულ ტექსტებში მეტადრე ფოკუსირებულია გრაფიკული სუბსტრატი, რომელიც დისკურსის ანალიზის პროცესში უშუალოდ ტექსტურის შემადგენელია; შესაბამისად, **იკვეთება საკითხი**, არის თუ არა ტექსტის სუბსტრატში რომელიმე მათგანი (ვერბალური ან ვიზუალური) დომინანტური და, რომელიმე მათგანის პრიორიტეტულობის შემთხვევაში, რამდენად დიდია ტექსტურის დომინანტური სუბსტრატის გავლენა მის არადომინანტურ ნაწილზე.

### საანალიზო მასალისა და მეთოდისათვის

როცა ლინგვისტიკაში დისკურსის კვლევაზე მსჯელობენ, მ.რაიზიგლი და ა.ციმი განმარტავენ, რომ დისკურსის ელემენტარულ შემადგენელ ნაწილებად ლინგვისტიკაში შესაძლებელია მოგვევლინოს წინადადებები, გამონათქვამები, საკომუნიკაციო აქტები, ენობრივი ქმედების ნიმუშები, პროპოზიციები, შესაბამისად, საინფორმაციო ერთეულები, ტექსტები და სურათები, რომელთა ურთიერთმიმართება შესაძლებელია მრავალფეროვანი იყოს, კერძოდ, ისინი შეიძლება წარმოჩინდნენ ერთი დისკურსის ფარგლებში, როგორც სეკვენციები, თემატური გაშლენი, ინტერტექსტური მიმართებები ანდა როგორც პრაგმატულ ფუნქციათა მიმართებები (Reisigl/Ziem 2014: 71). როგორც განმარტებიდან ჩანს, ავტორებს დისკურსის გააზრების ფართო სპექტრი

აქვთ, სადაც არა მხოლოდ ვერბალური, არამედ არავერბალური სუბსტრატი ერთიანობაში დისკურსის ბადეს ქმნის და სოციალურ კონტექსტში ფართო გაგებით განიხილება. თავის მხრივ, კონტექსტი საფუძვლად უდევს კრიტიკული დისკურსის ანალიზს, რომელიც, როგორც წესი, არის მრავალგანზომილებიანი, ის დისკურსს ხედავს, როგორც სოციალურ მოვლენას, რომელსაც, გარკვეულწილად, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სიტუაცია წარმართავს (Reisigl/Ziem 2014: 74). მიუხედავად დისკურსის ასეთი ფართო საზრისისა, დისკურსს, როგორც ვირტუალური ტექსტების კორპუსს, რომელიც სემანტიკურად, ფუნქციურად და ინტერტექსტურად ერთმანეთთან დაკავშირებული ტექსტების ერთობაა, ლინგვისტიკის შემადგენელ ნაწილად ჯერ კიდევ 90-იანებში განიხილავენ დ.ბუსე და ვ.ტობერტი (Busse/Teubert 1994: 14). წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარე ჩანს, რომ, ფართო გაგებით, დისკურსის ანალიზის ფარგლებში შესაძლოა მოექცეს ისეთი ტექსტები, სადაც მარკირებული არაენობრივი ნიშნებიდან დაწყებული, სურათის ჩათვლით, სხვადასხვა არავერბალური მარკერებიც გვხვდება. შესაბამისად, ბუნებრივია, დგება განსხვავებული სემიოტიკური სისტემების ანალიზის საკითხი დისკურსის ფარგლებში და მათ შორის პუანტირებული გრაფიკული ნიშნებისა და სურათების, კომიქსის ფიგურებისა და ანიმაციური კადრების ჩართულობის საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ დისკურსის ანალიზი ითვალისწინებს ენობრივი მასალის ანალიზის ხარისხობრივ მეთოდს, დგება საკითხი, რამდენად დაექვემდებარება არავერბალური მასალის ანალიზი განსხვავებული მედიების ფარგლებში ანალიზის წინამდებარე მეთოდოლოგიას. ზემოაღნიშნული წინაპირობის ფარგლებში გერმანულენოვანი დისკურსის მკვლევრები შ.მაიერი და ქ.პენტცოლდი, რომლებიც საკომუნიკაციო და მედიამცოდნეობის ფარგლებში იხილავენ დისკურსის გაგების საკითხებს, მიიჩნევენ, რომ დისკურსის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს კულტურის კვლევები მისთვის ნიშანდობლივი სემიოტიკური კოდირებისა და დეკოდირების სისტემით. მედიური ტექსტები კი წარმოადგენენ კონკრეტული დისკურსის საზრისის მქონე სეგმენტებს, რომლებიც თემატურად და ინსტიტუციურად კონკრეტული დისკურსის ფარგლებში ექცევიან, სადაც, შესაბამისად, ხდება მათი პროდუცირებაცა და რეციპირებაც. მედიატექსტებში ცხადდება ინსტიტუციურ-მედიური პროდუცირების რეჟიმის დისკურსით განპირობებული საზღვრები, ისევე როგორც ტექნიკურ-მედიური დისპოზიცია. ისინი იძლევიან დომინანტურ კოდებს. კოდები კი კარნახობენ კითხვის ჰეგემონურ ტიპს, რომელიც დამკვიდრებულია ავტორიტეტთა მიერ და შესაძლოა დაეფუძნოს მედიათა ანალიზის პრინციპს (Meier/Pentzold 2014: 123). ასეთ შემთხვევაში, ერთი მხრივ, სახეზეა მედიათა სემიოტიკური და შემდგომ უკვე დისკურსის ანალიზის კომბინაცია.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში გაანალიზდა სოციოკულტურული დისკურსით მარკირებული არაერთი ნიმუში (ბ.ბრეხტი, ფრ.ფიუმანი, თ.ვაინობსტი, ა. მორჩილაძე). წინამდებარე ტექსტები, როგორც დისკურსის შემადგენელი სეგმენტები, შესწავლილ იქნება ლინგვისტურ ჭრილში. ეკ. ფელდერი დისკურსში მანიფესტირებული ენობრივი მასალის ანალიზის შემთხვევაში ხუთსაფეხურიან ლინგვისტური აღწერის მოდელს იძლევა, კერძოდ: „ლექსემის დონე (1), სინტაგმათა დონე (2), წინადადების დონეზე გამოხატვის საშუალებათა დონე (3), ტექსტის დონე (4) და ტექსტისა და სურათის მიმართებათა დონე (5)“ (Felder 2012: 118). მეოთხე საფეხურზე, სადაც ტექსტის დონეზეა მსჯელობა, გასათვალისწინებელია ალ.ციმისა და მ.რაიზიგლის (Reisigl/Ziem 2014: 71) განმარტება, სადაც მკვლევრები განმარტავენ, რომ ტექსტი, ტრადიციულად, ტექსტის ლინგვისტიკაში წარმოდგენილია როგორც მეტ-ნაკლებად დახურული ენობრივი ერთეული და წინამდებარე თეზისის გასამყარებლად მოიხმობს კ.ბრინკერის ნაშრომს „ლინგვისტური ტექსტის ანალიზი“ (Brinker 2014). რაც შეეხება დისკურსის ლინგვისტიკას, მკვლევრები ეყრდნობიან ი.ვარნკეს (Warnke 2000) თეზისს, რომლის მიხედვით ტექსტები მუდმივად იმყოფებიან სხვა ტექსტებთან მიმართებაში, ამდენად, ისინი შესაძლოა არა ერთი დისკურსის, არამედ რამდენიმეს ნაწილიც კი იყვნენ. ამრიგად, ტექსტები ინტერაქციის საშუალებაა და კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთმიმართებაში ავლენენ თავს.

ეკ.ფელდერის ხუთსაფეხურიან საანალიზო სქემაში, ბოლო საფეხურზე განიხილება ტექსტისა და სურათის ურთიერთმიმართება. ი.ვარნკეს თეზისის თანახმად, სურათი, ანიმაცია, ნიშანი ისევე შეგვიძლია ცალკე „ტექსტად“ განვიხილოთ, როგორც ნებისმიერი სხვა ვერბალური ენობრივი წარმონაქმნი, რომელიც აგრეთვე დისკურსის შემადგენელი სეგმენტია და ეს უკანასკნელი აგრეთვე შესაძლებელია აღმოჩნდეს რამდენიმე დისკურსში ჩადგმული სეგმენტი. ვერბალური ტექსტურისაგან განსხვავებით, ვიზუალური ტექსტურა, ჩვენს შემთხვევაში კი ტექსტის სუბსტრატში დაფიქსირდა გრაფემები, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ნახატები და ვიზუალური მრავალდონიანი ანიმაცია, დაექვემდებარება ანალიზის განსხვავებულ მეთოდს. ასევე ორდონიანია საკუთრივ ვიზუალური ტექსტურა შერჩეულ ტექსტებში, – ერთი მხრივ, ფიქსირდება სტატიკური ვიზუალური მასალა, ხოლო, მეორე მხრივ, დინამიკური. ტექსტური სუბსტრატის გარეშე სურათები, ხატები და გრაფიკული ნიშნები თავად იძლევიან ინფორმაციას, თუმცა ისინი, როგორც დისკურსის შემადგენლები ვერბალურ ტექსტურასთან კავშირში, ერთიან საზრისს ქმნიან.

სილკე ბეტშერი გვთავაზობს ვიზუალური დისკურსის ანალიზს (VDA), ეყრდნობა რა მარიონ მიულერის თეზისს, რომლის მიხედვით „ტექსტის ლოგიკა არგუმენტაციულია, ხოლო სურათის ლოგიკა ასოციაციური“ (Müller 2003: 91, ციტირებული Betscher 2013: 286 მიხედვით). მკვლევარი იმთავითვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეთოდურად შეუძლებელია გამოკვლევულ იქნეს ვიზუალური დისკურსის ფორმაციათა კონკრეტული ზემოქმედების კვლევა რეციპიენტზე, ამდენად, ვიზუალური დისკურსის ანალიზი ერთიან ფოკუსში აქცევს ზემოქმედებისა და მნიშვნელობის პოტენციალს, რომელთა შეჯერება ხდება სურათების ურთიერთშეთამაშების, შედარების საფუძველზე. ჩვენი საანალიზო მასალის საფუძველზე სურათები, გრაფიკა ერთიანობაში ხატავს სოციოკულტურის დისკურსის საერთო სურათს მინიმალურ ვერბალურ ტექსტურასთან შენონილობით. სილკე ბეტშერი ამავე ნაშრომში, გარდა მეთოდოლოგიური მიდგომისა, მკითხველს სთავაზობს ანალიზის პროცესის ოპერაციონალურობის სტრატეგიებს, რომელიც რვა საფეხურს ითვალისწინებს, მათ შორისაა, მასალის მოძიება, დიგიტალიზაცია, ამოსავალი სიტყვების განსაზღვრა, სურათების ვერბალური დატვირთვა/ვერბალიზება, დისკურსის ქვეთემების განსაზღვრა (დისკურსის ქსელი, დისკურსთაშორისი მიმართებები), დისკურსის წარმმართველ მიმართულებათა სურათების გამოპირობება, ვერბალური ველის მეშვეობით ცალკეული იკონოგრაფიული ანალიზი, ცალკეული სურათის პოზიციის განსაზღვრა ისტორიული სიღრმული სტრუქტურების კონტექსტში, სურათის პოზიცია და მნიშვნელობა დისკურსის ძირითად მიმართულებაში, დისკურსის პარალელურ თემებში და სურათის ადგილი ოპოზიციურ დისკურსში (Betscher 2013: 289).

როგორც ვხედავთ, ვიზუალური მასალა თავადაც ქმნის სემიოტიკურ მოდალობას, ამ უკანასკნელში კი იგულისხმება არტეფაქტების ან ქმედებათა სემიოტიკური მოდალობის გააქტიურება, რომელიც კომპლექსურ მატერიალურ კონფიგურაციებს იყენებს და, თავისთავად, ტექსტის საზრისის ცალკეულ მოდალობაზე განეფინება. შესაძლებელია, რომ თითოეულმა მატერიალურმა არტეფაქტმა ან ქმედებამ ერთდროულად რამდენიმე სემიოტიკური მოდალობის მობილიზაცია მოახერხოს, რის შედეგადაც მასალა ყოველთვის მულტიფუნქციურია (იხ. Spitzmüller 2013: 92-95, ციტირებული Bateman 2013: 265 მიხედვით). აქედან გამომდინარე, დისკურსის ლინგვისტიკა უკვე მსჯელობს მულტიმოდალურ დისკურსზე იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ერთი და იმავე ან სხვადასხვა საზრისის მოდალობაში ჩართული სხვადასხვა კოდი, რომლებიც დისკურსის გამოხატულების კონტექსტში სტრუქტურულადაა ინტეგრირებული და ემყარება კონკრეტულ კონვენციებს (Schöps 2013: 324).

წინამდებარე მეთოდოლოგიური საფუძვლის მრავალფეროვნება საანალიზო მასალის კომპლექსურობამ განაპირობა. თუმცა ანალიზის ძირითადი ხაზი დაეყრდნობა დისკურსის ლინგვისტიკური ანალიზის მრავალდონიან მეთოდს (DIMEAN, ix. Warnke, Spitzmüller 2008: 23-45), რომელსაც ცალკეულ საფეხურზე შევავსებთ ზემოხსენებული მეთოდოლოგიის ცალკეული დეტალებით, რათა ანალიზის შემდგომ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი შედეგები წარმოჩინდეს.

ამრიგად, სახეზე გვაქვს ვერბალური და არავერბალური ტექსტურის სახით ფორმირებული დისკურსი თემაზე – კულტურა/იდენტობა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დისკურსი, რომლის განმარტებაში ცალსახად მხოლოდ თემატური ტექსტები ფიგურირებს, ერთგვარად მოდიფიცირებული სახით წარმოდგება, კერძოდ, საანალიზო მასალა მოიცავს არავერბალურ სუბსტრატს, რომელსაც პირობითად ვიზუალური ტექსტიც შეიძლება ვუნოდოთ, რომელიც საერთო თემატური ძაფით ვერბალურ ტექსტებთან ერთად დისკურსის ბაძეს ქმნის. მათი ჩართვა დისკურსის ქსელში უპირობოდ მოითხოვს განმარტებას და მათი ცალკეული კოდების ინტერპრეტირებას დისკურსის სრულყოფილი გაგებისათვის.

### დისკურსის ლინგვისტური ანალიზისათვის

**საანალიზო მასალის აღწერა.** ანალიზის შედეგები სანიმუშოდ წარმოვადგინეთ ერთი გერმანული და ერთი ქართული ტექსტის საფუძველზე.<sup>1</sup> ორივე ტექსტი ანბანზე განყოფილი კონსტელაციას, რომელთაგან ტ1 (გერმანული, შემდგომ ტ1) მხოლოდ ხატებისა და სიმბოლოებისაგან შედგება. რაც შეეხება ტ2 (ქართული, შემდგომ ტ2), ის აუდიოვიზუალური ტექსტია, რომელიც ასევე ანბანური ტექსტის კონსტელაციაა. ტ2 ასევე აქვს ინტერნეტვერსია.

ტ1: ანბანური კონსტელაცია ეკუთვნის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ანგელა მერკელს, რომელიც პასუხობს ჟურნალი *ბილდის* კორესპონდენტის კითხვას: *რა არის გერმანული? ჟურნალის სარედაქციო კომენტარი წინამდებარე ანბანურ კონსტელაციას გრაფიკს უწოდებს. ტექსტურა გაფერადებულია გერმანიის სახელმწიფო დროშის ფერებში – შავი-წითელი, მარცხენა მალალ კუთხეში დართული აქვს ქვეყნის გეოგრაფიული რუკა, რომელზეც გამოსახულია კანცლერ მერკელის გრაფიკული გამოსახულება. კონსტელაციას აქვს ქვესათაურიც, რომელიც დეიქტიკის ფუნქციას ითავსებს და აღნიშნავს, რომ ქვეყნის სოციოკულტურულ სურათს წარმოადგენს თავად ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი პოლიტიკურ ფიგურათაგანი ანგელა მერკელი.*

ტ2 ასევე, გარკვეულწილად, გერმანულ თემატიკას უკავშირდება; სულ ახლახან მომზადდა აკა მორჩილაძის კონცეპტის მიხედვით და გამიზნულია ფრანკფურტის წიგნის გამოფენისათვის. მას სარეკლამო ფუნქცია აქვს, გერმანული ტექსტის მსგავსად, და მიზანად ისახავს უცხოელებს გააცნოს ყველაფერი ტიპობრივი ქართული. ტ1 პოლიტიკური რეკლამის, ხოლო ტ2 – სავაჭრო რეკლამის ფუნქციით გვევლინება. ქართულ სარეკლამო რგოლს აქვს სათაური *ანბანით მოთხრობილი საქართველო*, რაც, პირველი ტექსტის მსგავსად, აანონსებს თხრობას, ოღონდ ქართული იდენტობის შესახებ. ვინაიდან ავტორებს იდენტობის ნარატივი აქვთ ჩაფიქრებული წიგნის გამოფენაზე წარსადგენი, პირველივე კადრებიდან გადაშლილი წიგნის გამოსახულებას ხვდება მაცურებელი, სადაც თანამიმდევრობით, შავ ფონზე, სეკვენციური პრინციპით გამოსახება ქართული ანბანის 33 გრაფემა, რომელიც ფერადდება იმ მოვლენებითა და გამოსახულებებით, რომელთა სახელწოდების თავკიდური ასო-ნიშანი ემთხვევა ანბანის რიგს. ტ2 თან ახლავს მუსიკალური გაფორმება, რომელიც სრულდება ხალხურ საკრავებზე, კერძოდ, ჭიბონსა და ხემიან ხალხურ საკრავებზე. ხალხურ საკრავთა ორკესტრი შედგენილია იმიერ-ამიერ საქართველოს მუსიკალური საკრავებისაგან. მუსიკალური ჰარმონია არის აღმოსავლეთ საქართველოსთვის ტიპობრივი. მუსიკაც გამიზნულად შეირჩა ქართლ-კახური ფოლკლორიდან, რაც ხაზს უსვამს ქვეყნის ამ მხარის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ პრიორიტეტულობას საქართველოს ისტორიაში.

არის კიდევ ერთი განმასხვავებელი დეტალი ამ ორ კონსტელაციას შორის. ტ1 წერილობითი მედიუმის საშუალებითაა გადმოცემული და გააზრებულია წინასაარჩევნოდ გერმანელი მაცურებლისა და მსმენელისთვის. ის წარმოადგენს პოლიტიკური ფიგურის მიერ საკუთარი ერის გააზრებულ იდენტობას. დამატებითი იკონები შემოტანილია იმ არაგერმანელი მკითხველისათვის, რომელიც მხოლოდ გერმანული კულტურის მცოდნეა („კულტურტრეგერი“) და აქვს სურვილი

<sup>1</sup> კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია მოვიხმოთ გაანალიზებული სხვა ტექსტების ცალკეული მაგალითები

სიღრმულად გაეცნოს ერის სახეს. ტ2 ავტორებმა შეადგინეს უცხოელი მაყურებლისთვის და, გარდა წერილობითი განმარტებისა, მას ახლავს გახმოვანება, რომელშიც კონსტელაციის ავტორი იდენტობის ძირეულ თემებს ანაწილებს.

**ანალიზის პირველი საფეხური**• როგორც ტ1, ისე ტ2-ის დისკურსის თემის განსაზღვრა რთული არ არის, ვინაიდან ორივე ტექსტის სათაური, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთგვარი პრესიგნალის მატარებელი ენობრივი ერთეულებია. ტ1-ის სათაური რიტორიკული შეკითხვაა, რასაც მოსდევს ქვესათაუჯორში ასევე ექსტერნად მოცემული განმარტება – კანცლერი მერკელის გერმანია ანიდან ცეცამდე, შესაბამისად, ძირითადი თემის სრული წარმოდგენა არავერბალურ სუბსტრატში გეოგრაფიული რუკისა და ცენტრალური პოლიტიკური ფიგურის გრაფიკული გამოსახულებით ხორციელდება. ხოლო ტ2-ში, გარდა სათაურისა, წიგნის პირველივე გვერდი იძლევა ასევე 9-ფიგურიან სურათს. გადაშლილი წიგნის მარცხენა გვერდზე გამოსახულია 4 ფიგურა (იმერეთი, გურია, სამეგრელო და ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი), რომელიც, პირობითად, დასავლეთ საქართველოა. წიგნის მარჯვენა გვერდი სიმბოლურად აღმოსავლეთ საქართველოს წარმოადგენს. ამ გვერდზე გამოხატულ 5 (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი) ფიგურას შორის მკითხველი კარგად გამოარჩევს საქართველოს „უგვირგვინო მეფედ“ შერაცხულ ილია ჭავჭავაძესა და პირველი ლიტერატურული ძეგლის ქალ პერსონაჟს – ნმ. შუშანიკს. ორივე ტექსტურაში იდენტობის ცენტრალური თემა წარმოდგენილია როგორც დიაქრონულად, ისე სინქრონულად, სახელდობრ, ტ1-ში სინქრონია გადმოცემულია რუკისა და კანცლერის გამოსახულებით. ტ2 ასევე არავერბალურად წარმოადგენს სინქრონიაში ნაციონალური იდენტობის ნიმუშს – სვანურ კოშკს, რომელიც იუნესკოს მატერიალური კულტურის ძეგლების სიაშია უკვე ორი ათეული წელია; ხოლო დიაქრონიულ მარკერად შეიძლება მივიჩნიოთ ილიასა და დედოფალ შუშანიკის გამოსახულება, რომელიც, სხვა დანარჩენ ფიგურებთან ერთად (9 ერთეული), სინქრონიაში დღევანდელი საქართველოს სამხარეო მოწყობის პრეზენტაციის მცდელობაა. მსგავსი დეტალები ასევე იკითხება ორივე ტექსტის ანბანურ სეგმენტებში.<sup>1</sup>

ორივე ქვეყნის პორტრეტი მოცემულია მისივე ანბანის მეშვეობით. ძირითადი თემა სათაურშივეა სიგნალიზებული. ქართული ტექსტისგან განსხვავებით, გერმანული ტექსტის ქვესათაური პირდაპირ მიაწინებს ტექსტის კომპოზიციაში ანბანის არსებით როლზე, თუმცა სინტაგმაში „Deutschland von A bis Z“ ასევე იგულისხმება *გერმანია ანიდან ჰომდე*. ასეთ პერფექციონისტულ მიზანს არ ისახავს ქართული ტექსტი, მაგრამ მასში ავტორი ცდილობს ქართული ხასიათი წარმოაჩინოს საუკეთესო რაკურსში, მკითხველს, მაყურებელს გააცნოს საკუთარი ქვეყანა მხოლოდ მისთვის მახასიათებელი განუმეორებელი თვისებებით. ორივე ტექსტის მიზნობრიობაში კარგად ჩანს ეროვნული სული, კერძოდ, გერმანელი, რომელიც არის ზუსტი, პირუთვნელი ფაქტების კონსტატირებისას, მზად არის გამომამხეუროს ერის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები ისტორიული წარსულიდან დღემდე. ქართული ტექსტის ავტორებს აქვთ მცდელობა საქართველო თავისი ისტორიული თუ თანადროული ღირსებებით დააბრუნონ ევროპულ ოჯახში, აჩვენონ ძირითადად ქვეყნის პოზიტიური მხარეები, რაც საყოველთაოდ აღიარებული და ცნობილია. ორივე ტექსტის ძირითადი თემა იდენტობაა, მაგრამ გერმანული ტექსტი პოლიტიკურ, ხოლო ქართული უფრო ზოგად, სოციოკულტურის ჩარჩოში ექცევა.

ტექსტურის არაერთგვაროვნებიდან გამომდინარე, წინამდებარე ტექსტები არ გადმოსცემენ რომელიმე ერთ კონკრეტულ დროის სივრცეში ასახულ მოვლენასა თუ ფაქტს. ორივე შემთხვევაში გვაქვს ზიგზაგისებური წყვეტილი სქემა დიაქრონიასა და სინქრონიას შორის. ტ1 იწყება ამონარიდით ქვეყნის ძირითადი კანონის პირველი მუხლიდან, რომელიც ადამიანის უფლებებს განმარტავს. სხვა დანარჩენი ტექსტის სეგმენტებში შესაძლოა ერთად იყოს წარმოდგენილი: ისეთი ლექსემები, როგორიცაა ბუნდესვერი, შეზღუდულ პირთა სპორტი (პარაოლიმპიური მოძრაობა),

<sup>1</sup> იხ. დანართი N1 - გერმანული გრაფიკი, 2 ვიდეორგოლის ტრანსლიტერირებული მატრიცა

ოქტომბრის დღესასწაული, პოლიფონიური საგუნდო მუსიკა, ვაგნერი. რაც შეეხება ტ2-ს, მასში ვხვდებით აღსანიშნებს წარსულიდან და აგრეთვე თანამედროვე რეალიებს: ბასიანი უდიდესი ბრძოლა და ბასიანი – ლამის კლუბი, ლელო და რაგბი. ქართულ ტექსტში ავტორი არ არის ისეთი სიტყვაუხვი, ვინაიდან მისი ტექსტი არ გულისხმობს ერის სრულყოფილი სოციოკულტურული პორტრეტის წარმოდგენას *ანიდან ჰომედე*. ამ უკანასკნელის შინაარსი უფრო გაცნობილი ხასიათისაა და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აქცენტირებულია ქართველი ხალხის საყოველთაოდ ცნობილი მახასიათებლები.

ორივე ტექსტის შემთხვევაში საქმე ეხება გამოყენებითი ტექსტის სახეობას. ტექსტის ავტორი, პირველ შემთხვევაში, პოლიტიკური ფიგურაა – სახელმწიფო კანცლერი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სახელმწიფო ცდილობს ადრესატს წარმოედგინოს საკუთარი ერი. თუ პირველ ტექსტში ავტორი ცდილობს საკუთარი ხალხი დაარწმუნოს, რომ, როგორც პოლიტიკოსი, ზედმინვენით კარგად იცნობს მას, იცის მისი ღირსება და ნაკლი, მზადაა გააგრძელოს მისი წინამძღოლობა, მეორე ტექსტის შემქმნელები ცდილობენ უცხო ადამიანებისათვის ახლობელი და მისაღები გახადონ საკუთარი ხალხი, მისი ისტორია, ყოფა-ცხოვრება, კულტურა, შექმნან ერის ზუსტი პორტრეტი მისი იდენტობის ფარგლებში. შესაბამისად, ტ1 გათვლილია, როგორც შიდა პროდუქტის რეკლამა, ხოლო ტ2 გამიზნულია ნაციონალური პროდუქტის საექსპორტო რეკლამად, რაც ვიზუალურად ცალსახად არის ასახული, ტექსტი იკითხება გაშლილი წიგნის გვერდებზე. ტ1 ბექედური მედიის პროდუქტია, რომელშიც ერთიან დისკურსს ქმნის ვერბალური, არავერბალური, ვიზუალური მასალა, ხოლო ტ2 აუდიოვიზუალური ტექსტურაა, სადაც ვიზუალურ-ვერბალურ მასალას აუდიოტექსტურა ავსებს.

გამომდინარე სარეკლამო ტექსტის სახეობათა სპეციფიკიდან, ტექსტის ავტორები ტექსტის საზრისს იმპლიციტურად იძლევიან, რაც ნაწილდება ვიზუალურ და ვერბალურ ტექსტურაში კულტურის კოდების სახით ექსპლიციტურად. გერმანული ანბანური ტექსტი დატვირთულია არა მხოლოდ გერმანული იდენტობის აღმნიშვნელი კულტურის კოდებით, როგორცაა, მაგ., *Butterbrot, Bratwurst, christlich-jüdische Traditionen, Chorgesang, Hefeteig, Kartoffel, Lutherbibel, Oktoberfest*<sup>1</sup> და სხვ., არამედ, პარალელურად, ტექსტი ივსება იმ პოლიტიკური ნიშნის მატარებელი კოდებით, რომელთა მიღმა მერკელის თანადროული პოლიტიკა იკითხება: *Menschenrechte, Bundeswehr, Behindertensport, Föderalismus, Gleichberechtigung, Made in German, Muslime, Naturschutz, Nationalmannschaft, Umweltschutz, Exportweltmeister, Zusammenarbeit*.<sup>2</sup> ეს არის თემები, რომელიც თანამედროვე პოლიტიკურმა გამოწვევებმა დაამკვიდრა გერმანიის სინამდვილეში და მათი გაუთვალისწინებლობა პრაქტიკულად ნაგებული არჩევნების ტოლფასია. ქართული სარეკლამო ტექსტი ასევე სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, თუმც მისი არეალი უფრო შემოფარგლულია. 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის გამოფენაზე სტუმრის სტატუსით მიწვეული საქართველო ცდილობს მაყურებელს, მკითხველს მეტ-ნაკლებად განმარტებული არგუმენტები შესთავაზოს მათი დაინტერესების მიზნით, შესაბამისად, ვიდეორგოლში მეტწილად სახელდება ის არტეფაქტები, რომელიც დღეს უკვე იუნესკოს დაცვის ქვეშ მყოფი მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაშია, როგორცაა: ქართული ანბანი, ქვევრის ღვინო, სვანური კოშკები, ქართული პოლიფონია (ჩაკრულო).

თუ პირველი ტექსტის შემთხვევაში, ანბანზე აგებული ტექსტის ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობა იქიდან გამომდინარეობდა, რომ სარეკლამო ტექსტის ქვესათაურში ავტორი მიაწინებდა მცდელობაზე, ამომწურავად, ანიდან ჰომედე წარმოედგინათ გერმანელთა იდენტობის ნიშნები, ქართული ტექსტურისათვის აგების პრინციპად ანბანის რიგის განსაზღვრა ერთ-ერთი უმნიშვნე-

<sup>1</sup> ბუტერბროდი, შემწვარი ძეხვი, ქრისტიანულ-იუდაისტური ტრადიციები, საგუნდო მუსიკა, საფუარიანი ცომი, კარტოფილი, ლუთერის ბიბლია, ოქტომბრის დღესასწაული

<sup>2</sup> ადამიანთა უფლებები, ბუნდესვერი, შეზღუდულ პირთა სპორტული თამაშები, ფედერალიზმი, თანასწორუფლებიანობა, დამზადებულია გერმანიაში, მუსულმანები, ბუნების დაცვა, ეროვნული ნაკრები, გარემოს დაცვა, ექსპორტში წარმატებული, თანამშრომლობა

ლოვანესი მინიშნებაა იმ ფაქტზე, რომ ქართული ერთ-ერთი უძველესი მწიგნობრობის ენა უძველესი ანბანით, რომელმაც განვითარების არაერთი საფეხური გაიარა, ხოლო ტექსტის ორი უმნიშვნელოვანესი ფრაგმენტი უცხოელებს მოუთხოვს მე-5 საუკუნის ჰაგიოგრაფიული რომანისა და მე-12 საუკუნის სარაინდო ეპოსის შესახებ, რომელთა საიუბილეო თარიღები ასევე იუნესკოს მიერ იქნა აღნიშნული წარსულში. წინამდებარე არგუმენტაციული სტრუქტურები, სხვა დანარჩენ ეპიზოდებთან ერთად (ბასიანი, გალაკტიონი, ლელო, ღვინო, კავკასიონი, ენგური, ტყემალი, პურმარული, ზეგ და სხვ.), ქართველი ერის იდენტობის პორტრეტს დამაჯერებლად აყალიბებს.

**ანალიზის მეორე საფეხური.** ანბანური ტექსტები პირობითად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორც დამოუკიდებელი ტექსტების ერთობლიობა, რომლებიც საერთო დისკურსშია მოქცეული. წინამდებარე ენობრივ წარმონაქმნებს ტექსტს მხოლოდ პირობითად თუ ვუნოდებთ, რადგან მასში ტექსტუალობის კრიტერიუმები იმ სახით არ გვეძლევა, რაც ტექსტის კლასიკურ ტექსტურაშია კვლევების შედეგად დაფიქსირებული, კერძოდ, ორივე საანალიზო ტექსტის შემთხვევაში ტექსტურა მოკლებულია ზედაპირულ დონეზე კოჰეზიისთვის დამახასიათებელ ძირითად მარკერებს. ამდენად, ტ1 და ტ2 გარკვეული კონსტელაციის პრინციპზე აგებული მცირე ზომის ტექსტების (მიკროტექსტების რაოდენობა ორივე ტექსტში ანბანის ასო-ნიშანთა რაოდენობას ემთხვევა) ერთობლიობაა.

ორივე კონსტელაციაში განისაზღვრა ცალკეული საკვანძო ლექსემები ქვეთემებიდან, რომელთა გენერირება იძლევა ძირითად თემას – ნაციონალურ იდენტობას. საკვანძო სიტყვათა ერთეულების ამოკრების შემდგომ ცხადი გახდა, ქვეთემები გაშლილია საკმაოდ ფართო დროით მონაკვეთში ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და ნაჩვენებია ყველა ის მნიშვნელოვანი ეტაპი, რამაც დღევანდელი იდენტობა შექმნა:

ტ1	ტ2
<ul style="list-style-type: none"> <li>- ადამიანი და მისი უფლებების დაცვა</li> <li>- სახელმწიფო უსაფრთხოება</li> <li>- ფედერალიზმი</li> <li>- ქრისტიანულ-იუდაისტური ტრადიციები</li> <li>- სახელმწიფო და გლობალური მოვლენები (ლტოლვილების ტალღა), მიგრაცია</li> <li>- სამშობლო</li> <li>- თვითმმართველობა</li> <li>- ახალგაზრდობა</li> <li>- რეფორმაცია</li> <li>- მეცნიერება</li> <li>- მასმედია</li> <li>- სამზარეულო</li> <li>- ბუნების/გარემოს დაცვა</li> <li>- ნაციონალური დღესასწაულები (ოქტომბრის დღესასწაული)</li> <li>- საერთაშორისო ორგანიზაციები: ევროკავშირი, ნატო</li> <li>- ხარისხი</li> <li>- სამართალი და კანონი</li> <li>- სოციალური საბაზრო ეკონომიკა</li> <li>- ხალხური მუსიკა, საგუნდო სიმღერა, ვაგნერი</li> <li>- ეკონომიკური სასწაული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ქვეყანა, დედაქალაქი, საზღვრები, რეგიონები</li> <li>- ისტორია და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობები</li> <li>- მეცნიერება</li> <li>- ხელოვნება და კულტურა: ანბანი/დამწერლობა, მეცნიერება, არქიტექტურა/მხატვრობა, მუსიკა, კინო, მწერლობა/მითოლოგია/ფოლკლორი, ცეკვა/პლასტიკა (ნაციონალური ბალეტი)</li> <li>- სპორტი და სამხედრო ხელოვნება</li> <li>- სამზარეულო</li> <li>- ბუნება, გარემო</li> </ul>



ამრიგად, ორივე ტექსტში ავტორები შეეცადნენ ჩამოეყალიბებინათ ყველა ის ქვეთემა, რომელიც დისკურსის ძირითადი თემატიკის ქვეთემად შეიძლება იყოს განხილული. ქართული კონსტელაცია ძირითადად შემოიფარგლება დიაქრონიულად წარმოდგენილი საკვანძო ეტაპებით ქართული კულტურის ისტორიიდან; რაც შეეხება გერმანულ კონსტელაციას, ამ კონსტელაციაში როგორც სინქრონული, ისე დიაქრონულ წერტილში, ფაქტობრივად, ყველა ძირითადი თემა ასახული.

**ანალიზის მესამე საფეხური.** აგონალური ცენტრების დაძებნა ამ ორ ტექსტში მარტივია, რაც იდენტიფიკაცია განსხვავებითაც არის განპირობებული. მათი მონახვა, ზოგადად, შესაძლებელია როგორც ტექსტის შიდა, ისე ტექსტთაშორის მიმართებათა დონეზე. ოპერაციულად კი მათი გამოპირობება ხდება ინდუქციურად ტექსტის ნაკითხვის პროცესში.

ტ1	ტ1↔ტ2	ტ2
<ul style="list-style-type: none"> <li>- Chefin ↔ Chef</li> <li>- Chorgesang ↔ Wagner</li> <li>- Christlich-jüdische Tradition ↔ immerwährende Verantwortung Deutschlands für den Holocaust</li> <li>- „die Gedanken sind frei“ ↔ Gardine</li> <li>- Ordnung ↔ Nachbarschaftsstreit</li> <li>- EU ↔ NATO</li> <li>- Ordnung ↔ Unordnung</li> </ul>	<p>Tüftler (პედანტი), zuversicht (თავჯერებული) ↔ შერეკილები, ემოცია, ვნება, ურიაშული, ღია</p>	<p>ზღვა ↔ კავკასიონი                  სტალინიზმი/რეჟიმი ↔ ჯინსების თაობა                  წითელი ↔ ცისფერი/ლურჯი                  ლელო ↔ რაგბი                  თბილისი ↔ უბანი                  ომი ↔ ყინვისის ანგელოზი</p>

აგონალური ცენტრების ამოკრების მაღალი სიხშირე აღმოაჩნდა გერმანულ კონსტელაციას, ქართულისგან განსხვავებით, შიდატექსტობრივად. ასევე მინიმალურია მიმართება ტექსტთაშორის ერთი დისკურსის ფარგლებში გერმანულსა და ქართულ კონსტელაციას შორის. ტექსტთაშორის გამორჩეული წყვილი ცალსახად ასახავს იდენტიფიკაციაზე ბაზირებულ განსხვავებას. ერთი მხრივ, სახეზეა პედანტი, მაქსიმალურად თავდაჯერებული გერმანული პორტრეტი, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოდგენილია ემოციური სამხრეთული ხასიათი, საზღვარგადასული თავისუფლება, ღიაობა, რაზეც პირველივე კადრებიდან ვიზუალური მინიმუმება გადმოცემულია გადაშლილი წიგნის სახით.

**ანალიზის მეოთხე საფეხური.** დისკურსის ვერბალური ნაწილის განხილვის შემდგომ ეტაპზე მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ტ1 და ტ2-ისათვის დამახასიათებელი დეტალების განმარტება, კერძოდ, საქმე ეხება ანბანურ რიგს, რომელიც წარმოადგენს სწორედ კონსტელაციის ბმულობის (კოჰეზიის) ერთ-ერთ არსებით ნიშანს. ამ ორი ტექსტიდან ანბანური გრაფემების ლექსემათა თავკიდურ პოზიციაში შენარჩუნების პრინციპი მხოლოდ ქართული კონსტელაციისათვის არის მიღწევადი, რასაც ვერ ვიტყვით გერმანულ კონსტელაციაზე. კერძოდ, ანბანის 34-ე და 35-ე ნიშნებისათვის “X” და “Y” გერმანული ენის ლექსიკური მარაგიდან ვერ შეირჩა ლექსემები წინამდებარე თავკიდური გრაფემებით, რომელიც მოცემული დისკურსის ჩარჩოში მოთავსდებოდა. შესაბამისად, ტექსტის ავტორი ცდილობს მიმართოს გრაფემის პუანტირებას და სიტყვის შიგნით მაიუსკულით მოახდინოს ანბანური რიგის უწყვეტობის მარკირება. გაანალიზებულ გერმანულენოვან ტექსტებში ავტორები რიგ შემთხვევაში გვერდს უვლიან წინამდებარე ანბანურ გრაფემებს, როგორც ეს ვ. ბუშთან ხდება (ციტირებული: Fühmann 1996: 175-176), ან ღიად ტოვებენ ლექსიკური ერთეულების გარეშე ამ გრაფემებს. იხ. თ.ვაინობსტი (Weinobst 1976: 16). ანბანური რიგის წყვეტა ფიქსირდება, მაგრამ ამჯერად მე-10 ანბანურ გრაფემაზე „J“ ბ.ბრეხტის (ციტირებული: Fühmann 1996: 179-183) ლექსში *ანბანი*. ანბანური ტექსტისთვის დამახასიათებელი,

გრაფემულ დონეზე რეალიზებული კოპეზია ის ტიპობრივი მარკერია, რაც ანბანური ტექსტურის აგების არსებითი მახასიათებელია, ვინაიდან წინამდებარე ტექსტებში ენის სტრატეგიკაციული დონე ძირითადად სინტაგმას არ სცდება, განსხვავებით ქართული ანბანური ტექსტებისა, სადაც არცთუ იშვიათად ტექსტურაში ავტორები რთული წინადადების სინტაქსსაც კი იყენებენ. გერმანულენოვან ტექსტურაშიც ლექსემები ძირითადად შემოიფარგლება სახელებით ან სახელადი ჯგუფებით სინტაგმის დონეზე. ქართულენოვან ტექსტებში, რომელთა ნიმუშები ჯერ კიდევ გვიანშუასაუკუნეებში ფიქსირდება, ანბანური რიგის და, შესაბამისად, კოპეზიის რღვევის შემთხვევები მოდის ძირითადად იმ რეფორმირებულ დამატებით ხუთ ასო-ნიშანზე *ჭ, ჯ, კ, ჟ, ძ*, რომელთა გაჩენა ქართულ ანბანში განპირობებულია უწინარესად ბერძნული ანბანის გავლენით, ხოლო სხვა მხრივ, მათი პოზიციით ქართულ ლექსემებში, მაგალითისთვის შესაძლებელია დასახელდეს გრაფემა ‘*ძ*’, რომელსაც, როგორც წესი, ბოლოკიდური პოზიცია უკავია ქართულ სიტყვებში. ქართული ანბანის პირველი რეფორმის შემდგომ წინამდებარე ასო-ნიშნები ამოღებულ იქნა ანბანური რიგიდან.

ტ2-ში შემდგენელი ცდილობს დარჩეს ქართული ანბანური ტექსტების ტრადიციის ჩარჩოებში, კერძოდ, აუდიოტექსტში სახელდება ანბანის ასო-ნიშანთა სახელები და, გარდა ამისა, მოცემულ განმარტებებში ცალკეულ ასო-ნიშნებს შენარჩუნებული აქვთ საკუთარი მნიშვნელობაც, რაც რიგ შემთხვევაში ცალკეული მათგანის მოხაზულობის პრინციპშიც მჟღავნდება. ასეთია, მაგალითად, გრაფემა *ქ* – რომელიც ძვ. დამწერლობაში ჯვრის ფორმის იყო და დაქარაგმებულ ტექსტებში ‘ქრისტეს’ აღნიშნავდა. წინამდებარე მნიშვნელობა შენარჩუნებულია ასევე გერმანულ კონსტელაციაში, სადაც ავტორი ძველი გერმანული ტექსტების დაქარაგმებულ „C“ თანამედროვე ტექსტურაში უთავსებს ზედსართავს „christlich-jüdische“. ასევე საინტერესოა გრაფემა „ჯ“-ზე შემოთავაზებული სინტაგმატური ერთეული *ჯინსების თაობა*, რაც იმპლიციტურად გრაფემა „ჯანის“ აღსანიშნავს ჯვარს უკავშირდება. ტ2-ში კი ამ გრაფების განმარტების მიზნით სახელდება სინტაგმა *‘ჯინსების თაობა’* – საბჭოთა რეჟიმის მიერ ჯვარცმული თავისუფლად მოაზროვე ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც საბოლოოდ რეჟიმმა პილატეს სცენარით დასაჯა.

ორივე ტექსტის მასალაზე შესაძლებელია გამოპირობებულ იქნეს ამოსავალი ლექსემები დისკურსისათვის *ნაციონალური იდენტობა*, შესაბამისად, ტ1=Brückentag, Butterbrot, Bratwurst, Chorgesang, Essenszeit, Eiche, Heimat, Handwerk, Holocaust, Hochdeutsch, Hefeteig, Keingarten, Kartoffel, Lärmschutzverordnung, Lutherbibel, Naturschutz, Nationalmannschaft, Ordnung, Oktoberfest, Personennahverkehr, Polizei, Pünktlichkeit, Pflaumenkuchen, Qualitätsarbeit, Quarkspeisen, Reformation, Reisen, Sportverein, Tierschutz, Tüftler, Umweltschutz, Umgehungsstraße, Volkslied, Verkehrssünderdatei, Vollkornbrot, Wirtschaftswunder, Weihnachtsgebäck, Windrad, Wandern, Wald, Exportweitmeister, Bayern, Zoff; ტ2= ანბანი, ბანი/ბასიანი, ემოცია, ვნება, ვაზი, ზღვა, ზეგ, კავკასიონი, თბილისი, ირემი, ლელო, მედეა, ნაცარქექია, ომი, პური, პურმარილი, ჟრიაბული, რუსთველი, საქართველო, ტყემალი, უბანი, უმგული, ფიროსმანი, ფაჩულია, ქვევრი, ღია, ღვინო, შერეკილები, ჩაკრულო, წყალი, ჭარბი, ჭავჭავაძე, გალაკტიონი, ხორუმი, ხრიდოლი. მოცემული საკვანძო ლექსემები ერთმანეთის მიმართ როგორც იმპლიციტურად, ისე ექსპლიციტურად დისკურსის ძირითად თემასთან ლოგიკურად და კულტურულად დადასტურებულ მიმართებებს ამყარებენ. ყველა წინამდებარე საკვანძო სიტყვის ბმა ძირითად დისკურსზე შესაძლებელია კონკრეტული ქვეთემების ჩარჩოებში.

წარმოდგენილი სანიმუშო ტექსტები, როგორც განსახილველი დისკურსის სუბკორპუსი, სათაურშივე მოიცავენ დისკურსის თემატურ ბირთვს და იმპლიციტურად უკავშირდება ტექსტურის ცალკეულ მიკროსტრუქტურებს. შესაბამისად, ტ1 ‘Was ist deutsch? Kanzler Merkels Deutschland von A bis Z. სათაური ორმაგ მარკირებას მოიცავს: მკითხველი აცნობიერებს, რომ ტექსტში მოცემულია პოლიტიკოსის თვალთ სრულყოფილად დანახული ქვეყანა, ხოლო პუანტირებული ანბანის საწყისი და ბოლო გრაფემა მიანიშნებს ტექსტურის არქიტექტონიკაზე, რაც ვიზუალურა-

დაც აღსაქმელია გრაფიკულ სუბსტრატში მუქად დაბეჭდილი ცალკეული მიკროსტრუქტურის თავში განთავსებული მაიუსკულით. მსგავსი პარალელის გავლება შესაძლებელია ტ2-ში, სადაც სათაურში შერწყმულია სათაური და ქვესათაური, რომელთა დაკავშირება ხდება ექსპლიკაციური კონექტორით 'anu'. ტექსტის ავტორი მიმართავს სიტყვათამაშს და, აქედან გამომდინარე, მკითხველს უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ ის ანბანის მეშვეობით გაეცნობა საქართველოს, მის 33 უმთავრეს მახასიათებელს, რაც ცალ-ცალკე წარმოდგენილ იქნება ქართული ანბანის 33 ასონიშნით. სხვა მხრივ, მკითხველი, როგორც ინტერპრეტატორი, ხვდება, რომ ენობრივი ქმედების წერილობითი შედეგი უდევს ნარატივის საფუძვლად.

სათაურის განმარტებასა და შეფასებას მოსდევს საკვანძო სიტყვების ანალიზი. გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერი დისკურსი ერთ ძირითად თემას ემყარება, ხოლო პარალელურად ამ თემის ფარგლებში შესაძლოა ქვეთემების დაძებნა, არც ამ ტექსტებში გაძნელდა დისკურსქვემდებარე თემატიკის ჩაშლა, რაც ზემოთ უკვე წარმოდგენილი გვაქვს მატრიცის სახით. ტექსტური მასალიდან გამომდინარე, შესაძლოა საკვანძო ლექსიკის ორი მნიშვნელოვანი ჯგუფი გამოვირობდეს:

რეფერენტების ძირითადი (საყრდენი) კორპუსი: achten, Bundeswehr, Gewalt, schützen, Menschenwürde, staatliche, unantastbar, Butterbrot, Bratwurst, Tradition, Chorgesang, Dialekte, Eiche, Föderalismus, Flüchtlinghilfe, Familienunternehmen, Heimat, Handwerk, Hausmannskosten, Hellau und Alaaf, Hochdeutsch, Hefeteig, Holocaust, Innovation, Kleingarten, Kartoffel, Lutherbibel, Muttersprache, Ordnung, Oktoberfest, Pflaumenkuchen, Pünktlichkeit, Qualitätsarbeit, Quarkspeisen, Reformation, Rouladen, Schwarz-Rot-Gold, Tüftler, Tischsitten, Volkslied, Vollkornbrot, Volkspartei, Vielfalt, Weihnachtsgebäck, exaktes, BaYern, Wagner, BaYreuth;

რეფერენტების დამატებითი კორპუსი: Behindertensport, Brückentag, christlich-jüdische, dichte, duale, Ausbildung, Einigkeit, Ehrenamt, Fenster, Recht, Freiheit, ernst, Gleichberechtigung, Jugend, forsch, musiziert, kommunale, Selbstverwaltung, Kirchensteuer, Mitbestimmung, Muslime, Migrationshintergrund, Meisterbrief, Naturschutz, Nationalmannschaft, Ökumene, Personennahverkehr, Quasselstrippe, Recht, Gesetz, repräsentative Demokratie, Sicherheit, Staat, Israel, soziale, Marktwirtschaft, Spielzeugeisenbahn, Umweltschutz, Wirtschaftswunder 4.0, Wärmedämmung, Windrad, Wandern, Wald, Exportweltmeister, Zuversicht, Zusammenarbeit.

ანალოგიური ჯგუფები გვექნება ტ2-ში, სადაც ძირითად კორპუსში თავს მოიყრის ლექსემები: ანბანი, ბანი, ბასიანი, ემოცია, ვნება, ვაზი, ღვინო, ქვევრი, ქართული, ტრადიცია, შავი ზღვა, მედეა, კოლხა, თბილისი, კავკასიონი, აფხაზეთი, ოსური, რეგიონი, ლელო, პურ-მარილი, ყრიაშული, რუსთველი, გალაკტიონი, ნატვრის ხე, ილია ჭავჭავაძე, ცურტაველი, ფიროსმანი, ქვევრი, ჩაკრულო, ღია, ყინვისი, შერეკილები, ხრიდოლი, ხორუმი, ჯინსების თაობა.

რეფერენტების დამატებითი კორპუსი კი ასე გამოიყურება: ქვეყანა, საქართველო, ქართული, უძველესი, ევროპული, ოკუპირებული, დმანისი, ენგური, რუსეთი, ომი, რეჟიმი, სტალინიზმი, დროშა, საზღვარი, თბილისი, ისტორია, პოეტი, ავტორი, წიგნი, კინო, ირემი, ლომი, პოლიფონია, ყინვისის ანგელოზი, ცდა, ჭარბი, ქრისტე.

ტ1-ისა და ტ2-ის მონაცემების შედარების შემდგომ თვალსაჩინო ხდება, რომ განსხვავებული კულტურები საერთო იდენტობის სურათის ჩამოსაყალიბებლად სხვადასხვა ქვეთემას იშველიებენ, რაც განპირობებულია კოლექტივის და, შესაბამისად, ენის მიერ გარესამყაროს განსხვავებული რაკურსით აღქმით. ამავე დროს, გვაქვს ქვეთემები, რომლებიც ერის იდენტობის პორტრეტს აყალიბებს, როგორცაა: ენა, ისტორია, ჩვეულება/ტრადიცია, რელიგია, ხელოვნება, დამწერლობა, რაც ორივე ტექსტურაში დაფიქსირდა. მაგრამ ტ2 სინქრონიაში ვერ აფიქსირებს ან გვერდს უვლის ისეთ მნიშვნელოვან სუბთემატიკას, როგორცაა: პოლიტიკა, განათლება, ეკონომიკა, ტექნოლოგიები, გლობალიზაცია, მაშინ, როცა გერმანული მხარე დღესდღეობით არა გა-

სული საუკუნის ეკონომიკურ სასწაულს თვლის ქვეყნის იდენტობის ნაწილად, არამედ *ეკონომიკური სასწაული 4.0*, რაც გულისხმობს ქვეყნის გადარსებობას თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

**მედიათა დისკურსის ლინგვისტური ანალიზი.** მულტიმედიური ტექსტურის მქონე დისკურსის ლინგვისტური ანალიზის წარმოდგენა მოცემულ ტექსტებზე დაყრდნობით იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც მათ ტექსტურაში თავს იყრის ბეჭდური და აუდიოვიზუალური მედიაპროდუქტი ვერბალური და არავერბალური მონაცემების სახით. ანალიზის პროცესი ფოკუსში ექცევა. ერთი მხრივ, საინტერესოა გამოიკვეთოს ის ენობრივი საშუალებები, რომელთა საფუძველზეც ხდება იდენტობის ნიშნების გაცხადება ვერბალურად ისეთ მინიმირებული ენობრივი მასალის მქონე ტექსტებში, როგორიცაა ანბანური ტექსტები, ხოლო, მეორე მხრივ კი, საჭიროა განისაზღვროს არავერბალური მედიების მნიშვნელობა ერთიან დისკურსში.

მულტიმედიური ტექსტურის ანალიზს ეკ ფელდერი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მრავალდონიანი მეთოდოლოგიით წარმართავს, სადაც ავტორი გვთავაზობს ლექსემის, სინტაგმათა/კოლოკაციების, წინადადებათა, ტექსტის და ტექსტისა და სურათის ურთერთმიმართებათა დონეს.

ლექსემის დონე. იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანულენოვანი ანბანური ტექსტების ერთ-ერთ არსებით ნიშნად ითვლება, რომ მათი ტექსტურა ხშირად მარტივი ენობრივი საშუალებებით ყალიბდება. კერძოდ, ძირითად ვერბალურ მასალას ლექსემები წარმოადგენს, მცირე დონით, მაგრამ მაინც ფიქსირდება სინტაგმები/კოლოკაციები. რაც შეეხება სინტაქსურ ერთეულებს, მათი არსებობის შემთხვევაში მინიმალურია წინადადებათა სირთულის ხარისხი. განსაკუთრებით თვალშისაცემია ტექსტის დონეზე კლასიკური ტექსტუალობის კრიტერიუმთა სუსტად გამოხატული ან სულაც ტრანსფორმირებული ნიშნები ტექსტის ზედაპირულ სტრუქტურაში. რაც შეეხება ქართულენოვან ტექსტებს, ანბანური კომპოზიციის სიმრავლე ხელს არ უშლის სინტაქსისა და ტექსტის დონეზე ცალკეული ლინგვისტური მარკერების დაფიქსირებას.

წინამდებარე მოსაზრების დემონსტრირება შესაძლებელია ტ1 და ტ2 მონაცემებზე დაყრდნობით. ტ1 ლექსემათა დონეზე ტექსტურაში მოცემულია როგორც მარტივი ლექსემები, ისე კომპოზიტები, რომელთაგან ნაწილი უშუალოდ ავსებს იდენტობის თემას თავისი მნიშვნელობით, ნაწილი მხოლოდ ინტერპრეტაციითაა შესაძლებელი დისკურსის თემის გაფართოება, ვინაიდან წინამდებარე ლექსემები სხვადასხვა სუბთემატიკას განეკუთვნება ერთიანი დისკურსის თემის ფარგლებში. მარტივი ლექსემებიდან, ცალსახად, ტიპობრივი გერმანული სტერეოტიპების შევსებას ახდენს ისეთი ლექსემები, როგორიცაა: Dialekte, Heimat, Staat, Eiche, Heimat, Ordnung, Pünktlichkeit, Reformation, staatliche, Rouladen, Tradition, Tüftler, BaYern. ძირითადი თემის შემავსებელ კომპოზიტებად უნდა განვიხილოთ: Bundeswehr, Butterbrot, Bratwurst, Chorgesang, Flüchtlingshilfe, Familienunternehmen, Handwerk, Hausmannskosten, Hochdeutsch, Hefeteig, Lutherbibel, Muttersprache, Oktoberfest, Pflaumenkuchen, Qualitätsarbeit, Quarkspeisen, Tischsitten, Volkslied, Vollkornbrot, Volkspartei, Weihnachtsgebäck. აქ მოყვანილი ლექსემები ცალსახად უკავშირდება ქვეთემებს; ტრადიცია, ჩვეულება, რელიგია, რაც უშუალოდ იკითხება და ერთიანობაში იდენტობის ნაწილია. ტექსტურაში ასევე გვქმნება მესამე დონის ლექსემები, რომელთა მიკუთვნებაც იდენტობის დისკურსთან მხოლოდ მათი ინტერპრეტაციის საფუძველზეა შესაძლებელი, ამის ნიმუშად საკმარისია დასახელებს ლექსემა: Eiche (muxa). ის მითოლოგიურად გერმანიკულ ტომებში სიძლიერის, ბრძოლისუნარიანობისა და სიმტკიცის ნიშანი იყო. მუხის ტოტს ხშირად ისეთივე დატვირთვა ჰქონდა, როგორც დაფნის გვირგვინს. 'muxa' თავისი მასკულინური ნიშნებით ერთგვარად გერმანიკულ აზროვნებაში დაუპირისპირდა 'ცაცხვს' (Linde), რაც გერმანიკულ ტომებში სამშობლოს, სიყვარულის, კურნებისა და სიკვდილის სიმბოლო იყო და მითოლოგიაში ქალღმერთ ფრიას განასახიერებდა. მცირერიცხოვანია ნეოლოგიზმები, რომელთა დიდი ნაწილი კომპოზიტების სახითაა მოცემული ტექსტურაში: Menschenwürde, Holocaust, Innovation, Föderalismus, Flüchtlingshilfe, Familienun-

ternehmen, Behindertensport, Brückentag, Selbstverwaltung, Kirchensteuer, Mitbestimmung, Migrationshintergrund, Meisterbrief, Naturschutz, Nationalmannschaft, Ökumene, Nationalmannschaft, Personennahverkehr, Quasselstrippe, Marktwirtschaft, Spielzeugeisenbahn, Umweltschutz, Wirtschaftswunder 4.0, Wärmedämmung, Windrad, Exportweltmeister. ჩამოთვლილი ინოვაციური ლექსიკა არის ის ენობრივი სიახლეები, რომელთა დამკვიდრების აუცილებლობა განპირობებულია გარე სამყაროში მომხდარი ცვლილებებით, რომლის ნაწილიც გერმანელი ხალხია. ამის სანიშნოდ შესაძლოა დასახელდეს კომპოზიტი „ეკონომიკური სასწაული 4.0“. თავისთავად, 'ეკონომიკური სასწაული' გერმანელი ხალხის ისტორიაში კიდევ ერთი დაძლეული წინააღმდეგობა იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რამაც წარმატება მოუტანა ომის შემდეგ განადგურებულ ქვეყანას. „ეკონომიკური სასწაული 4.0“ კი ახალი ეტაპი უნდა იყოს გერმანიის, როგორც ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული ქვეყნის ცხოვრებაში.

ლექსემათა ძირითადი ნაწილია არსებითი სახელები, თუმცა ლექსიკურ კორპუსში ასევე დაფიქსირებულია ზედსართავი სახელები და ზმნები, რომელთაც სინტაგმათა/კოლოკაციათა დონეზე გავაანალიზებთ.

ტ2-ის ლექსემათა დონის მიმოხილვამ აჩვენა, რომ ძირითადი კორპუსი, რომელიც, ისევე როგორც ტ1, გადანაწილებულია სუბთემების მიხედვით, შედგება მარტივი ლექსემებისაგან, რომელთა განმარტებას ტექსტის ავტორი ლექსემის დასახელებისთანავე იძლევა, თუმცა ინდენტობის ძირითადი თემის ამოკითხვას მაინც ესაჭიროება დამატებით ინტერტექსტუალური კავშირების მოძიება ამოსავალ ტექსტებთან. ტექსტთაშორისი მიმართებები იკითხება აგრეთვე იმ ვიზუალურ მასალაში, რაც ვიდეორგოლის სახითაა მოცემული.

უნინარესად, მნიშვნელოვანია ენობრივი ქმედების სტილისტური რეგისტრის განსაზღვრა. რეალურ მოცემულობაში ცალსახად მარტივი არ არის გაკეთდეს შეფასება ტ1-თვის, ვინაიდან ტექსტურა დაცლილია ზედაპირულ დონეზე რთული სტრუქტურებისაგან; მინიმალურია ტექსტურაში ენობრივი ფორმები, რომელიც ერთიანობაში ტექსტს სტილისტურ შეფერილობას აძლევს. სტილის ფუნქციონალური ვარიანტებიდან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პოლიტიკურ ტექსტთან, ხოლო ტ2 ინარჩუნებს ლიტერატურული ტექსტის სტილს. ორივე შემთხვევაში ტექსტურა ეყრდნობა ყველა იმ ძირითად მახასიათებელს, რაც არსებითია აპელაციური ფუნქციისათვის და საფუძველია სარეკლამო ტექსტის სახეობებისათვის.

## ბიბლიოგრაფია

- Betscher, S. Bildmuster – Wissensmuster Amsätze einer korpusbasierten Visuellen Diskursanalyse. In: Zeitschrift für Semiotik B.35· H 3-4· Roland Rosner u. Stephan Debus (Hg.). Tübingen: Stauffenburg Verlag, 2013
- Brinker, K., Cölfen, H., Pappert, S. Linguistische Textanalyse. 8., neu bearbeitet und erweiterte Auflage. Grundlagen der Germanistik-29· Berlin: Eich Schmidt; 2014
- Busse, D., Teubert, W. *Ist Diskurs ein sprachwissenschaftliches Objekt?* Zur Methodenfrage der historischen Semantik. In: Busse, Dietrich/Hermanns, Fritz/Teubert, Wolfgang (Hg.): Begriffsgeschichte und Diskursgeschichte. Methodenfragen und Forschungsergebnisse der historischen Semantik Opladen: Westdeutscher Verlag. S.10-28; 1994
- Faulstich, W. Grundwissen Medien· München: Wilhelm Fink Verlag; 1994
- Felder, E. Pragma-semiotische Textarbeit und der hermeneutische Nutzen von Korpusanalysen für die linguistische Mediendiskursanalyse· In: Felder, Ekkehard / Müller, Marcus / Vogel, Friedemann (Hg.): Korpuspragmatik· Thematische Korpora als Basis diskurslinguistischer Analysen. Linguistik – Impulse und Tendenzen, Bd. 44. Berlin, New York: de Gruyter. S. 115–174; 2012
- Felder, E. Lexik und Grammatik der Agonalität in der linguistischen Diskursanalyse. In: Kämper, Heidrun/Warnke, Ingo H. (Hg.): Diskurs – Interdisziplinär. Zugänge, Gegenstände, Perspektive. Berlin u.a.: de Gruyter (Diskursmuster – Discourse Patterns 6), SS. 87-121; 2015

- Fühmann, F. 1996: Die dampfenden Häse der Pferde im Turm von Babel. Berlin: Kinderbuchverlag
- Hess-Lüttich, Ernest W.B. Die Zeichen -Welt der multimedialen Kommunikation. In: Hess-Lüttich E.W.B. (eds) Medienkultur – Kulturkonflikt. Opladen: Westdeutscher Verlag GmbH. 1992
- Meier, S., Pentzold, Ch. Diskursforschung in den Kommunikations- und Medienwissenschaften. In: Johannes Angermüller, Martin Nonhoff, Eva Herschinger, Felicitas Macgilchrist, Martin Reisigl, Juliette Wedl, Daniel Wrana, Alexander Ziem (Hg.). Diskursforschung. Ein interdisziplinäres Handbuch. B.1. Theorien, Methodologien und Kontroversen. Bielefeld: transcript. S. 118-129; 2014
- Morchiladze, A. Georgia made by characters. Branding von Gia Bokhua, Kakha Kakhadze und Tako Chabukiani. Unter URL: <http://www.georgia-characters.com/Concept.aspx>. Georgian National Book Center präsentiert offizielles animiertes Video, erstellt von JWT Metro. Letzter Abruf: 10.10.1917; 2017
- Müller, M., G. Grundlagen der visuellen Kommunikation. Theorienansätzen und Analysemethoden. Konstanz: UVK. In: Betscher, Silke 2013: *Bildmuster – Wissensmuster*. Ansätze einer korpusbasierten Visuellen Diskursanalyse. In: Zeitschrift für Semiotik. B.35. H 3-4. Roland Rosner u. Stephan Debus (Hg.). Tübingen: Stauffenburg Verlag; 2003
- Posner, R. Kultur als Zeichensystem. Zur semiotischen Explikation kulturwissenschaftlicher Grundbegriffe. In: Aleida Assman und Dietrich Harth (eds.) Kultur als Lebenswelt und Monument. Frankfurt/M: Fischer: 37-74; 1991
- Reisigl, M., Ziem, A. *Diskursforschung in der Linguistik*. In: Johannes Angermüller, Martin Nonhoff, Eva Herschinger, Felicitas Macgilchrist, Martin Reisigl, Juliette Wedl, Daniel Wrana, Alexander Ziem (Hg.). Diskursforschung. Ein interdisziplinäres Handbuch. B.1. Theorien, Methodologien und Kontroversen. Bielefeld: transcript. 70-110; 2014
- Schöps, D. Korpusgestützte filmische Diskursanalyse am Beispiel des DEFA-Films. In: Zeitschrift für Semiotik. B.3. H 3-4. Roland Rosner u. Stephan Debus (Hg.). Tübingen: Stauffenburg Verlag; 2013
- Spitzmüller, J. Graphische Variation als Soziale Praxis: eine soziolinguistische Theorie skripturaler 'Sichtbarkeit'. Berlin·NY: de Gruyter. In: Bateman, John 2013: Dynamische Diskurssemantik als ein allgemeines Modell der Semiose. Überlegungen am Beispiel des Films. In: Zeitschrift für Semiotik. B.35. H 3-4. Roland Rosner u. Stephan Debus (Hg.). Tübingen: Stauffenburg Verlag; 2013
- Warnke, I. Text adieu – Diskurs bienvenue? Über Sinn und Zweck einer poststrukturalistischen Entgrenzung des Textbegriffs. In: Fix, Ulla/Adamzik, Kirsten/Antos, Georg/Klemm, Michael (Hg.): Brauchen wir einen neuen Textbegriff? Antworten auf eine Preisfrage. Frankfurt/M: Lang. S. 125-141; 2002
- Weinobst, T. aus Lebensläufe. In: Garbe B. Experimentelle Texte im Sprachunterricht. Düsseldorf: Schwann. 1949/1976



# Was ist deutsch?

## Kanzlerin Merkels

### Deutschland von A bis Z:



**A**rtikel 1 Absatz 1 unseres Grundgesetzes:  
„Die Würde des Menschen ist unantastbar. Sie zu achten und zu schützen ist Verpflichtung aller staatlichen Gewalt.“ 📖

**B**undeswehr, Behindertensport, bohrende Fragen, Brückentag 🗨️, Butterbrot, Bratwurst

**C**hristlich-jüdische Tradition, Chorgesang 🎵, Chefin und Chef

**D**uale Berufsausbildung, Dialekte 🗨️, dichte Fenster

**E**inigigkeit und Recht und Freiheit, Ehrenamt, Ernst des Lebens, Energiewende ⚡, Essenszeiten, Eiche

**F**öderalismus, freiwillige Feuerwehr 🚒, Flüchtlingshilfe, Familienunternehmen, Frühstücksei, Federbett

**G**leichberechtigung 🗣️, Gesicht zeigen gegen Hass und Diskriminierung, „Die Gedanken sind frei“, Gardine

**H**eimat, Handwerk, Hausmannskost 🍲, Helau und Alaaf, Hochdeutsch, Hefeteig

**I**mmervährende Verantwortung Deutschlands für den Holocaust, Integration, Innovation 📡

**J**ugend musiziert, Jugend forscht, unabhängige Justiz 🏛️, Jahreszeiten

**K**ommunale Selbstverwaltung, Kirchturm 🏰, Kirchensteuer, Kleingarten, Klatsch und Tratsch, Kartoffel

**L**okalzeitung, Lärmschutzverordnung 🗣️, Lutherbibel

**M**ade in Germany, Mitbestimmung, Muttersprache 🗣️, Muslime, Migrationshintergrund, Meisterbrief, Mut zur Lücke – auch in diesem Text

**N**aturschutz, Nationalmannschaft 🏆, Nachbarschaftsstreit, Neugier

**O**rdnung, Ökumene, Oktoberfest 🍺, öffentlicher Personennahverkehr

**P**ressefreiheit, Partner in EU und Nato, Polizei 🚔, Pilze sammeln, Pünktlichkeit, Pflaumenkuchen

**Q**ualitätsarbeit, Quarkspeise, Quasselstrippe 🗣️

**R**echt und Gesetz, Reformation, repräsentative Demokratie, Reisen 🗺️, Rouladen mit Rotkohl

**S**icherheit des Staates, Israel ist Staatsräson, soziale Marktwirtschaft, Sportverein, Streitkultur, Schützenverein, Spielzeugeisenbahn, Schwarz-Rot-Gold 🇩🇪

**T**arifverhandlungen, Tierschutz 🐾, Tüftler, Tischsitten

**U**mweltschutz 🌿, Umgehungsstraße, Unordnung

**V**olkslied, Verkehrssünderdatei, Vorsicht, bissiger Hund, Vollkornbrot 🍞, vierter Stern, Volksparteien, Vielfalt

**W**irtschaftswunder 4.0, Wärmedämmung, Weihnachtsgebäck, Windrad, Wandern, Wald 🌲

**E**Xaktes Arbeiten, kein X für ein U vormachen, EXportweltmeister 🏆

**Ba**Yern 🇩🇪, Wagner in BaYreuth

**Z**weifel, Zoff, Zuversicht, Zusammenhalt 📎

Twemojis unter CC BY 4.0  
© Bundesregierung

ტაიმერი	გამოსახულება	ვერბალური აღსანიშნი	განმარტება	ინტერნეტვერსია
00:01-00:11	გაშლილი ნიგნი	საქართველოს შესახებ თხრობა	დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ წარმოდგენილი ნიგნის ორი გვერდი 9 ფიგურითა და სვანური კოშკის გამოსახულებით	
00:12-00:16	ა	ანბანი	იუნესკოს სიმბოლო – ქვემოდან ზემოთ ანბანის ნიშნების შავ-თეთრი განლაგება ანის მოხაზულობაში – იუნესკოს სიმბოლო	ანბანი/Alphabet
00:17-00:22	ბ	ბასიანი	ბრძოლა – ღამის კლუბი	ბანი/Dachterasse
00:23-00:29	გ	გალაკტიონი	დიდი პოეტი, ეტრატი, მთვარე („მთაწმინდის მთვარე“)	გეორგია/Georgia
00:30-00:34	დ	დმანისელი ჰომინიდები	ანბანის ნიშანში ასახული გათხრების არტეფაქტები და მასალები; უძველესი ევროპელები	დმანისის ადამიანი/Dmanissi Hominine
00:35-00:44	ე	ენგური	შავ ზღვაში ჩამდინარე, რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის (გამოსახულებას ემატება ჯაჭვები) საზღვარი	ემოცია/Emotionen
00:45-00:51	ვ	ვაზი	800 წლის ქართული ტრადიცია – მეღვინეობა	ვნება/Leidenschaft
00:52-00:59	ზ	ზეგ	ხვალის შემდეგ, ოთხად დაყოფილი ანბანის ნიშნის გამოსახულება ორმაგი სრული ბრუნით, მამაკაცის გამოსახულებით, რომელიც დღისით ქეიფობს, ღამით ისვენებს, ქალს უმღერის, მოგზაურობს, ისვენებს, ინტელექტუალურ შრომას ეწევა	ზღვა/Meer
01:01-01:06	თ	თამარ მეფე	ოქროს ხანაში მართავდა ქვეყანას, იყო ქალი მეფე, მმართველი, მრავალი ბრძოლის გამამტანი	თბილისი/Tbilissi
01:07-01:11	ი	ირემი	ფიროსმანის ირემი, პრიმიტივიზმის შედეგრი	ისტორია/Geschichte
01:12-01:16	კ	კავკასიონი	მდებარეობა: ორ ზღვას შორის, ანბანის ნიშნის შევსება ქვემოდან ზევით, ალპინიზმი, ყველაზე მაღალი ევროპული მწვერვალის (5642 მ) იალბუზის გამოსახულებით, ჩეგეტის მთის საბაგირო და დამოუკიდებელი საქართველოს დროშა	კავკასიონი/Kaukasus
01:17-01:23	ლ	ლელი	ლელიბურთი – რაგბი ჩვენი თამაშია!	ლელი/Lelo

<sup>1</sup> <http://georgia-characters.com/Concept.aspx>



**მულტიმედია ტექსტები, რომორც დისკუსიის ანალიზის ობიექტი**

01:24-01:31	მ	მედეა	ბერძნული მითოლოგიის ნაწილი, წარმოშობით კოლხი, დღეს დასავლეთ საქართველო; შავ-თეთრი ტალღები, სანაპიროს შუქურა, მედეას ძეგლი სანმისით, აკროპოლისი	მედეა/Medea
01:32-01:41	ნ	ნატვრის ხე	წიგნი, ფილმი, სიმღერა და ჯადოსნური სურვილების ხე	ნაცარქექია/Aschenstocherer
01:32-01:44	ო	ოსური	ცეკვა რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონიდან; წყვილი მოცეკვავე, რომელიც ქვემოდან ზევით მავთულხლართით იფარება, შესაბამისად, ერთმანეთთან მიმავალ წყვილს ამორებს	ომი/Krieg
01:45-01:51	პ	პურმარილი	წვეულების ტაბლა, ლურჯი სუფრით	პური/Brot
01:52-01:57	ჟ	ჟრუანტელი	უკავშირდება სასიყვარულო ვნებებს, თან დართული აქვს შესაბამისი ხატები, პეპლები, მთვარე და მსგ.	ჟრიამული/ Kalamauk, Tumult
01:58-02:02	რ	რუსთაველი	9 საუკუნის უკან დანერილი ეპოსი, ინსპირირებული საუკუნის მოვლენებით, რუსთაველის გამოსახულება, ვეფხვთან მებრძოლი ტარიელის გამოსახულებით	რუსთაველი/ Rustaweli
02:03-02:09	ს	საქართველო	მსოფლიო უწოდებს გეორგიას, ხოლო ჩვენ საქართველოს (ყურძენი, ღვინის დოქი, მეცხვარე ბატკნით, კავკასიონი, ჯვარი და ბორჯღალი)	სტალინიზმი
02:11-02:17	ტ	ტყემალი	ქილისა და ბოთლის გამოსახულება, წითელი და მწვანე ტყემლის მყავე სოუსი, სხვადასხვა ვარიაციაში, საქართველოში	ტყემალი
02:18-02:24	უ	უშგული	ყველაზე მაღალი დასახლება ევროპაში, სვანური კოშკი	უბანი
02:25-02:28	ფ	ფაჩულია ზაზა	ფაჩულია, ბურთით და ნატომით, კარგი ქართველი – ნბა-ს ჩემპიონი	ფიროსმანი
02:29-02:35	ქ	ქრისტე	ნიშანი, რომელიც იკვეთება ჯვარში და წარმოადგენს ქრისტეს, ბოლნური ჯვარი და მაცხოვრის კონტურები, ბორჯღალი (მზის სიმბოლო)	ქვევრი
02:36-02:42	ღ	ღვინო	შუა საუკუნეებიდან წარმოებული პროდუქცია ქვევრში, ქვევრის ფორმა და ღვინის ფერი	ღვინო
02:43-02:50	ყ	ყინწვისის ანგელოზი	მე-13 საუკუნის ფრესკა, ტაძრის ფრაგმენტი	ყინწვისის ანგელოზი
02:51-02:58	შ	შერეკილები	ფილმის ანიმაცია, მითი საბჭოეთიდან გაქცეულების შესახებ	შერეკილები

02:59-03:06	ჩ	ჩაკრულო	ფოლკლორი, რომელიც 1977 წელს კოსმოსში გაუშვეს, კოსმოსისა და თანამგზავრის მუსიკალური ნიშნები	ჩაკრულო
03:07-03:12	ც	ცურტაველი	შუმანიკი და გადაშლილი წიგნი, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები მე-5 საუკუნიდან, სადაც მოთხრობილია წამებული ქალის შესახებ	ცდა
03:13-03:18	ძ	ძალა ერთობაშია	ქვეყნის დევიზი, ჯარი, ადამიანების ერთობა	ძაფი
03:19-03:24	წ	წუთისოფელი	წამია წუთისოფელი, ქვიშის საათი, რომელიც იცვლის პოზიციას და დღეს ღამე ანაცვლებს	წყალი
03:25-03:32	ჭ	ჭავჭავაძე ილია	ერის სულიერი მამა და ქვეყნის ლიბერალური განვითარების სულის ჩამდგმელი, ილიას ფოტო	ჭარბი
03:33-03:38	ხ	ხრიდლოლი	ქართველ სასულიერო პირთა თავდაცვითი საომარი ხელოვნება, ერთგვარი ვერსია ქართული კუნფუსი, შერკინებული მამაკაცები	ხორუმი
03:39-03:47	ჯ	ჯინსების თაობა	თაობა, რომელიც დასავლურ სამოსს, ჯინსებს ატარებდა და ამით გამოხატავდა პროტესტს საბჭოთა რეჟიმის მიმართ, ფონზე საბჭოთა სიმბოლიკა	ჯინსების თაობა
03:48-03:53	ჰ	ჰა	ანბანის დასასრული და უფრო დიდი დასაწყისი	ჰ

*NINO KIMERIDZE*

## MULTIMEDIA TEXTS AS THE OBJECT OF DISCOURSE ANALYSIS

### Summary

In modern societies communication has acquired particular relevance. As a result, a new tendency in communication studies, viz. multimedia communication studies, has emerged. E.W.B. Hess-Lutich places special emphasis on the studies in question, considering them a part of semiotic field. However, he also admits that studies on the semiotics of multimedia communication do not have a long tradition, since technological progress determines the constant renewal of the object of study (Hess-Lutich 1992-431).

Since any kind of text is created within a particular cultural space, the texture of modern literary as well as non-literary texts is open for any type of signs. The investigation of different types of media reveals the diversity of graphical substratum in the texture of texts, which implies that the approach to be applied should be interdisciplinary. In addition, depending on the features of the context, texts create a corpus, a unity of texts employing various codes; conveying the same modality, the unity in question forms discourse.

In the case of multimedia texts, signs and codes are even more versatile, without the underlying modality they cannot create texture. In the latter signs/images create a visual discourse which is an extension of a verbal one, and whose analysis is based upon a different methodology. Studies of the textures of multimedia nature place discourse linguistics within the framework of discourse semiotics.

By integrating the methodologies for verbal and visual aspects of discourse analysis, the paper aims to show the relevance of graphical substratum in discourse.

*ნინო სამხარაძე*

**ფეხბურთი და ნაციონალიზმი საქართველოში 1960-1980-იან წლებში**

**შესავალი**

ფეხბურთი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობაა (Nili, 2009), რომელსაც შეუძლია განსხვავებული ინტერესების მქონე ჯგუფები გააერთიანოს და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მასების მობილიზაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოვლენაზე. თვალმისაცემია მისი როლი ნაციონალიზმის გაღვივებაში ან, სულაც, ფორმირებაში, განსაკუთრებით კი ისეთ ერთობებში, რომლებსაც საკუთარი სუვერენიტეტის არქონის დიდი გამოცდილება და ეროვნული ამბიციები აქვთ. კაზუო უჩიუმი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში სოციალიზმის კვდომის პროცესში პოსტსაბჭოთა სივრცეში არა უბრალოდ ნაციონალისტური განწყობები გაიზარდა, არამედ ნაციონალიზმის გასპორტულება მოხდა (sporting the nationalism), რაც კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს და ელიტების პოლიტიკურ გეგმებს (Uchiumi, 2012). აქედან გამომდინარე, სპორტში, უმთავრესად კი ფეხბურთში გამოხატული ნაციონალიზმი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის განუყოფელ ნაწილად იქცა.

1801 წლიდან საქართველო ცარიტული რუსეთის, ხოლო 1921 წლიდან 70 წლის განმავლობაში საბჭოთა მმართველობის ქვეშ ვითარდებოდა. 200 წლის განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში ეროვნული ამბიციები ყოველთვის ვინროვდებოდა ან, უარეს შემთხვევაში, იდეენებოდა. შედეგად, პოლიტიკური დამოუკიდებლობის არარსებობასთან ერთად, ქვეყანაში გამოუცდეღი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება მოხდა. ამის ფონზე საბჭოთა სახელმწიფო თავის ფარგლებში მოქცეული რესპუბლიკების განსაკუთრებულობის მიმართ ლოიალობას იჩენდა, მაგალითად, აძლევდა მათ უფლებას, ჰყოლოდათ საკუთარი საფეხბურთო კლუბები, რომლებიც პერიოდულად საკავშირო დონეზეც გამოდიოდნენ. სწორედ ამ დროს ისინი, გარკვეულწილად, შედარებით მასშტაბურ ასპარეზობებზე თავიანთი ხალხების წარმომადგენლები ხდებოდნენ. შედეგად, ფეხბურთი საქართველოში, სხვა კულტურულ მოვლენებთან ერთად, ეროვნული თვითგამოხატვის და ნაციონალური ეგოს დაკმაყოფილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად იქცა.

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით ჩნდება კითხვები, თუ რა გარემოებებში მოხდა საფეხბურთო მოვლენების მნიშვნელობის განსაზღვრა ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაში? რა ფორმით იქონია ქართულმა ფეხბურთმა გავლენა ნაციონალიზმის გაღვივებაზე და რა ფაქტორებმა განსაზღვრა ფეხბურთის როლი ნაციონალიზმის გაღვივების პროცესში საქართველოში 1960-1980-იან წლებში? სტატიაში წარმოდგენილი იქნება მცდელობა, სხვადასხვა მასალის ანალიზის გზით დადასტურდეს მოსაზრება, რომ 1960-1980-იან წლებში საბჭოთა მმართველობის პირობებში ფეხბურთი გახდა ეროვნული თვითშეგნების გამოხატვის სივრცე, რის შედეგადაც მასების მობილიზაციის ხელშეწყობის გზით გავლენა იქონია ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაზე. აღნიშნული მოსაზრების შესამოწმებლად სტატიის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ის ძირითადი თეორიები, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება აიხსნას ქართული ფეხბურთისა და ნაციონალიზმის ურთიერთკავშირი 1960-1980-იან წლებში. აქვე მიმოხილულია მონაცემთა ანალიზის ძირითადი მეთოდოლოგია და მეთოდები. მეორე თავი ეთმობა საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლების გამოყოფას და ფეხბურთს, როგორც ამ პოლიტიკის ნაწილს ადგილობრივი ნაციონალიზმ(ებ)ის კონტროლის პროცესში. მესამე თავში კი ქართული ფეხბურთის გარშემო განვითარებული მოვლენებისა და მასების დამოკიდებულებების დინამიკის ჩვენების გზით გაანალიზებულია ფეხბურთის როლი ქართული საზოგადოების მობილიზაციის პროცესში.

**თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო**

ფეხბურთი ინდუსტრიალიზაციის ეპოქის პროდუქტია (ფოიერი, 2011). ამავე დროს ის კულტურული ნაციონალიზმის ნაწილია, შესაბამისად, მისი გავლენა ნაციონალიზმის გაღვივების პროცესზე ნაციონალიზმის მოდერნიზაციული თეორიის სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის ჩარჩოში შეიძლება იქნეს განხილული. აღნიშნული თეორია ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს (დავითაშვილი, 2003).

ბენედიქტ ანდერსონი ამტკიცებს, რომ ერი წარმოსახვითია იმდენად, რამდენადაც ყველაზე პატარა კომუნის წევრებიც კი არ იცნობენ ერთმანეთს პირისპირ, თუმცა მათი ყოფის სპეციფიკა განპირობებულია საერთო წარმოსახვითი იდეებით. ყოველი საზოგადოება სხვა დანარჩენისგან განსხვავდება იმით, თუ როგორ ხდება მისი წარმოსახვა (Anderson, 2006). ანდერსონის კვალდაკვალ სეზარ გარსია მიიჩნევს, რომ ფეხბურთი ერთ-ერთი ყველაზე დიდი კულტურული ინსტიტუციაა, რომელიც აყალიბებს და გარკვეულ ფორმას აძლევს ეროვნულ იდენტობებს მსოფლიოს გარშემო (Garsia, 2012). საფეხბურთო კლუბები უბრალოდ კი არ წარმოადგენენ რომელიმე კონკრეტულ ქალაქს თუ ქვეყანას, არამედ ქმნიან ზოგად წარმოდგენებს ამ ქალაქისა თუ ქვეყნის შესახებ, რაც ფეხბურთს ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოების წევრების მიერ ეროვნული ერთობის წარმოსახვის ანდერსონისეული პროცესის ნაწილად აქცევს.

მაიკლ ბილიგი საკუთარ თეორიას ბანალური ნაციონალიზმის შესახებ სწორედ ბენედიქტ ანდერსონის „წარმოსახვით საზოგადოებებზე“ აფუძნებს, ამტკიცებს რა, რომ ერი-სახელმწიფოები განისაზღვრებიან არა ობიექტური კრიტერიუმებით, როგორცაა განსაკუთრებული ენა ან კულტურა, არამედ მათი ერთიან საზოგადოებად წარმოსახვით (Bilig, 1995). მაიკლ ბილიგის თეორია ბანალური ნაციონალიზმის შესახებ ამბობს, რომ ნაციონალიზმი არის იდეოლოგიურ ჩვეულებათა ნაკრები, რომელიც ერთობის წევრების ყოფაში არსებობს და ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ერების ყოველდღიურ რეპროდუქციას უწყობს ხელს. ამგვარი ყოველდღიური ჩვევების საფუძველზე ხდება ერების ე.წ. „Flagging“ (სიტყვიდან flag, რაც „დროშას“ ნიშნავს) და რადგანაც ნაციონალიზმი ერებისთვის დამახასიათებელი ზოგადი განწყობაა, ყველა ერისთვის ის ენდემურ მდგომარეობად აღიქმება (Bilig, 1995). ბილიგის თეორიის მიხედვით, ბანალური ნაციონალიზმი არის პროცესი, რომლის დროსაც მოქალაქეებისთვის ყოველდღიურად ხდება იმის შეხსენება, რომ ისინი კონკრეტული ერის წარმომადგენლები არიან და მათ თავისი ადგილი აქვთ მსოფლიოში. ნაციონალიზმის ბანალურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამისათვის არ არის საჭირო განზრახ ააფრიალო ქვეყნის დროშა, ამისათვის საკმარისია, დროშა უბრალოდ გამოფენილი იყოს რომელიმე შენობაზე, თუნდაც, შეუმჩნევლად. ის მაინც ნაციონალიზმის ყოველდღიური გამოვლინება იქნება (Bilig, 1995).

ბილიგს ეთანხმება ალან ბერნერი, რომელიც თვლის, რომ სპორტი ყველა სხვა სოციალურ აქტივობაზე უფრო მეტად უწყობს ხელს ეროვნული სიმბოლოების – დროშების, ჰიმნების, ეროვნული ფორმების – წინ წამოწევას (Bairner, 2008). ის ამტკიცებს, რომ გლობალიზაციამ ეროვნული ფაქტორი საერთაშორისო სპორტში და, განსაკუთრებით, ფეხბურთში მნიშვნელოვნად შეამცირა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეროვნული ნაკრებები საზოგადოებების სიმბოლურ წარმომადგენლებად აღიქმებიან, ამიტომ მათი სიმბოლურობა ყოველთვის აირეკლავს თავის თავში ამა თუ იმ საზოგადოებების ძირითად მახასიათებლებს ცნობიერად თუ ქვეცნობიერად (Bairner, 2008). თანამედროვე ეპოქაში მოვლენათა სიმბოლიზება და საკრალიზება ერთიანობის განცდის გასამძაფრებლად არაერთ მოვლენაში აისახება, საფეხბურთო კულტურა კი ერთ-ერთი შესაფერისი სივრცეა, სადაც ამგვარ საკრალიზაციაზე დაკვირვებაა შესაძლებელი. საფეხბურთო მოვლენები თავისი რიტუალებით ირეკლავს შესაბამისი საზოგადოებების ძირითად მახასიათებლებს და საერთო ნიშნებს (Ismer, 2011).

მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის, როგორც საზოგადოებების გამაერთიანებელი ფენომენის, ბუნებას სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის მიმდინარეობის წარმომადგენლები კარგად ხსნიან, ისინი ნაკლებად იღებენ მხედველობაში პოლიტიკურ ფაქტორებს. რთულია იმის წარმოდგენა, რომ ფეხბურთი თავისი რიტუალური ბუნებით თავისთავად გახდება მასების მობილიზაციის გამომწვევი მოვლენა. ერიკ ჰობსბაუმი თავის წიგნში „ტრადიციათა გამოგონება“ აყალიბებს თეორიას, რომლის მიხედვითაც ტრადიციათა უმრავლესობა არის სხვადასხვა გამოცდილებათა ნაკრები. ისინი შეთანხმებული წესების მიხედვით ხორციელდება, აქვთ რიტუალური ან სიმბოლური ფორმა და ნერგავენ გარკვეულ ღირებულებებს მათი პერიოდულად გამეორების გზით. ამ პროცესის მაგალითად ჰობსბაუმი მოიხსენიებს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის ფინალს (Hobsbawm, 1983). ტრადიციათა გამოგონების პროცესის სპორტის კონტექსტში განხილვისას წიგნის შესავალში ავტორი განასხვავებს წესებს, რომლებიც სპორტშია დამკვიდრებული და ტრადიციებს, რომლებიც ხელოვნურად გარკვეულ იდეოლოგიურ დატვირთვას იძენენ, მაგალითად, რბოლებში მონაწილეობისას ცხენოსნები, როგორც წესი, მჭიდრო ქუდებს იყენებენ, მოტოციკლისტები – ჩაფხუტებს, რასაც პრაქტიკული დანიშნულება აქვს, თუმცა, თუ ამ ქუდებს რომელიმე კონკრეტულ ფერში შევლავებთ, ეს უკვე სხვა დატვირთვას შეიძენს და ქუდის გამოყენების წესს ტრადიციად გარდაქმნის (Hobsbawm, 1983).

იმისთვის, რომ დადგინდეს ლოგიკური კავშირი ფეხბურთსა და ნაციონალიზმს შორის საქართველოში 1960-1980-იან წლებში, კვლევის პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის თვისებრივი მეთოდოლოგია. *დისკურს-ანალიზის* გზით ნაშრომში წარმოდგენილია შესაბამისი პერიოდის როგორც სპორტული, ისე საზოგადოებრივი პრესის მიმოხილვა. ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებულ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებში, მხატვრულ თუ მემუარულ ლიტერატურაში მოცემული მასალის დამუშავება *კონტენტ-ანალიზის* ფარგლებში მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ქართულ ფეხბურთში არსებული ფაქტების გასააზრებლად, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების ამ ფაქტებისადმი დამოკიდებულების გასაანალიზებლად. კონტენტ-ანალიზის გზით დამუშავებული ინფორმაციის შესავსებად და სრული სურათის მისაღებად ჩატარდა *ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსიები*. რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი 55-70 ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რამაც გაამარტივა უშუალოდ პირველწყაროების მოგონებების გაანალიზება 1960-1980-იან წლებში საზოგადოების დამოკიდებულებების დინამიკის აღსაქმელად. *სიღრმისეული ინტერვიუები*, რომლებიც ფეხბურთთან დაკავშირებულ სხვადასხვა „სტეიკჰოლდერებთან“ – ფეხბურთელებთან, გულშემატკივართა ნაწილთან და სპორტულ ჟურნალისტებთან – ჩატარდა, წარმოაჩენს საკვლევ საგანს ქართული ფეხბურთის განვითარების, როგორც პროცესის, უშუალო მონაწილეთა რაკურსით და შეავსებს თვისებრივი მეთოდოლოგიის სხვა მეთოდებით მიღებულ ინფორმაციას.

### საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა და ქართული ფეხბურთი

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა დაფუძნებული იყო იდეაზე, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ თითოეულ ხალხს უნდა ჰქონოდა საკუთარი დიდი წარსული, ტრადიციები და კულტურა. ამისთვის პარტია მუდმივად ზრუნავდა ადგილობრივი კულტურების წინ წამოწევაზე, შესაბამისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო თუ სოციალური პოლიტიკის გატარებაზე. საბჭოთა მიდგომის მიხედვით სხვადასხვა ხალხის „დიდი ტრადიციები“ მუდმივად უნდა ყოფილიყო ნახალისებული, ვინაიდან ისინი მუდმივად საჭიროებდნენ დაცვას, გაუმჯობესებას და, გარკვეულ შემთხვევაში, გამოგონებას (Slezkine, 1994).

ერიკ ჰობსბაუმის თქმით, ერს საკუთარი თავის ლეგიტიმაციისთვის სჭირდება უწყვეტი კავშირი აწმყოსა და წარსულს შორის, რისთვისაც ის იგონებს ტრადიციებს სხვადასხვა ფორმით (დავითაშვილი, 2003). ჰობსბაუმი ტრადიციათა უმრავლესობას განმარტავს როგორც სხვადასხვა გამოცდილების ნაკრებს, რომლებიც შეთანხმებული წესების მიხედვით ხორციელდება და აქვთ

რიტუალური ან სიმბოლური ფორმა და რომლებიც ნერგავენ გარკვეულ ღირებულებებს მათი პერიოდულად გამეორების გზით (Hobsbawm, 1983). ამგვარი ტრადიციების გამოგონების უმთავრესი მიზანი არის მასების იდეოლოგიური მობილიზება და კონტროლი. პოლიტიკური ელიტების მიერ საზოგადოებისთვის იდეოლოგიური მიმართულების მიცემა სწორედ სიმბოლური ნორმების და რიტუალების მეშვეობით ხორციელდება (Hobsbawm, 1983). ამ საერთო სიმბოლოების მეშვეობით ერთიანდება ხალხი, რომელსაც ერთმანეთთან უშუალო კონტაქტი არ აქვს. სწორედ მსგავს პროცესებში ხდება ისეთი მექანიზმების ჩართვა საქმეში, როგორცაა ფეხბურთი, თავისი პრიმორდიალური სიმბოლური ელემენტებით (Rojo – Labaien, 2014). აღნიშნული პოლიტიკის შედეგად, ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ჰქონდა საკუთარი მწერალთა კავშირი, თეატრები, ოპერა, ნაციონალური აკადემიები, სპეციალიზებული ისტორიაზე, ლიტერატურასა და ენაზე (Slezkine, 1994).

სიმბოლოების ფაქტორი კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა „ნაცივიზაციის“ ანუ „ადგილობრივი ელიტების ნდობის“ ხანაში, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა წინამდებარე ნაშრომის საკვლევი პერიოდიდან გამომდინარე. „ნაცივიზაციის“ პროცესი, რომელიც ანტიცალინისტურ და ნაკლებად რუსოფილურ პოლიტიკას გულისხმობდა, სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო და გორბაჩოვის ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე გაგრძელდა (Shcherbak, 2013). ხრუშჩოვმა აქტიურად მიჰყო ხელი საბჭოთა კავშირის მულტიეთნიკურობის მნიშვნელობის ხაზგასმას, ხოლო ბრეჟნევი კიდევ უფრო გაამძაფრა ეს პოლიტიკა ადგილობრივი ელიტების წინამონევის გზით. დაიწყო ინტელექტუალებისთვის ახალი შესაძლებლობების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო, სოციალურ თუ სამეცნიერო სფეროებში (Shcherbak, 2013).

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის მიხედვით, საბჭოთა კავშირის ყოველ რესპუბლიკას საკუთარი კულტურული თუ იდენტობის განმსაზღვრელი სხვა მარკერები უნდა შეენარჩუნებინა. 1960-1980-იან წლებში საქართველოს რესპუბლიკას ჰქონდა თავისი სახელმწიფო ჰიმნი, გერბი, დროშა და, რა თქმა უნდა, ჰყავდა თავისი საფეხბურთო გუნდები. როგორც სტივენ ჯონსი შენიშნავს, ეს გუნდები არ იწოდებოდნენ ოფიციალურად „ეროვნულ“ გუნდებად, მაგრამ უფრო ეროვნულები იყვნენ, ვიდრე რომელიმე დღევანდელი ეროვნული ევროპული საფეხბურთო გუნდი (ჯონსი, 2013).

ფეხბურთს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში ამბივალენტური სტატუსი ჰქონდა: ერთი მხრივ, ფორმალურად სპორტსმენები იყვნენ მოყვარული მოთამაშეები, ხოლო სპორტული გუნდები თუ ნაკრებები მოხალისეობრივ სოციალურ საზოგადოებებად იწოდებოდნენ; მეორე მხრივ, ფაქტობრივად, ისინი პროფესიონალი მოთამაშეები იყვნენ და სამთავრობო გუნდებს წარმოადგენდნენ (Ovsepyan, 2016).

„უძრაობის ხანად“ მონათლულ 1970-1980-იან წლებში ქართული სპორტი და კულტურა რომ აღმავლობას განიცდიდა, ამის შესახებ წერს თავის დისერტაციაში ირაკლი ჩხაიძე. ხედავს რა მჭიდრო კავშირს ფეხბურთსა და ნაციონალიზმს შორის, მისი აზრით, ფეხბურთში [და სხვა სპორტულ თუ კულტურულ სფეროებში] მიღწეულ წარმატებებს ხელს თავად კომუნისტური ხელისუფლება უწყობდა და ისინი განიხილებოდა, როგორც ქართული საზოგადოების ეროვნული მიღწევები. ამგვარი პოლიტიკის შედეგად მიღებულ ნაციონალიზმს ის სახელმწიფოს მიერ ინსტიტუციონალიზებულ „ოფიციალურ“ ნაციონალიზმს უწოდებს (ჩხაიძე, 2011).

საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკას თავისი შეზღუდვებიც გააჩნდა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დაარსებიდან რამდენიმე ათეული წლის მანძილზე წარმოუდგენელი იყო, რომ საკავშირო ჩემპიონატი არარუსულ გუნდს მოეგო. უფრო მეტიც, პირველ ადგილზე აუცილებლად მოსკოვური გუნდებიდან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსიები ცხადყოფს, რომ საზოგადოებამ კარგად იცოდა, რომ, სტალინის და ხრუშჩოვის მმართველობის ქვეშ, ქართულ საფეხბურთო კლუბს საბჭოთა ჩემპიონატის მოგების შანსი პრაქტიკულად არ ჰქონდა. სწორედ ამაზე საუბრობს გაზეთ „ლე-

ლოს“ რედაქტორი, სპორტული ჟურნალისტი თენგიზ გაჩეჩილაძე, როდესაც ამბობს: „ჩვენთვის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი არ იყო ნაკლები ჩემპიონატი, ვიდრე დღეს არის ნებისმიერი ევროპის ქვეყნის ჩემპიონატი. ძალიან ძლიერი ჩემპიონატი იყო! და ამ ჩემპიონატის დროს ჩვენ არაერთხელ (!) გამოგვტაცეს ჩემპიონობა. თვალსა და ხელს შუა ფინალურ მატჩებში, ან პრინციპულ მატჩებში მსაჯი გვჩაგრადა“ [თ. გაჩეჩილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2017 წლის ივნისი]. მართლაც, 1964 წლამდე კიევის „დინამო“ იყო ერთადერთი არარუსული კლუბი, რომელსაც ეს ტიტული ჰქონდა მოპოვებული, რის არაოფიციალურ მიზეზადაც რესპონდენტთა ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების კეთილი ნების არარსებობას ასახელებს. საკავშირო ჩემპიონატზე მოსკოვი წარმოდგენილი იყო ოთხი ძირითადი საფეხბურთო კლუბით: „დინამო“, „ტორპედო“, „ცსკა“ და „სპარტაკი“. მოსკოვის „ლოკომოტივი“ პერიოდულად ჩნდებოდა ამ შემადგენლობაში და არაოფიციალურად „მოსკოვის მეხუთე ბორბლად“ იწოდებოდა (Ovsepyan, 2016). როგორც ფეხბურთელი გიორგი სიჭინავა იხსენებს: „მაშინ [თბილისის „დინამოში“] სუსტი არავინ იყო, ყველა მაგრად თამაშობდა, მაგრამ პირველი ადგილის მოპოვება შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ მოსკოვის ხუთი გუნდი იყო და ეს ხუთი გუნდი ერთმანეთს აძლევდა ქულებს“ (Film Archive of Georgia, 2014). სხვა რესპუბლიკებს აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ წარმომადგენელი უმაღლეს ლიგაში, თუმცა ყველაფერი „ზემოდან მართვადი“ უნდა ყოფილიყო.

„ზემოდან მართვა“ ხდებოდა ნებისმიერი ბერკეტის გამოყენებით, რაც საფეხბურთო კლუბის მიერ დაფიქსირებულ შედეგებზე ახდენდა გავლენას – ზენოლა მსაჯებზე, სამწვრთნელო პოლიტიკა, გუნდური გარიგებები, თამაშების არაკომფორტულ დროსა და ადგილზე დანიშვნა და ა.შ. სპორტულ ჟურნალისტ ოთარ გაგუას თქმით: „ბევრი იყო, რბილად რომ ვთქვათ, უნამუსო გადაწყვეტილებები. 1953 წელში მოსკოვის „ტორპედოს“ ვეთამაშებოდით, ხოდა მოვიგეთ და მერე გადაგვათამაშეს. გადაგვათამაშეს და მერე წავგავებინეს. გასაჩივრებაც როგორ იყო, იცით? არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას... ძალიან გვჩაგრავენ, ერთი სიტყვით, როგორც წესი, ყოველთვის მსხვერპლი ვიყავით“ (Film Archive of Georgia, 2014).

1964 წლის 18 ნოემბერი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ღირსშესანიშნავ თარიღად ითვლება, რადგან სწორედ ამ დღეს მოიგო თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში. აქამდე გუნდს თავისი ეს ტიტული არასდროს მოუგია, თუმცა რამდენჯერმე გავიდა მეორე ადგილზე. 1964 წლის ჩემპიონატზე „მოსკოვის ტორპედომ“ და „თბილისის დინამომ“ თანაბარი 46-46 ქულა დააგროვეს, რის შედეგადაც დაინიშნა გადათამაშება. მატჩი უზბეკეთში, ტაშკენტში „პახტაკორის“ სტადიონზე შედგა და ის „თბილისის დინამოს“ გამარჯვებით 4-1 დასრულდა. ყურადღების ღირსია „დინამოელების“ რიგებიდან ილია დათუნაშვილის მიერ გატანილი მეორე გოლი, რომლითაც ანგარიში გათანაბრდა 1-1 და გუნდი შემდგომ წინ გაიჭრა. დღემდეა შემორჩენილი დოკუმენტური კადრები, რომლებიც ასახავს ცნობილი ქართველი კომენტატორების – ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის – სიხარულს, როდესაც ისინი ერთმანეთს ეხვევიან, შემდეგ კი ეროსი მანჯგალაძე მიკროფონს კოცნის (Film Archive of Georgia, 2014).

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ფორმატის დისკუსიების შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნულ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მოსახლეობისთვის არაერთი მიზეზის გამო. ინტერვიუში „თბილისის დინამოს“ თავდამსხმელი ილია დათუნაშვილი იხსენებს: „[19]64-ში ჩვენ გავვიმართლა, ძალიან გავვიმართლა, რომ მაშინ ხრუშჩოვი გადააყენეს და ჩვენთვის არავის ეცალა. მაგიტომ დანიშნეს მსაჯი რუბენისი, თორემ ასეთ თამაშებში სულ მოსკოველებს ნიშნავდნენ, ოღონდ კი ჩვენ არ მოგვევო არაფერი“ [ი. დათუნაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2017, 6 ივნისი]. „რუსეთი იმას როგორ დაუშვებდა, რომ თბილისურ გუნდს რუსებისთვის ეჯობნა“ – აცხადებს ერთ-ერთ ინტერვიუში გულშემატკივარი.

ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი 1977 წლის 23 ივლისს თბილისში გამართული მატჩისას თბილისის „დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ზარისა“ შორის. მატჩს ლიტველი არბიტრი რომუალდას იუშკა სჯიდა. ამ დროისთვის თბილისის „დინამო“ სატურნირო ცხრილში

მეორე ადგილს იკავებდა. გულშემატკივრები, რომლებიც მატჩს ესწრებოდნენ, იგონებენ, რომ იუშკა განსაკუთრებით უსამართლო იყო ქართველი ფეხბურთელების მიმართ და მაშინ, როცა თამაშის მიწურულს ერთ-ერთი „დინამოელი“ სტუმართა საჯარიმოში წაიქცა, მან საფინალო სასტვენს ჩაჰბერა, მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო დროის ამონურვამდე 2 წუთი იყო დარჩენილი. ტრიბუნების წინა ნაწილებიდან ქართველი გულშემატკივრის ნაწილმა იწყო მოედანზე გადასვლა. როგორც გულშემატკივრები იხსენებენ, ქართველი ხალხი კონკრეტულად იუშკას ქმედებით კი არ იყო გაღიზიანებული, არამედ იმით, რომ ეს პირველად არ ხდებოდა. მსაჯები ხშირად ავინროებდნენ თბილისის დინამოელებს და ქართველი ქომაგების გარკვეული ნაწილი ამას აღიქვამდა საკავშირო ფედერაციისა და მოსკოვის ჩინოვნიკების მითითება-მცდელობად: არ დაეშვათ თბილისელების გამარჯვება სსრკ-ის ჩემპიონატში (პაჭკორია, 2012). არეულობა დაიწყო, რამდენიმე დაშავებულიც კი იყო გულშემატკივრებიდან. აღელვებული მასების დამშვიდება ჯერ კოტე მახარაძემ სცადა, შემდეგ დავით ყიფიანმა. რესპონდენტები ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსიებში ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ ერთსაც და მეორესაც ქართველი გულშემატკივარი სიყვარულით და პატივისცემით შეხვდა. თუმცა მღელვარება არ ცხრებოდა. გაჩნდა მოლოდინი, რომ მასების დასაშორებლად დამატებითი ჯარის შემოყვანა გახდებოდა საჭირო. ხალხს დაშლის თხოვნით ედუარდ შევარდნაძემაც მიმართა, თუმცა უშედეგოდ. ბევრისთვის მოულოდნელად, შევარდნაძემ დატოვა სამთავრობო ლოჟა, გადავიდა ტრიბუნებზე, შემდეგ მინდორზე და მაყურებელს სიტყვით მიმართა – ის სთხოვდა მათ, დაშლილიყვნენ. ეს მოულოდნელი და გასაკვირი იყო, რადგან იმ დროს სსრკ-ში, მათ შორის საქართველოშიც, არ იყო მიღებული კომპარტიის ლიდერების მოულოდნელი გამოსვლა მასაში (პაჭკორია, 2012). თავისი მოკლე მიმართვის შემდეგ, რომლითაც ის ქართველებს დაშლისკენ მოუწოდებდა, გასასვლელისკენ დაიძრა და ხალხი მას გაჰყვა.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, როგორც რასელ ჰარგრევი წერს, ფეხბურთი თავისი ისტორიით შეიძლება გახდეს სახელმწიფო მანქანის ხელში მასების სამართავი მექანიზმი ტრადიციათა შექმნისა და კონტროლის გზით (Hargrave, 2007), რასაც ხელს უწყობს ის, რომ გულშემატკივართა ემოციური გრძნობებით აღვსილი მასებისთვის სასურველი ისტორიული ნარატივების შექმნა საკმაოდ მარტივია.

როგორც სპორტული ჟურნალისტი თენგიზ გაჩეჩილაზე იხსენებს: „[მისი] თაობისთვის ერთადერთი უსაყვარლესი გუნდი იყო „დინამო“, იმიტომ, რომ ეს იყო გუნდი, რომლის ირგვლივ ვტრიალებდით ყველა და ჩვენი ემოციები გადართული იყო თბილისის „დინამოზე“; იმიტომ, რომ თბილისის „დინამო“ იყო არა მხოლოდ საფეხბურთო გუნდი, არამედ ეს იყო ეროვნული გამოხატულება. იქ ნაციონალური სულისკვეთებაც იყო, ეროვნული ტრადიციებიც იდო, ჩვენი ხალხის ხასიათიც იდო, ყველაფერს განასახიერებდა ეს გუნდი და ამას ხალხი კარგად გრძნობდა“ [თ. გაჩეჩილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2017 წლის 14 ივნისი].

**ფეხბურთი და მასების მობილიზაცია: ქართული ნაციონალიზმი 1960-1980-იან წლებში**

როდესაც საქმე ეხება მასების მობილიზაციას ფეხბურთის გარშემო, გულშემატკივარი მოვლენების ერთ-ერთი უმთავრესი მოთამაშე ხდება. ის თავისი ქცევის კომპლექსურობით ფეხბურთს ანთროპოლოგიური კვლევის საგნადაც კი აქცევს (Budka & Jacono, 2013). გლენ დუერი ერთ-ერთ სტატიაში იშველიებს ერიკ ჰობსბაუმის გამონათქვამს, რომლის მიხედვითაც მილიონობით ადამიანის წარმოსახვითი საზოგადოება თერთმეტი მოთამაშის გარშემო ბევრად რეალური ჩანს, რადგან ერთი ადამიანიც კი, რომელიც ერთობლივ შეძახილშია ჩაბმული, თავისი საკუთარი ერის სიმბოლო ხდება (Duerr, 2016; Hunter, 2010). ამავე დროს, ქეთრინ ბეიკერი ხაზს უსვამს, რომ, რადგანაც ფეხბურთი, როგორც სპორტის სახეობა, შეჯიბრებითობის პრინციპზეა დაფუძნებული, ის ხშირად იქცევა ხოლმე სხვადასხვა ერსა თუ ხალხს შორის დაპირისპირების სიმბოლოდ (Baker, 2016).

1960-1980-იანი ფეხბურთი ქართულ საზოგადოებაში კოლექტიური იდენტობის გაძლიერებასა და მასების მობილიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. სპორტული ჟურნა-



ლისტი ოთარ გაგუა ამბობს: „ფეხბურთი ეს არ არის მარტო ბურთის გორება, ჩვენთვის ამას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა“ (Film Archive of Georgia, 2014).

საბჭოთა სპორტი იყო მექანიზმი საზოგადოებაში კოლექტივის კულტის ჩამოყალიბებისთვის და, ამავე დროს, ერის პოლიტიკური ამბიციების დაბალანსებისთვის. ფეხბურთის ამგვარი როლი საბჭოთა საქართველოში, სხვა დეტალებთან ერთად, აისახა კინოხელოვნებაშიც. ნაშრომის ფარგლებში შერჩეულ საკვლევ პერიოდში სამი მხატვრული ფილმის გადაღება მოხდა ფეხბურთის თემატიკაზე. მათგან პირველი, გუგული მგელაძის მიერ 1961 წელს გადაღებული ფილმი „ბურთი და მოედანი“, ასახავს საბჭოთა საზოგადოების ყოველდღიური ყოფის ფონზე ფეხბურთის მნიშვნელობას. ფეხბურთზე უსაზღვროდ შეყვარებული ბუღალტერი სამსახურიდან თავის დასაღწევად ათას ემპაკობას იგონებს, რომ თბილისის „დინამოს“ თამაში არ გამოტოვოს. ყველაფერი იწყება ემოციური შეძახილით: „ხვალ ფეხბურთია, ფეხბურთი!“ (მგელაძე, 1961). ბოლოს, „დანაშაულში“ მხილებულს იმით სჯიან, რომ საყვარელი გუნდის მორიგი თამაშის ყურებას უკრძალავენ. ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქისთვის ამგვარი „სასჯელის“ დაკისრებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მანამ, სანამ თბილისური კლუბი მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევდეს საკავშირო და საერთაშორისო ჩემპიონატებზე, სხვადასხვა მექანიზმით საბჭოთა პროპაგანდა ცდილობდა ხალხთა ეროვნული სიამაყე შედარებით „უწყინარი“ დარგებისკენ მიემართა.

1970 წელს ბაადურ ნულაძის მიერ გადაღებული ფილმი „ფეოლა“ მოგვითხრობს ჩვეულებრივი სახლმმართველის ისტორიას, რომელსაც ბავშვთა გუნდს ჩააბარებენ გასაწვრთნელად. ფილმის გმირი თავდაპირველად საქმეს უგულოდ ეკიდება, ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ გუნდმა წააგოს და მანაც ეს უსიამოვნო ვალდებულება თავიდან მოიცილოს. გუნდი კი წარმატებებს აღწევს და ფილმის პერსონაჟიც უფრო და უფრო მოტივირებულად ერთვება საქმეში. თუმცა, ოქროს მედლების მოპოვების შემდეგ, ბავშვთა გუნდს სათავეში პროფესიონალ მწვრთნელს ჩაუყენებენ (ნულაძე, 1970). აღნიშნული ფილმი საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ ფეხბურთს ამ პერიოდში საზოგადოების ყველაზე გულგრილი წევრების ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი შეეძლო შეეღწია. შესაბამისად, სპორტის ეს სახეობა საკმაოდ ძლიერ ფაქტორს წარმოადგენდა საბჭოთა საზოგადოების ერთ იდეოლოგიურ კოლექტიურ სივრცეში მოთავსებისთვის.

მესამე მხატვრული ფილმი ფეხბურთის თემატიკაზე არის 1975 წელს რეჟისორ ნანა მჭედლიძის ნამუშევარი „პირველი მერცხალი“, რომელიც ქართული ფეხბურთის და პირველი ქართული საფეხბურთო კლუბის ისტორიას მოგვითხრობს. ზღვისპირეთში ახლადგავრცელებული ბურთაობა ხშირად თანამოქალაქეების დასაცინი ხდება, ფეხბურთელები ფინანსური სახსრების გარეშე ენთუზიამით თამაშობენ და ებმებიან სხვადასხვა შეჯიბრებაში, ვითარდებიან და ყალიბდებიან ნამდვილ ფეხბურთელებად, რომლებსაც აქვთ თავისი მაისური და სახელი – „პირველი მერცხალი“. მის შესახებ წერენ ქართულ პრესაში, დროთა განმავლობაში კი საერთაშორისო შეხვედრებზე იმართება მათ ნინალმდეგ (მჭედლიძე, 1975).

ფეხბურთს ქართული საზოგადოებისთვის ძლიერი მაკონსოლიდირებელი ძალა ჰქონდა, რაც გამოიხატა კიდევ 1981 წლის 14 მაისის დემონსტრაციაში. 13 მაისი ერთ-ერთია იმ იშვიათ მოვლენებს შორის საქართველოს ისტორიაში, როდესაც ეროვნული სოლიდარობის გრძნობა ზენიტს აღწევს. გრანდიოზული დახვედრა აეროპორტში, თბილისის ქუჩებში აგორებული სადღესასწაულო დემონსტრაციები, კლუბის და ქვეყნის სადიდებელი შეძახილები – ამ ვნებათაღელვის გამომხატველ სიმბოლოდ ითვლება ლეგენდარული კომენტატორის, კოტე მახარაძის ცნობილი სიტყვები: „*Динамовцы Тбилиси победили на радость болельщикам Советского Союза, и, естественно, в первую очередь Грузии, Тбилиси. Представляю, что сейчас творится в Тбилиси! Ликует столица Грузии, ликует вся наша страна! Тбилисцы овладели этим Кубком!*“. თუკი თბილისელი ფეხბურთელების სამშობლოში დაბრუნების კადრებს გავადევნებთ თვალს, აშკარად დავინახავთ, თუ როგორ გააერთიანა ორმა გოლმა ქართული საზოგადოება (High Sport, 2015). ქუჩებს მოედო შეძახილები „დინამო“ და „საქართველო“. მატჩის შემდეგ ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის აღნიშვნის ფორმებმა

საბოლოოდ აქცია თბილისის „დინამო“ გამარჯვებისთვის მებრძოლი ქვეყნის სიმბოლოდ: „თბილისის დინამოელებმა გააკეთეს ის, რაც ხალხს აღარ ჰქონდა წლების მანძილზე... ეს არაფერს არ შეუძლია..“ – ამბობს კახი კავსაძე, როდესაც იხსენებს ამ პერიოდის ქართულ საზოგადოებას (Givifilms Studio Sport, 2013).

მაშინ დაპირისპირება „დინამოსა“ და „კარლ ცეისს“ შორის საქართველოს ისტორიის მორიგ რეპეტიციად აღიქმებოდა. დათო ტურაშვილი იხსენებს თავისი ისტორიის მასწავლებლის ნათქვამს თამაშის დღეს: „საქართველოს ისტორია არის უთანასწორო ბრძოლების თავგადასავალი და ქართველები ყოველთვის უმცირესობაში იყვნენ და ასე ებრძოდნენ მათზე გაცილებით მრავალრიცხოვან მტრებს და თუ დღეს თერთმეტ ქართველს მხოლოდ თერთმეტი გერმანელი დაუპირისპირდება, ჩვენი ფეხბურთელები აუცილებლად მოიგებენ“ (ტურაშვილი, 2011).

მას შემდეგ, რაც ისტორიაში უდიდესი გამარჯვებით გამოწვეული ვნებათაღელვა თბილისის ქუჩებს მოედო, მანამ, სანამ ეროვნულ გმირებად შერაცხულ ფეხბურთელებს აეროპორტში გრანდიოზულ დახვედრას მოუწყობდნენ, გაზეთ „ლელოში“ ქვეყნდებოდა ლექსები საზეიმო მოვლენის აღსანიშნავად, იბეჭდებოდა სხვადასხვა საზოგადო მოღვაწისა და უბრალო მოქალაქის მისალოცი სიტყვები, რაც ასახავდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების განწყობას და აღნიშნული გამარჯვებით გამოწვეულ სიამაყეს.

## დასკვნა

მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია ფეხბურთისა და ქართული ნაციონალიზმის ურთიერთკავშირი საბჭოთა საქართველოში 1960-1980-იან წლებში მისი სხვადასხვა ასპექტის მიმოხილვის საფუძველზე. ფეხბურთს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ სპორტის სახეობას, გააჩნია არაერთი მექანიზმი იმისთვის, რომ გარკვეული ერთობისთვის იქცეს თვითგამოხატვის საშუალებად ამა თუ იმ ფორმით, რასაც, როგორც წესი, ხელს უწყობს არსებული რეჟიმის პოლიტიკის თავისებურებები.

პირველი ფაქტორი, რომელიც გამოკვეთილია ფეხბურთისა და ნაციონალიზმის ურთიერთქმედების თვალსაზრისით საბჭოთა საქართველოში, არის საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა და კულტურული ნაციონალიზმი, როგორც ამ პოლიტიკის მნიშვნელოვანი საყრდენი. მიჩნეულია რა ფეხბურთი კულტურული ნაციონალიზმის ნაწილად, სტატიაში ხაზგასმულია მისი, როგორც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტის, როლი მასების ეროვნული განწყობების კონტროლისთვის. საბჭოთა ნომენკლატურა, ერთი მხრივ, ახალისებდა ადგილობრივ საფეხბურთო კლუბებს, როგორც საბჭოთა ხალხების ინდივიდუალიზმის გამოხატველ სივრცეს, თუმცა, მეორე მხრივ, მსგავს ნახალისებას თავისი შეზღუდვებიც გააჩნდა. ქართველ გულშემატკივარს მუდმივად ჰქონდა იმის განცდა, რომ მნიშვნელოვან წარმატებას თბილისის „დინამო“ ვერასდროს მიაღწევდა, რადგან ის ქართული (ან, უფრო ზუსტად, არარუსული) კლუბი იყო. ხრუშჩოვის რეჟიმის ცვლილებასთან ერთად დაიწყო ამ პოლიტიკის შერბილება, რასაც მოჰყვა ისეთი ნიშანდობლივი საკლუბო წარმატებები, როგორცაა საკავშირო ჩემპიონატისა და საკავშირო თასის ორჯერ მოგება.

სტატიის მეორე ნაწილში წარმოჩნდა ფეხბურთის, როგორც მასების მობილიზაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის, როლი ნაციონალიზმის გაღვივებაში. სხვადასხვა დოკუმენტური მასალის, ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსიების გაანალიზების შედეგად ნათელია, თუ რამდენად აქტიური იყო ქართველი მოსახლეობა თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრობისას. საქართველოს სიმბოლურ ნაკრებად აღქმულ საფეხბურთო კლუბს გულშემატკივრობდნენ რესპუბლიკის ყველა კუთხეში. ქართული ფეხბურთის მნიშვნელობა მოსახლეობისთვის დასტურდება იმით, რომ მუდმივად სავსე სტადიონებზე ბილეთების შოვნა უმრავლეს შემთხვევაში წარმოუდგენელი იყო, რაც ქართველი გულშემატკივრისთვის არაერთი ექსტრემალური საქციელის ჩადენის მოტივაცია ხდებოდა. თბილისის „დინამოს“, როგორც ქართული საფეხბურთო კლუბის, ამგვარი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამაერთიანებელ როლს თამაშობდნენ, ასევე, კლუბის ფეხბურთელები, რაც გამოიხატებოდა ქართული საზოგადოების მათდამი

ერთსულოვან დამოკიდებულებაში, სხვადასხვა მეტსახელში, რომლებსაც ისინი ფეხბურთელებს არქმევდნენ და ნაშრომში მოყვანილ სხვა დეტალებში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მასების მობილიზაციის თვალსაზრისით თბილისის „დინამოს“ მიერ 1960-1980-იან წლებში მიღწეულ წარმატებებს. ამ კონტექსტში საკვანძო მოვლენებად მიჩნეულია 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში პირველად მოპოვებული საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში უეფას თასების მფლობელთა თასის ფინალში იენის „კარლ ცეისის“ დამარცხება. ორივე შემთხვევაში, ფინალური მატჩებისა და ფეხბურთელების თბილისში დაბრუნების დღეს, მიღწეულის აღსანიშნავად, მრავალრიცხოვანი საზეიმო დემონსტრაციები გაიმართა. განსაკუთრებული ხაზი გაესვა, ასევე, 1981 წლის 16 მაისს „დინამოელების“ დასახვედრად შეკრებილთა ბანერებსა და შეძახილებს, რა დროსაც იკვეთება ეროვნული გრძნობების გამოხატვის ნიშნები.

## ბიბლიოგრაფია

- დავითაშვილი, ზურაბ. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია*. თბილისი: მეცნიერება, 2003
- ტურაშვილი, დათო. *მე რომ ფეხბურთელი ვიყო*. თბილისი: იბერია, 2011
- ფოიერი, ფრანკლინ. *როგორ აგვიხსნა ფეხბურთმა მსოფლიო: გლობალიზაციის სხვაგვარი გააზრება*. თბილისი: რადარამი, 2011
- ჩხაიძე, ირაკლი. *ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში* (სადოქტორო დისერტაცია), 2016
- ჯონსი, სტივენ. *საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2013
- Anderson, Benedict. *Imagined Communities – Reflections on the Origin and Spread of Nationalism*. London / New York: Verso, 2006
- Bairner, Alan. *Sport, Nationalism and Globalization: Relevance, Impact, Consequences*. Hitotsubashi Journal of Arts and Sciences, 43-54., 2008
- Baker, Carry. *Football, History and the Nation in Southeastern Europe*. Nationalities Papers, 857-859, 2016
- Benjamin, Carrie. *Visca el Barca! Ideology, Nationalism and the FIFA World Cup*. The Kroeber Anthropological Society Papers, 66-78., 2012
- Bilig, Michael. *Banal Nationalism*. London: SAGE Publications., 1995
- Budka, Philipp, and Jacono Domenico. (2013, October). *Football Fan Communities and Identity Construction: Past and Present of “Ultras Rapid” as Sociocultural Phenomenon*. Paper presented at Kick It! The Anthropology of European Football” conference. The University of Vienna
- Duer, Glenn, M.E. *Civic Integration or Ethnic Segregation? Models of Ethnic and Civic Nationalism in Club Football / Soccer*. Soccer & Society, 1-14., 2016
- Garsia, Cesar. *Nationalism, Identity and Fan Relationship Building in Barcelona Football Club*. International Journal of Sport Communication, 1-15., 2012
- Hargrave, Russel. *Football Fans and Football History: A Review Essay*. Soccer & Society, 240-249., 2007
- Hobsbawm, Erik. *The Invention of Tradition*. Cambridge: Cambridge University Press., 1983
- Hunter, John. *Flying the Flag: Identities, the Nation, and Sport*. *Identities: Global Studies in Culture and Power*, 409-425., 2010
- Ismer, Sven. *Embodying the Nation: Football, Emotions and Construction of Collective Identity*. *Nationalities Papers: The Journal of Nationalism and Ethnicity*, 547-565, 2011
- Martin, Terry. *The Affirmative Action Empire: Nations and Nationalism in the Soviet Union, 1923-1939*. Ithaca and London: Cornell University Press, 2001
- Nilli, Shmuel. *The Rules of the Game – Nationalism, Globalization and Football in Spain: Barca and Bilbao in a Comparative Perspective*. *Global Society*, 245-268, 2009

- Ovsepyan, Karina. The History of the Zenit Soccer Club as a Case Study of Soviet Football Teams. *Soccer & Society*, 1-10, 2016
- Rojo-Labaien, Ekain. Football and the Representation of Basque Identity in the Contemporary Age. *Soccer & Society*, 1-18, 2014
- Scherback, Andrey. *Nationalism in the USSR: A Historical and Comparative Perspective*. Moscow: National Research University, Higher School of Economics, 2013
- Slezkine, Yuri. The USSR as a Communal Apartment, or How a Socialist State Promoted Ethnic Particularism. *Slavic Review*, 414-452, 1994
- Uchiumi, Kazumi. On Sporting Nationalism: Research Methodology. *Hitotsubashi Journal of Arts and Sciences*, 1-17, 2002

### ელექტრონული მასალები

- პაჭკორია, თენგიზ. (2012, სექტემბერი 14). რა მოხდა თბილისში „დინამოს“ სტადიონზე 1977 წლის 23 ივლისს? ხელმისაწვდომია: <http://worldsport.ge/ge/page/ra-moxda-tbilisshi-dinamos-სტადიონზე-1977-წლის-23-ივლისს>. ნანახია: 2017, ივნისი 25
- მგელაძე, გუგული. (1961). *ბურთი და მოედანი*. სსრკ: სს ქართული ფილმი. ქედლიძე, ნ. (1975). *პირველი მერცხალი*. სსრკ: სს ქართული ფილმი
- წულაძე, ბაადურ. (1970). *ფეოლა*. სსრკ: სს ქართული ფილმი
- ხარაბაძე, ა. (2014, აპრილი 19). *Georgian Football-სპორტული ფეხბურთი*. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=dqd9-En-VaE&t=1s>. ნანახია: 2017, ივნისი 24
- Film Archive of Georgia. (2014, დეკემბერი 14). *„ოქროს მატჩი“ 1964. Tbilisi “Dinamo” – Moscow “Torpedo”*. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=6TmXzdsPuy0>. ნანახია: 2017, ივნისი 25
- Givifilms Studio Sport. (2013, სექტემბერი 1). *ჩვენი ფეხბურთი (დოკუმენტური ფილმი)*. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=nbIPR21d7MI>. ნანახია: ივლისი 5
- High Sport. (2015, მარტი 30). *თბილისის დინამო – თასების მფლობელთა თასი – 1981 წლის 13 მაისი*. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=w0vDf8L2wVc>. ნანახია: 2017, ივლისი 5

## NINO SAMKHARADZE

### FOOTBALL AND NATIONALISM IN GEORGIA IN THE 1960S-1980S

#### Summary

The present article sets out the basic factors of football as a catalyst for nationalism in Soviet Georgia throughout 1960s-1980s. It reveals how important were the events which took place in Georgian football and how they influenced the intensification and expression of local nationalistic sentiments under the Soviet regime. The article focuses on the view that football became the arena of expressing national self-consciousness under the Soviet governance, which resulted in intensifying Georgian nationalism through supporting the mass mobilization process.

Taking into consideration all the above-mentioned factors, the following questions can be raised: What was the environment which created Georgian football as an important catalyst in blooming Georgian nationalism like? How did those influences emerge within the Georgian society? What were the concrete factors which determined the role of football in shaping Georgian nationalism during the 1960s-1980s? The topic is worth researching since Georgian football had adopted the role of national dignity for the people living within the Soviet borders in the 1960s-1980s. In particular, Tbilisi Dinamo Football Club can be named as the shelter of Georgian nation's pride. This role was illustrated through various processes which took place around Georgian football. At the same time, social dimensions of football affecting the overall attitudes of the societies have not been comprehensively explored.

Foreign academic works on football and its influence on the development of various societies have been reviewed in order to check the above-mentioned view. Through them have been distinguished the main mechanisms which turned football into a phenomenon for deriving and intensifying nationalism. They are analysed through

creating the relevant theoretical framework and methodological structure. Soviet Nationalities Policy was the general frame which transformed a mere sports event into the arena for satisfying nationalistic feelings. But football itself is a game which contains all the elements necessary for mass mobilization processes. That is why Georgian football could easily become the instrument for both, political elites in the Party and people of the Soviet Union.

Soviet nationalities policy was based on the idea according to which all the peoples within the USSR should have had their own glorious past, traditions and culture. The Communist Party took special care of promoting local cultures by implementing relevant educational, social and scientific policies. Soviet approach towards the issue permanently encouraged “great traditions” of the locals even if the invention of traditions was necessary (Slezkine, 1994). Soviet nationalities policy contained the premise according to which each of the republics should have maintained the unique identity-determining markers. Throughout the 1960s-1980s the Georgian Soviet Socialist Republic had its own anthem, flag, as well as football teams. Those teams were not officially labeled as “national” ones, but they were more national than any other European National Teams.

Another dimension of football as a factor for strengthening nationalism in Georgia is the game itself. When we talk about mass mobilization around football, fans as an institute become an important stakeholder in the process. Through its complexity football may become even the subject of anthropological research (Budka & Jacono, 2013). Football is a glue of individuals into a team. As Glen Duerr notes the millions of individuals as an imagined communities seem more real and tangible when they gather around the 11-man team. This is because even a single person participating in a national chanting becomes the symbol of the nation (Duerr, 2016; Hunter, 2010). Besides football is clash-based process of fighting for the victory. This characteristic of the game easily makes it the symbol of nation’s fight for the glory (Baker, 2016).

Successful achievements performed by Dinamo Tbilisi Football Club were of great importance during the 1960s-1980s. The key events on this path were winning the the USSR championship for the first time on November 18, 1964. Through its existence the club obtained the USSR championship cup for the first time in Tashkent, Uzbekistan, in the final match against Torpedo Moscow FC. But the peak of the emotional boost of the Georgian nation was on 13 May 1981, when Dinamo Tbilisi won the UEFA Cup Winners’ Cup against FC Carl Zeiss Jena. Both events were celebrated in Georgia as a national holiday. Thousands of people came out into the streets of Tbilisi congratulating one another. Huge demonstrations were held, which showed the obvious emotional robust of the national pride: people carried the banners with the typical Georgian chants, songs, poems and all the possible expressions showing the gratefulness of the nation. The Footballers were met at the airport with the honour they deserved.

The club, which was considered as the symbolic national team of the Soviet Republic of Georgia, was supported throughout every single region of the republic. It was practically unimaginable to get tickets for the games of Dinamo Tbilisi. Georgians were seeking shelter for their national pride at the Lenin, present-day Boris Paichadze National Stadium. Football played a big role in the process of unifying the nation. Its influence on the perceptions of the unique Georgian style is obvious even now, after almost three decades since the dissolution of the USSR.



## ავტორები AUTHORS

- მარინე ფუთურიძე** – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არქეოლოგიის ინსტიტუტი  
**Marina Puturidze** – Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Archeology
- ირაკლი ჩხაიძე** – ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის კვლევათა ინსტიტუტი  
**Irakli Chkhaidze** – Assistant Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Cultural Studies
- ბეჟან ჯავახია** – ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**Bejan Javakhia** – Associate Professor, Faculty of Arts and Sciences, Ilia State University
- ნინო დარასელია** – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი  
**Nino Daraselia** – Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Western European Languages and Literature
- რიფსიმე რამაზიანი** – ასოცირებული პროფესორი, ვ. ბრიუსოვის სახელობის ერევნის სახელმწიფო ლინგვისტური უნივერსიტეტი, სომხეთი  
**Hripsime Ramazyan** – Associate Professor, Yerevan State Linguistic University after V. Brusov
- ზაქარია ჯორჯაძე** – დოქტორანტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**Zakharia Dzordzadze** – PhD Student, Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
- მანანა სანაძე** – პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა  
**Manana Sanadze** – Professor, the University of Georgia, School of Art and Humanities
- თინათინ ლუღუშაური** – პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა  
**Tinatin Gudushauri** – Professor, the University of Georgia, School of Art and Humanities
- ნინო ქიმერიძე** – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტი  
**Nino Kimeridze** – Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Western European Languages and Literature
- ნინო სამხარაძე** – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულება  
**Nino Samkharadze** – PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Department of Political Sciences

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინი  
კომპ. უზრუნველყოფა  
გამოცემის მენეჯერი

**მარინე ვარამაშვილი**  
**ნანა კაჭაბავა**

**ნინო ებრალიძე**

**ლალი კურდღელაშვილი**  
**მარიკა ერქომაიშვილი**

TSU Press Editors:

**Marine Varamashvili**  
**Nana Katchabava**

Cover Designer

**Nino Ebralidze**

Layout Designer

**Lali Kurdghelashvili**

Edition Manager

**Marika Erkomaishvili**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel: 995(32) 225 14 32  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)